

UDC(უაკ) 050(479.22) ISSN 2233-3312
ა-376

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა
მრავალპროფილიანი საერთაშორისო
აკადემია

ათინათი
IV



გამომცემლობა „ენიკვარსალი“
თბილისი 2013



უფლის საგალობელი

მოდოდა, ნინო მთებით მოდიოდა
და მოჰქონდა სანატრელი ვაზის ჯვარი...

ანა კალანდაძე

ლურჯ ზეციდან შენ
გმფარველობ წმინდა ნინო,
იქნებ შენებრ იანუსზეც
ქება გვეთქვა.
მისი არ გვწამს,
ორპირია არ გვიწყინო,
შენი ხატით „ათინათის“
გული ფეთქავს.



უწმინდესი და უნეტარესი ილია II



* * *

შენს ხელშეხებულს წიგნს ვიკრავ გულში,
სულის სამზეოს შევესახლები...
შენ, რომ არ გეყავდე ამ ჩვენს მამულში
ვაზის ღერწვივით გამოვისხლებით.
უწმინდესი მყავს... რაღად დავლონდე,
ერის მხსნელი და ერის საჩინო...
სიკვდილი?.. უკვე რწმენით ჩავდობე,
სიცოცხლე უნდა შევიწინააღმდეგო.

გულნაზ ხარაიშვილი

მეუფე თადეოზ (მირიან იორამაშვილი)

გვიძღვის დიდი ილია,
ვით დიდი მწყემსი – დიდ ფარას...
მადლის მზით მოსილია,
ღმერთი მისით გვიფარავს...
უწმინდესო... ნეტარო...
ღვთისშვილობით პირველო,
იხარე და გვახარე,
სიბრძნით გასაკვირველო.

ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის სახელით,
აკადემიის პრეზიდენტი, ფოთის საპატიო მოქალაქე
ნუგზარ ნადარაია.

ფაზისი. კაკლების საგვარეულო ხეივანი.
2 იანვარი, ბედობის დღე (კუჩხიბედიწერი).
2013 წელი ქრისტესშობიდან.

თქვენო უშიშროება!

**“კარგ გულს არა კლავს ბუნება,
თან დააქვს ძველის ძველად”
ვაჟა-ფშაველა**



უპირველეს ყოვლისა, ჩვენ ცოდვილნი, შემოგებდავთ და ამ მისაღმებით თქვენს ლოცვა-კურთხევასა და შენდობას შეგთხოვთ.

დაუვიწყარია დღეს ჩვენი სიხარული, რადგან გვხვდა დიდი პატივი საქართველოს, ქართველი ერისა და დედა ეკლესიის უკვდავებად ქცეულ, მსოფლიო მართლმადიდებელ ქრისტიანთა მიერ სიცოცხლეშივე წმიდანად ერთსულოვნად აღიარებულ უწმიდესსა და უნეტარეს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II აღმაშენებელს, თქვენგან ბოძებული დიდი მადლით, გულწრფელი სიხარულით აცრემლებულებმა, უფლისადმი თქვენი დიდხანს ჯანმრთელი და შემოქმედებითი სიცოცხლისადმი ყოველდღიურად მლოცველმა და მვედრებელმა მრევლმა მორწმუნე “ცოტნიდელებმა”, ე.ი. “აღმსარებლებმა მცნებისა უფლისა და დამდებლებმა სულისა თვისისა საქართველოსა და მოყვასთათვის” გულწრფელად და

გულმხურვალედ მოვილოცოთ სახელოვანი იუბილე: დაბადებიდან 80, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად აღსაყდრების - 35 და ბერად აღკვეცის 55 წლისთავი.

თქვენ, უწმიდესო და უნეტარესო, ააღორძინეთ და ააშენეთ დედა ეკლესია, დაუბრუნეთ რა მას ძველი ისტორიული ბრწყინვალეობა, თავადვე სამარადჟამოდ გაბრწყინდით და გაწეული ღვაწლით სიცოცხლეშივე შეიძინეთ დამსახურებული ეპიტეტი - ილია II აღმაშენებელი, რამეთუ 1977 წელს, როცა იკურთხეთ ქართული მართლმადიდებლური, სამოციქულო, ავტოკეფალური დედა ეკლესიის საჭეთმპყრობლად საქართველოში მხოლოდ 52-მდე ეკლესია-მონასტერი მოქმედებდა, ამჟამად კი, ღვთის წყალობითა და თქვენი ლოცვა-კურთხევით, 2400-ზე მეტი ტაძარი და მონასტერი ფუნქციონირებს და ასობით ახალი შენდება. თქვენი მოღვაწეობითა და მონდომებით აღსდგა: II საუკუნეზე მეტ ხანს ისტორიული უსამართლობით ჩამორთმეული ქართული ეკლესიის ავტოკეფალია, ჩვენი სახელოვანი წინაპრების ტრადიციად დაკანონებული შეიღვზის ლოცვები, ქართულ ეკლესიას დაუბრუნდა მრავალხმოვანი მშობლიური საგალობლები, თქვენს მიერ ყოველი მესამე შეიღვზის ნათლობით ათასობით ქართველი შემატეთ მამულს, რამეთუ ყოველი ჩვილის ნათლია თავად ბრძანდებით, ამიტომაცაა, რომ ამრავლებთ რა ქართველობას, განუმტკიცებთ რწმენასა და სიყვარულს ღვთისას, ხალხის საფიცარი სულიერი მამა და მოძღვარი ბრძანდებით. ერს სჯერა თქვენი, გენდობათ და ყოველ თქვენს დაძახილზე გვერდით დაგიდგებათ.

დიდი მესია მეფეთ-მეფე წმიდა დავით აღმაშენებლისა და მისი აღმზრდელის, ასევე დიდი წმიდა გიორგი ჭყონდიდელის (გიორგი ბედია) ქართული რენესანსის ეპოქის ხელმეორედ განმახორციელებლად მოგვევლინეთ ჩვენს დროში. ინტელიგენციის უთვალსაჩინოესი წარმომადგენლები თქვენს ღვაწლს ღვთის მიერ ქართველი ერის საიმედოდ მოვლენილი წინასწარმეტყველის ნაამაგარს დამსახურებულად ადარებენ. წინამდებარე წიგნი, სხვა გამოცემებთან ერთად, თქვენს მიერ უკვე შექმნილი ღირებულისა და ღირსეულის პატივების კონკრეტული გამოხატულება და დადასტურებაა...

ისტორია მუდამ მეორდება, ერის სიბრძნე კი მარადიულია. მართლაცაა, როგორც სულმნათი ვაჟა-ფშაველა გვმოდგვრავს დღესაც: “ერს ვერაფერს დაუმაღავ, გაიგებს, გამოფხიზლდება და დაიქუხებს”... ჰოდა, დაიქუხა კიდევ 2012 წლის 1 ოქტომბერს, საპარლამენტო არჩევნებზე, სადღეისოდ მეორე დავით აღმაშენებლის ძიება-არჩევის ოცნებითა და იმედით გამხსნევებულმა. ღმერთმა გვისმინოს და ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოს მოგვანიჭოს წყალობა ჭეშმარიტების შეცნობისა, გაგვაერთიანოს, გაგვამრავლოს, გადაგვარჩინოს და გაგვახაროს, ამინ!

თქვენ, უწმიდესო და უნეტარესო, თქვენი ქადაგებებით, ხატწერითა და კოსმოსში გასახმოვანებელი ღვთიური საგალობლებით დღენიდაგ გვმოდგვრავთ, რომ “დიდი რწმენით, ცრემლითა და სისხლით ლოცვა სულის საცხონებელია, გულწრფელად და მხურვალედ მლოცველი გული თავად უფალს ეჩურჩულება და მისგანვე ძლიერდება, ამიტომაც ორთავ სოფელში უნდა მიეგბაროთ უფალს...” ამინ!



თქვენ, უწმიდესო და უნეტარესო, ისტორიული კოლხეთის მემკვიდრე ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ფუნქციონირების აღდგენის, ქართული დედა ეკლესიის აღმშენებლობის, კოლხეთის ისტორიის კვლევის საქმეში აღმოჩენილი თანადგომისათვის ქრისტესშობიდან 1996 წლის 24 ნოემბერს ფოთში, ისტორიულ კოლხეთში - ფაზისში, სამეგრელოს სახელობის აღდგენილ მოედანზე გამართულ მრავალათასიან ზეიმზე, რომელიც მიეძღვნა საქართველოს ეროვნული, ზნეობრივი გმირის ცოტნე დადიანის ძეგლის გახსნას, სამადლობელი ოვაციის თანხლებით, ერთხმად იქნით არჩეული ფაზისის აკადემიის საპატიო პრეზიდენტად. ზეიმის მონაწილეებს დღესაც აღგვაფრთოვანებს თქვენი ფრთიანი შეგონება - გადაახილი იმის თაობაზე, რომ “ფაზისის აკადემია ისტორიულად დედა აკადემია გახლავთ ყველა შემდგომი და სადღეისოდ ფუნქციონირებადი დარგობრივი აკადემიებისა”, რაც დიდ პატივად, პასუხისმგებლობად და ნდობის გამართლებების მოწოდებად იქნა აღქმული კოლხეთში. ამ საპატიო და დამსახურებული ნდობის გასამართლებლად ფაზისის აკადემია ყოველწლიურად გაწეული მუშაობის სამეცნიერო ანგარიშს წარმოგიდგენთ ჟურნალ “ცოტნეიდელის” ფორმატით.

თქვენი ლოცვა-კურთხევით ყოველწლიურად ჩატარებული “ცოტნეობისა” და “ჰყონდიდულობის” საეკლესიო-საერო დღესასწაულებისადმი მიძღვნილი თქვენი მოლოცვები და დარიგებები ჩვენ, თქვენს სულიერ შვილებს აღგვაფრთოვანებს, გვმოძღვრავს - მამულის, ერისა და დედა ეკლესიის თავდადებისა და ერთგულებისათვის გვრაზმავს და გვაერთიანებს, რადგან მტკი-

ცვდ ვიწამეთ, რომ ქართველობა და მართლმადიდებლობა იდენტურია, რამეთუ ჩვენი შეუქცევადი ერთიანობის საყრდენი ბაღაყარი და ბურჯი ისტორიულად მართლმადიდებლობაშია ჩაქარგულ-ჩაკირული. ასევე, ისტორიული კოლხეთი - სამეგრელო იყო, არის და ღვთის წყალობითა და მადლის ძალით, თქვენი ლოცვა-კურთხევით კვლავაც იქნება “ერთგულ და ერთსულ იმ სხეულისა, რომელსაც საქართველო ჰქვია.” ამის ნათელი დასტურია ერის სულიერი, ეროვნული მამების: ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, მიხეილ ჯავახიშვილის, ლევან II დადიანის, კონსტანტინე გამსახურდიას, დუტუ მეგრელის, ზვიად გამსახურდიას მთელი შემოქმედებითი მოღვაწეობა და ღვაწლი, მათი შეგონებები ჩვენდა გასაგონად და შესასრულებლად ანდერძად თქმული...

დაე, მაღალმა ღმერთმა შეგვინდოს, დაგვლოცოს და ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოს მიანიჭოს მადლი გადარჩენის, გაერთიანების, გამრავლებისა და სულიერ-ზნეობრივი, სოციალურ-ეკონომიკური აღორძინებისა, XXI საუკუნეშიც მოგვეცეს ძალა და შეგვაძლებინოს დავით აღმაშენებლისა და გიორგი ჰყონდიდელის (გიორგი ბედი) ქართული, ისტორიული ტანდემის ანალოგიით ქვეყნის აღმშენებლობისა, ტერიტორიების დაბრუნება-შემოერთებისა, დედა ეკლესიის განმტკიცებისა და რუისურბნისის საეკლესიო-საერო, ისტორიული კრების გადაწვეტილებების პრიზმაში ჩვენი საერო და სასულიერო ცხოვრების გატარება-გაანალიზებისა, მიზეზ-შედეგის რკინისებური ლოგიკის მოთხოვნებს დაქვემდებარებული სამართლიანი რეფორმების საჯაროდ და სახალხოდ გატარებისა...

მაღალმა ღმერთმა გვისმინოს და გვფარავდეს წმიდა სამება, ამინ!





გულნაზ ხარაიშვილი

ჟურნალ „ათინათის“ მთავარი რედაქტორი
ჟუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა
მრავალპროფილიანი
საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი

ცრემლს ღვრის პოეტი

თ – ებერვალმა სუსხი ჩემთვის მოუმატა,
ც – ამაც გულში ჩამიდვარა დარდის მწუხრი.
რ – ამდენს ვუძლებ, სევდას სევდა დაემატა...
ე – რთხელ მოვკვდი, მაგრამ სიკვდილს თავს არ ვუხრი.
მ – იცნობთ უკვე კლდედ ვიქეცი, ფიფქებს ვფანტავ...
ლ – ომისის ხატს შევავედრებ მთას და მდელოს,
ს – იყვარული გვქონდეს ყველას ანდამატად,
დ – მერთო, იქნებ საქართველო გამიმთელო...
ვ – არდის სურნელს გადავაფრქვევ დედამიწას,
რ – იგში ვდგავარ სათნოების სასახლეში...
ი – მედები თუკი კიდევ დაიწიწენა,
ს – საქართველოს არ ჩავუბდებ უცხოს ხელში.
პ – აპის გუთანს, ღმერთო, ქალი მოაშორე,
ო – მობანას მოვეშვათ და ვიყოთ ფრთხილად...
ე – ს ის დროა, რომ ვუვლიდეთ ღობე-ყორეს,
ტ – ოტზე ვსხედვართ და უფალმაც გაგვაფრთხილა.
ღ – მედის კვალს ბოროტებით ნუდარ ვჩიჩქნით...
ქარსაც რბოლა თავისთავად მოსწყინდება.
ადარ ავყვეთ მოენეთა უქმად ჩიჩინს,
საქართველო უსათუოდ გაბრწყინდება!



პოეზია

ტერენტი გრანელი

გული ქარისკენ



ჩანს, დღეა თბილი,
 თანაც ქარია.
 დავეყურებ თბილისს
 და მიხარია.
 და მზიან ამინდს
 შვენის წუთები.
 მოვა სხვა წამი
 და შევწყუდები,
 მზე სხივებს გაშლის,
 როგორც კრებულნი.
 ვარ ისევ ქარში
 გაჩერებული.
 და ვნანობ გვიან,
 დღეა ანთების.

და მზეში კრთიან
 შორს გუმბათები.
 ირევა ფიქრი,
 ცა გაშლილია.
 და ბალის იქით
 მთების ჩრდილია.
 უფრო ვარ ასე,
 გზა მიდის სწორედ.
 გული ქარისკენ
 გადავისროლე.
 ჩანს, დღეა თბილი,
 თანაც ქარია.
 დავეყურებ თბილისს
 და მიხარია.

ღამეა, ცაზე ვარსკვლავი ერთი
 მიღვიძებს გულში სხვანაირ იმედს.
 ეს ჩემი სული – ლანდია ღმერთის,
 ეს ჩემი გრძნობა – გრიგალი მძიმე.
 მე მაშინ მოველ – მზე ანთებული,
 როცა მოჰქროდნენ ხმები სხვა ზარის.
 როცა საღამო დამშვიდებულნი
 იდგა სივრცეში ლურჯი ზღვასავით.
 ჩემი ცხოვრების საგანი გახდა
 გლოვა, დუმილი და გაწვადება.
 და ვფიქრობ: სადღაც უხილავ ბაღთან
 დღეს ჩაიარეს უცნობ ქალებმა.
 აქაც, ჩემს ახლო, სხვები დადიან,
 ვილაცა მიჰყავს და გარბის ეტლი.
 ახლა სიცოცხლე ჩემთვის ლანდია,
 რაღაც სხვა მინდა სიკვდილზე მეტი.
 მორჩა, ქუჩაში ვერ გამოვჩნდები,
 თბილისი დარჩა თვალების გარეთ.
 სადღაც ყეფს ძაღლი დროგამოშვებით

ციხის ელგისა

და საცოდავად კიღია მთვარე.
 რა ვქნა, ვერ ვუძღვებ ამნაირ წამებს
 და იმედისთვის არ მყოფნის ძალა.
 და ვარსკვლავების მზიდველი ღამე
 მძიმე ქვასავით ეცემა ქალაქს.
 ის იღუპება, მას არ უგლიან,
 ქვეყნის სიმძიმე მის გულს მოება.
 და სინუმეში დაფარულია
 ჩემი სიმართლე და სათნოება.
 ქრიან ქარები ასე უსახო,
 მოსჩანს ვარსკვლავი,
 როგორც ობობა.
 ჩემს მწუხარებას ზრდის სატუსაღო
 და ვგრძნობ საშინელ უმეგობრობას.
 დრო ასეთია, ვღონდები ისევ,
 დაბნეულა ჩემი ოცნების მხარე,
 არყოფნის ღამე! შენსკენ მოვიწვევ,
 არყოფნის ღამე! შემ დამიფარე.

ხომ მადლევებს მე ასე
 თეთრი ფიქრის თარეში.
 სხვა პოეტი ვერ დაწერს
 ლექსს ოთახის გარეშე.
 აქ ზეციდან – ეს ღმერთი,
 და გულიდან – ეგ სისხლი.
 და ვარ თითქმის ყოველთვის
 განწყობილი ლექსისთვის.

მიწა, ცა უმაღლესი, –
 ხომ პოეტის გულია.
 და მგონია მე ლექსი
 ყველგან გაბნეულია.
 გული შენთვის გავწირე,
 ირგვლივ ვხედავ რაღაცებს.
 წუხელ ლექსი დავწერე,
 დღეს გადამაქვს ქალაღღზე.

ეს დღე შორს წავა, ეს დღე მოკვდება,
 კვლავ დაიწყებენ თვალები რონინს.
 ისევ ერთმანეთს უახლოვდება
 სული ჩემი და გალაკტიონის.
 და სადმე წასვლა მეც მინდა ეხლა,
 და ისევ კივის ზარი სიონის.

დაიგვიანა, რატომ ამდენხანს
 არ ჩამოვიდა გალაკტიონი.
 და სხვაგვარია ეს ფიქრი დილის,
 და ისევ მარტო მივდივარ ბაღში.
 გალაკტიონი გაექცა თბილისს,
 და მე, ძვირფასო, ისევ აქ დავრჩი.

მოგონების ქაღალდი

იელვებს ძველი ღოცვების გროვა,
აპრილის დამღევს მოვიქანცები.
იქნება ისევ უცნობი გლოვა
და შორეული ნიუანსები.

გავყვები ბედის სიფითრე მწველი.
და ფოთოლივით სულში კანკალებს
მოგონებების ცისფერი ქსელი.

ღაბრუნება სოფელში

ახლა არის იენისი, ახლა გვიან დამდება.
მაგონდება ბავშვობა, – ეს ცა მაშინ სხვა იყო.
ამ მაღლობზე ველოდი ქრისტეს გამოცხადებას,
მერე თეთრმა სინუმემ ის იმედი წაიღო.
ახლა დედის აჩრდილი დებს და მამას მბარებს
(ახლა უფრო ხშირია დარდი და უძილობა).
მზერას მტაცებს საყდარი. ველზე გათხრილ სამარეს
ვაკვირდები შორიდან, როგორც მიწის ჭრილობას.
ახლა იქნებ ჭორებიც მომედება ტალახად,
მე ხომ ბედმა გამრიყა, თანაც მტანჯავს ციება.
ახლა ჩემში ძნელია გენიოსის დანახვა,
ახლა ჩემი გაკიღვა ყველას ეპატიება.
თუმცა თვალებს ცეცხლიანს არ ეტყობათ დადალვა,
ვიცი, გაფითრებული ვგავარ შემოღამებას.
ნიჭმა ვეღარ მიშველა, როგორც ზეცამ მაღალმა, –
არ თავდება ვარამი და იობის წამება.
ახლა მინდა ამ მზეში იმედები გასშირდეს
(თუმცა რაა იმედი? – წამიერი ფარ-ხმალი).
მელანდება სიკვდილი და სოფელი მამშვიდებას,
ჩემი ტკბილი ოცნების ლურჯი ნამოსახლარი.

მკრთალი სილუზიტი

შავგვრემან სახეს აცისკროვნებს ლურჯი გაროზი,
თეთრი ხალათი ნაზ ბროლის ყელს მეტად უხდება.
ღრუბლიან ავდარს გადაღახავს წმინდა ტაროსი
და ჩვენს გარშემო ყვავილები აფირუხდება.
მკრთალი ლანდები ცის სივრცე ათამაშდება,
ნელ ცეცხლის ალით იფერფლება ანგელოზები.
ჩემი იმედი სამუდამოდ რომ დამარცხდება,
ვით მონაზონი, შავ ძაძვებით შევიმოსები.
თეთრი ვარსკვლავი კაბადონზე რომ გამოჩნდება,
მისი სხივები მსურს შევკონო ბრილიანტებად.
მთვარიან ღამის ჩუმი დილა რომ გათენდება,
ჩემი ოცნება დაიმსხვრევა მრავალ ლანდებად.



მეუფე თადეოზი (მირიან იორამაშვილი)

* * *

ცა გახსნილია ღოცვისათვის, იღოცეთ მოდით!
თავისუფლებას ვერარა და ვერვინ წაგართმევთ,
თავსაკიდური შეურაცხევებს ოდესმე ღოდი,
ფრენა ასწავლა ვინც პირველი არწივის მართვეთ,
შვილებს მშობელთა მორიდება ყოველთვის მართებთ.
სიყვარული და სიხარული წყვილი ფრთებია,
ვის გულს მამულის ერთგულება ვედარ აღანთებს,
იგი მომავალს გასაწირად დაგიწეობია.
ვინც გულისხმაყოფს წინაპარნი როგორ წყრებიან,
ოდეს გეხედავენ შიშისაგან უკვე მოცველით,
არსებობისთვის ქვეყანაზე მცირე წლებია,
მარადისობას შეერთვიან ერის მლოცველნი.
გმირის საფლავი აყვავდება დედის მოცრემლვით,
წინაპრის ღოცვა ზეცას გახსნის უფლის განგებით,
ღვთის წამისყოფა გვიხმობს ყველას ელვათა ელვით,
ნუ უზრუნველყოფთ, ნუ ვაყოვნებთ, ნუ ვგვიანდებით.



* * *

ღმერთო, ამანთე წმინდა კელაპტრად,
მანათებინე ღამე უკუნი...
ღიდი სიცოცხლის მზე მომენატრა
საუკუნეთა უტყვი გუგუნით;

მოჯარებულან წმინდა ღანდები...
არა ღანდები – ნათლის სვეტები...
ჩვენი დანახვის მოიმედენი.

* * *

წმიდა ბიორბისაფი

მაქვს იმედი უფლისა...
ვერც ვინ ვერ მომიშალოს,
ვერც ბოროტმა დამძლიოს,
ვერც სიკვდილმა მიშაროს.
მოლოდინმა ავისა,
თრთოლვად ვერ ამიტანოს,
არცა ზარი ზგავისა,
საღ კლდეს ვგავდე, პიტალოს,
სვეტიცხოველს ააგებს,
კურთხეული მარჯვენა,
სიხარულის ყვავილი,
ისევ დაიმარჯნება,
მიწის ჭუჭყი, ზვაობა,
ისევ მიწას დარჩება,
რწმენა განა დაგვაგდებს
უიმედო ლაჩრებად?!

იდიდოს შენი სახელი
ყოვლთა ბოროტთა მღახვრელი
წმიდავ გიორგი, ჰფარავდე
კეთილსა ქვეყანასაო,
გულდაწყულელებულს ჰკურნავდე,
თვალს აუხელდე ბრმასაო,
დააჯერებდე მოკედავთა –
მთაზე შეადგამ მთასაო,
ვინც ვერა იცნას კეთილი
დააბრალედეს თავსაო.
სიკეთის ზღვაში კეთილად
დააცურებდე ნავსაო,
ჭეშმარიტება მაღალი
გაგვინათებდეს გზასაო,
წმიდავ გიორგი, ჰფარვიდე
ქართველთა ქვეყანასაო.

1973წ.

* * *

შენი შვილი ვარ, საწყალი,
ამ ცრუ სოფელში მყოფელი,
შენ დაგვიფარე, უფალო,
შენა ხარ ტკბილი მშობელი.
მე შენ მიყვარდე, ღირს ვიყო
სხვა მარგალიტის მფლობელი,
შენ გაგვახარე, უფალო,
შენა ხარ ტკბილი მშობელი.

ვინ შესძლებს ღირსად გადიდოს,
თქვას ღირსი სამადლობელი?
შენ შეგვიწყალე, უფალო,
შენა ხარ ტკბილი მშობელი.
არ იკარგება სანთელი,
არც საკმელ-საგალობელი,
მადლი მოგვფინე, უფალო,
შენა ხარ ტკბილი მშობელი.

* * *

მამაო ჩვენო, ცათა შინა მყოფო სუფევით,
წყაროვ ცხოვრების, სიყვარულის, თავისუფლების,
წმინდაა მარად სახელი და დიდება შენი,
ყოვლისმყრობელო, უკვდავების ნათელი გშვენის.

მამაო ჩვენი, საკვირველად მსუფვეო ცაში,
მოველ ამ ქვეყნად სურნელოვან ვარდების გაშლით,
ჰყავ გული ჩვენი ანგელოზებრ უმაკნო ბავშვის,
ესაა ფრთები და ამ ფრთებით იფრენენ მაშინ
სასუფვეელის სიხარულში და დიდებაში.

დუ, ყვავილობდეს მართალი რწმენა უწმინდეს

ღვთიგაურთხეული სიცოცხლის ენა
და სხივამკამა მარგალტები...
დუ, ყვავილობდეს მართალი რწმენა,
იყავით მცველად ჭეშმარიტების.
მოგაგებს სამწყსო სამაგიეროს,
რა სიყვარულით თქვენ გიყვართ იგი...

ოღონდ ცით მადლის შუქმა იელგოს,
არ მოგვეშალოს წესი და რიგი...
დუ, წმინდა ცრემლი ერის წყლულს ჰბანდეს,
გვლოცავდეთ მარად წმინდა ხელებით
და თქვენს ცრემლიან ღიმილში ჩანდნენ
ნუგეშმცემელი ცისარტყელები.

ამინ.
2001წ. 1 აპრილი

სად ყვავილი სამოთხის

სად ყვავილი სამოთხის
ლამაზ თვალებს ახელს,
ზეცის წიგნი სიცოცხლის
ჩაწერს უკვდავ სახელს.
იგი მარადისია,
ზეცის წიგნი ტკბილია,
სხვა ვინ თქვენებრ ღირსია,
უწმიდესო ილია.
უწმიდესო ილია,
ცით ნაკურთხო მეუფევი!...
ლოცვა აღვლენილია,
მამულს მადლი შეუქე...
ქართველს შვილად მოსულხართ,
იმის სინდის-ნამუსად,

ხატებრ ეაღერებით,
ენასაც და მამულსაც...
შუქი ოქროფენილი, –
მამულის მთებს აანთებს,
თქვენი სიბრძნის წერილი
მომავლის გზებს ანათებს.
წუთისოფლის სიმძიმე,
თქვენი ღვაწლით ძლეულა,
დაგიბრუნებთ უფალი
ნაღვაწს ათასეულად...
... ხამდა ქება ციერთა,
არა ცოდვილ ენითა,
ჟამი განათლიერდა,
თქვენი დიდი რწმენითა.

უწმინდეს მისი ალსაყდრების 33 წლისთავის მისალოცად

თქვენს ბრძენკაცობას ლოცავენ
დიდ წინაპართა სულები,
ვართ სასწაულთა მოწამე,
გამკობს სიკეთე... უღევი...
მთებიდან მოხვად, სადაც არს,
ლად არწივების საუფლო.

მიწაზე მყოფი ცადა ხარ
და წმინდანებთან საუბრობ.
ხატად იწამე სამშობლო,
მთით-ბარით-მინდვრით-მდელოთი...
იხარეთ... მრავალჟამიერ...
ერთიან საქართველოთი!

2010 წ. 25 დეკემბერი

მამულო!

საქართველოვ, ჯვარს გაკრულო წარსულით,
აწმყოშიაც ბევრი ტანჯვა გინახავს,
მაგრამ მაინც არ ეცემი სულით,
ტანჯვა ძლიერ მკერდით გადაგილახავს.
გაგიზრდია ღომგულეები ძლიერი,
ერთგულეები შენი წმინდა მიწისა,
იდექ მარად გაუტეხელ იერიოთ
მტკიცედ მპყრობი ღვთისთვის აღთქმულ ფიცისა.
მწარე ცრემლი სწვეთდა დედათ წამწამებს,
სისხლის მსმელთა ჯვარს გაცვეს და გაწამეს,
სასწაულით მუდამ გადარჩენილო,
შენ ერთს ღალატს შენ ვერავინ დაგწამებს.
შენთა ძეთა რკენა, პირდაპირობა,
ცად განთქმული ზრდილობა და გამირობა,

მატიანეს მტკიცედ აღუბეჭდია...
რაც გულს მიკლავს ქვეყნად შენი მწირობა,
აღვიყვავდეს სამომავლო ფიქრები.
ღვთის წყალობით მარად ხარ და იქნები!
ღმერთს მიენდე – ის არასდროს გღალატობს,
წმინდა ფრთებით დაფარული იქნები...
ყოვლად მართალს უყვარს ყველა მართალი,
თვით ჯვარცმული ტანჯულთ შველად მზად არი.
შვებად მოგფენს გაზაფხულებს მარადისს,
რას დაგაკლებს ავღარი და ზამთარი?!
მოვა ჟამი ყოვლად სამართლიანი,
შენ იქნები ძლიერი და მთლიანი,
სიკეთით და მადლით გაუკვდავებულს,
ცა დაგფარავს ანგელოზის ფრთიანი.

კახა ბაციკაძე – ჯგუფ „ზღვარის“ წევრი

ცრემლის ბობონა



ის ყოველ ღამით ტიროდა ჩუმად,
და შენს თვალებზე სიზმრობდა ღოცვას;
ის სიკვდილივით სასტიკად სდუმდა, –
ვერ ერეოდა საკუთარ გრძნობას.
შენ გიგზავნიდა ღურჯ ცეცხლს, ვით ვარსკვლავს,
და ისევ მხოლოდ შენზე ფიქრობდა...
ასეთ სიყვარულს სიკვდილიც ახლავს, –
ეს მან ძალიან კარგად იცოდა.
სულის თითებზე ცრემლის ბეჭდებით
აელვარებდა სივრცეს უფერულს,
უფროსილდებოდა საკუთარ გრძნობას,
ვით გენიოსი პოეტის რვეულს.
ბოლოს, ნელ-ნელა, სევდამ დალია,
ვით შემოდგომა – ფოთლების ქროღვამ,
თვალებში ცრემლის ღურჯი წყალია,
– არ დამივიწყო... – მხოლოდ ეს მთხოვა...
ის ყოველ ღამით ტიროდა ჩუმად...

პოეზიის მონოლოგი

არის სიკვდილი, როგორც მზის ველი,
როგორც უსაზღვრო თავისუფლება,
განთიადივით მე მას მოველი, –
სიყალბის ყველა შტრიხი უქმდება,
როდესაც მოდის სიკვდილის ღმერთი, –
ის ერთადერთი, რომელსაც ძალუქს
სივრცეს ჩამოხსნას ტკივილის ფარდა...
სუყველაფერი არის ტყუილი,
ლექსებისა და სიკვდილის გარდა...
წყდება სხეულში სისხლის არია,
და მხრებს ამშვენებს გიგანტი ფრთები,
ხოდა მივდივართ მე და სიკვდილი,
მე და სიკვდილი – ორივე ვკვდებით.
ტაძრის ორღანთა მძაფრი მუსიკა
სივრცეს ახელებს ბგერათა ღოცვით,
და ანგელოზი ამბობს: „ნუ მიგყავს,
სიკვდილო, ლექსთა სასახლის ღორდი“...
მაგრამ სულს უხმობს თავისუფლება,
თავისუფლება – შეგრძნება ღმერთის,

ამ გულში, მუდამ, გრძნობა სუფევდა,
უსაზღვროების განცდასთან შერთვის.
მე მესმის მხოლოდ პოეტურობა,
მარადისია გზანი წამების,
და პოეზია მე გავიაზრე,
როგორც მეოთხე წევრი სამების...
იწვის სამყაროს ყველა მტკაველი,
ჩამოშლილია ცათა ზეცები,
კაცობრიობა, როგორც ბრმა ბავშვი,
უფალს დაეძებს ხელის ცეცებით.
გადადნა სულის ყველა ლითონი,
ვიღვევი ისე, როგორც სანთელი...
პოეზიაა ჩემი მირონიც,
უკანასკნელი ჩემი სათქმელიც!..
მე და სიკვდილი – ორივე ვკვდებით,
თუმცა სამყაროს მაინც ვიოცებთ;
მე მწამს სიკვდილი, როგორც ღვთის ველი,
როგორც ყველაზე დიდი სიცოცხლე...

პოეტური ბრძოლა

ხვალ, როცა დილა გათენდება, – მზე რომ ამოვა,
მთელი სამყარო დაინახავს და წაიკითხავს
მზის ტანზე ღამით დაწერილ ლექსს,
ჩემს ლექსს, სევდიანს.
მერე, როდესაც ცა მოიქუფრება, –
გამონდება ამაყი ღრუბელი,
მთელი სამყარო დაინახავს და წაიკითხავს
ღრუბლის ტანზე დაწერილ

ჩემს ლექსს, სევდიანს.
მერე კი მოვა ლექსების წვიმა, –
უკვე ლექსები წამოვა წვიმად,
ფერად წვიმად – მთელს სამყაროში,
და მაშინ, ადამიანებს,
საგნებს... ყველაფერს დაასველებს
ჩემი პოეზიის საბრალლო სევდა...

ემილია

ყოველ კვირა დღეს
მე ვხვდები ემილი დიკინსონს.
ჩვენ ვსეირნობთ ბაღში,
ვსაუბრობთ, –
აზრებს ვუზიარებთ ერთმანეთს...
ის მიკითხავს თავის ლექსებს
და კიდევ უფრო არამიწიერი ხდება
ამ დროს...
მე ვეუბნები მას:
– „ემილი,
შენ ხარ პოეზიის დედოფალი.“

ამაზე მიღიმის,
თუმცა, ვფიქრობ,
სჯერა ჩემი სიტყვების.
ემილი ამბობს,
რომ პოეზია მისთვის ყველაფერია;
მას მიაჩნია, რომ
ჩემი ძაღვები უსაზღვროა პოეზიაში;
მეუბნება, რომ
სურს გამოვცეთ ერთობლივი წიგნი...
ჩვენ არა ვართ შეყვარებულები,
უბრალოდ, გვიყვარს ლექსების წერა...

სისხლისშემრი ბლადიატორები

რა შეაჩერებს ჩემი სულის გლადიატორებს,
სისხლით ირწყვება პოეზიის ვრცელი არენა,
სიმშვიდის ღმერთო, სთქვი, პოეტი ვით გეამბოროს,
ვით აერიდოს შეშლილობის მძაფრ ზეგავლენას;
ან რა ჩააქრობს ჩემს თვალებში ცეცხლის დემონებს,
დაცხრილულია თავად ზეცაც მძიმე ფიქრებით,
როგორც ქარონი, გარდაცვლილთა სულთა მებორნე,
მეც საკუთარ სულს ჯოჯოხეთის ცეცხლში მივყვები...
გავიფანტები თვით უშავეს განცდის ყორნებად,
და საკუთარ გულს ვფვლითავ ასე გაფაციცებით,
დგანან გრძნობები ჩაბნელებულ ლამპიონებად,
მეფერებიან სიძულვილის ცივი თითები...
ვისხენებ ფაუსტს და ვალპურგის ღამის აღრევას;
სისხლის წვეთების ძოწისფერი კარნავალია...
მე მოგიწოდებთ ყველა წესის ფარდის დარღვევას, –
ანარქია ხომ პოეზიის რთული ვალია.
და ვანადგურებ წინ აღმართულ ქარის წისქვილებს, –
ბოლომდე მიმყავს დიდი საქმე, მე, ლამანჩელის;
და ვით შეჰფერის პოეზიის ნამდვილ აქილევსს, –
ბრძოლის შავ ველზე სამუდამო სტუმრად დავრჩები...
ხშირად მიყვარდა სმენა, მშვიდად, მდინარე ლეთის;
პოეტურობა ღვთაებრივი და წარმტაცია;
დაიბზარება დედამიწის ფუჭი ხმელეთი, –
ის ვეღარ უძლებს პოეზიის გრავიტაციას!...
რა შეაჩერებს პოეზიის გლადიატორებს...





ანა ბეინაშვილი

ჩემო ემილი

ელოდე... მზისკენ შორია, მაგრამ
დაგამწყვდობებს სხივთა ციალით;
არ შეგებრალეხს თურმე არასდროს,
დრო, უხსოვარში ნაწოწილი.
თუნდ ბრალეული სულით ილტვოდე,
ნაცოდვილარი მძიმე ვალებით,

წყალობას მაინც გამოგიმეტებს,
ოღონდ ელოდე წრფელი თვალებით.
ძვირფასო ჩემო, შენდობამ შენდა...
პეშვებით შესვა წლები ცრემლილი,
ილოცე ჩემთვის, მზის სხივთა ჩქერში,
ნათელი სულო, ჩემო ემილი.

არ ოდეს ემებს

ჰო, დავიბადე, ეს მე – ეული,
რათა უღონოს მიმდერო ნანა,
ნისლი მთა – თმაზე ჩამოხეული
მაგ ბავშვეურ თვალებს ცრემლად გინამავს.
ხამისპერანგა ჩემი სხეული
ოხვრით იხუტებს დამზრალ ყვავილებს...

და სისხლი ჩემი გადანთხეული
ამოსულთქებას გამიადვილებს.
მქონდეს მარადად ხმა ნაქუხარი,
დე, ჩემთან ერთად მან იდღეგრძელოს,
ვისი ცხოვრებაც ასე მწუხარი,
აროდეს ეძებს სხვა საქართველოს.

თითზე დნებოდა პეჯედი ღალით

გამოვლივობა... ტიროდა დამე,
ცრემლი ესხურა მინაზე ფანჯრის,
ეშორებოდა უკვე მრისხანე
თვალების მხერა, უსიტყვოდ განსჯილს.
ღალი წარსულის, მიჯნური ქალი,
სხვა სიყვარულის გახდა უმეცრად
და თვალთა შუქი, ვით ნაპერწკალი
გაიელვებდა ბნელში უეცრად.

უსიხარულოდ ცაზე მიმქრალი,
მთვარე უჭვრეტდა, ვითა მსტოვარი,
თითზე დნებოდა ბეჭედი ღალით,
უსიყვარულოდ დანატოვარი.
ასე შთენილა ნისლეულ ჩრდილში
ცრემლმორეული, მთვარეულ ღანდად,
მშვენიერ სახეს შემძვრელი შიში
ბედმა უღმობლად შემოაბლანდა.

**წიწამურიდან...
ილია მართალს**

წიწამურიდან ავი თვალების
შემოღამებამ მოკლა ილია...
მას შემდეგ ქვეყნად უღვთო წვალების
გზაზე ქარაგად ნათლის ჩრდილია.
ძალმორეული ცრემლების ღვარით,
მძიმე ღრუბლებმა გადაიწვიმეს;
ჩამომწუხრა სიფითრე ღამის,
გწყველით ჯაღათთა სულის სიმწირეს.
დაყუდებული მართლის აჩრდილი
მთაწმინდის მხრებზე მსუბუქად, სპეტად,

ლოცვით დაღლილი, ხელებაწვდილი,
ვით აღვლენილი ზეციურ სვეტად.
შევედრება ღამის თვეისას
ვაპატიოთო უბედურთ ცოდვა...
ქარში ათოვდა, აწვიმდა მიწას,
ბნელი უწმინდეს ნათლით ჩამოდგა.
შეცისკრებისას ხატებას ცისას,
ასხივოსნებდა სიწმინდე დილის,
რამეთუ ქვეყნად სუფევა ძისა
იყო უსაზღვრო ტანჯვით განცდილი.

სურამის ციხე

მიპარპალობს უფერული ალით
ქვის კედლებზე სიცხე, მწოლიარე...
ციხის ძირთან დგას ხატებით ქალის
ხე ტოტება კუმტი, მგლოვიარე.
ის დედაა, უღმობელი ხელით,
ქვა-ღულაბში ჩაკირული შვილის,
წელთა სრბოლას მოუხატავს ცხელი
სუნთქვით ქვაზე უშავეს ჩრდილი.
ქალთა ცრემლებს მიმოაფრქვევს, მძიმეს,
ციხის ძირთან შენისლული ქალი,

როცა ზეცა გუმბათს შემძივებს,
როცა სიცხის ბუღს დაფანტავს ქარი,
ხე აარხევს მშფოთვარებით ტოტებს,
სურს ჩრდილები გულში ჩაიკრიფოს...
"შვილო ზურაბ" – დედა მოთქმით გოდებს
და ცრემლები ალბობს ციხის ღიბოს.
მოთქმას ქვები იჩრდილავენ ჩენით
ცოდვის ციხე აულანძავს ძრწოლვას,
დედა ხე და ციხის ძველი ბჭენი
მიჰყვებიან მაინც წელთა სრბოლას.

თამარ გაგაშელაშვილი

უკეთესი აბა რა დამრჩენია?

სულით წმინდას უძახიან მუზასო,
მას ეშმაკი ვერაფერს ვერ უზამსო
პოეტები სულით ნაზი არიან
და მიწაზე სხვის ტკივილით დადიან.
სიხარულით უცებ ცაში ადიან,
ბერდებიან სხვაზე უფრო ადრიან,

მე ხალხში ვარ, მქვია ქვეყნის მსახური
და არ მინდა უფრო სხვა სამსახური.
ეს ტანჯული მიწა-წყალი ჩემია,
უკეთესი აბა რა დამრჩენია,
უნდა იყოს მართლის მთქმელი, თამამი,
მეგობრებო, შემოგვევლოთ თამარი.

არ მოვითხოვ შენგან შეწყალებას

შენი სიყვარული ტკივილს ეფარება,
დილის გათენება შენზედ მეხარება,
შენი სიყვარული გულზედ მეტანება,
შენი თვალები - თვალებს ელანდება,
შენი გასაჭირი მუდამ მედარდება,
ყველა მუხები შენზედ მეხმარება...
სული არ ჩერდება, შენკენ ეხარება,
გულში ჩაგისუტო, აღარ მეხათრება,
შენი არსებობა მუდამ მეყვარება.
ყველა დანარჩენი ფიქრი მეზარება,
არ მინდა ვიცოდე შენგან შებრალებას,

ან სად გაგონილა ძალად შეყვარება.
იყავ ბედნიერი, ვინც შენ გეყვარება,
მთელი ცხოვრებაო გქონდეს ნეტარება,
შენზედ ფიქრები ახლაც მეწვალება
უშენოდ ყოფნა, ძლიერ მეძწარება,
შენი სიყვარული ისევ მეზღვავება,
უშენოდ დახარჯული წამი მენანება...
შენი მოლანდებით თვალი მეწყალება...
შენ კი არად აგდებ, ვიცი, ამ წვალებას,
ახლაც მონატრება გულზე მეძალება,
არა, არ მოვითხოვ შენგან შეწყალებას.

ვერ ვხვდები მიზეზს

შენი სურვილი მომძალებია,
და ჩემი გული ახლა გიგონებს,
ვინმე თუ გულთან ახლოს არაა
მაშინ მის ძახილს ვერ გაიგონებ.
ჩემთან შორსა ხარ, რა ვქნა არ ვიცი,
მე მონატრება ამ გულს მიღონებს,
როდესაც მუხა მომძალებია
შენ ეფერები მაშინ სტრიქონებს.
უშენოდ ყოფნას აზრი არა აქვს,
გული გამხდარა შენზე მიმდობი,

ვისი ხარ ახლა მე არ ვკითხულობ
ჩემგან წასული იყავ მშვიდობით.
მე არ ვკითხულობ, რაზე ოცნებობ,
არ მიყვარს სხვაში ქექვა, ძიება,
სადაც ნამდვილი სიყვარულია
არასდროს ხდება შურისძიება.
სიყვარულს როცა კაცი გაურბის
რა მიზეზია მაინც ვერ ვხვდები,
წუთისოფელში ჩემგან წასული,
სიკვდილის შემდეგ მაინც შეგხვდები...

ვერ მოვალწიე

შენი თვალები, წუხელ სიზმარში,
სულ კოცნა-კოცნით გადავაქციე,
მონატრებას რომ ვერ გავუძელი
სითბო ცრემლებად გადავაქციე.
ეს სიყვარული ჯერ თოვლი იყო,
მერე კი წვიმად გადავაქციე,
შორს ნუ დადექი, ახლოს მოიწი.
ტუჩები ჩემკენ ოდნავ მოწიე.
სადაც წახვედი ჩემი ფერება,
ჩემო ლოცვები ყველგან გაწიე,

გული საგულეს ამოვიღე და
მაგრამ ვერასდროს ვერ დაგაწიე.
სანთლები მუდამ ხელში მიჭირავს,
რადგან მლოცველად გადამაქციე,
რამდენი კოცნაც გამოგიგზავნე
სუყველა იქით, გვერდზე გაწიე.
ნუ დამიდექი ასე მაღალზე,
მოდო, ტუჩები დაბლა დაწიე,
სადა ხარ ნეტავ, ასე შორს მაინც,
შენს გულამდე რომ ვერ მოვალწიე.

წავალ შენიდან ბულში დაჭრილი

ვერ გამიგია რაა მიზეზი
ამ განშორების, ვერ მოველ აზრზე...
შემშურებია, რომ ვარსკვლავები
ეხუტებიან ერთმანეთს ცაზე...
ეშმაკი არის ეს სიძულვილი
და ის ადგია ყოველთვის ვარზე...
ჩამტერებია იგი სიყვარულს,
აქილიკავებს და აგდებს ბანზე...
შენთანაც მოვა სიყვარული,
რომელიც მერე დადგება ვარზე...

თვალზე ცრემლები ჩამოგადნება
და ის იქნება მლოცველი სხვაზე.
წავალ შენიდან გულში დაჭრილი,
აღრიალებულს მიცნობენ ხმაზე
და ქვის ლოდებზე ასე დავაწერ
„რომ შენ მეტი ხარ უგულო ქვაზე“.
ღამე ნათევი ჩემი ცრემლია,
ფეხს რომ აბიჯებ დადიხარ ცვარზე,
მივდივარ, მაგრამ მაინც დაგლოცავ
ბედნიერ იყავ ცხოვრების გზაზე.

სერგი ლომაძე, ჯგუფ „ზღვარის“ წევრი



უკვდავება

(ეძღვნება ყველაზე უფრო პოეტურ ქალს, მეტად პოეტურ სილამაზეს.)

შენ არ მოკვდები,
რადგან, შენ ხარ ისე ლამაზი,
რომ დაიღუპო,
სილამაზე დაიღუპება.
არ დაბერდები, –
სიყვარული არა ბერდება,
არც კვდება,
ბოლოს იფანტება ცაში
ღრუბლებად.
შენ არ მოკვდები,
მზის სხივები
კვლავ დაგაბრუნებს.
მე შეგეხები ოცნებებით,
სიზმრის თითებით.

დრო მოვა, როცა
სიყვარულის ღმერთად გაკურთხებ,
და თმებს შეგიმეკობს
ნისლისფერი მარგალიტები.
შენ რომ არ იყო,
ეს არაფრით არ შეიძლება!..
უღრმეს თვალებში
საუკუნე წამად გაიარს...
მთელი ცხოვრება
იყო მხოლოდ
შენზე ფიქრები,
ყველაზე მეტი, ამ ფიქრთაგან,
ბოლო წამია...
შენ არ მოკვდები!..

მცენარე

შენ ჩემს სარკმელთან ქოთანში დგახარ,
და მოწყენილად სივრცეს გაჰყურებ.
მე მოვალ შენთან, დაგისხამ წყალს და
შენგან მადლობას დავიმსახურებ.
მცენარე, ჩემო მწვანე ოცნებავ,
ნუ სტირი, წვიმას ნუ ემსგავსები,
მეც ხომ მარტო ვარ, მაგრამ არ ვდარდობ,
არც მე მეღირსა ფრთები განგების.

მცენარე, ჩემო ციციქნა ძმაცო,
მისჩერებისარ დაღალულ სარკმელს,
ნეტა რას ფიქრობ და რას განიცდი
როცა მზის სხივი თბილ ხელებს გახებს...
ვიცი, ოდესმე შენ კაცად მოხვალ,
მე კი, სარკმელთან, შენებრ ვიდგები,
დამისხამ წყალს და მანუქებ ლოცვას,
თბილი იქნება ჩვენი ფიქრები...

სიყვარულისთვის

(ეს ლექსი შთამაგონა შალვა კარმელის ერთმა ცნობილმა ლექსმა – შედეგმა)

ისევ ანათებს ციდან
სემირამიდას ბაღი,
გული – კვლავ ერთი ციდა,
კვლავ მთისოდენა – დაღი.
ისევე გხედავ სიზმრად,
თეთრი ნისლებით დაღლილს,
და მე მიყვარხარ წვიმავ –
ქალო, ბავშვური სახის..
მე ვგაყარ ვაჟას არწივს, –
ვკვდები თუმც ომი კვლავ მსურს...

ველარ მომისწრებ, დაჭრილს...
შენ – მარადიულ ქალწულს
მე მაინც გხედავ სიზმრად,
გხედავ ფიქრით და განცდით,
და გულში დაჭრილ პოეტს
შინდისფერ ღვინოს მაწვდი.
ასეა – გხედავ სიზმრად,
თეთრი ნისლებით დაღლ ილს,
და მე მიყვარხარ წვიმავ –
ქალო, ღვთისმშობლის სახის...

ფერადი კლოზნი

გზა ყვითელია,
 გზაზე მიდის ველოსიპედი,
 მასზე ზის ბიჭი,
 ბიჭი არის მწვანე და ლურჯი,
 მას დაუხურავს ქუდი წითელი,
 და სხვა სამყაროს,
 ხეების თუ ჩრდილების იქით,
 ჯადოსნური დახატავს ფუნჯი.
 გზა მაღლა იწევს,
 გადაივლის მთებსა და ღრუბლებს,
 ბიჭი ქვევითკენ იყურება
 ანთებულ მზერით,
 მაღლიდან იგი
 დაღონებულ კაცთ მოდგმას
 უმზერს,
 თვითონც ღონდება,
 დარდს იქარვებს ჩუმი სიმღერით.


მერე სიმღერაც მაღლდება და
 მთებს ევინება,
 მერე – სოფლებს და
 ქალაქებს და...
 სამყარო მთელი
 გადაიქცევა სიფერადედ,
 ვით იგი ბიჭი,
 რომელიც ცაში დასვირობს,
 და მისთვის მღერის.
 მერე,
 სუყველა ბედნიერი იქნება როცა,
 მერე, როდესაც
 მთელს ქვეყანას დიმილი შვენის,
 ვერ მიაგნებენ
 ცად გაფრენილ პატარა მოცარტს,
 თუმც მთელი ზეცა ანთებულა
 სხვადასხვა ფერით...

შხანძილობა

...მანძილი, რომელიც შენამდე ვერც აღწევს,
 მაინც ხომ დაიტევს უდაბნოს (და ფიფქებს)...
 მერე ჩემს ცხოვრებას ვიღაცა გადაწერს...
 მთავარი სხვა არის, – გული არ ჩამიქრეს!
 მე ახლაც ჩამესმის, კოსმოსის ხმაურში
 როგორ იღუპება მძივები ვარსკვლავთა,
 ვიცი, – გადავეში დიდ აურზაურში,
 საუკუნენი კი არქივებს ჩაბარდა...
 ალბათ დამივიწყებ. მე დამივიწყებენ.
 ჩემი უკვდავება დავიწყებაშია.
 ხომ ზოგი სიცოცხლე ტყვიათ წყებაშია...
 და მე მიხარია, რომ დამივიწყებენ.
 გავქრები, როგორაც ვარსკვლავნი ქრებიან,
 მერე ლეგენდები შენს გულზე დაწერენ,
 რომ უდიადენნი არ იკარგებიან,
 რადგან უსიტყვოდ სტოვებენ ნაწერებს.
 ამ სიტყვებს მიღმა თუ ვერ ხედავ სხვა სიტყვებს,
 ვით უთქმელ თაჯ-მაჰალს ან მთვარის სონატას,
 მაშინ, შეიძლება, ეს ხალხი გაგიგებს,
 მაგრამ ის სამყარო შენ აღარ მოგმართავს,
 სადაც ზღვის ტალღები ევერესტს ასკდება,

სადაც სიყვარული ღმერთობად ფასდება!..
 მე კი სხვა რა გითხრა... მე ვუმზერ იმ ველებს,
 სად სეტყვამ წაშალა ტალღები ყანათა;
 მე ვუმზერ მონასტრებს, რომელთაც აბერებს
 ის, რომ ადამის ძეს სიბნელე წარმართავს.
 მე ვუმზერ დაცემას საკუთარ ბედისაც,
 (ზეცის ფერფლს შეერთვის გემები ღრუბელთა),
 მაგრამ ვგრძნობ, – მეფე ვარ, და რადგან მეღირსა
 ეს გრძნობა, ამიტომ ბედს შებმას ვუბედავ!
 არა ღირს განსჯანი მოგება-წაგების...
 გზა – ჩემი ჯვარია, ცამ ასე ინება...
 ემაგ შენს მზერიდან ტაძართა თაღები
 თუკი ინებებენ ცრემლების დინებას,
 მაშინ არ ვინანებ, მაგრამ... ზღაპარია...
 ყოველ შემთხვევაში, – ცდი ჩემს დავიწყებას...
 თუმცა პოეზიას მაინც აბარია
 მთვარისფრად ელვარე სულის გასივრცება.
 იქ, ზეცის გუმბათში, განცდა მზისებრია,
 და ანგელოზები გასწევენ ამქრობას...
 გული ჯვარცმულია, სული ბისვია.
 მე მაინც შევქელი მანძილთა გაქრობა!..





ვასო ლომაძე, ჯგუფ „ზღვარის“ წევრი

ცხრის ნახევარი

ნახევარია ცხრის,
 ღრუბლები წვიმად ცრის,
 ცრემლი ასველებს ქალაქს
 ატირებული ცის.
 ვხედავ მე დაცლილ გზებს
 და მიტოვებულ ბაღს,
 წვიმის ნალვლიან ფრთებს,
 შორს – ეკლესიის თაღს.

წვიმა გუბეზე კრებს
 ათას პატარა წრეს,
 ფოთლებში ვიჭერ, გზად,
 წვიმის შხაპუნა ხმებს.
 ღანდად გაივლის ბარს,
 ვისაც ვეძებდი – ის,
 გულში საათი რეკს –
 ნახევარია ცხრის.

* * *

რა მანძილი გავიარე დღემდე,
 მაგრამ ცეცხლი გულში ღვივის ჯერაც,
 ხელოვნებას ახლა უფრო ვენდე,
 სილამაზის ახლა უფრო მჯერა.
 მზე ჩაჯდება ოქროცურვილ ნავში,
 გაცურდება ლაგუნადოვან ტბაზე,
 მე განვიცდი ზეციერთან კავშირს,
 როგორც ჩემგან ცამდე გაბმულ ხაზებს.

ახლაც მინდა უხილავის ხილვა,
 შეუცნობლის სურნელებით ვთვრები,
 ფუნჯით ხელში დამათენდა დილა,
 ქარს დახატავს ოქროსფერი თმები...
 მე ამ ქარებს მოვეყვებოდი დღემდე,
 ამ ქარების ხმა ჩამესმის ჯერაც,
 ხელოვნებას ახლა უფრო ვენდე,
 სილამაზის ახლა უფრო მჯერა.

ღურჯი სონატა

ჩემი ფიქრები გაივლიან ნაწვიმარ ცაზე,
 ტანჯვას მიწაზე დასტოვებენ, დროის მონატანს,
 გადმოხედავენ მიწისაკენ დაშვებულ წვეთებს
 და გაჰყვებიან მოშრიალე წვიმის სონატას...
 ღმერთო, მიიღე ჩემი ღოცვა, ასე გვიანი,
 შენი ნათელი ბილიკებით მინდა ვიარო,
 შენ გააჩინე შენს ხატებად ადამიანი,
 რომ შენი ტანჯვა, შენი ჯვარცმა გაუზიარო.
 ადამიანი ცდილობდა და მუდამ ეცდებოდა,
 სუსტი ხელებით აიტაცოს სამყარო სრული,
 თუმცა გონება გამოუცნობ საზღვარს ვერ სწვდება,
 მაგრამ იღუმალ ოკეანეს განიცდის სული...
 თეთრ ნიჟარებთან, ღურჯ ტალღებში, ვარსკვლავთა სხივი
 მარჯნის ყვავილებს მოციმციმე შუქით დანამავს,
 ზეცის ვარსკვლავი ზღვის ვარსკვლავებს ესაუბრება,
 ზღვის სასახლეში მიეღიან თევზთა ქარავანს...
 ჩემი ფიქრები გაივლიან ნაწვიმარ ცაზე,
 ტანჯვას მიწაზე დასტოვებენ, დროის მონატანს,
 გადმოხედავენ მიწისაკენ დაშვებულ წვეთებს
 და გაჰყვებიან მოშრიალე წვიმის სონატას...

თეთრი აზრები

მე უკაცრიელ კუნძულზე ვცხოვრობ,
თქვენთან ვერასდროს ვერ დავბრუნდები,
როცა თქვენი ხმა მომენატრება,
მაშინ მე ჩემს თავს ვესაუბრები.
მე ყოველ დილით ნაპირთან ვდგევარ,
გავცქერი სივრცეს დაუსაბამოს,
მხოლოდ ღრუბლები, დაუზარებლად,

ცას მოხატავენ ყოველ სადამოს.
ნუთუ ბოლომდე ასე დარჩება,
ნუთუ ბოლომდე ასე გავქრები...
მაგრამ იქნება ჩემს ჰორიზონტზე
მეც დავინახო თეთრი აფრები...
მე უკაცრიელ კუნძულზე ვცხოვრობ.

ბაღში რაღაცა გამოიცვალა

დგას ეკლესია პატარა ბაღში;
აქ თითქოს რაღაც გამოიცვალა...
ამ სკამთან ხშირად ვხედავდი მოხუცს,
რომელიც გუშინ გარდაიცვალა.
მოდის საღამო, ზეცა მშვიდია,
ბაღში ვიღაცა უცნობი დადის,
სადღაც ღრუბლები ნელა მიდიან...
და ახლა ვხვდები, დრო როგორ გადის.

მოხუცი მოკვდა. სხვაც ბევრი ხდება.
ვის, ანდა რისთვის დასწყდება გული...
სადღაც, მახლობლად, ჩიტი უსტვენდა,
და ბაღში იდგა სიმშვიდე სრული.
და მაინც, მაინც რაღაცა მოხდა,
აქ თითქოს რაღაც გამოიცვალა...
ამ სკამთან ხშირად ვხედავდი მოხუცს,
რომელიც გუშინ გარდაიცვალა...

წვიმა

ფანჯარასთან მარტოობა იყო,
ფანჯრის იქით ნაცრისფერად წვიმდა.
პაწაწინა, დასველებულ ფოთოლს,
ახლაც მახსოვს, რაღაცა რომ სწყინდა.

შორს, წვიმაში ჩაფიქრებულ ხეებს,
ცივი ბინდი მწუხარებას ჰგვრიდა.
ფანჯარასთან მარტოობა იყო,
ფანჯრის იქით ნაცრისფერად წვიმდა...

წვიმა ტყეში

**(ტყეში სველი კლდეები საუბრობდნენ. დროდადრო წვიმდა.
ამ სივრცეში ცხოვრობდა წვიმის სიზმარი...)**

ღრმა სიჩუმეა ტყის სიღურჯეში,
ნისლი ჩამოწვა, ნაწვიმარია,
გარინდებულა სველი ტოტები,
გუბებს ბილიკი დაუფარია.
ტყეში დამდგარა წვიმის სურნელი,
ფიქრიან ხეებს წვიმაში სცივა,
რძისფერი ნისლის სველ სიჩუმეში

ცივი წვეთები მიწაზე ცვივა.
...ნისლის ბილიკი, ლოდებიც ნისლის,
და ნელი წვიმის ღრმა, მშვიდი ძილი.
მხოლოდ ხანდახან გაისმის ტყეში
სველი კლდეების გამოძახილი.
წვიმის სურნელი დამდგარა ტყეში...



ვაჟა ეგრისელი



* * *

ჩვენი ბავშვობის შუკებს გამოჰყევ
 ფეხშიშველი და
 კოლოს ნაკბენ
 მაღალ წვივებით
 და დამელოდე, ვითარც მაშინ...
 ჯეკის ბოგირთან;
 მე მოვალ შენთან...
 და ზაფხულის ხშირი
 წვიმებით, ...
 ცისარტყელების ჩამოტეხილ ტოტებს
 მოგიტან.

1961

წიგნი „ამაღლება“

მხოლოდ წუხილი...
 მხოლოდ დარდი, სხვა არაფერი,
 ჩემა გამჩენმა,
 მოსვლის დღიდან,
 რაც მიწყალობა,
 და... მარტო ერთხელ, მხოლოდ ერთხელ
 ვით ეფემერა,
 ჩემთან მოვიდა ჩუმი გალობით
 ბედნიერება და...
 მომეფერა.
 1972

ზოთი

შავი ზღვის პირას –
 კვლავ დგანან ბორცვები,
 ვით აკადემიის
 ძველი კათედრები.
 ზღვაში წევს ურიცხვი მტერი
 და მოყვარე
 და ვითარც იმათი დარდი
 და ვედრება –
 ქარებმა ნაპირთან ტალღები
 მოყარეს.

1974

შენ საქართველოს გაღვას უღელი

შემოიჭირე სიყვარულის აპურები,
 შენც საქართველოს
 უღელი გაღვას,
 როგორც ტიციან,
 როგორც პაოლოს.
 და ზღვად დაძრწიხარ,
 მიწაზე რადგან –
 საშველს ვერა და
 ვედარ პოულობ.

1968

ყელამდე ომში გმინავს წარსული

საუკუნეთა უმძიმესი საფეხურებით
ავალ გუმბათზე და საქართველოს
წარსულში ისევ გადავიხედავ:
ყელამდე ომში გმინავს –
წარსული.
და შორით ვისმენ –
მეციხოვნის ძახილს
ციხიდან,
ვითარცა მეფე, ლაშქრად
გასული.
1962

* * *

ვით მეგობარი და ახლობელი
მზე ხელს ჩამაველებს
და შემეყვანს
წკვარამ ღამეში,
როს წუთისოფელს დარდი დაბინდავს,
უთენია კი, კვლავ ამოვა
და ამომეყვანს
ფიქრით გამურულ ღამის ქვაბიდან.
1972

* * *

გათენდა...
ფანჯრებს ცა ჩაედგათ
ჩამქრალ გუბებში.
სანაპიროზე ქრიან ქარები
და ღრუბლებს ტალღებს არ აკარებენ.
მზის სამხრიანი
–
დღეს აცვია ლურჯი მუნდირი.
ვითარცა ღომი, დასავლეთის ღია კარებთან
შავი ზღვა წვეს და...
მიწას ურტყამს რიონს –
კუდივით.
1961

* * *

ფაზისის პირას, –
გაზრდილს კოლხეთში,
ისევ მაცვია
ქარიშხლის ლურჯი პერანგი
და ფრიდონივით ვარ უშიშარი
ზღვათა მფლობელი,
მაგრამ..
ვინ იცის, სად მივერაგებს
ღელვა სასტიკი და უღმობელი.

1969

ტეხურის პირას

ტეხურის პირას –
თვალებს იფშენეტს
ნაქალაქარი
და მე დავცქერი ისე, ეკიდან,
ვით წინაპრები გასცქეროდნენ
დიდი ხნის წინათ...
გათენებიდან ცას და მიწას
ცეცხლი ეკიდა,
შელამებისას,
ჩასაქრობად მოვიდა წვიმა.
1962

* * *

როცა ქარები –
სიმყუდროვის ჯაჭვებს გაწვევტენ,
მაშინ ღრუბლები ელვის სატვერებს
იშიშვლებენ და ჰგვანან მეომრებს.
მერე დადლილნი, მთვარის შუქზე
პერანგებს იშრობენ.
ზღვა კი ტალღებში მიმახსოვრებს
და მიმეორებს
და ესიზმრება–
მოწყენილი ჩემი სიშორე.
1968

ო, ალბათ, მაშინ...

კოლხურ ღამეში,
წარსულიდან
მოისმის კენესა,
და პონტო უფრო უმატებს ღელვას,
თითქოსდა იგი
იმ შორეულ სევდას
უცდიდა...
ო, ალბათ, მაშინ, ტყუპის ცალი –
„ბატა“ და „ჩელი“
შობა ჩონგურმა ცივ ფაცხაში
თავის მუცლიდან.
1968

ალეკო დოღბაია



რაჭას

ეუძღვნი ჩემს რაჭველ მეგობრებს
 როდესაც მთებში ღამე ენთება,
 ჩამოატარებს რიონი ნაღველს.
 ნაქერალას ხომ დარდი ექნება,
 თუ, ჩემო დემნა, რაჭას არ ჩახველ.
 ნიკორწმინდა ვით სანთელი კანდელს
 ჩამოღვენთია მიწას მიგებულს;
 როცა შაორი მიიღებს ნათელს,
 თუ საღმე ნახავ სურათს დიდებულს?!
 როცა კაცები ქეიფს იწყებენ,
 მანდილოსნები აწყობენ სუფრას.
 აქ ბარაკონის ზარით იგებენ, –
 რა დრო გასულა და რარიგ უყვართ...
 ისმის სიმღერა – ქართული სიტყვის
 აუღერება და აგუგუნება.
 აქ სადღეგრძელო ამოდის მისით,
 ხალხიც სხვა არის, სხვაა ბუნებაც...
 ისევ ჩქეფს სისხლი კოლხური, ძველი,
 არც ერთი წვეთი არმად არა სდის...
 ფუსტები – ჩვენი სიწმინდის მცველნი,
 აქ იყვნენ, – სწორედ უთქვამს ავთანდილს...
 „არხეინა“ რომ „პირველს“ დაიწყებს,
 მემამაყება სამშობლოს ემობა.
 აქ მერაბიკა ხვდება კაიკმებს,
 სუფრას უზის და ამშვენებს კობა.
 რაჭა – უამრავ განძის მფლობელი,
 რითაც სულდგმულობს მთელი სამყარო...
 აქ დაიბადა „საგალობელი“ –
 ასე არ არის როსტომ, ბატონო?

ღმერთმა მზეს დიდი სითბო არგუნა,
 დათუნია რომ გაჩნდა, სხირტლაძე...
 ცეკვას არ აკლებს ცდას გიორგუნა,
 „ტაში ბიჭოლ“, – მიტომ შევძახეთ.
 ამბროლაურში ჩასულა ბევრი,
 ბატონ გურამთან, – რჩევა ენდომათ.
 ხალხის სიბრძნეა უძირო ქვევრი,
 ქართული სიტყვა – ღმერთის შენდობა...
 რაჭა – ოცნება, სევდა, ფიქრები...
 შეგიყვარდება, ერთხელ რომ ნახავ...
 უნდა აღვნიშნო, სწორიც ვიქნები, –
 კვაცხუთელი ვარ, – რომ უთქვამს კახას...
 ზაზასთან თუკი გახედავ ვენახს,
 იგრძნობ, რამხელა ტრიალებს მადლი.
 „ხვანჭკარა“ როცა დაიწყებს დენას,
 მას დადუღებას განა ვინ აცლის?!
 ამირანი და თემურ ბეშიძე,
 გულბაათ, ჯემალ, დავით, კუხლევიან...
 ეს სახელები, თანაც ზედიზედ?! –
 გაუჭირდება მტერს ჩვენი ძლევა.
 აქ გაუზრდიათ ფუსტებს გმირები,
 მტერთათვის კარი რომ ჩაურაზავთ...
 აქ თითოეული არის პირველი –
 ფარნავაზ, ბექა, ბექან თუ ვაჟა...
 და ისევ მთებში ღამე ენთება,
 ბუნების ხიბლი ატყვევებს მრავალთ.
 ნაქერალას კი დარდი ექნება,
 თუ, ჩემო დემნა, რაჭას არ ჩავალთ.

სამართველო

ნიშანი მზის
 კრავს ვაზის ჯვარს...
 ციალი ცის
 ველს გადიარს...
 ჩრდილოდან ვმზერ:
 ლიბრიან მთებს
 და ლაინ ზღვას,
 მეწამულ ფერს

ცაისას
 მზის ჩასვლის ჟამს...
 მუზიან ზარს
 ხმით მადლი სდის...
 მე შენთან ვარ
 მარადის!
 მე შენთან ვარ...

ჩინართა შორის

ჩინართა შორის,
 სვედიან დღეს
 იბრუნებს ფერს
 ფაზისის ცა...
 აწყობენ დოღს
 ღრუბლები შორს,
 მაძლევენ ტონს
 გასაოცარს...

თვალეები კრებს
 ელვიან შუქს...
 მე შენით ვძვერ,
 მე შენზე ვწუხ...
 ჩინართა შორის,
 სვედიან დღეს
 იბრუნებს ფერს
 ფაზისის ცა...

მეზღვს - ხათუნა ამაღლობელს

ერთი წყაროდან შეგვისვამს წყალი,
თუმც წყაროებში ვერ გაგარჩიე...
შენ ერთვი არაგვს შენი სიღალით,

მე ვებრძვი არაგვს ჩემი მითებით, -
და თუკი ერთხელ გავირითმებით,
შერჩება სივრცეს ჩვენი სიმღერა...

ჩანახატი

ფიფქნი ლაღად მოდიან,
ზღვას ფანტელი ადნება,
თავაწყვეტილ ბორიას
ტალღები აქვს აფრებად.
თუმც ზაფხული შორია
(დაბრუნდება სითბო კვლავ),

მოიისფრო თოლიას
ცხელ დღეებზე დარდი ჰკლავს.
რო არ ჰყოფნის ჩხორიას
(ახლა მალე დამდება)..
იფქნი ლაღად მოდიან,
ძრვას ფანტელი ადნება..

“კოლხური კოშკი”, 1992 წლის 15 მაისი

აქ სიმშვიდეა და დიდებულ აჩრდილთა სევდა,
დიდი ტკივილი პილიგრიმთა და ლიტანია...
კვლავ ჩამოსულა უთენია ფხოვიდან დედა,
განმკურნებელი მკერდის სიტვო მოუტანია.
ილიას მიერ ანთებული კაშკაშებს ალი, -
შიტყვა მართალი, რაიც ახლა ჩვენი ფარია,
აქ შეუნახაეთ რუდუნებით ჭმინდა გრაალი
და ჰყონს ფესვმაგარს ამ ალაგას გაუხარია.
ათასი ჯურის მოღალატე და სულით ბომჟი
შემოსევია ჩემი მიწის წმინდა ალაგებს...
დგას გულდამწვარი, დაგესლილი „კოლხური კოშკი“, -
გონზე მოდითო, ქართველებო, - ამას დადადებს.

აქ სიმშვიდეა და დიდებულ აჩრდილთა სევდა...

9 აპრილს წამებულთ

ჟამი წარმართობის... შემწედ ერს ტანჯულს
ებოძა ნინო, მან ღმერთთან წაგვგვარა.
ის ქალიც ნინოა, ვინც სისხლი დაღვარა
და საზრდო მისცა ნიადაგს ქართულს.

შეღამება

ზღვის ვალაღებს გააყოლებს ჩამავალი მზეი თვალებს,
ნაპირს ქაღებს აფერადებს, ისე როგორც ძვირფას ლაღებს,
მხატვრის ტილოს ქარი დაძრწის და განწყობის შეცვლას ცდილობს,
ქარი თითქოს მზის სიმებზე აათრთოლებს ვიოლინოს...

ცა ირღვევა... ჰორიზონტზე მეწამული ებრძვის ღამეს,
იქვე, ნავთა ქარავანში, ჩამორჩება ნავი ნავებს...
ანიავებს ნიავე ზღვას, ალბატროსი წვდება ალგებს,
არ ახანებს, შავი ფერი გულმოდგინედ ავსებს არეს...

* * *

ჩამოიბერტყავს მთები ამ ბარებს
და ღრუბელ-ღრუბელ ცრემლებს ჩამოყრის...
ვგრძნობ, უზარმაზარ სევდას ვატარებ, -
მშობლიურ მიწის მკერდში გამოცირილს...

გოგი დგებუაძე



* * *

ზაფხული რომ იწურება
შემოდგომის დგება დარი,
ფოთოლცვენა რომ იწყება,
ზამთარია კარს მომდგარი.
ყველაფერი წესით ხდება,
არ ჩერდება დრო და წამი,
მზეს დღე მოჰყავს,
მთვარეს ღამე, წესრიგია საოცარი.
დედამიწა ბრუნავს, ბრუნავს,
ღრუბლებს მიაქროლებს ქარი.
ღამით ცაზე ვარსკვლავები,
მოციმციმე იღუმალი.

მთვარე მთის წვერს ეფარება,
აშრიალებს ტყეს ნიაფი,
ცას მოსწყდება ვარსკვლავი და
საოცარი გიპყრობს წამი.
შენ იქახარ მხოლოდ მარტო
ამ მშვენიების მომზირალი.
გასცქერ სივრცეს უსასრულოს,
თავს გადგია ცის გუმბათი.
ეს სამყაროს ტაძარია
მშვენიერი სანახავი,
ეს წამია უდიდესი,
უკვდავების საწინდარი.

შემოდგომის სურნელია

მოსავალი გლეხს ახარებს,
ვინაც შრომის ფასი იცის
ის უქმად დროს არ ატარებს.
მამაპაპურ მიწას უვლის
პატივსაცემს ძველ ადათ-წესს,
არც სიახლის ეშინია
სიახლე ხომ გვაჯანსაღებს.
უქნარას და გაიძვერას

რა გამოლევს ქვეყანაზე,
კაცის შრომა თუ არ ფასობს
ქვეყანას რა გადაარჩენს.
ერთ ადგილას ვინაც ტკეპნის
ის თავის თავს აზარალებს,
ახალს უნდა პატივი ვცეთ
ჩვენი ძველი რომ დაფასდეს.

ტაპარი დიდი, სიმეფროვე

სივრცე დიადი,
ვიღაც მუხლმოყრით ქრისტეს
ხატთან დგას ფერმიმკრთალი,
იქ სასაფლაო მდუმარეა,
ღამეა წყნარი,
და მგლოვიარეს გვიკილია
ჩვენ ცეცხლის ალი.

სასაფლაოს ქვა ზედ წარწერით
"იყო სიზმარი", ეს სიკვდილია,
მოლოდინის, შავი წყვილია.
გალაქტიონო, შენთვის იყო
შარლ ბოდლერი,
"ბოროტების ყვავილები"
განძი ძვირფასი.

მერის, ღაპარბულ მერის,

ვინაც მისტირის მერმის,
უნდა გვახსოვდეს მუდამ
გაბოროტება ელის.
სიყვარულს, ბავშვურ გრძნობებს,
ახლავს ტკივილი ბევრი
კარგია როცა ვხვდებით,
და მას დაუუსვამთ წერტილს.
დაეძლიოთ მარცხის შიში,
ვიყოთ სიკეთის მქმნელი,
არ დაგვავიწყდეს რომ წინ
დიდი გამოცდა გველის.
სიყვარულს ვინც დაეძებს
მშვენიერებას ეტრფის,

თამარის, ნინოს, მეგის,
გივის, გიორგის, ლერის,
თუ სურვილი აქვთ დიდი
ოჯახს ყოველთვის შექმნის
მიზანი გამრავლება,
გვარის, ჯიშის და ერის.
ამ სიყვარულით ნაშენს
ბოლო კეთილი ელის.
უსიყვარულოდ ქვეყნად,
განა არსებობს რამე,
თუ გვიყვარს ვერ დავითვლით,
მრავალ მშვენიერ წამებს.

ლიანა ოსიაშვილი-მელიქიძე



მამის სახელით გვცნობენ

როცა ფიქრები წამეკიდება,
როცა ჩამძირავს ეგზომ,
ჩემი ტკივილი ილაპარაკოს –
შენს მოღობილმა ეზომ.
იმ გაკეთებულ სიკეთეს შენსას
არ გიკარგავენ ღერსაც,
ხალხის ურვა რომ მიგქონდა გულთან
იხსენიებენ დღესაც.
მათზე მზრუნველი იყავი რადგან,
აუგს როდესაც გამოდნენ;
- მისი შვილები ჩამოვიდნენო,
დღესაც შენითა გვცნობენ.

პარაღოქსი

მაიმუნობდა მაიმუნი, „ვოლგოს“ სარკმლიდან,
ბანანს, ანანასს, ატმის კურკებს სადღაც ისვრიდა,
გამლხვალ ნაყინს და ფანტას ზუსტად ისე წრუპავდა,
რომ ერთ ბეწვსაც კი, ერთ ღერ ბეწვსაც, რომ არ ისვრიდა.
იქვე, კუთხეში, დედაბერი იჯდა ძაძებში,
და მოთმინებით, დამტკნარ სახით გამვლელს უცდიდა,
მისი ჯერი რომ დადგებოდა, ის იმ წამებში
ნაჯაფარ ხელებს სამათხოვროდ გამვლელს უწვდიდა.
შუბლზე აწერდა კაცს თავის ბედს, ბედის მწერალი,
ავსაც და კარგსაც, როგორც სურდა ისე ბედავდა,
უირონიოდ ღმერთს შევხედე მწარე ღიმილით
დიდ ღმერთს, რომელიც ყოველივეს თვალით ხედავდა.

ვჯობივარ

ქმარი ქუჩაში დამიდის,
თავის ლამაზი თვალებით,
არვისზე არ ვეჭვიანობ,
ვერ მაშინებენ ქალები.
არც მე ვაშინებ არავის,
არწივი და არც ორბი ვარ,
ქმარი არავის შეხედავს
ვიცი სუყველას ვჯობივარ.

მილიონი მოწმე

მილიონი სასამართლო,
განა შენი, განა ჩემი,
მილიონი მოწმეა და
მილიონი განაჩენი.
სასწაულად მეც მომიწყონ,
სასამართლო თუნდაც ერთი,
ჩემს სიმართლეს დაამოწმებს,
ძირს მიწა და მადლა ღმერთი.

თვალვებით

სიტყვებით რადგან არ ძალმიძს,
გიხნის სიყვარულს თვალებით,
შენ ვერ მიხვდი და მიმიხვდნენ
ყველა, კაცნი თუ ქალები.
ნეტავი რით ვერ ჩაუწვდი,
გრძნობის თვალებით ახსნასა,
შე კაი კაცო, ხო მარ გთხოვ:
თოხნას, ბარვას და ან სხვლასა.

ერთ ღამეზეც

ქალებზე მომისმენია:
ლამობენ გრძნობის არა თქმას,
მე ისიც მომისმენია:
ზოგჯერ თქმა რომ სჯობს, არა თქმას.
დღემდის თუ დუმილს ვარჩევდი,
და ამოვიდე ახლა ხმა;
ჩემი საქმისა მე ვიცი
ერთ ღამეზეც ვარ თანახმა.

ერთ ღრუს

ვხვდები: კარგად გრძნობ, (თუმც არას ვამბობთ),
რომ უღვთოდა ვარ შენგან პერობილი,
რომ შევთხოვ უფალს; ფიქრის ახდენას,
დაჩოქილი და ხელაპერობილი.
ვიცი ზეიმობ, (იციინი იქნებ),
შენს წინ, როდესაც კანკალსაც ვიწყებ,
თუმც მინდა მიხვდე: - როგორც სხვა, ბევრი,
ერთ ღრუს შენც ისე გადაგივიწყებ.

ბ-უ-ლ-ნ-ა-ზ ხ-ა-რ-ა-0-შ-მ-0-ლ-ს

გ - გულთ დაგაქვს საქართველოს დიდება,
უ - ნდა შენი... დავიდალოთ ფერებით,
ლ - ამაზ ჰანგით რომ უგალობ ქვეყანას
ნ - აზ გრძნობით და მინდვრის ყვავილფერებით.
ა - ზარფეშა პოეტისა ღვთით გერგო!
ზ - არებს რეკენ შენეულა რითმები,
ხ - არ სამშობლოს ქალი - ლექსით მეხოტბე...
ა - ნას შემდეგ - პირველად რომ ითქმები.
რ - არიგ გშენის მასე წმინდა მანდილი,
ა - ქროსტიხის ფერ-მადლშიც არ იჭრები...
ი - სევ ლექსის თბილი ფრთების კამარით
შ - ენი სტროფის ბჭკარით ღმერთთან იჭრები.
ვ - იამაყებ, რადგან დღეისდღეობით
ი - ვერიის წმინდა „ათინათი“ ხარ!
ლ - ამაზ რითმის, ლექსთა ბაირადებით,
ს - აქართველოს დიდ ჩირადღნად ანთიხარ!

მომენატრე დედა

**(ლექსს ვუბღენი საზოგადო მოღვაწეს,
პოეტ გუგუნაზ ხარაიშვილს)**

გ - ული თუმცა არ მწყდება ჩემით,
ე - ხლა მეუფლება სევდა...
ლ - ამაზ თვალს რომ გივსებ ცრემლით
ა - მად მენანები დედა.
ს - იხარულს დაგანატრე - ვიცი
ხ - არ თითქოს ვითომდა... მხნედა,
ი - ს დრო მენატრება იცი...
რ - თმ ლექსს მიკითხავდი დედა.
ტ - ანში ჟრუანტელი მზარავრს,
ლ - ოყას ცრემლიანს რომ ვხედავ,
ა - ხლა კი გაგიმხელ მთავარს: -
ძ - აღიან მომენატრე...
ე - ხლაც შენზე ვნადვლობ დედა!...

თინათინ ხვედელიძე



ჩემს შვილიშვილს თინათინს

რას ვიფიქრებდი ოდესმე,
მე ეს დღე დამიდგებოდა
და ზურას შვილთან შეხვედრა,
სიცოცხლე გამიხდებოდა.
ვიკმაროთ, ბებო, რაც ვნახეთ,
აღბათ ღვთის ნება ასეა,
შენ უკვე დიდი გოგო ხარ,
იციან ხე ფესვით საგსეა.
თინათინ კარგად მისმინე
გულში სევდას ნუ ჩაიდებ
ვინ იყო შენი მამიკო,
რომ გაიზრდები გაიგებ.

შვილის მაგიერ შვილები,
არასდროს იბადებიან,
ზურიკო შენი მამაა
და მე ვარ შენი ბებია.
მამის გარეშე ცხოვრება,,
ძალიან გაგვიჭირდება
მშობელი დიდი ფარია
და მისი ძალა გეჭირდება.
თინათინ ბებო მერწმუნე,
არასდროს დაგვაფიწყებები
შენ ჩვენი სიხარული ხარ
ზურას შვილებში პირველი.
1991წ.

რვა მარტს ვულოცავ ლუიზას
(ჩემს რძალს)

რვა მარტს გილოცავ ლუიზა,
დღე ბედნიერი გქონოდეს,
და ორი გოგოს გამზრდელს კი...
მესამე ბიჭიც გყოლოდეს.
ისეო ქრისტე გფარავდეს
ღმერთმა გიმციროს მტერია,
გეზარდოს შვილიშვილები
შვილთაშვილები მეტია.
დე, შენი შრომის შედეგად,
ყვარდეს ბაღჩა-ბოსტანი,
და ყოველივე დღე შენთვისაც
იყოს სიკეთის მომტანი.

ტადრისკენ გული გიწევდეს,
უფლისა იყავ მორჩილი,
შენი ცხოვრების დიდ გზა კი...
სიკეთით გქონდეს ავლილი.
შეგეძლოს მარხვის შენახვა,
გახდი ზიარი უფლისა,
დედამთილს გაჯიბრებოდე
სწორად შენახვით უქმისა.
მეუღლის გული მოგეგოს
წყვეილი ვაჟებით გამრავლდი,
სამშობლოსათვის მოგველოს,
ფეხი შენს მიწას დაადგი.

ქეთევან ნათელაძე



იძნება თოვლი...

იელვებს თოვლი, რომ სიცივით გზები დანადმოს,
 დარჩება მზისფერ მირაჟებად, რაც გუშინ ვერ ვთქვი,
 დაგელოდებით მე და ბავშვი ყოველ საღამოს,
 მოუთმენელი სიყვარულით და გულის ფეთქვით...
 იქნება ბარდნა შეშლამდე და ვიქნებით სამნი,
 როს სიყვარულში ყველა მზერა და სიტყვა გაგვთქვამს,
 არ გუპასუხებთ აღარავის ზარსა და გზავნილს,
 მთელი ზამთარი თოვლისფერი იდგება კართან.
 და როცა თოვლი ქალაქებს და გამზირებს მოსავს,
 გვექნება ერთი ოთახი და ცხოვრებაც ერთი,
 არ გვენდომება აღარავის ჩვენ შორის მოსვლა,
 ჩვენ ერთმანეთი გვეყოლება და კიდევ ღმერთი...
 დეკემბრის ყინვას უნებური მზე ვერ გააღლობს,
 ბედნიერებას ვერ დაჩრდილავს დეკემბრის სევდა,
 დაგელოდებით მე და ბავშვი ყოველ საღამოს,
 და გვეყვარები სამყაროში ყველაზე მეტად!
 ვიქნები დედა, სხვა არავინ – დედა და ქალი,
 ზამთრის სითეთრით აივსება ქუნა და სახლი,
 ჩვენ გვეყვარება ერთმანეთი ისეთი ძალით,
 რომ ერთმანეთის სიყვარულით სიყვარულს დავდლით.
 სიყვარულს თორემ ჩვენ ერთურთმა როგორ დაგვდალოს,
 დარჩება მზისფერ მირაჟებად რაც გუშინ ვერ ვთქვი,
 დაგელოდებით მე და ბავშვი ყოველ საღამოს,
 და ამ ახდენილ ზღაპრისათვის მადლობას გეტყვი.

შვილს, როგორც ოღუსმა მყვოლება

სული მეხუთება, ქუნაში სიჩუმის ხმაურია,
 და ამ ოთახიდან ერთი კარია და გასაქცევი,
 დე, შენ რა იცი და სამყარომ იმდენად აურია,
 ვიდრე მეყოლები, ალბათ დედამიწა დაიქცევა!..
 დრო მოვა – გეტყვი, რომ ლექსები ყველაზე ნამდვილია,
 ყველა არტერია სევდით გამიჟღინთა სიმარტოვემ,
 დე, შენ რა გესმის და სიკვდილი იმდენად ადვილია,
 ვიდრე მეყოლები, ალბათ პოეტობას მივატოვებ...
 ღმერთი გასწვრომიათ, კერპებს მოუნდომეს გაღმერთება,
 ღმერთსაც არ ჰქონია ბედი ამნაირი გაღმერთების,
 დე, შენც ჩემნაირად სულში გალაქტიკა ჩაგეტევა,
 არცერთ წაქცევას და არცერთ წაგებას არ დანებდები.
 სარკმლის მინები კი თეთრი ფანტელებით დაფერილა,
 ვერვინ გამიგო და შენ ყველაზე უკეთ ხვდები, იცი რატომ,
 სისხლით რახანია ლექსი აღარცერთი დაწერილა,
 სისხლის ყველა წვეთი დე ხვალ-ზეგ შენ უნდა გიწილადო.
 ჩემს სახლს სახურავად წვიმის დაწყება და ზეცა ხურავს,
 ზეცას პოეტურად ერთი ვარსკვლავი და სევდა შენის,
 მზეო თიბათვისას სადმე წაიკითხავ ჩემებურად,
 ვიდაც შენიშნავს, რომ ასე კითხულობდა დედაშენი.
 სულში ოცნებების ციხე-სიმაგრეთა ნაშალია,
 ისე მიყვარხარ, რომ ცას და დედამიწას ვეტოლები,
 დე, შენ რა იცი და ბედი აქ ისეთი აშარია,
 ვინ იცის, რამდენჯერ იავდრებს, ვიდრე შენ მეყოლები.
 მთვარეს გიფერადებ ყველა ოცნებაში ჩემეულში,
 ცხოვრება წამივით მოკლე და შაგ-თეთრი სიზმარია,
 დე, შენ ჯერ არ ხარ და შენი სიცილია მთელს სხეულში,
 რომელზეც ვფიქრობ და რომელიც მათბობს და მიხარია!..

წიგნის წიგნი

ახლა ისეთი სეზონია – ველარ მშველიან
თბილი მზეები, დარდი დამსდევს წვიმით ფერილი,
მე დაგიწერდი წერილს, განა ასე ძნელია,
საქმე ისაა, როგორ გითხრა... ჩემი წერილი...

ქარი ფოთლებით ტროტუარებს ყვითლად ხატავდა,
ტროტუარს, თორემ აბა რა დროს სულში ქარია,
წვიმაც ფიქრით წვეთავს, მაგრამ უკვე დამთავრდა,
ქუჩაც გულივით ფეთქავს, მაგრამ უკვე მკვდარია.

განა ვერ ვხვდები შემოდგომა თავს რომ მარიდებს,
უკვე დიდი ხნის გაღუული, შორი გზები ვართ,
და ლამპიონებს – ჩვენი ქუჩის ეულ არბიტრებს,
რას გადააჩვენე, ისევ ერთად დავსიზმრებივართ.

შემოსწევია შემოდგომას ფიქრი წვიმაზე,
ახლა ისეთი სეზონია – წვიმის ჯერია,
იცი როგორ ვარ? აი, როგორც ზეცა რიჟრაჟზე,
მლაშე ცრემლივით მთვარე ყელში რომ გასწვრივია.

და ათვისებულ გულგრილობით გეტყვი – ვისწავლე
როგორ წავიდე, თუ ძველი გზით უკვე ვერ ვივლი,
მე დაგიწერდი წერილს, მაგრამ საქმე ისაა,
არ ვიცი როგორ იწერება ბოლო წერილი...

ბაჟრა

...ცხოვრება ერთი საოცარი ყოფილა დრამა,
და შენ რომ იგი გააშარჟო, რა უნდა მოხდეს...
მე გავეყრები შენზე ფიქრის ყოველგვარ სამანს,
და გავეყრები შენი წასვლით განიხილ ბოდვებს...
მე გავეყრები შემოდგომის თაფლისფერ თითებს,
მე გავეყრები ყოველივეს, რაც მომცა ბედმა,
მე გავეყრები თავს დატეხილ სტროფებს და რითმებს,
პურის მარცვლებად გადაგყური ბედურებს სევდას.
მე გავეყრები ერთ ყველაზე მტკივნეულ არას ,
მე გავეყრები ჩემს ბავშვობას და ჩემს სიბერეს,
მე გავეყრები ბიჭს, რომელმაც ვერ შემიყვარა,
და გავეყრები ქმარს, რომელიც ვერ შემიფერებს.
...დარდიან მხრებზე ჩამოწვება ბურუსი – მაცნე,
მაცნე იმის, რომ დღეს ფუჭია ჩემი ღოცვები,
მე გავეყრები ღმერთს, რომელიც ჯვარზე არ აცვეს,
გამიკვირდება, შევიცხადებ და გავოცდები...
მე გავეყრები მეგობრების ათასფერ ღალატს,
მე გავეყრები სასწაულებს გრძნეულ მისნების,
მე გავეყრები ამ სამყაროს, ასობით ქალაქს,
და ვარსკვლავთში შორ პლანეტებს მივეთვისები!
შენც გავეყრები, გავეყრები ხომ იცი ბოლოს,
ჩემს ნაფხურებს აეკვრება გამთბარი ბინდი,
მე გავეყრები ყოფითობის ტკივილებს მხოლოდ,
მაშასადამე გავეყრები გრძნობებთან ჭიდილს.
და როცა სხეულს გავეყრები მსუბუქი შვებით,
როცა დაკარგავს თავის ძალას ყველა მისნობა,
ჩემში შემოვა სიამაყით გაშლილი მხრებით,
ჩემგან მარადჯამს გაუყრელი მარადისობა!..

თამარ რაზმაძე



დასაფლავება

რუს გზებზე გადაფენილა
 სინათლეც რუსი, მკვდარსული
 და ჩონჩხადქცეულ გრძნობებზე
 ხარხარებს ბედი – ავსული!...
 იმედს კუბოსთან აცილებს
 სიზმრების ყვაველედები,
 ძაბითმოსილი სიტყვები –
 წარსულის მკვდარი ელფები.
 ვთხრი საფლაავს, წვიმა სისინებს,
 აღარც ცრემლი მყავს მოწილე
 და მსხვერპლშეწირვის ბომონი
 მაძლარი მართავს ქორწილებს!..
 ცა გაიბზარა, გადატყდა,
 უარმა მგლებიც გარინდა,

ოცნების კოშკთა შენებას
 მავანნი აგურს აცლიდნენ!..
 თითომ დამასვა ამ გულზე
 ბრგე ლოდი მარმალილოსი,
 შენსკენ არ მიხმობს ძველი გზა,
 კისკასი სანაპიროსი!..
 საჩემო სიო აღარ ქრის,
 ოქროც არ მკოცნის ყურებზე,
 „მოკეთებმა“ დამმოდვრეს,
 მიმაბეს ურვის ურემზე!..
 ტრფობის სასახლე კი არა,
 ქოხი ამიგე ისლისა,
 მეჩვენა – ხელს შენ მიქნევი,
 კრთომა ყოფილა ნისლისა!..

ბანა რა მოხდა ისეთი;

მიქები თვალ-ყელს ირმისას,
 ჭორებს იყოფდნენ მაძღრისად
 მოშურნეები...
 ახლაც კივიან: „ვინ-ვისა!..
 წილი იყარეს სიზმრებზე,
 კოცნის ნაფლეთებს მითვლიან,
 ვქსოვდი ლექსებით შენ სახეს
 და წარღვნამ მაინც მიწია!..

ვეღარ მოგიხმობ, აღარც ღირს,
 კუბო შევუკარ ოცნებას,
 ტაძრებს მოვილოც ნაგვემი,
 გზაც, ალბათ, დამელოცება...
 ვთხრი საფლაავს, წვიმა სისინებს,
 აღარც ცრემლი მყავს მოწილე
 და მსხვერპლშეწირვის ბომონი
 მაძლარი მართავს ქორწილებს!..

* * *

მე წავალ, როგორც მირაუი ნისლის,
 სადაც ღვთისმშობლის ღიმილი მიცდის,
 სადაც არ არის შუღლი და შური,
 სად სიყვარულსაც არ იშურებენ...



ლამზირა შევილაძე

* * *

მშობლისთვის თვალის ჩინია,
სალომე თუ ტატიანე...
ლექსი თუ ჩემი შეილია,
ფურცელი-მემატინე...

ივრი თაბაბარს

რა ჯანსაღი ლექსები გაქვს,
სიტყვა მრავალძარღვული...
სიყვარული ზენა აგვაქვს,
ლექსით სიტყვაკაზმულით...
შენი ლექსი მეტად ბრძენობს,
შენი გრძნობით ნადმული...
მწვერვალებზე სიღრმით ჩენობს,
ცაზე გადამთვარული...

მჭერმეტყველურ მუზისათვის,
სხვას ვის უნდა მიეგნო.
გონების თვალს ამზიანებს,
შენი ლექსი უებრო...
შენ სამშობლოს მთლიანობას,
ლხენით უნდა დაესწრო...
ღმერთის მადლით იჯანმრთელე,
თამაღობის მაესტრო.

7, 11. 2013 წელი

რომ არ გაბეცდები

ჟინით გაფხრიწა მხერამ საკინძე
და ბროლის მკერდში დაგრჩა თვალები.
ტანთ გაუხდელად რომ გამაშიშვლე
და დამითვალე მკრთალი ხალები.

ცეცხლმოდებული იდეები ცივად,
ასე გეგონა თითქოს მოვედი,
რომ არ გავცლოდი იქაურობას,
ფიქრით ხომ მაინც დამიმონებდი.

* * *

ბავშვობიდანვე დღე და ღამ ვშრომობ,
დაკოჟირილი მაქვს შრომით ხელები...
ხანდახან მაინც ასე მგონია
ჩემზე მეტს შრომობს ჭიანჭველები.

* * *

ჩემი გულის მპყრობელი ხარ,
ელა-მელას რად ეცმები,
სადაც გინდა წახვალ, მაგრამ
სინდისს სადღა გაექცევი.

სიკვდილსაც უნდა შევხვდეთ ღირსებით

გულთბილი სენით ვარ შეპყრობილი,
მან გამიჩინა თმაში ჭადარა.
რაც არ მიყვარს და რასაც ვერ ვიტან,
ხომ მაინც მიწვევს მისი ატანა.
დაუნდობელი წუთისოფელი,
ყოველდღე ცრემლით მიტბორავს თვალებს,
თვალხილული და კაემწურ ძილით,
ვგეგვარ ჯაღათთა ნაგვემ-ნაწამებს...
მახრჩობს ავ ყოფის ცრუთა ჭაობი,
ვერ ვიტან შურს და ვერ ვიტან დაღატს.

სიმართლისათვის, ერთგულებისთვის,
ვარდების ნაცვლად მესვრიან ტალახს.
ვის ეკითხება ჩემი ცხოვრება,
ჩემს ჩანაფიქრსაც მყისვე მისნობენ...
მე ჩემი თავი თავად ვერ ვიცან,
ისინი, ნეტავ, როგორ მიცნობენ.
არაფრად მიღირს ასეთი ყოფა,
თუ არ ვიცხოვრებ ჩემი მიზნებით.
თვით სიკვდილისაც არ მეშინია,
სიკვდილსაც უნდა შევხვდეთ ღირსებით!

1 V 2012 წელი

ნათელა ხარაიშვილი

მამა ბიორგი ბასილაძეს
ორმოცი დღე 2013 20 აპრილი

გარინდებული ვიდექ სამარხთან,
შეწუხებული სული კიოდა,
მამა გიორგის ვეთხოვებოდით,
მთელი სამყარო თრთოდა, მტკიოდა.
ცა ბანს აძლევდა მიწის გოდებას,
ქარი დაქროდა გახელებული,
მოძღვართმოძღვარი, ბოლო ჟამისა
იყო კუბოში დასვენებული.
ხმას გამოსცემდა მადლის წყალობით
მოდი ცრემლებით დასველებული,

უნახავს ვინმეს ამდენი ხალხი.
ასეთ ტკივილით აცრემლებული.
გახსნილი იყო ცა სასწაულით,
ცვიოდა მადლი, როგორც ფანტელი,
ღმერთო, გახსენი სამოთხის კარი,
შემოაბიჯებს დიდი ქართველი.
ღმერთო, იმედო, ხვალის დღისაო,
დღეის დღის მადლის ძალით გვაცხოვნე
ჩვენც მარადიულ სიცოცხლეს ვეძებთ,
მამა გიორგის ღოცვით გვაცხოვნე.

2013 წ. 30 აპრილი

ეპიფანია საჩხერის ბიბლიოთეკარებს

28 ივნისს საჩხერის ცენტრ და საბავშვო
ბიბლიოთეკარების მიერ ჩემი ლექსების
პრეზენტაციის დღეს.

მოისარკა ლექსით ზეცა,
მთებმა ნისლი დაფარა
ამ ერთი დღით საქმედ იქცა
ოცნებების ამაღლა.
წიგნთსაცავში, სადაც მუდამ
დიდი მადლი ტრიალებს
მაგონდება ყველას სახე
მადლით გაბრწყინებული.
იმ დღეს რაღაც საოცარი,
ჰიმნი აახმიანეს.
იქ წიგნებიც კი სუნთქავდნენ
კოხტად ჩამწკრივებულნი.
რა დღე იყო, რა სიამე,
დრო, თაფლივით დამტკბარი
ჩემი ცის და ჩემი მიწის
ერთგულებით გამთბარი.
წირვა იყო თუ ზეიმი,
ქადაგება ღვთიური
ყველას ჰქონდა მოკვეთილი,
ჭმუნვა ამქვეყნიური.
საგალობლად ქცეულიყო
ლექსი, სიტყვა, სიმღერა
გაზრდილიყო იმ, ჩემ თვალწინ
თითქოს ყველა ცისხელა.
სიტყვით როგორ გამოვხატო
იმ დღის სამადლობელი,
როცა თავად ის დღე იყო
ღმერთის საგალობელი.
იმერეთის კოხტა მხარე
სამოთხის შესადარი,
კვლავ იქცევა, როგორც უწინ
დიდ მუხათა ტაძარი.

აქ დაირწა წერეთლის და
იაშვილის აკვანი
აქ ტრიალებს მადლი ღვთისა
მთელი ქვეყნის საკმარი.
სტუმრისთვის აქ გაშლილი
სუფრა უხვად სულ იყო,
და ისმოდა ხმა მიჯნურის,
სად ხარ, ჩემო სულიკო.
აქ ისევე ისე ტკბილად
მღერიან და უკრავენ
იმერეთში ისევე სუფთად
ცხოვრობენ და სუნთქვენ.
აქ მუხრანის ლექსის რიტმი
ისევე ისე წკრიალებს,
და სულიერ სიმდიდრეთა
დიდ მადლი ტრიალებს.
დიდება შენ, ქრისტე ღმერთო,
ცის და მიწის მშობელო,
დღეს ყველანი დამილოცე,
ქვეყნის მანათობელო.
ძალი შენი შეწვევისა
ტრიალებდეს ჩემს ხალხში
მრავალს შემოეღოს კარი
ამ კურთხეულ დარბაზში.
უამრავი დღე გვაჩუქე
შენით ამაღლებული,
ამ ტაძრიდან მოდიოდეს
ყველა გაღალებული.
გმადლობ, ღმერთო, ერთადერთო,
მთელი სიბრძნის მფლობელო,
დღევანდელი დღის სიამით
ყველას დამატკობელო.



შოკვატ დაღლარკიზი
ახერბაიჯანის მწერალთა გაერთიანების წევრი.
ახერბაიჯანულიდან თარგმნა ოქტაი ქაზუმოვა

ჩემი სამშობლო

რამდენ გიორგის და რამდენ ვაჟაკაცს,
დაეცა სამშობლო სურდა-ეწადა,
სისხლის სულ ბოლო დანაწვეთამდე
სულის მახვილი ამოეწვავდა.
თუკი მთა ქედზე თეთრად დაითოვს,
თუ ბროწეული დაიტკობს მარცვალს
თუკი მტრის ხელში აბიბინდება
ყანაც, მაშ ძრწოლა შეუდგეს ცარგვალს.
ო, რომ შემეძლოს სისხლს დავადენდი
ეკლად დავხვდები მომხვდურს იმავე წამს,
ცრემლს თვალით ნაწერს ავაზვირთებდი
და წავლექავდი მტრის პირქუშ მიწას.
დედა-სამშობლოს მტერი მოეჭრა,
ასისხლმდინარა ველები ქართლის
დიდო უფალო შენ შეგვეწიე
ოდით მიხმობენ დამცველად მართლის.
და „საქართველო“, „საქართველო“,
დღეს აკერია სუყველას ენას.
მეც შოკვათი ვარ, აქ დავიბადე
და.... არც მე ძალმიძს უმისოდ ღხენა.

არ დაბითობ

ნუ დარდობ სამშობლოვ, ნუ ხარ მწუხარი,
სალ კლდედ ვიქცევი, არ დაგთმობ არა.
რომც მოგახვიონ მარკუჟ-მარწუხი
მაინც არ დაგათმობ, დავდგები მყარად.
დავეწვიმები მტერს თოვლად, სეტყვად,
მუხანათ გულებს ზაფრად და ელვად.
თითო გოჯ მიწას, წყლულების ფეთქვას,
მე დავედები სალბუნის დარად.
შუქურ-ვარსკვლავად სხივს რომ ჰყენ არეს,
დიდხანს ეძებეს ვერას გადარეს,
ხან აქეთ გზომეს, ხან იქით გბარეს,
გაუძელ, ჰრიდად იყავი მარად.
ვაჟაკათა მსგავსად მეც არ დავიხევ,
ვიბრძოლებ ველად, მთად თუ ხევი-ხევ,
მო, მიეცით გული, მხარი, ხელი-ხელს,
გადავეფართო უმტკიცეს ფარად.
დაღლარკიზი ვარ ასული მთების,
მთა მყავს მბოძავად უმტკიცეს ნების.
კალამს გადავაქცევ მახვილად, მეტიც,
მტერს სისხლს დავადენ და თანაც ღვარად.

მიმოზა ცანავა



ერთი შოლტიც კი არ ამცდა,
როგორც განაჩენის ელდა.
ყოფას, ამ მიწიერ ყოფას
ველარ გაექცევი მაინც,
ახლა, ახლა ცად მამყოფა
სულს დამიამებდა ცა იქ.
მუდამ მშობიარე სული,

ტვირთი პოეტის და ქალის

სულს ხომ დაპურება უნდა,
სხეულს არანაკლებ მგონი,
დარდებს სიტყვის ფურცლით ვფუთავ,
ისევ ამრევია გონი.
მიწა, მიწიერი ყოფა
ამაწიოკებს და შემშლის,
ახლა, ახლა ცად მამყოფა,
ცა ხომ მისებურად ფერს ცვლის.
გულში ჩაგუბულა თითქოს
ღრუბლის ეგ პირქუში ფთილა,
არა, არაფერზე ვფიქრობ,
მხოლოდ ვხვდები არის დილა,
რადაც შეუცნობელ განცდას
ვებრძვი ეული და ვბედავ.

მუზა ამედევნა სასჯლად
სულში ხანძარი მძვინვარებს,
ლექსი გულს გაყრილა ხანჯლად.
ო, რა მძიმეა და მწარე,
წეროვით მოგვიოდეს ქარი,
შენ მძიმე ჯვარივით ზილო,
ტვირთი პოეტის და ქალის,

შემოდგომის ასაკი

თითქოს სული დამიღვინდა,
მხეც სხვაგვარად მათობს,
მწუხრის ბინდი შემეპარა,
დაერჩი მარტოდ-მარტო.
ზვავად შექცა ფიქრთა გროვა,
სევდა მიერთობს ხმასაც,
თურმე რა დარდი სცოდნია,
შემოპარულ ასაკს.
რა სიყვითლე გადაჰკვრია,
გაზაფხულის ვარდებს,

ყოველი დღე განცდიანი,
რამდენ კითხვას ჰბადებს;
ჩამაფიქრა მერე როგორ,
სიყმაწვილის ფასმა,
თურმე რა ღელვა სცოდნია,
შემოპარულ ასაკს.
ვერასოდეს დაიბრუნებ,
გულით გასცემ რასაც,
თურმე რა სევდა სცოდნია,
შემოდგომის ასაკს.

წიფლისჩიტავ ღამაზო

ამ ცვალებად სამყაროს,
ნეტავ რამ შეგაგუა,
წიფლისჩიტავ ღამაზო,
ყელწითელა ღაბუავ!
ეგ ფაფუკი ბუმბული
ყელზე მძივად გხვევია,
ვხედავ თავი რით მოგწონს,
სიყვარული გწვევია.
ყელყელაობ გახარებს
სიცოცხლე და ბუნება,
იქნებ ამიყოლიო,
შემიცვალო ბუნება.
იქნებ, მწვანე ქათიბი
მომახსურო დარდიანს,
მო, იჩქარე პაწიავ,
წლები ჩქარა გარბიან!

მომანატრე ნატოფი
სიყვარულით ცხრაკარა,
წმინდა წყარო მაპკურე,
ნეტავ კვლავ შემაყვარა!
მომაწყურე წარსულის
ის გიჟური დინება,
გულახდილი იყავი,
გვედრებ, არ მეწყინება.
ჩემი სულის მინდორი
მომიქარგონ ვარდებმა,
სიყვარულის ქალი ვარ,—
ისევ შემეყვარდება.
სასუტელა— დობილი
ჩუმად მენურჩულება:
გული არ გიბერდება,
მოხვალ გაზაფხულებად!

ერთად ამიტოვდა სულში

გული-ოცნებების ოკეანე,
სული-გარდაცვლილი მზე და
ფიქრით დაკაწრული ღამე,
ისევ უსაშველო სევდა.
ექვი ეკალ-ბარდი მწარე,
ისევ ქაოსური განცდა,
მკვდარი ფოთოლცვენა ირგვლივ,
ისევ ლოდინი და დაცდა.
ყელი-საამბორო თბილი,
აღერსს მოკლებული მუდამ,
ისევ დამიშინა ბედმაც
ცივი მარტოობის გუნდა.
თვალი-ჩათვლემილი მზე და
ისევ ქარიშხალი ავი,
ასე რად ატირდა ნეტავ,
ჩემში გულმწუხარე ქალი.

რისთვის ეგ ნათელი შუბლი,
რისთვის ანთებული თვალი,
ნუთუ შეუძლებელს ითხოვს
დარდით გადაღლილი ქალი.
მხოლოდ შეხიდება მინდა,
მარტო ამიკვნესდა ქნარი,
თურმე რამდენ რამეს იტევს,
ერთი მეოცნებე ქალი.
თურმე ცის ლაციციც კმარა,
თუ ხარ დიდგრძნობით მთვრალი,
ო, მზედ ჩამედვარე სულში,
გვედრებს მარტოსული ქალი.
ატმის აფეთქებად რტოებს,
ლექვას გულბოროტი ქარი,
ერთად ამიტოვდა სულში
დედა, მიჯნური და ქალი.

ბრანელისეული

გული-ოცნებების სასაფლაო,
მწვანე ბაღდახინზე ასვენია,
ცხოვრება არის სასაკლაო,
სიცოცხლე ჩემი სასჯელია!
თითქოს არასოდეს მყვარებია
თითქოს სიხარული არც მიგვრძნია,

ზეცა დედინაცვლის თვალებია,
სიმწრის აკვანი რომ დამირწია.
ძერამ დამიკორტნა სხეული და
ქვეყნად არაფერი დამრჩენია,
ცხოვრება არის სასაკლაო,
სიცოცხლე ჩემი სასჯელია!

ციკლიდან: “ხალხური მოტივები”

წუთია წუთისოფელი,
ერთი თვალისდა გახელა,
ღაჩრის წესია მხოლოდღა,
შიში და უკან დახევა.
იმ მკვდარი მოყმის ცხონებამ,
ვეფხვს რომ შეაკვდა გმირადა,
წუთისოფელი დაღატსა
დაგიჯენს ძლიერ ძვირადა.
განა სირცხვილი არა არის
ეკალ ვაქციოთ ვარდადა?
არ გავიხსენოთ დედაი,
ჩვენზე ქცეული დარდადა.
განა ეს ჩვენი ქვეყანა,
პირმოხატული მთვარისა,
სატკივარ როგორ არ არის,
ტანჯვაი მთა და ბარისა?!
ჯავრით მოკლული ქართველი,
გამზრდელი კარგი შვილისა,
შემბრალელებელი მარადის
გარიყულის და მწირისა.
თავად ნაკლს რატომ ვერ ვხედავთ,
მუდამ გავეკივით სხვისასა,
წამხდარი სულის პაატრონი,
არ ენდომება მიწასაც,
სავალი გზანი ერთი გვაქვს,
ადამის შვილებს ყველასა,
ამ მიწას მიგვაბარებენ
ვეფხვსაც და ტურამელასაც,
სინდისი, პატიოსნება,
ეს არის ჩვენი ქონება,

ცუდი დედასაც არ უნდა
კარგი ჩვენც მოგვეწონება”
ოხერი წუთისოფელი,
ხშირად გვექცევა ბინდადა
და განენილა ამქვეყნად
“კაცი ხომ კაცის ხიდადა”
ვენაცვლე ჩემსა მამულსა,
ასე მდიდრულად მზირაღსა,
ხელი ჩავჭიდოთ ერთმანეთს
დამწუხრებულს და მტირაღსა
თუ ქალმა გული გაჩუქა,
შენც მოუარე მისასა,
მერე რომ ნანვით არა თქვას:
“ვაი ცოლს ცუდის ყმისასა”
სხვას გული ადარ ვატკინოთ,
ნუ ავუტირებთ დედასა,
ისედაც წუთისოფელი
წაუღეკია სევდასა.
და ვანაცვალოთ სიცოცხლე,
მამულსა ჩვენსა მზისასა,
აბჯარ ავისხათ სუყველამ,
თუნდაც ნაკეთი ხისასა.
მუდამ გვაძლევედეს ძალასა
ყივილი ძველთა ძვლისასა,
გვფარავდეს მადლით უფალი,
ძალაი დიდი ჯვრისასა.
ხელი ჩავჭიდოთ ერთმანეთს,
ვუცადოთ მოსვლას მზისასა,
ერთად ვილხინოთ, თორემ გულს
გაეხარდება მტრისასა!



თამარ ჯაჭვაძე

თანამედროვე ყივანაღური

აღარც შენ იყავ, აღზევანის გზას გაყოლილი,
 აღარც მუხრანის საზღვარი და მამულ-დედული,
 სხვისადქცეული ქვეყნის კიდეს ვიდექ ლტოლვილი,
 მძიმდა ნაბიჯი, ვერასოდეს ვერგაბედული.
 არც დედა მყავდა, ჩემზე დარდმა გადაიყოლა,
 აღარც მოკეთე, ყველგან დუღდა ოხვრის ქოთანნი,
 იყო სამყარო, მაგრამ ჩემთვის არა იყო რა,
 და ჯერდებოდა გული იმედს, ქარის მოტანილს.
 იმ ნამუხრანალ, ნასაზღვრალზე შემომხვდა ისევ
 ყივანადი იყო, თუ, არ ვიცი, შავი არაბი,
 საქართველოს ცა ხმალივით იქნევდა ნისლეებს,
 არა მყოლია მოქომაგე მეტი არავინ.
 დათაფლული ხმა მოიმარჯვა მან ხმლის მაგიერ,
 – მე გიპატრონებ, გამომყე-ო, ღამაზო, შინა...
 წავეყ და ყივანდს დავუდექი მოჯამაგირედ,
 წვრილი შვილები აბა სხვა რით გადამერჩინა?
 ახლა სხვის კერას შეხიზნული, უსამშობლო ვარ...
 და სხვის ბუდეში შეფარებულ ბარტყებს გავეყურებ,
 მე მათი ღუკმა პურის ფასად ვილაცა "ყივანდს"
 დღისით "შერბეთით" დამე ჩემი ხორცი ვაპურებ.
 დამონებული, უმწეობით ძვლებში ვიშლები,
 მწარე ფიქრებში იფერფლება სხვის ჭერქვეშ დამე,
 ღმერთო, დაზარდე უპატრონო ჩემი შვილები,
 იქნება დედას და სამშობლოს უშველონ რამე.

ძალი

დაბადებიდან გდევს აღსასრული,
 დღეთა განზრახვა ჰყავ თვალსაჩინო...
 მე ეშმას უნდა მივეცილო სული,
 რომ ანგელოსი გადავარჩინო.
 გასუსხავს გენია მარადიული
 დიდი სიცოცხლის მზე-შემოქმედო,
 იწვის, ანთია, თუხთუხებს გული,
 მე სულის სითბო ვით შემოგბედო?
 ოდესღაც თურმე იყავ ქალწული
 ცაგ, წაბილწული, მყვარებელუხვო,
 ჯოჯოხეთისკენ მიმიწევს გული,
 ვინძლო, სამოთხე არ შევაწუხო.
 გუმბათის თავზე ჯვარს გული უწუხს,
 რად არ მენდობა შორი ბრწყინება?
 წავაჭრი ძიძას რდით სავსე ძუძუს,
 თუ უცხო ხელი ეპოტინება.
 უკუნი დამე გულს რად მიწვდიდა,
 როცა დღე იყო სატრფო ნამდვილი...
 უნდა გავიქცე დედამიწიდან,
 რომ დაგიტოვოთ მეტი ადგილი.

ვიდრე გრიგალებს ფრთას დაატოლებ
 დაფიქრდი, სიო არ გააცინო...
 ყველა სიძულვილს თან გავიყოლებ
 რომ სიყვარული გადავარჩინო.
 ბეგრ მწარე ტკივილს ღიმილი ფარავს,
 ხმება ზედაშე – არასაჭირო...
 ყველა მოსაპარს მე მოვიპარავ
 ვინმე ქურდობას გადავარჩინო.
 შენ, მონადირეგ, ვერც შეგიტყვია
 მაგ ჩახმახს თითი სად დააჭირო...
 ყველა მკვლელს გულში მე ვესვრი ტყვიას,
 ვილაც მკვლელობას გადავარჩინო.
 ბეგრი მერთიმე, ვიცი აიტან,
 გადაიყოლეს ბერწმა პწკარებმა...
 მოკვდი! – მეძახის ხმა არსაიდან,
 იცოცხლე! – ზარი მემუდარება.
 თუკი სიკვდილი ცოდვა იქნება,
 ღმერთო, შემინდე, უჩინ-მაჩინო,
 მე უნდა მოვკვდე დაუფიქრებლად,
 რათა სიცოცხლე გადავარჩინო.

ბადაარჩინეთ „ქართლის ცხოვრება“
მურმან ლებანიძის მოტივზე

წიგნების დაკრძალვის მოწმე გაგხდი,
წიგნების გასვენებაში გახლდით...
გარდაცვლილ ტომებს (სხვადასხვა განხრით)
სამოსშეპარცვეულთ, ყდა-ფურცლებგახდით,
მიასვენებდა სასწავლო სახლი.

ჩემად, ქურდულად შევაველე თვალი,
იმ ყვითელ წიგნთა სულის ცხონებამ...
გამოვაპარე გასვენებიდან სულ ერთი ცალი,
გადავარჩინე „ქართლის ცხოვრება“.

ვარ ასეთი ღამაზი და კარგი

შორს წვიმდა და ნისლი იწვა ცაზე,
შორს წვიმდა და ხესთან ღანდი ჩანდა...
და ცასავით, შავი ღრუბლით სავსე
გულში თვალთა შორი შუქი ჩადგა.
შემეფეთა სანატრელი მზერა
და საღამო გაოცებას ჰგავდა...
მე ხომ ქვეყნად არაფერი მქონდა,
შენი შორი სიყვარულის გარდა.

ვეფერები დავიწყებულ თვალებს,
ცას ოცნების ვარსკვლავები სცვივა...
მე მიწაზე დგომით დავივალე,
მოდის უკვე მერამდენე წვიმა.
ელარ ვუძღვებ უსაშველო ლოდინს,
საიმქვეყნო შეკრულია ბარგი,
შემიყვარე, წვიმასავით მოდი,
ვარ ასეთი ღამაზი და კარგი.

ღალის მუძარა

სად გაიყოლე ეს ჩემი გული,
კავკასიონზე უფრო მაღალო.
უნდა შეგიკრა ვიწრო ბილიკი,
ცრემლის ჩანჩქერი გადმოგადვარო.
მეც ვაჟაკურად მოგტაცო გული,
სადმე ლეკეთში გადავიყვანო,
გადაგაყვარო ყველა ვინც გიყვარს,
ჩემს გარდა ყველა გადაგაყვარო.

არ დაგაძინო მშვიდი ძილითა,
შარბათი გასვა ტუჩის კოკიდან,
მარწყვის ყელსაბამს ცვრიან დილისას
და ზურმუხტებად ფოთლებს მოგიტან.
სხვა გზა არა ჩანს უნდა გაგვიღდე,
გადავიმტერო მთელი სამყარო...
მერე, სიკვდილი გზაში ჩამიჯდეს,
სიცოცხლე ფარ-ხმალივით ამყაროს!

ფეხილობა

პალმების ჩრდილში განისვენებს კაცობრიობა,
შიშველი ხორცი ყრია ზღვაზე შესახრუკავი,
პატარა ერებს უწერიათ სიკვდილი, ობლად,
სადღაც კლასიკას, სადღაც ავტომატებს უკრავენ.
ვიდაც საკუთარ სკამს უმაგრებს მორყეულ ფეხებს,
ვიდაც გარბის ცოცხალ მძორის გადასარჩენად,
ვიდაც სხეულით ეფარება უმიზნო ტყვიას...
მოსუცი ქალი ბრძოლის ველზე ნეტა რად რჩება?
რატომ ვერ ხედები, ჩემზე მეტად განათლებულო,
გიჟო მსოფლიო, რაა მცდარი და რა მართალი,
ანდა მოკეთის ნიღბით მოსულ, მაცდურ სატანას
შლეგი ბრბოები ტაშ-ფანდურას რად უმართავენ?!
მოკლე აზრით მსუბუქია, თურმე, სიკეთე,
ვერ ეგუება დამარცხებას სულით ძლიერი...
ვინც გუგუღივით სხვის ბუდეში ბუდეს იკეთებს,
არ მიატოვებს სიკვდილამდე შიშის იერი.
ბრბო გაიმარჯვებს დროებითი უმრავლესობით,
პიროვნება კი, დამარცხებით გამარჯვებულა,
ქვეწარმავალთა მზის ნათელი ეკლად ესობათ,
სიმართლეს მათებრ უხილავი ჩადრი ებურა.
დააჯირითებს ტირანია გვამებზე გემებს,
ვერ გაუგია რას ებრძვის და რას ეუფლება...
და საკუთარი შეშლილობის ნაყოფს იგემებს,
სასაფლაოსთან მიხორხლილი კაცობრიობა.



ნანი ჭირაქაძე

სიკეთე და ქველმოქმედება

სიკეთე და ქველმოქმედება არის ჩემი ცხოვრების მიზანი და ცხოვრების წესი. ზნეკეთილი ადამიანისათვის მნიშვნელობა არა აქვს რა სფეროს ემსახურება ის. ის მთავარია გასწიო ჭაპანი და ემსახურო პირნათლად. მე პირადად პასიური არასდროს ვყოფილვარ. ყველას ვუსურვებ გრძნობის იმ პალიტრას, იმ თაიგულს, რომელიც მე მქონდა მთელი ამ წლების მნძილზე-ეს არის უადრესად საინტერესო „გრძნობის თაიგული“. მე ვიცი რა არის ყველაზე დიდი სიმდიდრე - ეს არის წრფელი ურთიერთობები და ვიღაცის გვერდით დგომა, როცა მას არ ულხინს.

მამა მიქაელ ბაღდავას

ზიარება და კურთხევა შენი
მამა მიქაელ ზღვასავით ღელავს,
კელაპტარივით ნათლის მომფენი,
დღეს ვზას გვინათებს ყველგან და ყველას.
სამარადისოდ კვლავ გვინათებდეს,
შენი ღოცვა და შენი ღაღადი,

მუდამ მზესავით გვენთოს უკვდავი,
ქრისტიანული რწმენა მარადი.
ერი ვიხაროს, მრევლი გიმრავლოს,
დავეწაფოთ ამ ანკარა წყაროს,
მზე რომ ღრუბელმა ვერ დაგვიმალოს,
გვიკაშაშებდეს დედა სამყაროს.

ჩემს შვილს დავით პატარიმს
მიძღვნილი დაბადების დღისადმი
17. ნოემბერი

გილოცავ დათო! დაბადების დღეს,
მარად, იყავი ბედნიერი შენ,
გინათებდეს უფალ-ღმერთის მზე,
მომავლისკენ საუფალ წლებს.
დაიბადე ვიორგობის თვეს,
ამ თვის მადლი გვეხდეს ნათელ სპექტრს.
ჯენტმენურად უხვდებოდე მტერს,
თავს აღწევდე ლაბირინთების ღრეს.

დიდად პყავდეს შენს ნაბიჯებს სანთელი,
შენს ბილიკებს აშუქებდეს ნათელი,
თბილ სიზმრებში დაგეცხადოს ხატები
გზად გეფინოს იები და ვარდები.
მე მოლოცვით ღამით ენა ამება,
სიცოცხლეში არ გენახოს წამება,
ცხოვრებაში მუდამ გაქონდეს გაძლება
და გვარვიდეს ღვთისმშობელის ზმანება.

ჩემს შვილიშვილს ნატო პატარიმს.

ეს პატარა საჩუქარი ჩემგან
სამახსოვროდ დაგიტოვო მინდა,
იქნებ მართლაც გამოვადგეს ბევრგან,
ყველა სიტყვა ღოცვა არის წმინდა.
უფრო ძვირფასს რას გაჩუქებ ნატო
არც მქონია მე სიმდიდრე მეტი,
ეს იქნება ბებიისგან შენთვის
სიყვარულის დიდი ნიშანსვეტი.

აქ ყველაფერს მოეუყარე თავი,
მხოლოდ შენთვის გავიმეტე ყველა,
ჩაიხუტე სასოებით გულში,
უფრო ძვირფასს ვერსად პოოვებ ვერა.
და ბებია არ იქნება როცა,
როცა სული გაფრინდება ცაში,
ყველა სიტყვას შენ მიიღებ ღოცვად,
სინანულით მომივინებ მაშინ.

2007 წლის 25 ივნისი.

იონანე პატარიმს ბუბოსბან!

დაბადების დღეს გილოცავ
ჩემო პატარა პრინცო,
მწვანეთვალეობა, ქერათმიანო
ბებოს იმედო ბიჭო.
დაგლოცავს ბებო გულითა
ნაღდი ქართველი იყავ
გიყვარდეს საქართველო
შენი სამშობლო წმინდა.

კაცური კაცის სახელით,
გეცხოვროს ქვეყანაზე,
და შენი კარგი საქმით
სახელი გაამართლე.
გაიზარდე და გამრავლდი
გვარავდეს ღმერთი მუდამ
იყავი ბებოს ნუგეში
და საამაყო მუდამ.

საქართველოს რა კუთხეშიც
ბინდი წვება თუ თენდება,
ქუთაისი მენატრება,
ქუთაისი მახსენდება.

ქუთაისს!!

რადგან თუკი ბურჯს ვეძახით,
იმედი გვაქვს მუდამ მისი,
საქართველოს გული იქ ძგერს
სადაც არის ქუთაისი.


დღე უკეთესი.

გოდოგნის მთაზე მზე შემდგარა ქვეყნის დარაჯად,
დედამიწაზე დაუყრია ოქროს სხივები,
ჭოგნარის ტყესაც ჩაუცვია ლურჯი ფარაჯა,
საღორიაზე მუხებს სცვივით გიშრის მძივები.
უქიმერიონს გაუშლია მკერდი ამაყად
ბაგრატის ტაძრის ნატერფალებს აღმური ასდის,
საფინხიაზე ცას მიეკრა ღულუნა მტრედი,
ჭახათის ველზე დაუღლეი სიცოცხლე დადის.
დილა თენდება გაწამებულ საქართველოში,
ერი სულდგმულობს მომავალი დღის მოლოდინში,
მძიმე ჭაპანი გავიტანოთ უნდა ბოლოში,
ფარ-სმლის დაყრაზე ყველა ორგულს ვუთხრათ ბოდიში.
ის ხომ ვიცით რომ მზე ამოვა, კვლავაც ამოვა,
ვერ შეაჩერებს მაგიური ბოროტი ძალა,
ღმერთი მაღალი გაწამებულ ხალხთან ჩამოვა,
მანაც ხომ იცის ნებივრობა ყველასთვის კმარა.
ყველა დადგება განრისხებულ უფლის წინაშე,
კელაპტრის ალზე დაიწვება ბოროტი თესლი,
ისევე ძმობისთვის შეისმება ყანწით ზედაშე,
ღმერთის შეწევნით გათენდება დღე უკეთესი.
უკეთესი დღე გათენდება ყველასთვის მაღე,
გაწამებული საქართველო ფეხზე დადგება,
სატანის ფესვი დაიწვება კელაპტრის ალზე,
ქართველი ერი გასაფურჩქნად უკვე მზადდება.

ჩემი სიმღერა მაინც სხვა არის

საქართველოსთვის ბევრს უმღერია,
ჩემი სიმღერა მაინც სხვა არის,
დღეს საქართველო ბევრს უყვარს მაგრამ,
ეს სიყვარული მაინც სხვა არის.
საქართველოსთვის ბევრს განუცდია,
მაგრამ ეს განცდა მაინც სხვა არის,
საქართველოსთვის ბევრს ულოცია,
ჩემი ლოცვა კი მაინც სხვა არის.
მე საქართველოს მთებსა და ველებს,
პეპელასავეთ ველები თავზე,
გულით ვუმღერი მის ცას და მიწას,
მისი სიცოცხლე იმედით მავსებს.
საქართველოსთვის ბევრს უმღერია,
ჩემი სიმღერა მაინც სხვა არის,
ღმერთო დალოცე და დაიფარე,
მიწა დავითის , მიწა თამარის.

ბეჟან ხარაიშივილი



ხევსურეთის ხმლისებრ იელვა არაგვმა და მთების უბეს შეასხიპა რუხი ნისლეები. მოკონებები სიმწარემ ალაგმა და რძისფერმა იჭარბა ჩანჩქერებში. გოგოლაურთას შევესწარ ხატობას,

მზესთან იანვარში შენათვალ მიჯნურობას, მწვერვალებზედაც უარყოფს თოვლი და ისე თეთრად და იმგვარი სინჟით კვდება, რომ შინდის კვირტებს გული უსკდებათ. რა დროს სიკვდილია,

ხორცის ქვეყანაში ხომ არ დავიბადე?! ამ კითხვას ათასი კითხვა უერთდება – მთას ძარღვი გაუსკდა ცივ მდინარეებად თუ საქართველოს სისხლი უერთდება... თბილისი თვალს ხუჭავს,

ფოთლის ცრემლში ტყის ღოცვათა ციმციმი, ცვრიან მთაზე ცხვარის გადათოვლება, ყვავილისკენ გადახრილი ყვავილი და პასუხად კოცნის არ დაყოფნება... მიყვარს ხოლმე ჩემი სოფლის ჭალაზე სიმინდებში მთვარის ჩანამგალება, კლდის ქვებიდან გადმომდუღარ ჩანჩქერის თვალით შესმა და წყურვილის წვალება...

შენ, ფშავ-ხევსურთა გიჟო ქალწულო, ო, როგორ გშეგნის მტკვართან წაწლობა, ვაჟას ჩანგეთში ჩაიტკებე ეგ ხმა, თუ გუდანისჯვრის მოგაქვს წყალობა. სვეტიცხოველთან, ჯვართან... მითხარ, ღაშარგორს რაი ითქმების, კაი ყმათაგან, განა ენებით?! იახსრის ფერღობს თუ კვლავ მიჰყვება

ზამთრის სურათი

შებინდებისას მოცახცახე ხეების სული შემოაპარა ქარმა სარკმელში და მძინარ თვალებს დააცრიცა თეთრი სიზმარი... გამთენიისას აღარ სჩანდა სულის ნაფლეთიც, სიცარიელეს ამოევსო სიცარიელე; იცოხნებოდა ბუხრის ყელი ცისფერი ბოლით, ფანჯრებზე ყინვას გაეცინა ფიროსმანისთვის.

ხატობაში

ყელში ჩაუკლეს სიცოცხლე ჭედილებს... – დღეს, რა თქმა, უნდა მომიწვევს დათრობა და საქართველოს სისხლიანი, ავი წარსული, წვეთ-წვეთ, თანდათან გამოჟონავს ჩემს თვალებიდან.

ბაზაფხული

კიდევ ერთგან გაჭრიან მიწას... ჯერ უნდა მომჭრან მარჯვენა და სული მომთხოვონ... მწვანე შუქნიშნად ინთებიან გზაზე ხეები, ეს იმას ნიშნავს, გავიარო, – წინ მამულია!

* * *

მტკვარს გულში იხანჯლავს, დიაცი ძაღლებთან სეირნობს... და ბოლოს: წახდა საქართველო, – ამბობს ქალიშვილი და ამერიკულ სიგარეტს აბოლებს!

უმეოღბრით

მიყვარს ხოლმე ხევსურული ჩოხისებრ გაშლილ ცაზე გადაწინწკვლა ვარსკვლავთა, თავთუხებზე ხოხობის ფერთა ფენაში უშენობა დაჭრილივით ჩაგა და... ვდგევარ ხოლმე... და ვიხსენებ იმ დამეს მტევნების თვე მიმაწურე ბაგეზე, ფოთოლ-ფოთოლ გადაივიღის ყვითლობა შენ კი ისევ სიცოცხლეზე მაქეზებ.

არაბზს

ჭაღარა ვეფხვი სვენებ-სვენებით – საქართველოზე ჯვარცმით! მარქვი, ტაღლაა მკერდს რომ გიტოკებს, თუ ბუნების წიგნს იფურცლავ ხელში, მაგ თმებს ჩამოაქვს ლუღ-არყის სუნი, თუ საქართველოს ვბარბაცებ ეშხით – გიჟო ქალწულო, მარქვი!

რომელი ჯობნის

გამოზაფხულზე, მოგიხმობს როცა,
სხვა მაისობის თეთრი ლანდები,
ლელვით მწიფე ნაკეთების რხევით
დიდი სარკის წინ შეტრიალდები.
გარეთ კი სიო ალუბლის რტოზე
ღამეულ ცვლათა ცვლილებებს არკვევს,
- რა ღამაში ვარ - ფიქრობ სარკის წინ,
- რა ღამაში ხარ! - გიღიმის სარკე.
ოთახში უხმოდ შემოდის ღანდი
და წარმოდგენით ცოცხლდება წამსვე,
რომელი ჯობნის? - გაიფიქრებ და -
შენი მწიფობა იწყება ასე.

ფიქრი კი შორეთს მიჰყვება ისე,
როგორც მწვეარი წვიმიან ნაკველევს,
- რა თვალები მაქვს? - იფიქრებ ისევ,
- რა თვალები აქვს? - იფიქრებს სარკეც!
ველარ შენიშნავ რა ხდება გარეთ,
სიზმრისეული სიამე გავსებს,
გადაირეკავს გული სადარდელს
როგორც მთის ჩქერი ნაპრაღთა ხავსებს.
ოთახში უხმოდ შემოდის იგი
და ორეულთან მესამე ჩნდება,
- როგორ მიხდები! - დახედავ კაბას,
- შენ კი გამიქრი! - გაპასუხობს დედა!

* * *

სამოცს გადასცდაო, -
თქვა ერთმა დანანებით,
- რას იხამ, ყველანი სიკვდილის შვილები
ვართ, -
თქვა მეორემ და ხელები გაშალა,
ღმერთმა აცხონოს, -
ჩაურთო მესამემ,

- აჰა, გეიჭამია ხაშლამა!
.....
წადი, გაასწარი ტყისკენ, გაასწარი
ჩემო სისხლისფერო მოხვერო,
ყელში ჩაგიკლავენ სიცოცხლეს ხანჯლებით
არც შენ დაგინდობენ, ოხერო!

* * *

მომიახლოვდი, როგორც არასდროს,
მომიახლოვდი!
- ვყიდი ვარძიას,
- ვყიდი ხერთვისს,
- ვყიდი არხოტს და
- ვყიდი ხოშარას...
მე აღარ მინდა თქვენი ღიბანი,
ისრაელი და მთელი კამბოჯა,
მე საკუთარი დარდი გამბოჭავს,

მე საკუთარი ბოღმა მომშხამავს,
შენ კი ჯიბეზე ხელებს იფარებ,
მე ამიტორდა მუხრანი... ანა...
მე რომ გავყიდო, იყიდი განა?
მე რომ გავგიჟდე მომკლავდი განა?
მე თვალვდათხრილ დიდ ფრესკებს გიცვლი,
მხარჩამოკვეთილ ამ ხერთვისს გიცვლი
იმ პირველადქმნილ საოცრებაზე.

* * *

ყურძენს მიხვეულმა ბავშვმა
ერთხელ შემთხვევით შეჭამა ძახველი,
და მტრისას იყოს, სისხლი მოეწამლა;
ნუკრები უკოცნიდნენ თვალებს გახელილს...
დედის ანრდილივით აფრთხობდა წყურვილს

და
ტუნებზე მიედო რძისფერი სახელო,
ღმერთმა დაგწყევლოს...
ღმერთმა დაგწყევლოს!
გათათრებული ქართველის სისხლზე
ხომ არ ამოდიხარ ძახველო?!

ნატვრა

და როგორც ღოთი, ლუდის ჯიხურთან
ფულით ამოვსილ ძველისძველ ჯიბეს,
ისე ვინატრებ შორენა გერქვას,
ცერზე წითელი მიმინო გეჯდეს.
და გაშენებდე გაღმა-გამოდმა,
ორივე მკლავის დასატრელ კედლებს,

რომ სამოთხეში, გინდ ჯოჯოხეთში
თავთან დაკლული სიკვდილი მედოს,
ანდა ვაჟაის მთაში ჩამმარხა,
ხმელი წიფლისთვის სანედლო ფესვად,
ო, როგორ მინდა შორენა გერქვას,
ცერზე წითელი მიმინო მესვას!

გულნაზ ხარაიშვილი

გზა მწვერვალისკენ
(სერგი ლომაძის წიგნის საპასუხოდ)



გზა მწვერვალისკენ... დიდი გულის შვილმა მირჩია,
წინ ბიჯგს გადავდგავ, მაგრამ ნისლი ამდევნებია.
ჩემი ლექსები, მწვანე ნაძვის ხეთა გირჩია,
ბევრჯერ ფიფქივით ამ ჩემს გულში სევდათ დნებთან.
შენ ჩემო სერგი, ლომ-ლომაძე, მეფეთა მეფე,
წიგნის შექმნისთვის, უკვდავების კაცად დარჩები...
მე მეცოდება, ვინც ისვრიან შხამებით შხეფებს,
რად არ იციან, არვინ არის აქეთ დამრჩენი...
გზა მწვერვალისკენ... ეს ის გზაა, ვიარო ქარში,
გთხოვ, არ ჩამიტყდე, გვედრები, ოცნების ხილო.
მე მირჩევნია, რომ ვიცურო ბობოქარ ზღვაში,
და არასოდეს, გველის ფერით არ მოვიხიბლო.
გზა მწვერვალისკენ... ამორძალი სულიც მკარნახობს,
თუმცა ავდრებმა, ლამისაა სულ დამაქციოს.
თვალებს ვარიდებ, აღარ მინდა მგლები, რომ ვნახო,
პოეტი ქალი, ვეფხვად აღარ გადამაქციონ.
მე ლექსით ვსუნთქავ, ლექსი მხიბლავს, ვსაზრდობ ლექსით...
გადაირია, ლექსის წერით, ფიქრის მერანი...
ზოგჯერ სინაზით, ჩემი ლექსის, ჩურჩულიც მესმის,
გაჰყევ ბილიკებს, ახლოს არის შენი მწვერვალი.

წლებო გაპატიე

გული რომ მატკინეთ, უნდა გაპატიოთ,
წლებო, მოგიტყვეთ თქვენ ეს ახირება.
მხოლოდ გვედრებით, აღარ ამატიროთ,
რული ამ თვალეზე აღარ მეკარება.
რატომ არ კითხულობთ, მე რა მირჩევნია,
ჯიქურ შეგიძლიათ კლდეზე გადამჩხობთ...

თვალში ცრემლის კვალი ისევ დამრჩენია,
აღარ შემიძლია ის რომ გავაჩერო.
ცაში ვარსკვლავების შუქთა სიმცირეა,
ღრუბლებს დაუმაღლავს მთვარის ელვარება...
ქარი გულს მიკორტნის რა დროს სიცილია...
მზეც ღრუბლებშია და... აღარ მეკარება.

დილის სხივი

დილის სხივი გულში ჩუმად შემოიჭრა,
მწირი სითბო გაიმეტა დამადლებით...
ჯერ მაამა, მერე კანი დამიჯინჭრა...
გამეცალა, ისევ ქარის დავალებით.

შეხვდა ყინვა, ნაფერები... ცივი ქარით,
მობრუნდა და ისევ თავბრუ დამახვია...
აღარ მინდა სიმღერა და ტკბილი ქნარი,
თუ რამ მტკივა მხოლოდ მისით დამმართნია.

ცრემლის ძალი

ისევ წვიმები, თოვლი, ყინვის მთა,
ლოდინი, დარდი, უიმედობა...
გადამითურდა ჭირხლით მთელი თმა,
ფიქრის იმედი ხელზე მადნება.
ხავსს ჩავეჭიდე... სხვა გზა არც მქონდა,
უმწვეოს მკერდი ჩამოვაფხირიწე.

ვხედავდი, ტალღას სევდა მოჰქონდა,
ყელი ყვირილით ამოვიხრიწე...
ვწვალობ ძალიან... რა გზას დავადგე,
უფალო, იქნებ გამოჩნდეს მხსნელი...
წყალი სულ ხელით მივფერთხ-მოვფერთხე,
ცრემლის ძალი ვარ... და მშველელს ველი.

ცრემლებს შვავაჩერებ

ოღონდ არ გაჩუმდე, მითხარ რა გაწუხებს,
შიშმა შემიპყრო და სევდა დამეუფლა...
ფრთხილად საყვარელო, გზიდან ნუ გადუხვევ,
მინდა შემოგიშვა, სულში ძალზე სუფთა...

შენთვის შემიძლია დამე გავათენო,
ზღვაში თევზებივით გავყვე ძლიერ ტალღას...
ცრემლებს შევანრებ შენ რომ არ გაჩვენო,
ბრძოლა შემიძლია... ენდე გულის არღანს.

უშენობა მიჭირს

აღარ მინდა მწუხარების ფიქრი
არ მაჯობოს ბედისწერის მარცხმა...
წლები ისეც უკვე ზევით მიქრის
გადიარა გულზე დარდის ფარცხმა.

ვწუხარ... ვტირი, უშენობა მიჭირს,
ყოველ ღამე სიზმრად მეღანდები...
დილით ადრე იმედის პურს ვლიჯნი,
გავლოდნი და კვლავ შენ გელოდები.

**ძმის ნაკვალავით
(ბეჟან ხარაიშვილი)**

ბ – ილიკს შენს გაველილს წლები რას წაშლის,
ე – ნაწყლიანი პოეტის სიტყვებს...
ჟ – ანგისფერ ფოთლებს ფიქრები აშლის
ა – იყვანს ტყეში ამოსულ ნივებს.
ღ – ანატრ გაზაფხულს ვერ მოესწარი,
ხ – ის ტოტებს ცრემლი შემოეჟარათ...
ა – ხლა გახურავს ზეცის ზეწარი,
რ – ამდენს ვიტირივარ ძმაო, ბეჟანა.
ა – მ თოვლს, ამ წვიმებს როგორ გაუძლო,
ი – მედის ნისლი იხრჩობა კვამლში.
შ – ეშლილო ქარო, სევდის საუფლოვ,
ვ – ერ მოგიშორე თითქოს ვარ ვალში.
ი – მიტომ გითმობ ქარო, ოხერო,
ლ – ოცვით საგზალი ცაში ავიდეს...
ღ – მედის სხივით ძმის ღექსს ვპატრონობ,
თუნდ ბეწვის ხიდზე ფეხით გავიდე.
მერე?... ავანთო, გულს ლამპიონი,
გამიცისკროვნებს სულს ვარსკვლავები...
მწამს მიწვალობებს მადლი სიონის,
და ასე ვივლი ძმის ნაკვალავით.

ახლა ისევ მომეკიდა ცეცხლი

ახლა ისევ მომეკიდა ცეცხლი,
ლამისაა ჩავიფერფლო ნაცრად...
რადგან არ მაქვს ფული, ოქრო, ვერცხლი,
ქარმა ისევ ძველებურად ამცრა.
ქალს მკენწლავენ, პოეტს, სულით ღამაზს...
მადლს ვთესავ და... შავი კაბა მმოსავს,

ცული სიტყვა არც მომსვლია აზრად,
ველოდები გაზაფხულის მოსვლას.
ვტირი, მოვთქვავე ბუნების ხმას ვუხმობ,
მომეშველეთ ცავე, ხმელეთის ჯარო,
აბობოქრდა კვლავ ღექსები უხმოდ...
შენთანა ვართ... ოღონდ არ იჯავრო.

**სიყვარულის დედოფალი
(მიმონა ცანავას)**

სიყვარულის დედოფალი,
ღექსით სწვდები დარიალს...
სილამაზის სეფექალი,
ღექსი შენი ფარია.
წინაპარის ნატეფალი,
ვერ გერევა ქარია...

მზის ნაშუქის ნაპერწკალი.
ღექსი ღვთით გაბარია,
ნადვერდალობ... ხანაც ფიცხობ,
ღექსით წვაც გიხარია.
შენ კოლხეთის მირონც იცხებ...
მღერი ავემარიას.

ვერ დავიბრუნებ

ვერ დავიბრუნებ წარსულს ვერაფრით,
აწემოში უნდა ვიხეციალო...
არ შემიშინდე ღექსო, ნუ დაფრთხი,
დარდისკენ აღარ მიმატრიალო.



კოტე მიქაცაძე

33 – ანბანი
(აკოსტიქით)

- ა – ვიდეთ მაღალ მთაზედა
- ბ – ევრმა ვილოცოთ ერთად.
- გ – ული ხალისით ძგერდეს,
- დ – ავღგეთ „ღვთის“ კარიბჭესთან.
- ე – რთმანეთს მოვეფეროთ,
- ვ – ისაც სიკეთე გვინდა,
- ზ – ეცას ავცქერდეთ გრძნობით,
- თ – ვალებს გაჰქონდეს ბრწყინვა.
- ი – ხაროს ყველამ გულით,
- კ – აცმა და ქალმა ერთად,
- ლ – ამაზ სიყვარულს ჰგავდეს,
- მ – ომაგლისათვის მღერა.
- ნ – აზი გრძნობები გვქონდეს,
- ო – ცნების შესადარი,
- პ – ასუს ვაგებდეთ ყველა,
- ჟ – ამი დაგვიდგეს წყნარი,
- რ – ადგან სიცოცხლის სურვილს,
- ს – იამოვნება მოაქვს,
- ტ – ანში ჟრუანტელს გვგვრიდეს,
- უ – სასრულობის მზერა,
- ფ – იქრებით ერთნი ვიყვეთ,
- ქ – ვეყნის მცხოვრბნი ყველა,
- ღ – მერთმა გვაკურთხოს მარად,
- ყ – ელს ვადერებდეთ ნელა.
- შ – რომის ხალისი გვქონდეს,
- ჩ – ვეული გამტანობით,
- ც – ოტა ვსვათ, ცოტა ვჭამოთ,
- ძ – ალას ნუ დავეყრდნობით.
- წ – ლები გაიფრენს ისე,
- ჭ – აპან-წყვეტაც კი გვიძობს,
- ხ – აღისიანი გულით,
- ჯ – ოხსაც ძმა-კაცად ვიგრძნობთ.
- ჰ – აერში ვიფრენთ ყველა,
- ანგელოზივით თითქოს,
- ავგავსებს „სული-წმინდა“
- ღმერთს შევევედროთ მიტომ;
- უფლის სადიდებლად!

26 მაისი. 2013 წელი.

გენცა ხარაიშეილი

* * *

როცა შემოდგომამ
ქალაქის ქუჩები
ფოთლების ჯარით ააწიოკა,
არ მოხვედი რომ გეკითხა
რისთვის გელოდი.
უბრალოდ,
იდექი გარეთ და
ჩემი ფანჯრების
თითოეულ კუთხეს
მხერით ათბობდი.
მე – ფარდის უკან
ჩრდილად ქცეული
ჭრელი ფარვანა,
ვეგრძნობდი სინათლეს,
შენს თვალებში ჯერ რომ არ იყო.



* * *

და წავალ ისე,
როგორც ფოთლები
შემოდგომის ქარიან დილით,
როგორც ზამთრობით ჩიტუნები
მზიან ქვეყნებში,
როგორც ლექსები—
უსასოლო დღეთა თარეშში,
როგორც სიკვდილი—
ცულიანი კაცის პერანგი.
წავალ, როდესაც

მოთმინების ბოლო მტევანი
სიმწიფის მძივებს,
როგორც ცრემლებს,
ისე აისხამს.
და წავალ...
თითქოს, რეფრენი ხარ
ჩაის ჭიქაში,
და რომ არაფრით გინდა
სადმე გამიშვა.

* * *

იქნებ, დღეს დარჩე ჩემთან,
ერთად ვნახავდით რამეს,
თუნდაც ფილმებს,
შავ-თეთრს.
შემადარებდი ოდრის,

მორცხვად დავხრიდი თავს,
თუმც კი გეტყოდი: კარგო,
ალბათ, ცოტათი მგავს...
(ო, როგორ მათრობს შენი,
კომპლიმენტების ზღვა.)

დღეს ბროლის ქოში უნდა დამეკრება

როცა კი საათი ჩამოკრავს თორმეტს
დაველოდები ზღაპრულ ნათლიას,
ქანგმოდებული ჩემი მოტო რომ
გადამიქციოს ეტლად ნამდვილად.
ბავშვურად მჯერა:
ძველისძველ კაბას,
დაბრეცილ ფოსტლებს,
გადადლილ სახეს და
ჩამქრალ თვალებს
ააციმციმებს,
ბედნიერს გახდის.
პირველის ოცია
გამიტყდა ძილი,
რატომღაც იგვიანებს
კეთილი ნათლია,
ვიცი, გამოჩნდება,
ფიქრები დაჰქრიან...
სასახლის მეჯლისი:
მონარნარე ლამაზმანები,
წითელ მაქმანებში,

ინტრიგებს ხლართავენ.
ჩემი პრინცის
ლოდინით სავსე თვალები
ალბათ ვერც კი ამჩნევს
უნიჭო ნიღბებს,
წაშლილ სახეებს,
შედებილ ტუჩებს.
განწყობა, რაღაც არასადღესასწაულო
და მაინც რძისფერი კაბით მივდივარ.
არ მოვიდა ფერია,
არც ეტლი მაქვს და
არც კაბა დედოფლის.
ფარდისაა უბრალო...
მხედავს.
ვხედავ-
ვეგრძნობ.
ვერ მგრძნობს.
დღეს ბროლის ქოში უნდა დამეკრება
მას კი უნდა ვეპოვნე.

ჯიბო ჯიშერი



პოეტს – ქალბატონ ლამზირას

მე ბედნიერი მაშინ ვარ,
როცა ვარ გამწარებული
ვაჟა

წამება ჩემი სიხარულია
და მიხარია რომ ვიტანჯები.
გრანელი
ვინ მიმიხვდება ამ ჯვარცმას მე რომ
უბედურებით ვარ ბედნიერი.

ჯიშერი

თუ რამე ვცოდე უფრო ვერ ვითმენ
და ვთვლი პასუხი ჩემი ვალია.
დათარსული ვარ დაბადებითვე,
დამაქვს “დარღებით სავესე გალია.”
ვერც ჩემს ნაჭუჭში გამოვიკეტე,
წავალ სადმე და ტბორში ვეშვები.
მინდა მიძოდეს ჩუმი სიკეთე,
როგორც დინჯ სპილოს თეთრი ეშვები.
რომ ფურცლო ჩემი ქორნიკონი
ვერ ნახავ წყენის რაიმე მიზეზს.
ისრად დამეცა შენი სტრიქონი:
“რა უღმობელი თვალებით მიმზერ.”
“მე შენთან დავას აღარ ვაპირებ,
მიგატოვებ და ჩემი გზით წავალ.”
ასე რის გამო გამინაპირე,
ან შენ სად ნახავ სულიერ წამალს?
მე შენი წყრომა ღრუბლად მომედო.
“უღმობელობაც” მომარგე ქუდად,

ჩემო დაო და ტკბილო პოეტო,
ჩემს ალალ სტრიქონს ნუ ხედავ მრუდად.
ძარღვში პოეტურ გენის კვილო
თუმც მიდგას რითმით სავესე ტომარა,
მაინც ვერ გავძლებ მე უტკივილოდ,
ვერც დავწერ რამეს დარდი რომ არა.
ნუ შეგაშინებს სევდა და დარდი,
დე! ნაპერწკალმა ალად აგვანთოს.
თუ ლექსში გულის ფეთქვა გადადის
რა გვაქვს სადავო და საკამათო.
თვალი არიდე სხვათა აფიშებს,
ფიცი იწამე, მაგრამ არ ენდო!
გსურს მიმატოვო, – მე არ გაგიშვებ,
ჩვენ ერთი გზა გვაქვს საალავევროდ.
ჩემს გულწრფელობას ეს ლექსიც ამხელს,
მოწამე არის ამერ-იშერი.
პოეტ ქალბატონს – ლამზირას სახელს
ძმად ეფიცება ჯიბო ჯიშერი.

2013 წ. თბილისი.

ფრთის გაშლა ალბატროსული

უცნობ პოეტს – თამარ ჯაჭვავაძეს –
სამი შვილის ციმბირგამოვლილ დედას!

შენმა სტრიქონმა შემოტოკა,
თავი ზე ველარ ავიდე.
შენი ასეთი შემოტოკა,
დღიურში დავათარიდე.
შენს ბწკარს რომ შუქი ებურვის, –
– აღმოდებული ისარი, –
ეს რაღაც თავისებური,
არც მსგავსი, არც ნასხვისარი.
ვიგრძენ პოეტის სიღრმე და
ფრთის გაშლა ალბატროსული.

ქართული ლექსის იმედად
ხარ ღვთისგან ზე-გადმოსული.
მშობლიურ ტკბილი ჰანგებით
ხარ ახალ მარცვლის მთესავი.
ჩემი პოეტურ გაგების
ფოლადზე კაჟის მკვესავი.
სტრიქონის რიტმით დამკოდე,
თვალთ უხილავო ზეფირო!
შემიყვარდი და მაბოდებ –
ძილში შენს ლექსებს ვზეპირობ!

19 / V 2012 წ. თბილისი

ტარიელ მუმლაძე

სოფელო ჩემო

კავკასიის მთებს ნაკრძალს რომ აქსოვ,
 სოფელო ჩემო, რა რიგად ხარობ!
 ხალისთან ერთად ვარამიც გახსოვს,
 ოდესღაც გერქვა შენ ყორიანი,
 სთქვი, თუ რამე გსურს, არ დაახანო!
 ბოლოს გეწოდა გურგენიანი,
 ალალმართალი კაცის აკვანო!
 შენს ნინოსხევეში კალმახი ცურავს,
 შრიალებს შენი ბად-ვენახები.
 ჰგავს ფიროსმანის დახატულ სურათს
 შენი ველი და იალაღები.
 ზვრებში ტრაქტორი გუგუნით მიდის,

ფეხზე დამდგარა ერი და ბერი.
 ტყეს მოეფინა ყვავილი შინდის,
 სადღაც ჭალაში ზმუის მოხვერი.
 ცაზე არწივი ფრთებს აშრიალებს,
 დაბლა აფთარი იღესავს კბილებს,
 მამა კეთილი და მოტრფიალე
 საკუთარ ღვინით დალოცავ შვილებს.
 ვინც იცის შენი მადლი და გემო,
 ის შენთან არის, სევდის წამტანო,
 შენ იღღეგრძელე, სოფელო ჩემო
 ალალმადტალი კაცის აკვანო.

სულ მელანდები

ქონორა ბიჭი როცა ვიყავი
 და ძარღვებში ჩქეფდა სისხლი ყმაწვილი,
 მაშინ მე ტოლებს გამოვეყავი
 და პოეზიის გავხდი ნაწილი.
 რითმასთან ერთად რა არ ვიღონე,
 როცა წიგნებთან ახლოს ვდგებოდი,

ჩემს სავალ გზაზე, როცა ვიგონებ,
 რას ვიფიქრებდი თუ შემხვდებოდი.
 სულ მელანდები ლექსო, მაშინაც,
 როცა ერთად ვართ ფიქრმონაცვლებით.
 მე შენმა სიტბომ გადამარჩინა,
 მომიჩუქურთმა განვლილი წლები.

ღელის საფლავთან

ტკივილს იტანდი ჩ მად, უკვნესოდ,
 ჩემი ტკივილი გქონდა გოდებად,
 დედავ სათუთო, სულზე უტკბესო,
 შენი აჩრდილი თვალს არ შორდება.
 თუთის ჩრდილებში, ვენახის კვლებში,
 აჩრდილი შენი ჩემთან ტრიალებს.
 მაჭარი ისევ ჩუხჩუხებს ქვევრში,
 ატმის ფოთლები ისევ შრიალებს.
 შენ დამრჩი მარად მოსაგონებლად
 და დამიტოვე სიმხნევის თესლად
 შენი აზრი და შენი გონება,
 შენი კურთხევა – ცხოვრების წესად.
 გაგაჭადარა შვილებზე ფიქრმა,
 შუბლზე ნაოჭმა გადაგიარა,
 თმა დაგიტრთილა სიბერის ფიფქმა
 დაგძლია შიშის ჩუმმა იარამ.

ხელის კანკალით შემეხებოდი,
 გამიღიებდი, მეტყობდი: - შვილო,
 აღარ მეგონა, თუ შეგხვდებოდი,
 რადგან დამჩემდა დამე უძილო.
 წახვედი, დამრჩა ამ ცხოვრებაში
 სიკეთის ნერგას აჩრდილი შენი.
 როდესაც მიჭირს, ყოველთვის მაშინ
 იმედი ხარ და ჩემი დამრჩენი.
 შენს საფლავთან ვარ მუხლმოდრეკილი,
 წარსულზე ვფიქრობ, წლებს გაგვყარა,
 მე უკვე გავხდი წლებმოდრეკილი,
 მეც შემეპარა თმაში ჭადარა.
 შენ შეგვასწავლე შრომა, შენება,
 დედავ! გამზრდელი შენ ექვსი შვილის!
 მუმლაძეების იყავი მშვენება,
 შთამომავალი წიქარიშვილის.



**სიზმარი თუ ცხადი?
(საოცარი ამბავი)**

სიზმრა ვნახე – ანგელოზი შემოფრინდა ფანჯრიდან,
დამიტოვა ჩვილი ბავშვი, მოკაზმული ფარჩითა,
არ გასულა ერთი წუთიც მისი ცაში აჭრიდან,
ჩვილმა მუცლით ცოცვა იწყო, შეჩერება გაჭირდა.
მაგონდება: - სადღაც იქვე, ცეხცხლზე ქვაბი ორთქლავდა,
ქვაბში ბუდი ტრიალებდა, ღმუოდა და მოთქვამდა,
ქვაბთან ეშმა ხტუნაობდა, ტრიალებდა, ოხრაგდა,
ბიჭი ქვაბთან მიიტყუა და აქცია ორთქლადა.
სად იყო და სად არ იყო – ანგელოზი მოფრინდა,
გადასახა პირჯვარი და ბიჭი აღსდგა ორთქლიდან,
დაარჩინა, არ გაუშვა ამა წუთისოფლიდან,
დამწვრისა და დამდურულის ტანჯვა მღრღნინდა, მკორტნიდა.
ბიჭი აღსდგა, მაგრამ თურმე გზა წინ ჰქონდა სამეხე,
ავმა სულმა ავი ხელით თავში დაჰკრა სატეხე,
სისხლი წასკდა ნიაღვარად, მე განგაში ავტეხე,
მახსოვს – ხელით ვაკავებდი თავი ქალის ნატეხებს.
დაუემა ანგელოზმა ტკივილები განცდილი,
მომჯობინდა და ძალ-ღონე მოემატა არწივის,
მაგრამ როცა წყალი შსვა სატანისგან გაწვილი,
წყალი იგი ქვად იქცა და ძირს დაეცა ყმაწვილი.
ვაუს სახეზე შავი ბინდი ზეწრად გადაეფინა,
ბევრს ვცდილობდით, მაგრამ... იგი უსაშველოდ გვეწვინა,
არ ვიცოდი, ანგელოზთან მეტირა თუ მეცინა,
ერთი იყო საფიქრალი: ბიჭი გადაგვერჩინა.
იმ დღეებმა ჩაიარა, ჟამმა გადაიარა
და ყმაწვილი გამოკეთდა, მოუშუშდა იარა,
შეიცვალა დრო და სივრცე, გზამ კეთილად იარა
და მაინც, ვაუს ავი სული კერძში დაეზიარა.
ნაწამებ კაცს კვლავ მოადგა ბოროტება უცვლელი
და შეუესო ამ შემთხვევამ შხამიანი ფურცვი,
ღმერთისაგან გაჩენილს ხომ ისევ ღმერთი უშველის! –
ამჯერადაც არ მოგვაკლდა მფარველობა სულგრძელის.
კაცი აღსდგა, დავაჟუცდა, დედამიწას ახარებს
ოჯახს უვლის, ცოლს ამშვიდბს, თავს ევლება პატარებს.
ღმერთო, ქვეყნად რამდენ ბოროტს ცივ ნიავს არ აკარებ
და საწყად კაცს, ალალ-მართალს, ბეწვის ხიდზე ატარებ!
ავი სული რა ავია! საქმით თუ არ იავა!
დამწვარი და დამდურული კვლავ გასწირა ტიალმა,
მსუბუქ ავტონამქანითა ცხრა მთა გადაიარა,
ბოლოს ცოტა შეისვენა, დიდ მანძილზე ეარა.
კაცს, მავალჯერ გადარჩენილს, არ მოეშვა სატანა,
ჩაძინებულს დაეჯახა მტვირთმზიდავი მანქანა,
გაითრია გამსხვრეული, ახოხა და ატარა,
მანქანიდან, ჩასრესილის, ძლივს მოხერხდა გატანა.
კვლავ გვიხილა ანგელოზმა, გადასახა პირჯვარი,
განცდა ისე გაგვიქარწყლა, თითქოს იყო სიზმარი.
ამოიფრქვა მზის სხივები, გახალისდა ჩინარი,
სიხარულით ცა შეირხა და ტალღები მდინარის...
ნატანჯმა და ნაწამებმა გაიმარჯვა სწავლაში,
ცდილობს, არვის არ ჩამორჩეს კეთილი გზის გავლაში,
პირველობას არვის უთმობს შრომასა და გარჯაში,
და გაითქვა მან სახელი ჩვენს მშობლიურ ქალაქში.
გაიმარჯვა კაცში უფრო რწმენამ, შემდეგ – მცდელობამ,
განგებამაც უწინამძღვრა გამძლეობა – მხნეობა.
ჰოდა, გურამს დაულოცოთ შემდგომში დღევრძელობა,
მის ოჯახში ყოფილიყოს ქორწილი და ძეობა.

შალო ილურიძე



მტირალი ქსანო

ტირის ცრემლის ტბა,
ტირიან მთანი,
ტირის ცხრა ძმა და
ცრემლს იხვევს ქსანი.
ჩიგოიანთში ატირებულმა,
ჩამაიარა ლომისის ნიში,
ალოიანთში ყურში მომესმა
ბებრის ტირილი ვაი და ვიში.
პავლიანიდან ბალაანიდან
ისმოდა მწარე გლოვა გუგუნი,
ქენქაანიდან ხმა ვერ მომესმა
მთაზედ ჰკიოდა მწარედ გუგული.
ჭორჭიოხელებიც ატირებულან,
გამოჰყოლიან ცრემლნადენ ქსანსა.

ხარბლის ხიდთან ერთი ბებერი
კალთით იწმენდდა ცრემლიან თვალსა.
აგერ გამოჩნდა თეთრი ლარგვისი,
მის გუმბათს ნისლი შემოჰხვევია,
არავინ დარჩა სოფლის ქომაგი
კაეშანი და სამარხებია.
მტერი სამების მთაზეც გაჩერდა
სალოცავს ტანკით შემოუარა,
შიგნით შევარდა გაცოფებული,
მტრობა სწყუროდა ლოცვა კი არა.
ქსანს მოსწყდა ხალხი, დაცლილა მთები
ტაღლამ მუხრანი ჩამოიარა,
წეროვნის ველზე შეჩერდნენ თითქოს
აქ გაუყუჩდათ საწყლებს იარა.

2011წ.

პაპის ფესვები

გადმოვეფინე ჩემს ქსნის სგობასა,
ფლორას ფაუნას ვეალერსები,
აქ დაეიბადე, ვლოცავ მოდგმას და
ჩემი წინაპრის ფეთქას ფესვები.
მთისკენ გამიბრბის გულიც გონებაც,
იქ მიმელიან პაპის ფესვები,
მინდა ბაყილოდ დავრჩე ამ ფესვთან,
გულს ავეკვრები როგორც მესერი.

ო ეს ფესვები!..
სულის ნერგები,
ღრმად მიწას მჯდარი
თვალში ცრემლები თქვენგან მესვების
ვერ მოგცილდები გინდა ამკაფონ,
თუ გინდა ხორცი დანით ამთალონ
ძალას მოვიკრებ ჩემო მამულო,
ოღონდ ცოტახნით უნდა მაცალო.

2004წ.

მაინც შენი ვარ მიწაო

მიწაო ადრე ნუ შამჭამ
ცოტაც მაცალე ცხოვრება,
ასი სიმღერა ჩამოვქნა,
მეტი არ მინდა ქონება.
მიწაჲ, რა გინდა რას მერჩი,
ობოლს ბოლელსა მღერალსა,
ცოტა ხან მამე სიცოცხლე,
სიკეთე მივცე ყველასა.
გადავანვიო ქსნელები,
გულის ტკივილს და სევდასა,

ზეციდან მოდის ღვთის მადლი,
მტერი ვერ შემოგვბედავსა.
იმიტომ გვიყვარს სიცოცხლე,
მუდამ სამშობლოს ვფიცავო...
ადრე ნუ შამჭამ, მაცალე
მაინც შენი ვარ მიწაო.
სიკეთის მსახურად ვდაგავარ,
სამების ჯვარსა ვფიცავო,
ადრე ნუ გაგახსენდები
ჩემო ტანჯულო მიწაო.

2008წ.,

ჩემი ბილიკი

მე იქით წავალ
საითაც მიდის ჩემი ბილიკი.
არ შემაყარო,
და არ დამიწყო აქაც ქილიკი.
ამ სამყაროში გაგეცლები
იქნებ დამშვიდდე,
ჩემ ბუდეში ხარ
უნდა დაფიქრდე სანამ აშლიდე
მე იქით წავალ.
სადაც გზაა, კაცობრიობის

ქვეყნის დარღებით სავსენი და ნაიარები
შენ კი დადიხარ არაკაცობით
და ჩემს მიწაზე
გაგიშლია ბაიარადები.
მე იქით წავალ
სადაც მიდიან ჩემი ქართველნი
ალალები და წმინდა კაცები,
ღმერთი მომირჩენს
იმ იარებს შენგან გათელილს.

2000წ.

ვაჟა-ფშაველას

სული დაამდა ვაჟას ლექსებით
ნაქარგი არის გულის მკერდიდან
მის ყველა სიტყვას ვეაღერებ
თითქოს მამხნევეს მაღალ მთებიდან.
რად მოწყენილ ხარ ლურჯთვალა ია,
ნაზო ყვავილო არხარ ეული...
თვალდან ცრემლი ნუ დაგიღვრია
ვაჟა აქ არის შენი სხეული
აღბათ შვლის ნუკრებს ჭრილობებს ურჩენს

ის მთის პოეტი ხომ ყველას გახსოვთ
ის ეფერება ყვავილს და ბუნქებს,
და ლექსის რითმებს სამყაროს აქსოვს.
კლდესავით შეუღრეკელო,
მთების არწიკო ვაჟო,
ღმერთმა უმრავლოს
ქართველ ხალხს,
შვილები შენისთანაო.

2002წ.

ივერი თაბაგარი

ულამაზუს ლელას

შენს ლექსებთან ვისაუბრე ახლა,
თან დადევდა მიწა ოქროსფერი.
ლამაზ ლექსებს ზღვა ტკივილი ახლავს,
მზის ფერებით მოდის ნოემბერი

ეს დღე ისე უღიმღამოდ გადის,
რითმას ვეძებ, საჩემო რომ არ ჩანს.
მენატრება მამაშენის მჭადი,
ციცქნა გოგო და საკაბე ფარჩა.

შენი ლექსი კოცნის ცას და მიწას,
მაგ შენს ლექსებს სიყვარულით ევლოს.
ლამაზ გოგოს ხატზე დასაფიცარს,
კიდევ ბევრი ლექსი შემოგველოს.

15. 11. 2013წ.

ჭიათურა

მხატვრული განყოფილება

რევაზ მიშველაძე

ცივი ღამე

ჩვენმა ფისომ კნუტები დაყარა. რა უღმობელი სიტყვაა „დაყარა“. კი არ დაყარა, კშობა, დაბადა, მოიგო თუ გნბავთ, შეეძინა ფისოს კნუტები. დასაყრელად როგორ გაიმეტებდა;

ბოლო ერთი კვირა გაფაციცებით ეძებდა ადგილს. სადაც ბუნების მიერ დაწესებული კანონი უნდა შეესრულებინა – დედა უნდა გამხდარიყო.

მშობიარობისთვის შესაფერის ადგილს რომ ვერ პოულობდა, ამოვიდოდა აივანზე, შემოგვაჩერდებოდა და შემოგვკნავლებდა:

ხომ ხედავთ, რამხელა მუცელი დამაქვს, მიშველეთ, მომეხმარეთ, სადმე მყუდრო ადგილი მომიჩინეთო.

მოვკებნე ფანერის ყუთი. ჩავაფინე ჩვრები, დავდგი კიბის ქვეშ, მოვიკდე ფისოს ხელი და ჩავსვი.

შუადამისას საშინელმა ღრიალ-კნავილმა გამომადვიდა.

წამოვვარდით და ელექტრონის შუქზე რას ვხედავთ; ფისო გააფთრებით ებრძვის მეზობლის ხვად კატას.

წამოვავლე ჯოსხ ხელი და დავუცაცხანე.

ხვადმა იკადრა გაქცევა. ფისომ ჭიშკარამდე სდია. მერე მობრუნდა. მადლიერებით შემოგვკნავლა და იარების გალოკვას შეუდგა.

ამასობაში ჩვენ ყუთს ნათურა ჩავანათეთ.

ფისოს სამი ახლშობილი ყუთი ერთმანეთს მიკვროდა.

ჩვენს ლაპარაკზე მეზობელმა, კორნელი თოფურიამ ჩამოგვხედა თავისი მაღალი აივნიდან.

ხომ მშვიდობააო, გკითხა.

ასე და ასეა ჩვენი საქმე. ფისომ იმშობიარა და ლანჩაუბის ხვადმა მოაკითხა, ერთმანეთი კინალამ დახოცეს-მეთქი.

ოო... კაი დიდი პრობლემა გქონიათო, ბატონმა კორნელიმ. საერთოდ ხვად კატებს ეს საზიზღარი თვისება აქვთ – ახალშობილებს ჩახედავენ, თუ ეჭვი აიღეს, რომ მისი შვილები არ არიან, უსათუოდ უნდა შეჭამონო. ფისომ იცოდა, რისთვისაც მოვიდა ხვადი და ამიტომ ებრძოდა თავგანწირვით. თუ თქვენც და ფისოც ფხიზლად არ იქენით, ხვადი კიდევ მოვა და კნუტებს დაითრევსო. პირველი ორი კვირაა საშიში, მერე ხელს აღარ ახლებსო.

რა ვქნათ, რა ვიღონოთ. მე და ჩემს ბებერ ცოლს კიბეზე ჯდომის და დარაჯობის თავი გვაქვს?

თანაც ნოემბრის თერთმეტია. დამით საკმაოდ ცივა. მარილებისგან დამზვრალ ჩვენს ძვლებს სიცვიის მიმატება უნდა?

რა ვქნათ, რა ვქნათ-მეთქი და ისევ მე მოვიფიქრე:

ჭასთან რკინის ცხრილი მეგდო. ფისომ რომ იარები გაილოკა და შვილებთან ჩახტა. ავიღე ცხრილი და დავაფარე ყუთს, თან ზემოდან ჩაქუჩი დავადე. ფისო დილაამდე როგორმე მოითმენს, ხვადი კი ცხრილს ვერ გადაადრობს და გადარჩება შთამომავლობა.

დილით ადრე ჩავასწარი ჩემს ცოლს ეზოში.

ყუთს ცხრილი გადავაძვრეთ. ეძინათ ფისუნიებს. დედა ფისოს თათები შემოეხვია თავისი უმწეო, ფაფუკი, ბრმა კნუტებისთვის და ცხრილი რომ ახადეთ, მაშინდა ამოგვხედა. ამოსვლით ერთი საათის მერე ამოვიდა, წყალი დალია, გაიარ-გამოიარა და კვლავ შვილებს დაუბრუნდა.

დღის განმავლობაში ორჯერ მოვიდა ხვადი. ჩვენ ეზოში ვისხედით. აქაოდა, თქვენ ვინ გკითხავთო, ჩვენკენ არც გამოუხედავს, ჩქარი ნაბიჯით მუყაოს ყუთს მიაშურა.

მაგრამ „მოვიდა სეტყვა და დახვდა ქვაო“.

დედაფისომ ერთი გამეტებით დაინხავლა, ყუთიდან ამოხტა და მორკალური, აზღარებული ეცა მომხვდურს.

ჩვენ, ჩვენის მხრივ, მივეხმარეთ და ორივეჯერ კუდით ქვა ვასროლინეთ გალიფირებულ ხვადს. დამით მე ადრე ვწვები.

ჩემი ცოლი რომ კიბეზე ამოდის, ერთი პირი ძილი გამოძინებული მაქვს.

– გემის? – გავძახე.

– რა გინდა?

– კატებს ცხრილი ხო დააფარე?

– კი.

გადავბრუნდი და მშვიდად დავიძინე.



დამით ერთი კნავილ-ჩხავილი კიდევ მომესმა, მაგრამ ადგომით არ ავმდგარვარ. იმედი მაქვს, ჩემს პატარა ფისუნებს ხვალი ვერას დააკლებს.

დაახლოებით ასე, განთიადის ხუთ საათზე ფანჯარასთან გადაბმული კნავილი მომესმა. ჩვენი ფისოს ხმაა.

აქ რა უნდა? მას ხომ ახლა ცხრილის ქვეშ კნუტებთან უნდა ეძინოს.

ნუთუ იძალა გათახსირებულმა ხვადმა და ყუთში შეაღწია.

წამოვხტი. კიბეზე ჩავფოსტლდი. ყუთთან მივირბინე. ყუთს ცხრილიც ახურავს და ჩაქუჩიც ადექს.

ამასობაში ჩემი ცოლიც ჩამოვიდა.

ავხადეთ ცხრილი და რას ვხედავთ: სამი გათოშილი კნუტი ერთმანეთს სავალალოდ მიჰკვრია და სიცოცხლის ნიშანწყალი ძლივს ეტყობათ.

უკვე ძიგძიგის თავიც აღარ აქვთ.

დედა-ფისო მაშინვე ჩახტა.

ბუბუებით და მუცლით დაფარა მომაკვდავი კნუტები და საცოდავად ამოგვკნავლა:

აქაოდა, ეს რა მიყავით, ღმერთი არა გწამთ? ამათ რომ რამე მოუვიდეს, ხომ იცით, თავს არ ვიცოცხლებო.

რა ძნელი მისახვედრია იო, თურმე ჩემმა ცოლმე ყუთს რომ ცხრილი დააფარა, ეგონა ფისო თავის კნუტებთან იყო. დედა ფისო თავის კატურ საჭიროებაზე იყო ორი წუთით ეზოში გასული. რომ მობრუნდა, რაღას იხამდა. გარედან დარაჯობდა კნუტებს. დილისკენ ომეტებულად რომ აცივდა, შვილები გამეყინებიანო და ატეხა კნავილი ჩემს ფანჯრებთან. ან ის საიდან გაიგო, რომელ ოთახში მეძინა.

შევეყავი ხელი ფისოს მუცლის ქვეშ. სამივე კნუტი გაცივებულია, ბუბუს არ სწოვენ, ძლივსდა ტოკავენ.

არიქა-მეთქი, როგორმე უნდა გადავარჩინოთ! მაინც, შე ქალო, როგორ არ ჩაიხედე ყუთში ცხრილს რომ აფარებდი-მეთქი.

ჩემს ცოლს კიდევ საყვედური უნდოდა? ცრემლები დაჰაღუპით ჩამოსდიოდა.

ყუთი დედთან შვილებიანად ბუხართან შემოვიტანეთ. თითქმის ცხელი „ბრელები“ შემოვუწვევთ ირგვლივ. ცეცხლი გავაჩაღეთ. კნუტებს ნაზ „მასაჟს“ ვუკეთებთ ზურგ-მუცელზე, რომ სისხლი ავუმოძრავოთ.

... და კნუტები გადარჩნენ.

სამ-ოთხ საათში გალღვინენ, გათბნენ და დედის ბუბუ მოძებნეს.

ახლა ეზოში მაღაყებს გადადიან და, რასაკვირველია, აღარ ახსოვთ თერთმეტი ნოემბრის ცივი ღამე.

ღალი კახიძე

„ნებიერა“



იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, „იყო შაში მგალობელი, ღმერთი ჩვენი მწყალობელი“. იყო ერთი ძალიან ღამაზი ოჯახი. ოჯახს შვილი ღვთისგან მიეცა გვიან ასაკში. რაკი ოჯახი ასე განიცდიდა უშვილობას და ღმერთმა აღირსა შვილი, გოგონას მშობლებმა ნებიერა დაარქვეს. ძალიან ანებიერებდნენ, ოქროს ბავშვობა ჰქონდა გოგონას როგორც კი ნებიერა 16 წლის გახდა, დედამ მას მოუსმო და უთხრა:

– ნებიერა, ხედავ ამ ალმასის ქვას? ეს მე, 16 წლის რომ გაგხდი ჩემმა დედამ მანუქა, დედას თავისმა დედამ და ასე გადავცემთ შთამომავლობას.

– ეს რა ქვაა დედა? – ჰკითხა ნებიერამ.

– ეს ის ქვაა შვილო – რასაც ინატრებ, აგისრულდება.

გაიხარა ნებიერამ, გამოართვა ალმასის ქვა დედას.

შეინახა, მაგრამ დედამ მთავარი არ უთხრა გოგონას, რომ ქვამ უსამართლობის შემთხვევაში გაბრაზება იცის და შეიძლება თუ გაბრაზდა, ყველა ასრულებული ნატვრა დაიმსხვრეს, გაქრეს, გამდინარე წყალს გაჰყვეს.

ცხოვრება გრძელდებოდა. ნებიერა იყო ძალიან ნიჭიერი და განათლებული. ერთ მშვენიერ დღეს, გაიცნო ძალიან წესიერი, ახალგაზრდა ვაჟი ნოე. კარგად აღზრდილი, განათლებული ოჯახის შვილი.

ნებიერამ გამოიღო თავის „ქვა ალმასისა“ და სთხოვა: – ქვაო ალმასისავ, გთხოვ, მომეც კარგი სახლი, რომ ცალკე ვიცხოვრო.

მართლაც ნებიერას წინ აღიმართა სასახლე. გაწყობილი ავეჯით და მორთული ეზო-კარით, თავისი უამრავი მსახურით. სახლს დრაკონები დარაჯობდნენ.

ნოემ და ნებიერამ ერთმანეთი შეიყვარეს და მალე დაქორწინდნენ. შეეძინათ შვილები, ცხოვრობდნენ ბედნიერად. რასაც ინატრებდნენ, ყველაფერი უსრულდებოდათ. არავის ეხმარებოდნენ. ჰქონდათ სასახლეები მთაში, ბარში, ზღვის კუნძულებზე. შიგ არავის უშვებდნენ. ჩიტიც ვერ შევრინდებოდა.

გავიდა დრო. დაეზარდათ შვილები ნოესა და ნებიერას. მისცეს განათლება შვილებს, კარგად აღზარდეს.

მოიყვანეს ბიჭებმა ცოლები, ღირსეული ოჯახის შვილები, ნასწავლი და სილამაზით შემკული გოგონები. მაგრამ ნურას უკაცრავად, ნებიერამ რძლები სახლში არ მიიღო და უთხრა თავის შვილებს:

– მე თქვენ გაგზარდეთ ჩემო ბიჭებო, მოგეცით განათლება, კარგი აღზრდა. წადით ახლა და თქვენ თვითონ მიხედეთ თქვენს თავებს.

შეწუხდნენ ბიჭები, მაგრამ დედას სიტყვა ვერ აკადრეს. ისინი მორჩილები იყვნენ მშობლების. რძლები ატირდნენ, დარჩნენ ცარიელები, ეგონათ, სასახლის კარზე ბედნიერ ცხოვრებას მოიწყობდნენ, მაგრამ ამოდ.

ნებიერა – ეს ნაზი და ლამაზი ქალბატონი, როგორც ურჩხული, ისე მოექცა შვილებს. დატოვეს ბიჭებმა ის ქალაქი სადაც გაიზარდნენ. წავიდნენ ძალიან შორს. დაიწყეს შრომა, ბევრი იშრომეს. იშრომეს მანამ, სანამ საწადელს არ მიადწიეს. ორივე ძმები, მშენებლობაზე ავურს ზიდავდნენ და ბოლოს ნაბიჯ-ნაბიჯ მიადწიეს მწვერვალს, ისინი მილიარდელები გახდნენ.

ახლა გადავხედოთ ნოეს და ნებიერას რა დაემართათ. გაუბრაზდათ მათ ქვა აღმასისა და მთელი მათი სიმდიდრე ნაცარტუტად იქცა.

ზის ნებიერა ზღვის პირას, ტირის და ყრის ცრემლს. ვერ ეგუება, რომ ძალიან გაღარიბდა. ნოეს ბაღე ჩაუგდია ზღვაში და თევზის დაჭერას ცდილობს, მაგრამ ბაღეში ზვიგენი გაიხლართა და შესძახა:

– ნოე, ბატონო, ცას გახედე, ნახეთ თქვენთან ოქროს ხალიჩა მოფრინავს, თქვენმა შვილებმა თქვენს წასაყვანად გამოძგზავნა. ეს, რომომ ნებიერამ გაიგონა, ჰაერშივე შეხტა ხალიჩაზე, ნოე უფრო დინჯი და მოკრძალებული იყო.

იფრინა ხალიჩამ, იფრინა და დაეშვა ერთ ძალიან მდიდარ ქვეყანაში. ორი უზარმაზარი სასახლე – ორი ბიჭის იყო – ეს ის ბიჭებია, დედამ რომ სახლიდან გამოაგდო. თავიანთი შრომით გამდიდრდნენ და არ დაივიწყეს მშობლები, ორივე სასახლის კარები ბიჭებმა ფართოდ გაუხსნეს საყვარელ მშობლებს.

ნებიერამ და ნოემ კარგი საქმე გააკეთეს, რომ შვილები კარგ, კეთილ ადამიანებად აღზარდეს. დედამ შვილები, რძლები, შვილიშვილები გულში ჩაიკრა და ღმერთს ბოდიში და დიდი მადლობა გადაუხადა:

ხედავთ ჩემო პატარებო, რა კარგია, როცა მშობლებს პატივს სცემთ, გიყვარდეთ. არ დაივიწყოთ ვინ ხართ, საიდან მოდიხართ, ვისი გორისა ხართ. ძილი ნებისა.

პატარა მუსიკოსები

გადავინაცვლოთ ჩემო პატარებო მუსიკის სამყაროში.

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ულამაზესი ოჯახი თბილისში, ჩვენს ლამაზ ქალაქში, რომელშიც ყველა მღერის, ყველას უყვარს მუსიკა. ის ხომ ჩვენი საყვარელი ქალაქია? ჩვენი საქართველო, ჩვენი სამშობლოა. ღმერთო! დალოცე ჩვენი ქვეყანა. თბილისის მუხისა და ხელოვნების ქალაქი. ამ ლამაზ ოჯახში ცხოვრობდა ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ისინი მუსიკოსები იყვნენ. მირანდა და მირიანი. მათ შვილი არ ჰყავდათ. გადაწყვიტეს ბევრი შვილი ჰყოლოდათ. იყო ცოლ-ქმარი მოლოდინში, მაგრამ ამოდ.

ერთ მშვენიერ დღეს ბაღში ზის მირანდა და მღერის. მოფრინდა ულამაზესი ჩიტი. მხარზე დააჯდა მას და აჭიკტიკდა.

– ჩიტუნო, გინდა ჩემი შვილი გახდე? ძალიან კარგად მღერი.

– სიამოვნებით, ჩაუნისკარტა ჩიტუნამ.

– კარგი, შენ გარქმევ „დოს“ – დოდო.

შეიყვანა მირანდამ ჩიტი სახლში და თავის ქმარიც გაახარა, მოუწონა მირიანმა განზრახვა.

„დოს“ – დოდოს მოაკითხეს ძალიან ლამაზმა ჩიტებმა. ესენი იყვნენ საოცრად განსხვავებული ჩიტები თავის სილამაზით და ფერთა შერწყმით.

– მოდით ჩემო ლამაზებო მოდით.

შეხვდა მირანდა დიდი სიყვარულით ჩიტებს. მე თქვენ ყველას სახელებს დაგარქმევთ.

„დო“ – დოდო

„რე“ – რევაზი

„მი“ – მიმოზა

“ფა“ – ფარნავაზი
„სოლ“ – სოლომონი
“ლა“ – ლამზირა
“სი“ – სიმონი

მირანდამ და მირიანმა შექმნეს არაჩვეულებრივი მომღერლებისა და მუსიკოსების გუნდი. ჩიტები არაჩვეულებრივად მღეროდნენ. მათი მოსმენით სიამოვნებით ჩაიძირებოდით. ეს იყო უჩვეულო ჰანგების ჰარმონიული კლერადობა. მათი მოსმენა ნეტარება იყო.

თურმე ამბავი ყოფილა ასეთი: ცხრა მთას იქით ცხოვრობდა ეს შვიდი ბავშვი, რომლებიც დღე და ღამე სიმღერასა და დაკვრაში ატარებდნენ. ყველა მათგანი იყო ძალიან ლამაზი.

დოდო – პიანინოზე, რევაზი – სკრიპკა, მიმოზა – ჩელი, ფარნავაზი – კონტრაბასი, სოლომონი – კლარნეტი, ლამზირა – ალტი, სიმონი – ბარაბანი.

ბავშვებს მშობლები არ ჰყავდათ და ასე დაეხეტებოდნენ, უკრავდნენ და მღეროდნენ. მთაში ცხოვრობდა დრაკონი, რომელიც წუხდებოდა და ღიზიანდებოდა ამ ბავშვების ნარნარი ხმით და ბრწყინვალე მუსიკის კლერადობით. დრაკონი იყო ჯადოქარი. ბავშვები მან ჩიტებად გადააქცია და თან დასძინა:

– მსოლოდ „იავნანაზე“ გადაიქცეით ადამიანებად! გადმოისროლა ბავშვები ცხრა მთას იქით, უღამაზეს მხარეში, ჩვენს საყვარელ თბილისში მუსიკის ჰანგების ქვეყანაში.

ასე მოხდნენ ბავშვები – ჩიტუნები მირანდასა და მირიანის სახლში.

ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც ჩიტები დაბრუნდნენ სახლში, დააპურა ისინი მირანდამ და რომ შეიტყო ისინი ძალიან დაღლილები და მოწყენილები იყვნენ, უთხრა:

– ჩემო ლამაზო ჩიტუნებო, მე თქვენ გიმღერებთ იავნანას და დაიძინეთ ტკბილად.

მართლაც მირანდამ ააუღერა ჩვენი საყვარელი „იავნანა“ და მოხდა სასწაული. ჩვენი ჩიტები სათითაოდ უღამაზეს ბავშვებად გადაიქცნენ.

მირანდა და მირიანი სიხარულისგან ტიროდნენ. აუღერდა მუსიკა, ჩვენი მუსიკოსები უკრავდნენ და მღეროდნენ. მოდიოდა ხალხი, ულოცავდა ოჯახს ამ ბედნიერებას ასე გახდნენ მირანდა და მირიანი მრავალშვილიანები. დიდ მუსიკალურ ოჯახს დეთის დიდი საჩუქარი ხვდა წილად.

დიდება და მადლობა უფალს, რომ ის ყოველთვის ჩვენ გვერდითაა.

ასე დასრულდა ეს უღამაზესი ზღაპარი.

ჩემო პატარებო. ტკბილ ძილს გისურვებთ.

ლიანა ოსია შვილი-მეღიქიძე

**ხელი მიკანკალებს...
ანუ
“სიცოცხლე აქ იწყება”...**



დღემდის იმდენი სტატია და ნარკვევი გამოქვეყნებია, ღმერთმა უწყის, ისინი ზოგჯერ კარგ მოთხრობასაც სჯობდნენ. ამ ნარკვევის დასაწერად კი ხელი მიკანკალებს, ხელი კი არა გულიც, ისეთ ფსიქოლოგიურ განცდაში ვარ.

რა დამავიწყებს ამ წლის პირველ დეკემბერს. პურნალ „ათინათის“ რედაქტორმა ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილმა დამირეკა: (ქ. რუსთავი) – მე და მეუფე თადეოზი (ბატონი მირიან იორამაშვილი) მოხუცთა თავშესაფარში სადამოს ვაწყობთ და დაესწარიო. თან დააყოლა: – იქ უნდა იმღეროო. რომელი როტარო ან პუგანოვა მე გახლავართ, მაგრამ კონტიგენტის თუ მეც არ ვიცი რატომ, დავეთანხმე: – ჩონგურს წამოვიღებ-მეთქი. ალბათ ბედი იყო წასვლა რომ არ ვიუარე. ასე მოვხვდი მოხუცთა თავშესაფარში, ჩონგურით ხელში. რომელზე სათქმელის გამოც ვახსენე ხელის კანკალი.

ამ სიტყვას – თავშესაფარი, მოკლე, პირდაპირი გაგებით ვიგებდი ხოლმე. თურმე არც ისე ყოფილა საქმე, შორიდან როგორც მეგონა. მითუმეტეს, როცა ამ სახლის დირექტორმა ბატონმა მალხაზ კვინიკაძემ ბრძანა: „ღმერთმა იცის, ვის რა ბედი მოგველის... ვინ იცის, მეც კი ასეთ სახლში მომიწიოს ცხოვრებამო“... (ეს ვრცელი, სხვა ამბულაში გასარჩევი თემაა, თუ რატომ და როგორ შეიძლება მოუხდეს ეს თვითოეულ ადამიანს... თუმცა კია სიბერის შიში ერთგვარად მაინც გაავიქრება, თუკი ამ სახლში ასე თუ ისე, ერთხელ მაინც მოხვდები.)

მათთან სტუმრობისას ჩემი პირველი ყურადღება პომპეზურმა მხარემ მიიქცია; კი არ წკრიალებდა, კამკამებდა იქაურობა, ეზო, ოთახები.

დირექტორის კაბინეტიდან პირდაპირ დარბაზში მოგვიწია შესვლამ, სადაც “თავშეფარებულები” გველოდნენ. ჩემი ერთგვარი გაკვირვება აქაც მოხდა. ისხდნენ; ზოგი მოხუცი, ზოგი არც ისე

მთლად მოხუცი, სამოციდან ას წლამდე. (ყველაზე უფროსი ამჯერად ოთხმოცდათორმეტისა გვყავსო.)

ერთი შეხედვით, ალბათ, მართლაც კარგი მოვლის გამო, ისე გამოიყურებოდნენ, ზოგზე იფიქრებდი; – ამით აქ რა უნდათ, რა ხდება(?) ან, მოხუცები საკუთარ ნაამაგარ სახლში არ მინახია ასეთი მოვლილებიო... ფეხზე თბილი ფაჩუჩები – ჩუსტები, სუფთა ტანსაცმელი, მეტყველი, გონიერი სახეები... ჩვენ ისინი გვაინტერესებდნენ, იმათ ჩვენ ვაინტერესებდით. ერთმანეთს დაკვირვებით ვუყურებდით, ორი კატეგორია – თავშეფარებულები და პირადი კერიების მფლობელები, ერთმანეთისგან არაფრით განვსხვავდებოდით. (მითუმეტეს ქალაქი პატარაა და ზოგი მათგანის სახე ნაცნობადაც მეჩვენებოდა, თითქოს გუშინ-გუშინწინ ქუჩაშიც რომ შემხვედროდნენ)...

საღამო ქალბატონმა გულნაზმა გახსნა. შემდეგი სიტყვა მეუფე თადეოზმა აიღო. თვითოეული ჩვენგანის კურთხევის შემდეგ და მისივე ნაჩუქარი თვითოეული ჩვენგანის ხელში ანთებულ-აჩირად-დნებულები სანთლები (მოსაღამოებელი იყო) იქაურობას სიწმინდის, რწმენის, სანდობის ელფერს მატებდა. მეუფემ ვრცლად ისაუბრა სამშობლოზე, რწმენაზე, ღვთის შვილ, საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი, მთავარეპისკოპოსი მცხეთა-თბილისისა და მიტროპოლიტი ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის, უწმინდეს და უნეტარეს ილია მეორეზე, მის დეაწლზე, მის ისტორიულ საქმე კეთილზე...

მეუფემ თვითოეულ ჩვენგანზეც ისაუბრა, რომლის სიტბო-მადლ-ყურადღებაც ყოველი ვგრძნობდით, თითქოს მისტიურად გვაპტრონობდა.

საღამოზე სიტყვით გამოვიდა, აგრეთვე, სტუმრად მოწვეული მამა ონისე, მანაც ვრცლად ისაუბრა ქართველობაზე, ქრისტიანული რჯულის მადლ-ძალაზე. ფუნდამენტურ თუ აბსტრაქტულ მეცნიერების - რწმენაზე დამყარებაზე...

დარბაზში დირექტორი ხან შემოდოდა, ხან გადიოდა. როცა პირველად შემოვიდა, მოხუცებს ისე თბილად, გამამხნევებლად, სიყვარულით მიესალმათ: - როგორა ხარ ბავშვებო, – სიტყვა დირექტორის სიცივე უცებ დაიმსხვრა...

ქალბატონი გულნაზი უკვე რამდენჯერმე იყო იქ ნამყოფი. ერთ-ერთ შეხვედრაზე პოეტური ჯგუფი „ზღვარის“ წევრებიც ჰყოლია და მაშინ სტუმარ-მასპინძლის ლამის ლექსში პაექრობაც გამართულა. ვიდრე საღამო დაიწყებოდა, იგი გაკვირვებული მიამბობდა ოთხმოცდასამი წლის მობინადრე – ეთერ გვარამაძეზე, მის პიროვნულობაზე, (პროფესიით ეკონომისი გახლავთ), მის შემოქმედებაზე, ლექსებზე, რომელსაც ღვთისმსახურთა გამოსვლის შემდეგ ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსის დიპლომი გადასცა და რომელსაც ჟურნალ „ათინათში“ უსასყიდლოდ გამოუქვეყნა ლექსები.

რედაქტორისგან ამ საღამოზე ჩემთვის პირველი დავალებით (ბოდიშის მოხდით – ბავშვობის შემდეგ არ მიმდებარა-მეთქი) შევასრულე სიმღერა ჩონგურზე „დედა“, რომელსაც ოვაციით შეხვდნენ.

მეუფე თადეოზმა სანთლებთან და ფრესკებთან ერთად ახალგამოცემული ლექსთა კრებული: „აღქმული გაზაფხული“ გვაჩუქა, საიდანაც ამ მართლაც საინტერესო, საჭირო, მშვენიერ საღამოზე მე, ქალბატონი გულნაზი, პოეტი ლამპირა შევილაძე ერთიმეორის მიყოლებით ლექსებს ვკითხულობდით, თანაც ისე გულიან-მარილიანად, მგონი კარგ მსახიობებს შეშურებოდათ. თურმე ყველაფერი გამოდის თუ გულით აკეთებ. ჩვენ კი იმ წუთში ამ ადამიანებისთვის არაფერი გვენანებოდა. მოხუცებულთა სახლში ჩატარებული საღამო ერთი ვნებათაღელვით მიმდინარეობდა.

ამ ჩემს მოწონებულ თავშეფარებულებს, რომლებიც ცოტა კი არა, საკმაოდ მოიღალნენ, უკვე ერთ ადგილზე ჯდომა გაუჭირდათ, რომლებიც ჩვენთან კონტაქტში საკმაოდ ემოციური ხიბლით შემოდოდნენ, ის კი არა ერთი-ორი ადგა და უბოდიშოდ, პირდაპირ სტუმრების ტრიბუნის წინ გავლით კარისაკენ გაემართნენ... აქ შემეცვალა განწყობა, მანამდის გუგულებით რომ მეგონა ისხდნენ, მართლაც შესაფერად მოვლილ-ჩაცმულები, დავინახე ზოგი ცალი და ზოგი ორივე ყავარჯნით რომ იყვნენ შეიარაღებულები და ძლივს რომ დადიოდნენ... გული შემეკუმშა, არ წაიქცნენ-მეთქი. ზოგს თავად ყავარჯნებზე დამატებით იღვებამდე შემდგარი პლასტმასის საყრდენებზე ჰქონდათ. რასაც თავიდან დაუკვირვებელი თვალთ ვერც შენიშნავდი. ამ ლამაზი ეიფორიის ფონზე დირექტორი (ვინ იცის გამოცდილებით) თითქოს მიგვისვდა ნირის შეცვლას და კასტილებიან ერთ-ერთ ქალბატონზე „შეგვახსენა“, – რა ვუყოთ, ასეთია მოხუცთა თავშესაფარიო და ეს სწორედ მაშინ, როცა ჩვენ მათი გართობით ვიყავით გართულები... რადგან ჭირდა უკვე საღამოს გაგრძელება, მეუფე თადეოზმა თვითოეული ჩვენგანის, კვლავ ლოცვა-კურთხევით, მომავლის, ღვთის შემწეობის იმედზე საუბრით საღამო დაასრულა. ხოლო უკვე წამოშლილ-შეჩოქილებულმა მობინადრეებმა ქონ გულნაზის მეუფე თადეოზის მობრძანებისთვის მადლობა გადაუხადეს...

საღამოს დაწყებამდე დირექტორთან კითხვების დასმა ნაკლებად მოვასერხე. როცა თავის კაბინეტში იგი კვლავ შეგვიძღვა, სადაც მცირე, მაგრამ გულმდობარი სუფრა გველოდა, განცდებით აღსავსეებს აგვისხნა: – ყოველთვის ხვარეილი სუფრა აქეთ მობინადრეებსო... უხერხულადაც ვგრძნობდი თავს, სუფრას არ ველოდი, აქ ხომ უნდა მოიტანო მხოლოდ...

აქ კითხვების დაუსმელად გაგრძელდა იმ საკითხებზე საუბარი, რაც მაინტერესებდა, რადგან თამაღობა მეუფისაგან თავად ბატონ მალხაზს ხვდა წილად, მან მოკრძალებულად, უფლის სადიდებელზე, სამშობლოზე, იქ მაცხოვრებლებზე რამოდენიმე მჭერმეტყველური სადღეგრძელო შემოგვთავაზა. ერთი სულის ადამიანები ხომ უფრო მეტად უგებენ ერთმანეთს, ბატონ მალხაზის სასულიერო აკადემია ჰქონია დამთავრებული, ამიტომ მეუფის, მამა ონისესა და მას შორის საინტერესო დიალო-

გი გაიმართა მორწმუნეობის საკითხებზე, პარალელურად საუბრობდა ამ სახლის დაარსების, ყოფის ისტორიაზე, მომავალ გეგმებზე, რომ სახლი დაარსდა 1995 წელს, რომლის გახსნაც, ერის წმინდა მამას ილია მეორეს უკურთხებია. სახელიც ბატონი მალხაზის გარდაცვლილი შვილის პატივსაცემად მასვე დაურქმევია. – „წმინდა აკაკი მორჩილის ქსენონი, რუსთავის მოხუცთა სახლი“.

საჭიროება რადგანაც აღარ ითხოვდა ზოგ კითხვას სხვათაშორის ვსვამდი. ქალაქის თვით-მმართველობა თუ გეხმარებათ- მეთქი? – მაგათით ვარსებობთ, ეგენი გვაფინანსებენო. ის კი არა მათგან ელემენტალური ყურადღებაც არ გვაკლიაო.

კონკრეტულად? - ყოველ სადღესასწაულო დღეებში მოდიან მოსალაცადო და მთელი რიგი სადღესასწაულო დღეები ჩამოთვალა.

მადლიერებით ახსენა ადგილობრივი ეკლესიის მსახურები: – მამა დიმიტრი, მეუფე იორამი, ძალიან ხშირად მობრძანდებიან ხოლმე, ქადაგება-სანუგეშებლადო. საუბრობდა ასევე მომსახურე პერსონალის სიკეთეზე, მედიკოსებზე, იქ მცხოვრებ თვითეული წევრის ისტორიაზე – აქ არცერთი არ არის უბრალო, ყველა ისინი დამსახურებული ადამიანები არიან, ექიმები, პედაგოგები და ა. შ. – როცა ავად გახდებიან ექიმს და ექთანს კი არა მე მკითხულობენ, იციან ვუშველიო. ტანში გამცრა, რამდენიმე გარდამეცვალა, მწოლიარე ავადმყოფებიც მყავსო... განსაკუთრებით საზგასმით ისიც აღნიშნა: – თვითეულ მობინადრეს ჰგონია, აქ რომ მოდის სიცოცხლე დასრულდა, არა სიცოცხლე აქ იწყებაო. ჩვენ მათვის ყველა სართულზე გვაქვს ტელევიზორები, სატელიტური თევშებით, სარეცხის მანქანები (მათ არცა აქვთ უფლება თვითონ რაიმე გაირეცხონ, ამიტომ ეძლევათ მომსახურეთ ხელფასი, მოკლედ სიბერის არ უნდა გეშინოდეს თურმე)...

მთელი გექტარი ნაკვეთი გვაქვს ათასნაირი ხილით, აღუბალი, ანტონოვკა – აქ რომ არ არის ღმირით დახედა ხილის ვაზაზე დაწყობილ სხვა ჯიშის ვაშლებს მეუფე თადეოზმა, ისინი თავიანთი ხელით წყვეტენ ხილს... როცა უნდათ, ბალი მათია, მაშინვე მიირთმევენ ხოლმე ვაშლსო...

ბატონი მალხაზი მომხდარ ფაქტებზეც საუბრობდა: – ჩემი თანამრომლები (ნინო ჩხეიძე, მანანა ტყემელაშვილი, გულიკო მაისურაძე, ლეილა გელგონიშვილი და გვარების ჩამოთვლაზე თავი - შეიკავა, ყველას თავთავისი წვლილი მიუძღვით). ყოველ ორ დღეში მოხუცებს ტკბილეულს ურიგებენ. ხომ იცით მათი ბუნება, როცა ბალიდან ბავშვები გვეწვევიან სტუმრად, მათთვის გადასაცემად ყოველთვის აქვთ ჯიბეში შემონახული კამფეტებით (და ჩვენის კარგად რომ „გაეგებინებინა“ ჯიბეში ხელი ჩაიყო.) ქალაქში როცა ბავშვები ალილოზე ტკბილეულს და საჩუქრებს აგროვებენ აქ მოაქვთ, ნეტავ გაჩვენათ იმათ ამათთან მოაქვთ, ესენი იმათ სჩუქნიან არის ხოლმე ერთი ამბავიო (სურათი წარმოვიდგინე „ღიღი“ და პატარა ბავშვების შეხვედრა, რადგან დირექტორის წელანდელი ნათქვამი, „გამარჯობათ ბავშვებო“ გამახსენდა... ჩაფიქრდი...) დირექტორი განაგრძობდა: ჩვენ ამათ ქალაქშიც ვუშვებთ, რომელსაც სკლეროზი არა აქვთ და დარწმუნებული ვართ უკან მოგვაგნებენ. ლიბერთი ბანკის მოხელეს პენსია მათთვის ადგილზე მოაქვს აქ მდიდრებს არა მხოლოდ სოციალურად დაუცველებს ვიღებთ ხოლმე, – როგორ მდიდრები არ ბერდებიან მეთქი? ცოტა კითხვა წავაკვირებ, მათ სარჩენი ფული ყოველთვის აქვთო...

(არც ახლა, არც არასოდეს მჩვევია ადამიანის სიტყვაზე დაჭერა (მითუმეტეს კალმით ღმერთმაც დამიფაროს), მითუმეტეს კარგადაც მესმის არსთა გამრიგეს მიერ შუბლზე დაწერილ ბედ-იღბლით განაწამებ-შედრწუნებულ ადამიანების მოხუცთა თავშესაფარში მოხვედრას (თანაც კარგ პირობებში) მართლაც შეება, ან ბატონ მალხაზის ბრძანებით “სიცოცხლის აქ დაწყება” რატომ ჰქვია, მაგრამ მე თუ ვინმე კითხვას ასეთ სახლზე მიკროფონთან დამისვამს სადაც პასუხი გარდაუვალი შეიქმნება, ასე ვიტყვი: – როგორც სულთმობრძავისთვის რეანიმაციული ისეა კაცთმოდგმისათვის მოხუცებულთა სახლი, ხოლო მისივე ჩასაფარებელ წინადადებაზე: – „ვინ იცის, მეც ასეთ სახლში მომიწიოს ცხოვრებამო“ ვინ იცის ასეთი სახლის დაარსება, ასე გულ-სისხლხორცეულად მისი მოვლა-პატრონობა, იქნებ სწორედ იმ გოდრის წინას ჰგავს, მამა შვილს რომ უბარებს – შენც გამოვადგებაო! გოდორი რომელიც ერთ დირექტორს და ერთ შვილს კი არა, ადამთა მოდგმის თავმომწონებლებს, განათლებულებს, დამსახურებულებს, ექიმებს, მასწავლებლებს თუ, თავმოდულებულებს, მორბენაღს თუ კრესლოიანს, მორწმუნეს თუ ურწმუნოს, გიჟს თუ ჭკვიანს, პატრონიანს თუ უპატრონოს, თანაბრად რომ შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს დასჭირდეს(?) თუმცა ერთიც კია, ასეთი შესადრწუნებელი სახლი, სასახლედაც შეიძლება მოიაზროს იმ ფონზე, როცა იგივე არსთაგამრიგე ერთ-ორი წუთის, ერთი-ორი დღის, ერთი-ორი თვე-წლის ჩვილ მოზარდს თუ კი არსებობის შეწყვეტის განაჩენს გამოუტანს, როგორი განაჩენიც ამ, ან სხვა მოხუცთა თავშესაფრებს ამ, ან სხვა მოხუცებისათვის გამოაქვს.

დირექტორს, რომელიც დახმარებით მადლიერებასა და კმაყოფილებას (ქალაქის მესვეურთა მიმართ) სარწმუნოდ გამოხატავდა, (ამჯერად) ვითომდა სხვათაშორის აბსოლიტურ შეგნებულად ირიბულ-ჩამტრელი კითხვა შევაპარე: – რა გაწუხებ მეთქი. მობინადრეებზე საუბარში გართულმა მანაც სხვათაშორის მიპასუხა: – სიბერეო. დირექტორის ამ ზოგადსაკაცობრიო საწუხრის აღტერნატიულ-იუმორისმაგვარმა პასუხმა გულში გამაფიქრა: დირექტორობისათვის დაბადებულია მეთქი

ლექსის მეტი რა წამიკითხია და მომისმენია, მაგრამ ბატონმა მალხაზიმ (რადგან იქ პოეტები იყვნენ), ისეთი ლექსები წავგვიკითხა, მართლაც იშვიათად რომ მქონდა მოსმენილი: – რატომ წიგნს არ გამოსცემთ მეთქი? (არ მასვენებდა ღმერთი), ლექსები ცოტა მაქვსო. – ამხელა პოეტციალის პატრონი ლექსებზე რატომ არ მუშაობთ ეს ხომ ღამის ცოდოს ტოლფასია მეთქი. ხელით მობინად-

რეგულაციები, მთლიან შენობაზე მკაცრად მომანიშნა - დრო არა მაქვსო და დირექტორმა, როგორც მამბე-ზარა მწერს ხელს რომ აუქნევ, ისე მოიცვალა უცებ ამ კითხვაზე პასუხი.

როცა მსგავსი დონისძიებებიდან, გნებავთ აკადემიების ხანგრძლივი სხდომებიდან სახლში (ქმარ-შიგლთან) მიმეჩქარება, ჩემი შემჩერებელი ძალა აღარ არსებობს ხოლმე. ამ სუფრაზეც დამავიწყდა ყველა და ყველაფერი, წამოვდექი გასაქცევად (მაგიდის წვერები კიდევ ავაყენე რომ გამეცლო), - „დაჯექი ჩვენ ყველა წავად“ გაისმა ხმა რომელსაც რა თქმა უნდა დავემორჩილე, რადგან ეს არ იყო ჩვეულებრივი მოკვდავის მბრძანებლური ან დამყვავებლური ხმა-კილო. ეს იყო ღვთიური, ზეადამიანის, მეუფე თადეოზის ხმა... სულ რაღაც წუთნახევარში მართლაც დავიშალეთ...

(მეორე დღეს ქალბატონი გულნაზი სინანულით მიაბობდა: - არ ვიცოდი თუ ეს დიდი პიროვნება - მეუფე თადეოზი, მართლაც ნამდვილად მოახერხებდა მობრძანებას, თორემ რუსთავის (ღია ჯღარკავა, ლალი ნაზლაიძე და) თითქმის საჯარო სკოლების ყველა დირექტორებს უნდოდათ მისი გაცნობა, მისგან კურთხევაო) ...

ეზოში გამოსულმა კვლავ ვიგრძენი მეუფის ზრუნვა. მკითხა: მანქანაში ორი ადგილი გვაქვს, სახლებში მიგიყვანთ, რამდენი ხართო. ამ დიდ პიროვნებასთან პასუხისას ვიბნეოდი, სამი მეთქი და სულ დამავიწყდა ჩვენი მეოთხე წვერი გულნაზის შვილიშვილი, რუსთავის მე-II საჯარო სკოლის მეათე კლასის წარჩინებული მოსწავლე, (პროექტ „წიგნის მეგობრებში“ გამარჯვებული ჟურნალ „ათინათის“ თანამშრომელი კომპიუტერული ვერსიის დარგში) ნანა სხირტლაძე, რომელიც სწორედ მეუფის გასაცნობად იყო მოსული ამ საღამოზე და რომელსაც ჟურნალისათვის სამახსოვრო სურათების გადაღება ჰქონდა დავალებული. და მეუფეს შევეკადრე: - ჩვენ მანქანა გვყავს მეთქი და ჩემს ცხოვრებაში პირველად ვიუხერხულე საჭეს მივჯდომოდი, რადგან ეს ღვთიური, - ზეპიროვნების, დიდი მეუფის წინ ხდებოდა...

უცებ ჩემს მოულოდნელად, ჩემთვის არანაირი ყურადღება მანამდე რომ არ მოუქცევია („ვინ იცის იქნებ იმიტომ უკვე იქ მისულებს დამავალა რედაქტორმა: წერილს შენ დაწერო, მე კი ხელში კალმის ნაცვლად ერთი უწყინარ - უბოროტო პაპა-ბებიის დროინდელი ჩონგური მეჭირა. საწერი არა მაქვს მეთქი და - ზეპირად დაიხსომეო, მიბრძანა“), დირექტორი მინასთან დაიხარა და ჩუმიდ მეუბნევა: (ან იქნებ იმიტომ რომ ამხნევეა ძალიან ვჩქარობდი) - მეუფეზე წინ ეზოდან არ გახვალ, არ მწყენია ეს ხომ („ბავშვმაც კი იცის ვინ არის კაკო“) იმ ეთიკის უბრალო შეხსენება იყო, რომელიც მართლაც ბავშვმაც კი იცის.

საკმაო ხანი გაგრძელდა ურიერთგზის დათმობის პაუზა-რიტუალი. მაღალმა ღმერთმა და იქ მყოფებმა იციან მხოლოდ ეზოდან ბოლოს პირველი მანქანა რომელი გავიდა ქალის თუ ღმერთის ტოლფასი მეუფის...

დავიშალეთ. მანქანა (ნაჩუქარი სანთლებით, ფრესკებით, თადეოზის წიგნით) დაიძრა და ყურში გარკვევით ჩამესმოდა: - „სიცოცხლე აქ იწყებაო“, ხმა რომელიც არასოდეს დამავიწყდება, ხმა რომელსაც ვერანაირი მოქნილი კალმით ვერასოდეს გავცემ ზუსტ დოგმატურ-დამაჯერებელ-შეფარდებულ-მეცნიერულ-ამოხსნა-ამომწურავ-დასაბუთებულ პასუხს, ვერც აკანკალებული და ვერც აუკანკალებელი ხელით.

ქუყუნა ნიჟარაძე-მაჭავარიანი

უფლისწული კურეში

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ქვეყანა, მას საქართველო ერქვა... ამ ამბავს იმიტომ ვიწყებ ზღაპრის სტილში, რომ ზუსტად არ ვიცი ის დრო, როცა ეს ამბავი მოხდა.

ამ ქვეყნის მეფეს შეეძინა ქალიშვილი, რომელსაც მზისდარა და-არქვეს. იზრდებოდა ქალიშვილი და ყოველდღიურად უფრო და უფრო მშვენივრდებოდა. მისი სილამაზის ამბავმა მეზობელ ქვეყნებამდეც მიადწია. ერთ-ერთი სახელმწიფოს შახი ესტუმრა საქართველოს მეფეს და სთხოვა: ჩემი ერთადერთი ვაჟისათვის მინდა შენი ქალიშვილი, ყველამ იცის, როგორი მდიდარი და ძლიერია ჩვენი ქვეყანა. ჩვენი დანათესავებით კი ძლიერი მოყვარე გეყოლებათო.

ძალიან გაუხარდა საქართველოს მეფეს, რადგან ხშირად მისი ქვეყნის აოხრება სწორედ ამ ძლიერი ქვეყნებიდან ხდებოდა.

შეთანხმდნენ, დანიშნეს ქორწილის დღე და უზარმაზარმა ამაღლამ დიდი ზარ-ზეიმის შემდეგ პატარძალი ირანში წაიყვანა.

ირანის შაჰის ტახტზე ქართველი დედოფლის გამოსწრა ბევრი ადგილობრივი, მდიდარი შეიხებისათვის მიუღებელი აღმოჩნდა, რადგან ბევრს უნდოდა, რომ ამ ოჯახს თვითონ დაპატრონებოდა.

დედოფალი მალე დაორსულდა, შახს ძალიან უხაროდა შვილიშვილი, მალე იმშობიარა ახალგაზრდა დედოფალმა მალე იმშობიარა და ძალიან ლამაზი, ჯანმრთელი ბიჭი გააჩინა. ბიჭს კურეში დაარქვეს. შაჰი ძალიან გახარებული იყო.



ამ დროს ირანს თავს დაესხა მეზობელი ქვეყანა. ამ ბრძოლებში მართალია ირანმა გაიმარჯვა, მაგრამ ახალგაზრდა შაჰი ბრძოლის ველზე დაიღუპა. დიდმა შაჰმა ვერ გადაიტანა ეს ამბავი და მალე ისიც გარდაიცვალა.

დასუსტებულ და ძალზე შეწუხებულ დედოფალს ბევრი მტერი ჰყავდა, მისი დედოფლობის პირველი დღიდან. ძალიან შეეშინდა ბავშვისათვის ზიანი არ მიეყენებინათ და საქართველოდან გამოყოფილ თავის ძიძას სთხოვა ბავშვი გადაემალა. დედოფალს მძიმე დღეები დაუდგა. მან ვერ აიტანა ამდენი მწუხარება და მალე გამოესალმა წუთისოფელს. ასე ღარჩა მისი პირმშო – პატარა კურეში მთაში, ერთი მეცხვარის ოჯახში.

უფლისწული ლაღად იზრდებოდა მთის ბუნებაში. ერთ დღეს ბიძამისი, რომელიც ახალგაზრდა იყო და უკვე შაჰის ტახტი ეკავა, სწორედ ამ ადგილებში გაემგზავრა სანადიროდ და ერთ სოფელში, ბავშვებთან მოთამაშე პატარა კურეში რომ დაინახა, ძალიან მოეწონა. რაკი შვილი არ ჰყავდა, გადაწყვიტა, რომ ეს ულამაზესი ბავშვი მეძვედრედ გაეზარდა. გაუზარდა კურეშის გამზრდელს, რომ ყმაწვილი თავის ოჯახს დაუბრუნდა, მაგრამ სიმართლეს ვერავის უმხელდა. სამეფო კარზე ბავშვს ისე ზრდიდნენ, როგორც შაჰის შვილს ეკადრებოდა. შაჰს არ მოეწონა სახელი კურეში და იფიქრა სხვა სახელს დაეარქმევო, მაგრამ ბავშვმა სთხოვა ამ სახელს ნუ შემიცვლი, მე ძალიან მომწონს და თქვენის ნებართვით ვეცდები არ შეგარცხვინო. ის კი არავინ იცოდა, რომ მისმა ქართველმა დედამ ეს სახელი თავისი სამშობლოს სიყვარულით შეარქვა. კურა ხომ მისი ქვეყნის ყველაზე დიდი მდინარე იყო და ბავშვის სახელიც აქედან იყო წამომდგარი – კურა-კურეში. “კურად” მდინარე მტკვარს პირველად ბერძენი ისტორიკოსი და გეოგრაფი სტრაბონი (ძვ. წ. 64-63 – ახ. წ. აღ. 23-24) მოიხსენიებს. მდინარეს ის “კუროს” უწოდებს და თან შენიშნავს, რომ წინათ მდინარეს “კოროსს” ეძახდნენ.

ერთი სიტყვით, ირანის ყველაზე ძლიერი შაჰის შაჰ-კურეშის დროს უფრო აყვავდა და გაძლიერდა ეს ქვეყანა. მან ბევრი ქვეყანა დაიპყრო და ყველა იმას უკიუიებდა, რომ საქართველოც დაეპყრო. მაგრამ მას სისხლის შინაგანი ყვილი არ აძლევდა ამის უფლებას და საქართველოსთან კეთილ მეზობლობას ამჯობინებდა. შაჰ-კურეშის სიკვდილის შემდეგ ბევრმა ფერეიდნელმა ქართველმა თავიან შვილებს ეს სახელი დაარქვეს.

გასრულდა ესე ზღაპარი. ქატო იქა, ფქვილი აქა...

სინამდვილეში კი ეს ამბავი ჩვენი ოჯახის უახლოესი მეგობრების, ფერეიდნელი ქართველის რეზვა (რეზო) მიქელაძისა და მისი მეუღლის მარზის შვილის – კურეშის გამო დაწვერე. მათ საქართველოში ფერეიდნიდან ოთხი შვილი ჩამოიყვანეს – ორი ქალი და ორი ვაჟი. მეხუთე შვილი გურამი კი საქართველოში შეეძინათ, მეორე სამშობლოში, ყოფილ კამოს ქუჩაზე. ისიც მოვნათლეთ ქრისტიანულად, სვეტიცხოველში, მისი ნათლიები არიან ჩვენი საყვარელი პოეტი ირაკლი აბაშიძე და ჩემი ქალიშვილი თამარ მაჭავარიანი-ქალაგიძე.

ცანცალა

ერთ ქვეყანაში გამრჯე და მუყაითი ხალხი ცხოვრობდა. დღე და ღამე ჯაფაში იყვნენ, მაგრამ წლიდან წლამდე სული ძლივს გაჰქონდათ, რადგან მწირი მიწა მოსავალს არ იძლეოდა.

ერთმა მხიარულმა ახალგაზრდამ განიზრახა, წავალ სადმე, მდიდარ ქვეყანას ვნახავ და იქ ვიცხოვრებ, რაღა ამ ქვეებს შევაკლა თავიო! ამ ფიქრებში იყო,

თოხს ხელი უშვა და ხალხმაც ცანცალა შეარქვა.

ადგა ცანცალა, წავიდა, ცხრა მთა გადაიარა და ჩავიდა ერთ ქვეყანაში, სადაც ხალხი ტიტველი იყო და არც შრომობდა, არც რამე გაეკებოდა. ცანცალა საკუთარ თვალებს არ უჯერებდა: თვალ-მარგალიტი რიყის ქვებით ეყარა, ხილით დახუნძლული ხეები ტოტებს ვეღარ აკავებდნენ და მიწამდე დაეხარათ. ყანებში მოსავალი თავისით მოდიოდა. ცანცალასაც ხომ ეს უნდოდა! ჭამდა, სვამდა და პატიოსანი ქვებით კოჭაობდა.

მაგრამ მალე უქმად ყოფნა მოსწყინდა, ხალხს სახლების აშენება და ტანზე ჩაცმა ასწავლა, შემოსა, პირველყოფილი ველურები ნამდვილ ადამიანებად აქცია. ხალხმა კიდევ ცანცალა მეფედ აირჩია.

გავიდა ხანი, ცანცალას მარგალიტების ქვეყნის მეფობაც მოსწყინდა, სამშობლო მხარე და თავისიანები მოენატრა. ვერ მოისვენა, დაჰკრა ფეხი და წავიდა. მადლიერმა ხალხმა ორი დიდი ჩანთა თვალ-მარგალიტით აუესო და პატივით გააცილა.

გზაში ცანცალას ავაზაკები დაესხნენ თავს და მთელი სიმდიდრე წაართვეს, მხოლოდ ჯიბეებში ჩარჩა შემთხვევით რამდენიმე ძვირფასი თვალი. არარაობას სამი ლალის თვალი ჯობიაო, თქვა და გზა განაგრძო.

ბევრი იარა თუ ცოტა, ერთ ქვეყანაში ჩავიდა. იმ ქვეყნის მეფე, აგერ სამი წელიწადი, მეზობელს ეომებოდა, ხალხს ქანცი ჰქონდა გაწყვეტილი. ცანცალა მეფესთან შევიდა.

– რას ომობთ, რას აკლავთ თავს ერთიმეორეს და რისთვის ხოცავთ ამ საწყალ ხალხს? – უთხრა. – მე შეგარიგებთ.

– ოჰ, თუ ამას მიახერხებ, ნახევარ სამეფოს მოგცემ და ჩემს ასულსაც შეგერთავო, – უთხრა ხელმწიფემ

– არც ნახევარი სამეფო მინდა, არც თქვენი ასული, – მიუგო ცანცალამ, – იმიტომ კი არა, რომ გწუნობთ და არ გაკადრულობთ, ამას როგორ გაკადრებთ! მე ჩემი სამშობლოს კენჭი მირჩევნია თქვენს ტახტს. აგერ ლალის თვალი ჯადოსნურია, მის მფლობელს მტერი ვერ შემოესევს. მოკლედ ნახევარ სამეფოდ ღირს. აიღე, ის შენია, ოღონდ შეწყვიტე ომი.

მეფის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. მეორე ასეთი თვალი ცანცალამ მეზობელ მეფეს მისცა და დამყარდა სამუდამო მშვიდობა.

ცანცალა სამშვიდობო ნადიმს დაესწრო, სამი დღე და ღამე იქეიფა, შემდეგ კი გზა განაგრძო. ცხრა წვეილი ქალამანი გაცვითა და სამშობლოშიც დაბრუნდა. ყველას გაუხარდა დაკარგული ბიჭის დაბრუნება. მისი მონაყოლი ზღაპრად ჩათვალეს, მაგრამ, როცა პატიოსანი თვალი ამოიღო და თავისი ციური სხივით ყველას თვალი მოსჭრა, მაშინ იკადრეს გაჩუმება.

– ეს უბრალო თვალი არ არის, თქვა ცანცალამ, როცა ხალხი გონს მოვიდა. – რა ქვეყნის მიწაშიც ეს თვალი ჩაიმარხება, იმ ქვეყნის მიწა მწვანედ აბიბინდება და სამმაგ მოსავალს მისცემს პატრონს.

აბა, ამაზე კარგს ხალხი რას ინატრებდა! ლალის თვალი ჩამარხეს და მიწა მოხნეს. იმ წელს ხორბალი ბელღებში ვერ ეტეოდა, ხილი გორებად ეყარა...

ცანცალა კი, რაღა თქმა უნდა, მეფურ პატივში იყო და თავისთვის მღეროდა:

სამშობლოს ვენაცვალე,
წისქვილს დავიდგამ თავზედა!
მამულის ქვასაც არ გავცვლი
სხვა ქვეყნის ძვირფას თვალზედა!

მთვარე მამარეში

ადამიანი უბედესი დროიდან შესცქეროდა მთვარეს და ოცნებობდა მასზე ფეხი დაეღვა. ყველა პლანეტისაგან განსხვავებით, მთვარე არაჩვეულებრივი საიდუმლოებით დაჰყურებს დედამიწას. ადამიანები მარტო იმასღა ახერხებდნენ, რომ ქნმინდნენ ლეგენდებს. მეცნიერები კი ცდილობდნენ, ამოეხსნათ და შეესწავლათ მთვარე.

ადამიანის ოცნება მთვარეზე მოგზაურობის განუხორციელებელ სურვილად რჩებოდა, რადგან ადამიანმა იცოდა, რომ ფრთებს ვერ გამოისხამდა და ვერ გაფრინდებოდა, როგორც ჩიტი, ისე, როგორც ზოგიერთ ზღაპარშია აღწერილი: ვერც კიბეს ჩამოუშვებდნენ მთვარიდან.

და აი, 1961 წელს ადამიანი პირველად გაფრინდა კოსმოსში. პირველმა კოსმონავტმა, იური გაგარინმა, მთვარეზე გაფრენის იმედი ჩაუნერგა ადამიანს.

1990 წლის ივნისში საქართველოს ეწვია ამერიკელი ასტრონავტი ჯეიმს ირვინი.

ამჯერად მქონდა პატივი, რეალურად, ნამდვილად და არა სიზმარში, მესაუბრა ადამიანთან, რომელიც მთვარეზე იყო ნამყოფი. იგი იმ თორმეტ ასტრონავტთაგანია, რომლებიც მთვარეზე იყვნენ. ეს ექსპედიცია იმითაც არის აღსანიშნავი და საყურადღებო, რომ მაშინ პრველად გამოიყენეს მთვარეშეშვადი. ამ მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ მან დააარსა ქრისტიანული ორგანიზაცია "ჰაი ფლაი ფაუნდემის", რომლის დევიზია: "უფრო მნიშვნელოვანია ღმერთი იყოს დედამიწაზე, ვიდრე ადამიანი მთვარეზე".

ბატონმა ჯეიმსმა საუბარში განაცხადა: "ბავშვობიდან ვოცნებობდი გაფრენილიყავი მთვარეზე, ჩემს ამ ოცნებას მშობლები სისულელედ მითვლიდნენ, მაგრამ 1971 წელს ორმოცდაათი წლის ასაკში, "აპოლონ 15"-ით, ორ ასტრონავტთან ერთად მთვარეზე გაფრინდი. ბეჯითი სწავლით, ვარჯიშითა და შრომით მივალწიე – ოცნება ავისრულე.

ყოველთვის მწამდა, რომ ჩემს ცხოვრებას უფალი წარმართავს. 1961 წელს დიდი უბედურება შემემთხვა: ის-ის იყო დავამთავრე გამომცდელ მფრინავთა სკოლა, სადაც მომანიჭეს საუკეთესო მფრინავის წოდება, რომ ერთ დღეს საცდელი ფრენისას, ჩემი თვითმფრინავი დაიმტვრა. ბედად თვითმფრინავს ცეცხლი არ გაუჩნდა, მაგრამ სერიოზული ტრამვა მივიღე – ორივე ფეხის მოტეხილობა, ტვინის შერყევა და მრავალი ჭრილობა.

კარგა ხანს უგონოდ ვიყავი და როცა გაუმჯობესება დამეცყო, ექიმებმა გამაფრთხილეს, რომ მომავალში ვეღარ ვიფრენდი.

სასოწარკვეთილებამ მომიცვა. საავადმყოფოში ყოველდღე ელოცულობდი. ღმერთს ვევედრებოდი განკურნებასა და თანაგრძნობას.

უფალმა თავისი სიყვარულით ჩემი ძალები აღადგინა. კვლავ დავიწყე ვარჯიში. აღვიდგინე ჯანმრთელობა. სისწრაფისა და სიმაღლის სიყვარულმა კოსმოსურ პროგრამებთან მიმიყვანა. 5 წელი ვემზადებოდი გაფრენისათვის. ტრაგიკული ავარიის 10 წლის თავზე დაიწყო სიზმარივით ლამაზი მოგზაურობა მთვარეზე.

მთვარეზე ჩემს ნაკვალევს რომ დავხედე, რაღაც არაჩვეულებრივმა გრძნობამ შემიპყრო. მეცნიერები მეუბნებოდნენ "შენი ნაკვალევი მთვარეზე მილიონ წელიწადს დაგრჩებაო, იქ ხომ ატმოსფერო არა არის, ამიტომ არც ქარი და არც წვიმაა, რაღა წაშლის ნაკვალევსო."

როცა იქიდან დედამიწას ავხედე, პატარა მოცულობის ულამაზესი ბურთი დავინახე. იგი კარგ ამინდში ოქროსფერად ციმციმებდა, მოღრუბლულში კი ლურჯად აკიაფდებოდა ხოლმე.

ამ სილამაზის პატრონი ადამიანი ცოტა უსუსურიც კი მომეჩვენა, რადგან არ უფრთხილდება ამ ლამაზ ზღაპრულ ბურთს. უმოწყალოდ იღვრება სისხლი, ნადგურდება ბუნების სიმშვენიერე. თუმცა ბიბლია გვეუბნება, რომ დადგება განკითხვის დღე, მაგრამ მჯერა, რომ სიყვარული, მეგობრობა, ურთიერთდახმარება გადაარჩენს დედამიწას. ადამიანებს არაფერი უნდა ჰქონდეთ გასაყოფი, უნდა გაუფრთხილდნენ ერთმანეთს. ასევე ვლოცულობ დედამიწაზე და ასევე ვლოცულობდი მთვარეზეც. როცა დედამიწაზე დავბრუნდით, ადამიანები მეუბნებოდნენ: "ვლოცულობდით თქვენზეო". მე კი ნამდვილად ვგრძნობდი ამ ღოცვის ენერჯიას მთვარეზე. თითქოს ჩემთან ერთად ღმერთიც იყო, მე ვგრძნობდი ამას, როცა დედამიწა დავტოვეთ, თან წავიდეთ მიკროფილმი - ახალი აღთქმა, ჩემი ეკლესიის მრევლის მიერ ხელმოწერილი. მთვარეზე გატარებული დღეები ძალიან ამაღლებელი იყო, არა იმიტომ, რომ მე ვიყავი იქ, არამედ იმიტომ, რომ ღმერთი იყო იქ. მე ვგრძნობდი იქ ყოფნას, მძიმე წუთებში ვლოცულობდი და პასუხი წუთიერი იყო: "იგი იქ იყო თქვენი ღოცვის წყალობით" მე ეს ბევრს ვუთხარი. ჩვენ სამი დღე დაგვჭირდა მთვარეზე ჩაფრენისათვის, სამი დღე კი ვცხოვრობდით მთვარეზე. მიზიდულობის ძალა მთვარის ზედაპირზე 6-ჯერ ნაკლებია, ვიდრე დედამიწაზე. ადამიანი, რომელიც დედამიწაზე 60 კგ-ს იწონის, მთვარეზე 10 კგ-ია. მთვარეზე 15 დღე თითქმის ბნელია, 15 დღე კი ნათელი. მუშაობა მთვარეზე ნათელ გარემოში მოგვიხდა. ატმოსფეროს უქონლობის გამო მთვარეზე ღამის განმავლობაში საშინლად ცივა, ხოლო დღე კი ცხელა. ტემპერატურა მასზე მერყეობს 150გრ. სითბოდან 160 გრ. სიცივემდე (ცელსიუსით).

ჩვენ რა თქმა უნდა სკაფანდრით ვმუშაობდით. ქვიშით, ქვებითა და ქვიშის მტვრითაა დაფარული მთვარის ზედაპირი. თვითმფრინავიდან რომ გადმოვხედე ღამის თბილისს, მთვარის რელიეფი გამახსენდა. მისი ზედაპირი დადარულია ისე, როგორც მთები.

მთვარეზე ნანახი მთლიანად ამართლებდა მეცნიერების მონაცემებს, მაგრამ მეცნიერებმა წინასწარ ვერ განსაზღვრეს, რა დატვირთვა გველოდა იქ. წყლის მარაგი ცოტა აღმოგვაჩნდა. ორგანიზმი კი მეტს მოითხოვდა, ვიდრე გვქონდა. ამდენად, წყლის შეზღუდული რაოდენობით მოხმარებაზე გადავედით, რამაც ორგანიზმზე უარყოფითი გავლენა იქონია. თუ დედამიწაზე ადამიანმა საშუალოდ 2 ლიტრი სითხე უნდა მიიღოს დღეში, იქ ორჯერ და სამჯერ მეტია საჭირო, რომ ორგანიზმი სითხისგან არ დაიცალოს. პირადად მე მთვარიდან დაბრუნების შემდეგ 1 წლის მანძილზე ორი უძლიერესი გულის შეტევა გადავიტანე.

ამიტომაც დაწერეს მეცნიერებმა "აპოლონის" მედლის ერთ მხარეზე: "ადამიანის ფრენა დამოკიდებულია მისი ცოდნის ძალაზე". თუმცა ბატონი ჯეიმსი ამტკიცებს, რომ ადამიანის ფრენაში დიდ მონაწილეობას იღებს იესო ქრისტეს ძალის შემეცნება. "არაჩვეულებრივი გრძნობა მქონდა, როცა მთვარეზე დავსეირნობდით. მთვარეზე მიმოფანტული ქვები სხვადასხვა ფერისა იყო. თავიდან თეთრი ქვა ვერ ვნახეთ. მხოლოდ გამოფრენის წინ, ერთ ამაღლებულ ადგილზე დავინახეთ მონაცრისფრო ქვაზე თეთრი ქვა. იგი მზის სხივებზე ბრწყინავდა, ელვარებდა, ქვაზე მტვრის ნასახიც არ იყო, თითქოს იგი ამბობდა: "მე აქა ვარ, წამიღეთ." ჩვენც წამოვიღეთ და აქ დედამიწაზე მას შევარქვით "ყოფიერების ქვა". ჩვენ მოგვეჩვენა, რომ ეს ქვა თვით ღმერთის გამოგზავნილი იყო, როგორც სიმბოლო სიკეთისა და ბედნიერებისა დედამიწაზე. ამიტომ წამოვიღეთ და აქ, დედამიწაზე მას შევარქვით "ყოფიერების ქვა". როდესაც დედამიწაზე დავბრუნდით, მე მადლობას ვუხდელი მათ, ვინც დააპროექტა და ააშენა ჩვენი კოსმოსური გემი, მათ, ვინც გვეხმარებოდა ჩვენი ფრენის დროს სისტემის მართვაში. ასევე ყველა მეგობარს მთელს მსოფლიოში, მე ვლოცულობდი ჩვენი გამარჯვებისათვის და მადლობას ვუხდელი ღმერთს, რადგან მან საუალება მოგვცა, დაგვეტოვებინა დედამიწა და გამოგვეკვლია ციური გარემო. ამ სიზმარივით ლამაზი მოგზაურობის შემდეგ განსაკუთრებული რეჟიმით ვცხოვრობ, ბევრს დავდივარ, დავრბივარ, ძირითადად ვიკვებები ხილით, მაწვნით, მწვანე ხილით.

საქართველოში, ამ ულამაზეს ქრისტიანულ ქვეყანაში ჩამოსვლა ჩემი კანადელი მეგობრის, ჯერი შერმანის რჩევით მოხდა. ბატონი შერმანი საეკლესიო წრეებში ცნობილი პიროვნებაა. მისი ინიციატივით ითარგმნა ქართულად ამერიკული მხატვრული ფილმი "იესო".

ბატონ ჯეიმს ირვინმა შერმანთან ერთად მონახულა საქართველოს უძველესი ქალაქი მცხეთა, ჯვრის მონასტერი, თბილისის ღირსშესანიშნავი ადგილები.

ბატონი ჯეიმსი ფეხით ავიდა მამა დავითის მთაზე (იგი დღეში 8-10 კმ-ს დარბის). იქიდან დალოცა საქართველო: "როგორც მე ამისრულდა ბავშვობის ოცნება და ნატვრა, ისე ყველა ქართველს ვუსურვებ მათი ოცნებისა და ნატვრის ასრულებას. რა დაგიმალთ და ძალიან შემეყვარდა ეს კუთხე და მასში მცხოვრები ლამაზი ქალბატონები და ბატონები. იმედი მაქვს, რომ ღმერთის ნებასურვილით კვლავ ვეწვევი საქართველოს."

ამერიკელ კოსმონავტთან ჯეიმს ირვინთან შესხვედრისა და მთვარეზე მოგზაურობის შესახებ საუბრის შემდეგ ჩემი დიდი ინტერესი, სიყვარული და სურვილი გაჩნდა იმისა, რომ კარვად გამეც-

ნო მთვარე და ამომეკითხა, რას ფიქრობდნენ სხვადასხვა ქვეყნის ადამიანები მის შესახებ დასაბამიდან დღემდე.

ვფიქრობ, ეს ინფორმაცია მკითხველისათვისაც არ იქნება ინტერესმოკლებული. ყველა ადამიანის მსგავსად ბავშვობაში მეც მიყვარდა ცისკენ ყურება – განსაკუთრებით ღამე, ვარსკვლავებით მოჭედილ ცაზე მთვარის ამოსვლა და შემდეგ გაუჩინარება. ზოგჯერ დილით მზის სხივებით განათებულ ცაზე მთვარის კონტურიც შემიმჩნევია, მაგრამ ეს უფრო იშვიათად. მახსენდება 1950 წელს კიკეთში ვისვენებდით. ძალიან მიყვარდა ღია აივანზე ძილი. ერთ ღამეს ხმაურმა გამაღვიძა. კიბეზე ვილაღ ადიოდა და ჩადიოდა. ძალ-ღონე მოვიკრიფე და ბოხი ხმით შევძახე: "ვინ ხარ, ხმა გამეცი-მეთქი" გადავიხედე და ბეკეკა დავინახე. ვარსკვლავებით მოჭედილ ცაზე მთვარე ანათებდა, რომ ავხედე, თითქოს ეშმაკურად მიღიმოდა. იმ წუთში მე მთვარე ცოცხალ არსებად ჩავთვალე და შემოცხება კიდევ, რომ პატარა ბეკეკამ შემაშინა - მე ხომ ჩემ თავს უშიშრად ვთვლიდი.

ბევრი ბავშვის მსგავსად მეც დიდი სურვილი გამიჩნდა, მეტი გამეგო მთვარეზე, მზეზე, ვარსკვლავებზე. ბავშვობიდან ბევრს ვფიქრობდი ასევე მოგზაურობაზე, რაც უნდა დამხმარებოდა არა მარტო დედამიწის აღქმის, არამედ კოსმოსური სამყაროს შეცნობაშიც. და აი, ეგვიპტეში მოგზაურობის დროს დავრწმუნდი, რომ ქურუმების კოსმიური საიდუმლოების ამოხსნა მეცნიერებს დღესაც გასაშიფრი აქვთ, რადგან ძველი ეგვიპტე ფაქტიურად ადამიანის კოსმიური ბუნების ანალოგიაა.

ზოღიაქო ლომის ნიშნის მმართველი პლანეტა მზეა და ამ ზოღიაქოს ქვეშ დაბადებულები პირველ რიგში მზეს უნდა ვცემდეთ პატივს, ამიტომ მზის შესახებ ერთ ლეგენდას გიამბობთ:

"წინათ თურმე მზე უსაქმოდ დახეტიალობდა ცაზე. იგი ისე სწრაფად დაქროდა, რომ ადამიანები საჭმლის მომზადებასაც კი ვერ ასწრებდნენ.

მზეჭაბუკმა გადაწყვიტა დაეჭირა ფრთამაღლი მნათობი. ერთ დღეს დიდებულმა მნათობმა ის იყო თავი დააღწია ღამის სიბნელეს და ცაზე სირბილისთვის მოემზადა, რომ ჩასაფრებულმა მზეჭაბუკმა ოსტატურად მოსდო ადამიანის თმისგან დავრეხილი ქამანდა და მახეში გააბა. მზეჭაბუკმა მზე აიძულა ნელა ემოძრაოდა და ამგვარად დღე გაახანგრძლივა."

ძველთაგანვე ადამიანები თავყვანს სცემენ მზეს, როგორც მთავარ და უზენაეს ღვთაებას.

ჩინეთში მოგზაურობის დროს დავრწმუნდი, რომ დღესაც ისევე, როგორც უძველეს დროში ცას აღმერთებენ, რომელიც დღისით და ღამით დაჰყურებს დედამიწას. "ცის თვალები მზე და მთვარე"- ასე უძღვრიან პოეტები.

ჩეხოსლოვაკიაში ისტორიულად თავყვანს სცემენ მზეს. მას ოქროსფერთმიან, ყოველსმცოდნე ღვთაებას უწოდებენ. დღესაც დიდი სიამოვნებით ვიხსენებ პრადის ხელოვნების მუზეუმში ნანახ მზის ბრილიანტებით შემკულ გვირგვინს, შუაში უდიდესი ბრილიანტის თვლით. ქართველები ისტორიულად აღმერთებდნენ და თავყვანს სცემდნენ მთვარეს. ქრისტიანობამდე საქართველოში უქმე დღე იყო ორშაბათი, მაშინდელი "მთვარისა". ვინაიდან იმ დროს ქართველთა უმთავრესი და უძლიერესი ღმერთი იყო მთვარე.

ისიც საინტერესოა, რომ ყოველ მნათობს ძველ ქართულში თავისი სახელი აქვს:

1) მთოვრისა-მთოვარე () ორშაბათი, მთვარის ცას ეწოდება ჭირანო, ჭირმჭრემელი, მთვარეს ყამარი.

2) არიასი (თარხონი) () სამშაბათი - ცირანო.

3) ერმისა (ერმი, ჯიმალი) () ოთხშაბათი ცირანო.

4) აფროდიტისა (აფროდიტი, მთიები) () – ხუთშაბათი-მელტანო.

5) დიორისა, (ღია, დიოსი, ობი, ვები) (+) პარასკევი-კიმკიმელი.

6) კრონოსისა (კრონოსი, მორივე) () შაბათი – არმასტრო.

7) მზისა-(მზე) () – კვირა-კოჭიმელი.

ეს სახელები შემოდებულია ქართველთა უძველესი წინაპრების ქალდეველთა მიერ და საქართველოში იხმარებოდა მე-4 საუკუნემდე.

მთვარეს, ანუ ძველქართულად ყამარს, ქართველი ერის ცხოვრებაში, თეთრი გიორგის უზენაესი ღვთაების ადგილი ეკავა. ესე იგი მთვარე იყო უპირველესი ქართულ კოსმოგონურ მეცნიერებაში, რადგან თეთრ გიორგის ძველ საქართველოში პირველ და მთავარ ღმერთად თვლიდნენ. ამასთან საქართველო არ იყო ერთადერთი ქვეყანა, სადაც აღიარებდნენ მთვარის კულტს. ძველი შუმერები, ეგვიპტელები, ქალდეველები, ბაბილონელები და მრავალი სხვაც მთვარეს ეთაყვანებოდა.

მთვარის ასეთი გაღმერთება გამოიწვია, უპირველეს ყოვლისა, იმან, რომ მთვარე წარმოადგენდა დედამიწის უპირველეს თანამგზავრს, აღიარებულს ძველ საქართველოში მამრულ, ხოლო სხვა ქვეყნებში მდედრულ საწყისად.

მისი მეშვეობით ხდებოდა ამა თუ იმ მოვლენის კოსმიური შეფასება. მთვარის ფაზებით აწარმოებდნენ ამა თუ იმ მოვლენის გამოანგარიშებებს და ბოლოს უძველეს სახელმწიფოებს ჰქონდათ მხოლოდ მთვარის კალენდარი. დროის ათვლა ხდებოდა მთვარის მოძრაობის ფაზებისა და მისი თანავარსკვლავედებში შემოსვლის აღრიცხვით.

ჯერ კიდევ მერვე საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე ასტრონომებმა შეიმუშავეს კალენდარი "მთვარის განრიგის მიხედვით". ჩინელმა მეცნიერებმა კუს ბაკანზე და ცხოველების ძვლებზე შემორჩენილ უძველეს წარწერებში (XV- XII ს.ს. ჩვ. ერამდე) ამოიკითხეს კალენდარი, რომელიც შედგება 12 მთვარის თვისაგან.

უძველესი დროიდან ადამიანები მოვარის მქრქალ შუქს, რომელიც წყვილად ამარცხებს, მია-
წვდნენ სასწაულებრივ ძალას. მოვარე მათთვის მზის სწორი დვთაება იყო. მონღოლები მოვარეს
მეფე-ვარსკვლავს და ცის ყურს უწოდებდნენ – მას დამის ჩუმი შრიალიც კი ესმისო.

მოვარეს - დამის იდუმალ ქალღმერთს თავყანს სცემდნენ სამხრეთ და ცენტრალური ამერიკის
მაიას, ინკებისა და აცტეკების უძველესი ტომები. მართალია, დღეს ეს ტომები აღარ არსებობენ,
რადგან XVI- XVII საუკუნეებში ევროპელმა კოლონიზატორებმა გაანადგურეს ისინი.

ბევრი აფრიკელი მხიარული შეძახილებითა და ტაშით ეგებებოდა მოვარეს, რადგან მოვარე
ზოგჯერ მკრთალ ნამგალს ჰგავს, ზოგჯერ – ვერცხლისფერ ნახევარმოვარეს, ხან მთლიანი დისკო
კაშკაშებს, ხან - ისევე ვიწრო ნახევარმოვარედ იქცევა, ზოგჯერ მთლიანად გაუჩინადრება ხოლმე.
იქნებ სამუდამოდ? არა, მალე ისევ განახლდება მოვარე, რადგან უკვდავება აქვს მინიჭებული. თუ
ადამიანები კვდებიან და სამუდამოდ ქრებიან, დიდი მნათობი დროებით გვშორდება.

ორ-სამ დღეში იგი ისევ აღსდგება და თითქოს გაახალგაზრდავებული თავიდან იწყებს ცხოვ-
რებას.

საინტერესო ამბავი მოხდა 1871 წლის სექტემბერში:

ასტროალიბიის ყურეში, ახალი გვინეის კუნძულის ნაპირს გემით მოადგა ნ.ნ. მიკლუხო-მაკ-
ლაი. პაპუასები მას მტრულად შეხვდნენ, რადგან თეთრკანიანი ადამიანი არასოდეს ენახათ, ალბათ,
მოვარიდან თუ დაეშვაო.

მაგრამ მიკლუხო-მაკლაიმ მალე მათი ნდობა და პატივისცემა დაიმსახურა და მას “მოვარის
კაცი” შეარქვეს.

იმ დროს მოვარის კაცები ჯერ კიდევ ქვის ხანის წესით ცხოვრობდნენ.

შუამდინარეთში ძველი შუმერების ქალაქებს ჰყავდათ მმართველი – ენსი და მთავარი ღმერ-
თი. ქ. ურეს მფარველი იყო მოვარის ღმერთი ნანარ-სინი. შუმერები აღმერთებდნენ “დამის მზეს”.

თბილ ქვეყნებში, სადაც დღისით აუტანელი სიცხეა, ღამით განსაკუთრებით სასიამოვნო სიგ-
რილეა.

მოვარე თითქოს თავისი მკრთალი შუქით განდევნის მცხუნვარებას და მზრუნველი სულივით
შვება მოაქვს ადამიანებისთვის.

შუმერებმა ქალაქ ურში ტაძარი აუგეს მოვარის კეთილ და სათნო ღმერთს, სიბრძნის მეუფეს
სინას. ქურუმები ყოველ დამე აკვირდებოდნენ დვთაებრივი მნათობის ცვალებად სახეს და მის უც-
ნაურ მოგზაურობას ცის თაღზე, იგი თითქოს შეუმჩნეველია დაისის სხივებში და მალე უჩინარდება
მზის ამოსვლასთან ერთად.

მაგრამ ყოველდღე იზრდება მზესა და მოვარეს შორის მანძილი. თანდათან იგსება ნამგალა
მოვარე. მარჯვნივ, საითაც მზე ჩადის, ზურგი აქვს მიქცეული, ხოლო “რქებით”, რითაც ამოიწვერა
მოვარე – მარცხნივაა მიბრუნებული.

გადის შვიდი რვა- დღე და რქები აღარ ჩანს, ნამგალი ნახევარმოვარედ იქცა და მზის აღმო-
სავლეთით გადაიწია. მზის ჩასვლის შემდეგ დედამიწას კვლავ დიდხანს ეფერება ვერცხლის შუქი.

ერთი კვირის შემდეგ სინი მთელი თავისი ბრწყინვალეობით დაჰქათქათებს დედამიწას განთია-
დიდან განთიადამდე. იგი ამოდის აღმოსავლეთიდან მზის ჩასვლის შემდეგ და მხოლოდ მაშინ ჩა-
დის, როდესაც აღმოსავლეთი სისხლისფრად შეიღებება. მოვარის გავსების დღეს მოვარე ყველაზე
მეტად შორდება მზეს.

მთელი ცის თაღი ჰყოფს მათ ერთმანეთისგან. შემდეგ იწყება მოვარის დისკოს “დაღევა” და
ერთ კვირაში ისევე ნახევარმოვარედ იქცევა, მაგრამ ზურგი მიქცეული აქვს საწინააღმდეგო მხარეს
– არა მარჯვნივ, არამედ მარცხნივ, იქით საიდანაც მზე ამოდის.

მთელი დღის შემდეგ კვლავ გამოჩნდება სინის ვიწრო ნამგალი, ისეთი სახით, როგორც ახალ
მოვარობისას ჰქონდა, მაგრამ “რქებით” ახლა მარჯვნივაა მიქცეული. იგი გამოჩნდება ცოტა ადრე
ვიდრე აღმოსავლეთიდან მზე ამოვა, მზეს თანდათანობით უახლოვდება და მალე სრულიად ქრება.
როცა გაუჩინარდება, უმოვარო დამეები დგება.

აქ მოვიშველიებ სერბულ ხალხურ ზღაპარს “რატომ არ აცვია მოვარეს კაბა” გალექსილს სა-
მუელ მარშაკის მიერ”

“ნახევარმოვარე მივიდა თერძთან,
არა ციურთან, აქ, მიწიერთან,
შემიკერეო კაბა - სთხოვს ოსტატს,
მინდა ზეიმზე რომ მეცვას კოხტად.

ეს თარიღი ნაჩვენები იყო ნახევარი საუკუნით ადრე – როდის, რომელ თვეს, რომელ საათსა
და წუთზე დაბნელებოდა და რამდენ ხანს გასტანდა.

როცა აზიისა და აფრიკის უღრან ტყეებში პირველყოფილი ტომები ხეტიალობდნენ, ძველი სა-
ხელმწიფოს ხალხები უკვე აშენებდნენ სარწყავ არხებს, ქმნიდნენ დამწერლობას, საფუძველს უყ-
რიდნენ დამწერლობას, მეცნიერებას, უპირველეს ყოვლისა, მათემატიკას, ასტრონომიას.

უძველესი ტომები ცის მნათობებს შუქურებად იყენებდნენ, მათ ვარსკვლავები უნათებდნენ და
გზას უჩვენებდნენ.

ადამიანმა აღმოაჩინა დროის საზომი დღე-ღამე. არავინ იცის, როდის და რომელმა ხალხმა
დაიწყო დღეების დათვლა თითებზე, ეს გაცილებით ძნელი იყო, ვიდრე ფარაში ცხვრის დათვლა,

რადგან ცხვრის დათვლა ყოველთვის შეიძლებოდა, ხოლო დღეები უკვალოდ ქრებოდნენ. საბედნიეროდ ცაზე არის დროის “მოანგარიშე” – მთვარე. ბაბილონელებისათვის მთვარის ღვთაება დროის ღმერთიც იყო.

ძალიან იოლია აწარმოო დროის ანგარიში მთვარის ვიწრო ნამგალის პირველი გამოჩენიდან ახალმთვარეობამდე. ასე აღმოაჩინეს დროის მეორე საზომი – თვე.

მთვარე არ ცნობს წელიწადის დროებას, მას ერთი გზა აქვს და ერთნაირად ამოდის ზამთარსა და ზაფხულში. მზეს კი სხვა გზა აქვს, მზის ხილული გზა უცვლელია – ერთმანეთს ცვლიან დღე და ღამე, მთვარის დღეები, წელიწადის დროები. ბუნების ამ ძველისძველ კანონს არა აქვს არც დასაწყისი, არც დასასრული.

მზისა და მთვარის დაბნელების თარიღი, კომეტის გამოჩენა, ცის მნათობთა მდებარეობა ეხმარება ისტორიკოსებს მოვლენის თარიღის, წლის, თვის რიცხვების დაზუსტებაში.

საინტერესოა მზის, მთვარისა და პლანეტების მდგომარეობა, ასევე ზოდიაქოს ნიშნებისა და თანავარსკვლავედის განლაგება ადამიანის დაბადების მომენტში.

საინტერესოა წიგნი შეადგინა მზია ხოსიტაშვილმა სათაურით “ეძიე ვარსკვლავი შენი”, სადაც გარკვევით არის აღნიშნული, რომ ამ საკითხს განსაკუთრებული მიდგომა სჭირდება, რადგან ჩვენ საამისო ტრადიციები არ გაგვანჩია, ამიტომაც დიდი ყურადღება და პატირონობა სჭირდება, რომ პრიმიტიული მარჩიელობის დონემდე არ იქნეს დაყვანილი.

თითოეული ადამიანი უნდა დაინტერესდეს თავისი ჰოროსკოპით. ზემოთ დასახელებული წიგნი დიდ დახმარებას გაუწევს ამ საკითხით დაინტერესებულ ადამიანებს. სწორედ ამ წიგნში ამოვიკითხე, რომ კირჩხიბის ზოდიაქოს ნიშნის მმართველი პლანეტა მთვარეა.

მთვარის ზეგავლენაზე დაკვირვება გამოგვაძლავს იმის დასადგენად, როგორ მოქმედებენ ადამიანებზე პლანეტები.

ასტროლოგები მიიხნევენ, რომ მთვარე პლანეტა კი არა, დედამიწის თანამგზავრია. მთვარის გრავიტაციული მიზიდულობა გავლენას ახდენს ზღვების მიმოქცევაზე. ეს მიზიდულობა გავლენას ახდენს აგრეთვე ადამიანებზე, ცოცხალ ორგანიზმებზე. ასტროლოგების აზრით, მთვარე მართავს ყოველგვარ სითხეს დედამიწაზე, ამიტომაც იგი დიდ გავლენას ახდენს გამრავლებაზე, ასევე მოქმედებს ადამიანის სისხლის მიმოქცევაზე, სასქესო ორგანოებზე, სეკრეციის ჯირკვლებზე. საკვებთმწარმოება დიდ გავლენას ახდენს ადამიანზე.

ძველ რომაელებს მთვარე ქალღმერთად ჰყავდათ აღიარებული. მოგონილი და შეთხზული აზრი, თითქოს საკვებთმწარმოების დროს ადამიანი ზებუნებრივი ძალების გავლენით მგლად გადაიქცევა. ამ თემაზე ბევრ ფანტასტიკურ ფილმს იღებენ ამერიკის შეერთებულ შტატებში.

დღეს კითხვაზე რა ვიცი მთვარის შესახებ? შეგვიძლია ვუპასუხოთ, რომ მთვარე მოძრაობს დედამიწის გარშემო, ისე, როგორც დედამიწა მოძრაობს მზის გარშემო. რასაკვირველია, მთვარეც მოძრაობს მზის გარშემო, დედამიწასთან ერთად. ე. ი. მთვარეც შედის მზის სისტემაში. თუ ჩვენ დავესვათ კითხვას, სხვა პლანეტებს ჰყავთ თუ არა ისეთი თანამგზავრები, როგორც მთვარე დედამიწისთვის, პასუხი დადებითია. სხვა პლანეტების თანამგზავრები არც ისე დიდი ხნის წინ აღმოაჩინეს. პირველად ისინი დაინახა გამოჩენილმა იტალიელმა სწავლულმა გალილეიმ. მან გამოიგონა ტელესკოპი – მილი გამადიდებელი შუშით, რომლის დახმარებითაც ახდენდნენ ცაზე დაკვირვებას.

ერთხელ გალილეიმ ცაზე დაკვირვების დროს აღმოაჩინა, რომ ყველაზე დიდ პლანეტას – იუპიტერს ოთხი პატარა “მთვარე” ახლდა. ყოველდღიურმა დაკვირვებამ იგი დაარწმუნა, რომ ისინი ისევე მოძრაობენ იუპიტერის გარშემო, როგორც მთვარე დედამიწის გარშემო. მან დაარწმუნა ადამიანები, რომ იუპიტერის მსგავსად დედამიწასაც ჰყავს თანამგზავრი, რომელიც მისგან გარკვეული მანძილით არის დაშორებული და მოძრაობს ერთი და იმავე მიმართულებით.

მზესთან ახლომდებარე პლანეტებს მერკურსა და ვენერას არ ჰყავთ თანამგზავრები, შემდეგ მოდის დედამიწა, რომელსაც ჰყავს ერთი თანამგზავრი – მთვარე. მარსს ორი თანამგზავრი ჰყავს, სატურნს 9 თანამგზავრი. იუპიტერს 8 თანამგზავრი ჰყავს, გალილეის შემდეგ აღმოაჩინეს კიდევ 4 ახალი თანამგზავრი. ურანს 4 თანამგზავრი ჰყავს, ნეპტუნს – 1.

მილიონ წელზე მეტია, რაც მთვარე დედამიწის თანამგზავრია. ადამიანი გაჩენის დღიდან ტკბება მთვარის მშვენიერებით. სხვადასხვა დროისა და ეროვნების ადამიანები მთვარეს ღვთაებრივ პატივს მიაგებდნენ. მზის შემდეგ მთვარე ყველაზე კაშკაშა ციური სხეულია, ე. ი. თუკი მზე დღის ჯადოქარია, მთვარე – ღამის. ღამის ამ ჯადოქარს – მთვარეს ყველა დროის გამოჩენილი პოეტები უმღეროდნენ. დღესაც უმღერიან მთვარის მკრთალ შუქს.

მთვარე დიდ გავლენას ახდენს დედამიწაზე. ისიც ვიცი, რომ მზე ანათებს მთვარის იმ ნაწილს, რომელიც მისკენაა მიმართული. როცა დედამიწა მზესა და მთვარესა შორის გაივლის, ხდება მთვარის დაბნელება. მთვარის კაშკაში დამოკიდებულია იმაზე, რამდენად ახლოს არის იგი დედამიწასთან. დედამიწასა და მთვარეს შორის მანძილი 384000 კილომეტრია, 10-ჯერ ნაკლები, ვიდრე დედამიწის გარშემოწერილობაა, ამიტომაც ტელესკოპის საშუალებით მასზე დაკვირვება უფრო ინფორმაციულია, ვიდრე სხვა რომელიმე ციურ სხეულზე დაკვირვება.

მეცნიერების აზრით, მთვარის დისკოს ფართობი 2-ჯერ მეტია, ვიდრე ვეროპისა. თუ დედამიწას 50 ტოლნაწილად დაჭერთ, 1 ნაწილი მთვარის ტოლი იქნება. დედამიწიდან დაკვირვებით, მთვარის დიამეტრი ყოველთვის უცვლელია – ეს სინამდვილეშიც ასეა, მთვარე დედამიწასთან ახლოს წრეზე

მოძრაობს და ერთ ბრუნს შემოწერს 28 დღის განმავლობაში. ეს არის ნამდვილი თვე, რომელსაც მთვარის თვეს ვეძახით. კალენდრის მიხედვით ჩვენ 12 თვეს ვითვლით, სანამ დედამიწა მზეს ერთხელ შემოუვლის. მთვარე დედამიწას არაუმეტეს 30-ჯერ უვლის გარს. მთვარე დედამიწისკენ ერთი და იმავე მხრით არის მიქცეული. მთვარის დედამიწიდან მიქცეულ ნაწილს ჩვენ ვერასოდეს ვხედავთ, სხვაგვარად რომ ვთქვათ მთვარის დამე გრძელდება მთვარის მთელი თვის განმავლობაში.

მთვარეზე ისევე, როგორც დედამიწაზე დღისა და ღამის მონაცვლეობაა, რადგან იმავე კანონით, როგორც დედამიწა, მთვარეც მოძრაობს თავისი ღერძის გარშემო, მაგრამ, რადგან მთვარე გაცილებით ნელა მოძრაობს, მისი განათებისა და შესაბამისად, დაბნელების დროც გაცილებით ხანგრძლივია, ვიდრე დედამიწაზე და ჩვენთვის 2 კვირის ტოლია.

რა საკვირველია, მთვარის მეორე მხარის დანახვა ყველას უნდა, მეცნიერების აზრით, იგი ისეთივეა, როგორც ჩვენსკენ მიქცეული მხარე.

ჩვენი მეგობარი ჯეიმს ირვინი მთვარეზე იმ მხრიდან დაჯდა, რომელსაც ჩვენ ვხედავთ. ცნობილი ასტრონომი რობერტ ბოლი ამბობდა, “ასტონავტებმა უკეთ იციან მთვარის ზედაპირი, ვიდრე გეიგრაფებმა აფრიკაო”.

მთვარეზე მიზიდულობის ძალა ძალიან განსხვავდება დედამიწის მიზიდულობის ძალისგან.


დედამიწის ზედაპირის გამოკვლევამ დაანახა მეცნიერებს, რომ ბუნებრივ მოვლენებს განაპირობებს ატმოსფეროს, ქარისა და წყლის არსებობა, მთვარეზე კი განსხვავებული პირობებია. რობერტ ბოლი აღნიშნავდა: “მთვარეზე მცხოვრებს არ დასჭირდება ფანჯარა – ქარი არ ქრის, სახურავი, რადგან არ წვიმს, გათბობა, რადგან უჰაერო სივრცეს ცეცხლი არ წაეკიდება. მთვარეზე მცხოვრებნი ვერ დაინახავენ მტვერს და ვერ იგრძნობენ ვერავითარ სუნს, ვერ გაიგებენ ვერავითარ ხმაურს.

მთვარის ზედაპირის ცვლილებების მიზეზი უატმოსფეროა არ არის, ყველაფერი უცვლელია. თუკი რაიმე ცვლილება ხდება, მზის ზეგავლენით, რადგან სიცივით მთვარე იკუმშება და გათბობით ფართოვდება. ამიტომაცაა მთვარის ზედაპირი გახეთქილი და მტვრად გადაქცეული.

1962 წელს ვთარგმნე პიერ გამარას მოთხრობა “ოქროს მიხაკი”. ამ მოთხრობის გმირები არიან ბრაზილიელი მეცნიერი ბენედიქტინი, ამერიკელი ბიოლოგი ულობსი და თბილისის სამედიცინო აკადემიის პრეზიდენტი ნიკოლოზ ჯიენაძე, რომლებიც მიემგზავრებოდნენ მთვარეზე შვებულების გასატარებლად. როდესაც გაიგეს, რომ პატარა ფრანგი ბიჭი ლეოპოლდი ავად გახდა, შეცვალეს მარშრუტი და პარიზს გაემგზავრნენ კონსილიუმზე. ეს ფანტაზია მეც გავითავისე და მოგზაურობის სურვილი მარშრუტით თბილისი – მთვარე მეც გამიზნდა. ბატონ ჯეიმს ირვინთან საუბრის შემდეგ კი ეს ფანტაზია რეალობად იქცა. იქნებ მართლა დადგება ის დღე, როცა შვებულების გასატარებლად ჩვენც მთვარეზე გაემგზავრებით. ავტომობილი ამ გზის (100კმ.სთ. სიჩქარით) გასაგლელად დაგეგმირდებოდა 160 დღე, სამოქალაქო თვითმფრინავით (800 კმ. სთ-ში) 20 დღე, თანამგზავრით – (28000კმ.სთ.) 13 საათი და 43 წუთი. მე პირადად თანამგზავრით მირჩევნია და თქვენც, ვისაც მოგზაურობა გიყვართ, ამასვე გირჩევთ.

ანი ყალიჩავა

სინანულის ბრძოლა



ერთი დღიაც გათენდა, ძალიან სუსხიანი დღია, ამ დროს საწოლში ვწევარ, უცებ რაღაც ძალამ საწოლიდან წამომაყენა და ფანჯარასთან მიმიყვანა, როცა ფანჯრიდან გავიხედე დავინახე თეთრი საფარით დაფარული სახლის სახურავები, მანქანები, სტადიონი და სხვა ბევრი რამ. უცებ ისე ძაან მომინდა გარეთ გასვლა რომ, ვერ ვიგრძენი როგორ ჩავიცვი ტანსაცმელი და როცა გონზე მოვედი უკვე სადარბაზოდან გავდიოდი, როცა ეზოში გავედი და გავიარე თოვლზე, იქ სადაც ჯერ არავის გაეგლო და დავინახე ჩემი ნაბიჯები თოვლზე, მივხვდი თუ რამდენი ცოდვა გვაწევს ხალხს, გავაგძელე გზა, თავდახრილი მივდიოდი და მხოლოდ მაშინ ავწიე თავი როცა ეკლესიის ხარებმა ამ ქვეყნიურ ცხოვრებაში დამაბრუნა, თავის აწევის შემდეგ დავინახე ეკლესიის ულამაზესი გუმბათი მაგრამ იმდენად დავიბენი რომ, უბრალოდ პირჯვარი გადავიწერე ისევე თავი

დავხარე და გზა განვაგრძე, ამ დროს მივხვდი რომ ეშმაკი ჩემზე ძლიერი აღმოჩნდა მან მე მაცდუნა რადგან მქონდა საშუალება შევსულიყავი ეკლესიაში და ერთი სანთელი მაინც დამენთო როცა მივხვდი რომ ცუდად მოვიქეცი უკან მოვიხედე მაგრამ ეკლესიას უკვე ვეღარ ვხედავდი. გზა განვაგრძე რამოდენიმე ნაბიჯის შემდეგ ჩემს ფეხებთან წაიქცა ბავშვი მე კი ცივად შევხედე მას და იმის მაგივრად რომ ხელში ამეყვანა გვერდით ჩავუარე, როცა მივხვდი ჩემს დანაშაულს უყვე იყო რადგან ის სხვას აყენებინა. გზა განვაგრძე და

თავი აღარ დამიხრია რადგან ვუყურებდი მაღალ კორპუსებს რომლებიც იმდენი ცოდვით იყვნენ დამძიმებულნი რომ უბრალო ქოხის იერი ჰქონდათ მაშინ მე დაეფიქრდი ჩემს ცოდვებზე და მივხვდი, რომ ჩემს ცოდვებს დღეს ჩადენილი ცოდვებიც დაემატა და გადავწყვიტე ეკლესიაში წასვლა და მონანიება. დღეს მე ვეხმარები ისეთ გზააბნეულ ხალხს როგორც ერთ დროს ვიყავი მე.

მისი ციხე ბული

ძნელია, როცა მოგენატრება და მის საფლავთან აქვითინდები, როცა მისი სხეულის ნაცვლად მიწას ეხუტები, როცა მისი თბილი სუნთქვის ნაცვლად ცივი ქარი დაგიბერავს სასაფლაოზე, როცა მისი ღიმილის მაგივრად ქვიდან მისი სურათი მოჩანს. გუშინ რომ ხელებს გითბობდა, ახლა წევს აქ და სძინავს მღუმარედ მის სხეულს. შენი ხლეები, ცრემლები, სივები ვეღარ ათბობენ მის სხეულს და გულს. ძნელია როცა მოგენატრება და მისი სხეულის ნაცვლად ცივ ქვას ჩაეხუტები. მისი ღიმილი უსასრულო სიცივისგან, სიშორისგან და სიბნელისგან გარინდებული სახეზე აქვს მიყინული, თუმცა სახეს უკვე ვეღარ ხედავ. გიყვარდეს სიკვდილის მერე გვიანია...

მომენატრე... მომენატრა შენი ხმა, შენი ლაპარაკი, შენი სიტბო, შენი სუნი, ღიმილი, სუნთქვა... სუნთქვა და გულის ფეთქვა კი განსაკუთრებით. იცი ყველაზე ძალიან შენს საფეთქლებთან მოთამაშე სიცოცხლის ძარღვი მომენატრა. შენი გაბრაზება მომენატრა... ნეტავი დაბრუნდებოდე, ერთხელ კიდევ გავიგონებდე შენს ხმას. ძნელია სიყვარული... ძალიან, ძალიან, ძნელი... შენს გარეშე ცხოვრება კი უფრო და უფრო ძნელი... მე კი სულ სხვაგვარად წარმომედგინა ყველაფერი, რომ შემეძლოს დროის უკან დაბრუნება, წამს გავყინავდი... ყველაფერს შევცვლიდი, მაგრამ ადამიანები თავისი შეცდომებისთვის ისჯებიან, როგორ მინდა ახლა შენთან წამოსვლა იცი?

თხოვნა მთვარესთან

ფარდა გადავწიე და მთვარემ უეცრად შემოაღაგა თავის სხივები. რაფაზე შემოვჯექი და ეზოს გადავხედე. ირგვლივ სიწყნარეა. არავინ არ ჭაჭანებს. შემშურდა მიდამოსი. ისეთი სუფთა იყო ეს ადგილი. გამჭირვალე, მიუხედავად სიბნელისა. მთვარეს თვალი გავუსწორე და მივმართე: „-მთვარე, მაჩუქე ასეთი სიწყნარე. სიწყნარე სადაც არავინ იქნება ვიქნებით მხოლოდ მე და შენ. ასეთი გარემო მხოლოდ ერთი თვე, სამოთხეში მაგრძნობინებდა თავს. ნუთუ არ შეგიძლია სადმე ქოხში, სადაც ერთი საწოლია ერთი მაგიდა, ერთი სკამი და მშვიდად მოგიზგიზე ბუხარი, გამიშვა და დამასვენო, მაგრძნობინო ნეტარება. მე ჩემი მხრივ წამოვიღებდი წიგნებს, რვეულს და კალამს. წავიკითხავდი, შემდეგ დავაკვირდებოდი სიჩუმეს, დავაკვირდებოდი ყველა უსულო საგანს, რაც კი ახლო-მახლოს იქნებოდა, და ეს მომგვირდა ნეტარებას, საუცხოო სიამოვნებას რომელიც გადამიყვანდა აფსიკუტყრად სხვა სამყაროში. იქ სადაც არ არის შური, აგრესია, ზიზღი, პირფერობა... და ადამიანი ის არის რაც ჩანს. აი შენ რომ გიყურებ, შენ ხომ ის ხარ რაც ჩანხარ. ანუ ხარ მთვარე, რომელიც რაც ჩანს ის არის. ადამიანი კი ასე სულაც არ არის. ის ერთ დღეს სხვანაირი ჩანს მეორე დღეს სხვანაირი, თუმცადა სისულელეა რას გეუბნები შენც იცვლი ხოლმე ფორმებს, ხან ნახევარი მთვარე ხარ ხან სრული. მოკლე ყველაფერი ცვალებადი ყოფილა სამყაროში...

ყვავილი პანთეონიდან



ქალთა საერთაშორისო დღე, რვა მარტი საქართველოშიც დასვენების დღედ იყო გამოცხადებული.

საქმით გამორჩეულ ქალბატონებს სამსახურებში წამახალისებელ ჯილდოს აძლევდნენ. მამაკაცები – დედებს, მეუღლეებს, ახლობელ ქალებს ამ თარიღს ულოცავდნენ, მოწიწებას, სიბოლს და სიყვარულს მიაცემდნენ, საჩუქრებითაც ანებივრებდნენ, მიჰყავდათ გასასეირნებლად. ხშირად კარგი პურმარილებიც იმართებოდა.

ზომიერების ფარგლებში ყველაფერი კარგია, მაგრამ დროთა განმავლობაში ამ თარიღმა სავალდებულო და უღამაზო სახე მიიღო, მათ შორის, სკოლებშიც. ამიტომაც ზოგმა პედაგოგმა საჩუქრის მიღებაზე კატეგორიული უარი განაცხადა (მით უფრო, ამის გამო აქა-იქ მშობლებისგან მასწავლებლების მიმართ საყვედურებიც გაისმა).

ერთ-ერთ 8 მარტს მოსწავლეთა მშობლებმა ნინოს სკოლაში საჩუქარი მიართვეს. მასწავლებელმა შეუვალი უარი განაცხადა. მიუხედავად ამისა, საღამოს სახლში მოვიდნენ ნობათით. უზომოდ შეწუხდა მასწავ-

ლებელი, მაგრამ სხვა გზა არ იყო, საჩუქარი მიიღო, გახსნა. ნობათი ერთობ ფასდაუდებელი აღმოჩნდა. შიგ იღო მოსწავლეების სია, თუ ვინ რამდენი თანხა გადაიხადა...

დილით ნინო სკოლაში უნდა წასულიყო. ამიტომ მან იმავე საღამოს შეიძინა კონვერტები. დაახურდავა ფული, დააწერა გვარ-სახელები კონვერტებზე, შიგ სათითაოდ თანხა ჩაღო, იხმო სკოლაში მისი მეგობრის დეიდაშვილი, რომლის შვილიც მის სადამრიგებლო კლასში იყო და მადლიერების გამოხატვის შემდეგ უთხრა: თითოეულ კონვერტში სოლიდური თანხაა, ბავშვები პატარები არიან, ვერ გავატან და გთხოვ, შენებური ტაქტით და ჩემგან დიდი მადლიერებით თითოეულ მშობელს კონვერტი გადასცე. მიუხედავად ამისა, რომ იგი შეწუხდა – კონვერტები თოთოეულ ადრესატამდე მაინც მივიდა.

ეს ამბავი გაუხმაურებელი არ დარჩენილა და შემდეგ, ყოველდღე, პატივისცემის ნიშნად, მორიგე მოსწავლეებს მიჰქონდათ ყვავილები და მასწავლებლის მაგიდაზე, წყლიან ლარნაკში აწყობდნენ...

ყვავილი, თავისთავად, მშვენიერებისა და სილამაზის სიმბოლოა. სკოლაში იცოდნენ, რომ ნინოს ყოველთვის ჰქონდა ყვავილები. ისიც მეგობარ ქალებს უშურველად ურიგებდა ხოლმე.

ერთხელ კლასში შესულს ბავშვებისათვის უხერხული ღიმილი შეუნიშნავს. იმ დღეს მორიგე მოსწავლეს ვერ მიუტანია სკოლაში ყვავილები. სამაგიეროდ ბავშვი იქვე, სკოლის გვერდით, დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში გადასულა, საფლავიდან აუღია მიხაკები და მასწავლებლის მაგიდაზე, ლარნაკში ჩაუწყვია...

ამ ამბით შეწუხებულ ნინოს სკოლის დირექტორის – ლილი მგალობლიშვილის ნებართვით, მორიგე გოგონა კლასთან ერთად მიუყვანია აკადემიკოს ოთარ ონიაშვილის საფლავთან. ყვავილები, რასაკვირველია, უდიდესი მოკრძალებით საფლავზე დაუწყვიათ... და მასწავლებელს უთქვამს:

– ბატონ ოთარს კარგად ვიცნობდი. იგი გახლდათ პროფესიით ინჟინერი, დიდი მეცნიერი, აკადემიკოსი. ერთხელ ლენინგრადში დიდი სამეცნიერო სიმპოზიუმის მეცნიერთა ერთ ჯგუფთან სუფრაზე მას მოუწია თამადაობა. ბატონ ოთარს ყველა მეცნიერი თავის მშობლიურ ენაზე უდღეგრძელებია. იაპონელი მეცნიერის ჯერი რომ დადგა და მასაც მშობლიურ ენაზე მიმართა, თურმე, ტაშმა იგრიალა. ყოფილა ასეთი შემთხვევა: შვეიცარიაში, მორიგ სიმპოზიუმზე მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო დაგვიანებით ჩასულა, მაგრამ ბატონი ოთარი სამეცნიერო საბჭოს წევრად დაუსწრებლად მაინც აურჩევიათ...

მასწავლებელმა განუმარტა ემაწვილებს, რომ პანთეონში, საერთოდ, ქვეყნისა და ერის წინაშე განსაკუთრებული დამსახურების მქონე მწერლები, პოეტები, კულტურის მოღვაწეები, გამოჩენილი მეცნიერები არიან დაკრძალულნი.

ამიტომაც მათი ხსოვნის პატივსაცემად, მოწიწებით უნდა მოიხაროს ქედი ადამიანმა და დადოს თაიგული მათ საფლავზე, ეს ხალხი სამშობლოს წინაშე ვალდებულნი არიან და თითოეული ჩვენგანისგან დიდ პატივისცემას იმსახურებენ...

აი, ასეთი უჩვეულო გაკვეთილი ჩაუტარებია იმ დღეს ნინო მასწავლებელს.

* * *

იღვა 1989 წელი. ნინო მასწავლებელი მეუღლეს სკოლაში მიჰყავდა, გმირთა მოედანზე ავტომობილების საცობში მოჰყვნენ. სკოლაში ათი წუთის დაგვიანებით მივიდა. გაკვეთილი მესამე სართულზე, მეექვსე კლასთან ჰქონდა. კიბეები სულმოუთქმელად აირბინა და რას ხედავს: მისი საკლასო ოთახიდან გამოვიდა გაღიმებული სკოლის დირექტორი, კაკო ელიაური, დიდი უხერხულობა იგ-

რძნო მასწავლებელმა და დაგვიანებისათვის ბოდიში მოიხადა. ახალგაზრდა დირექტორმა კი, პირი-
ქით, დედასავით გულში ჩაიკრა და დაამშვიდა...

შევიდა საკლასო ოთახში. ბავშვები ფეხზე ადგომით მიესალმნენ და დასხდნენ. მასწავლებელ-
მა მათაც ბოდიში მოუხადა. ამ დროს წამოდგა ერთი ყმაწვილი და უთხრა:

– პატივცემულო მასწ, როგორც თქვენ გვასწავლეთ, ზარი რომ დაირეკა, გაკვეთილისთვის მო-
ვემზადეთ. ვისხედით და ვიმეორებდით მასალებს, საკლასო ოთახის კარი ღია იყო, დირექტორი შე-
მოვიდა, გაიგო რომ თქვენი გაკვეთილი გვქონდა, გაეღიმა და შეგვაქო.

ამ დროს მეორე ბავშვი წამოდგა და უთხრა: – მასწავლებელო, დირექტორს ვუთხარი, რომ
თქვენ როდესაც აგვიანებთ, ჩვენ ყოველთვის ასე წყნარად ვსხედვართო.

რატომ იცინოდა ასე ბატონი კაკო, მასწავლებლისთვის უკვე ნათელი გახდა.

შემდეგ იკითხა: – კი მაგრამ, მე რომ არასოდეს დამიგვიანია, ასე რატომ უთხარი პატივცე-
მულ დირექტორსო?

– მასწავლებელო, კიდევ რომ დაგვიანებოდათო?

ნინოსაც გასცინებია ყმაწვილის გულუბრყვილობაზე და ასე მხიარულად დაუწვია ის გაკვე-
თილი.

1984 წელი

ჯინკა ბიჭების თავზაფასავალი

ვრცელ ეზოში, მრავალწლოვანი, განტოტვილი კაკლის ძირას, ამოკირწყელულ ჭასთან ხელ-
ჯოხიანი მოხუცები სამფეხა სკამებზე ისხდნენ და საუბრობდნენ.

ნესტორამ ოჯახის დიასახლისს, მელანოს სთხოვა:

– მელანო, მწყურია, თუ ქალი ხარ, ერთი ჭიქა წყალი მომაწოდე.

ქალმა გრძელ ტაბლაზე ლამბაქით ჭიქა დადგა და გვერდით ტოლჩით, ახლადამოდებული ცი-
ვი წყალიც მიუდგა.

სადილობის დრო იყო, ქალი სამზადისკენ გაბრუნდა

ამ დროს ჭიშკართან ხმა გაისმა:

– მაინძელო!

მოხუცთაგან ერთ-ერთი, სახლის პატრონი სამსონი სტუმრისაკენ წავიდა. ეზოს სიღრმეში შე-
მოწეული ჭიშკარი ბოლომდე გახსნა და ბოგირზე ჩამომჯდარ თხით მოსულ კაცს მიესალმა. სამ-
სონმა იმ წამსვე საქონლის გადასაბმელად წასულ უკან მობრუნებულ შვილიშვილებსაც მოჰკრა
თვალი.

სტუმარმა დაიწყო:

– სამსონა, შენი ბაღანები თხას მპარავდნენ...

ამასობაში, ბიჭებს არც დაუნახავთ მოსაუბრენი, ჭიშკარს ისე მოადგნენ. შეცბნენ სტუმარ-მას-
პინძლის დანახვით.

სიტუაცია დაიძაბა. ბაბუამ ეკალ-ბარდებით დაკაწრული ბავშვები ეზოში შეუშვა და იქვე,
ურავერგადაცლილ (კანგაცლილ), სიგრძისად მიჯრით და სათუთად გამოწნულ ღობესთან მიაყენა
და მკაცრად გადახედა.

ატირდნენ ყმაწვილები. თავზააბნეულებმა თეთრი ღობე ტალახიანი ფეხებით მოსვარეს.
ცრემლიან სახეს ჭუჭყიანი ხელებით “ისუფთავებდნენ” და ერთმანეთს საუბარს არ აცლიდნენ: –
ტყუილია, ტყუილია. ჩვენ ეჟენიან თხაზე შეჯდომა გვინდოდა. აბა, მოპარული თხა სად უნდა წაგ-
ვეყენა?

ამ გულწრფელ აღიარებას მოწმე არ სჭირდებოდა...

სამსონმა მაღლა აწეული საბჯენი ჯოხი მიწას მკაცრად დაჰკრა და მოსულს უთხრა:

– შენ ვის ოჯახს აყენებ შეურაცხყოფას. გამეცალე აქედან, უკადრებელი არ მაკადრებინო!

მერე ფართოდ გაღებული ჭიშკარი მკაცრად მიხურა და ბავშვები მეუღლეს გადააბარა, რო-
მელმაც დაბანა, მაღამოთი ნაკაწრები დაუბა, სუფრა გაუწყო და უსაყვედურა: თხაზე დაჯდომა
რავა იკადრეთ... ცხენი არ გყავთო?

ამასობაში მელანოს სტუმრებთან სადილის მიტანა შეაგვიანდა. მოიბოდიშა.

კაცისა და თხის სტუმრობით გაგულისებულმა ნესტორამაც ლაზათიანად გადააპურჭყა და
თქვა: – ფუი, ამხელა კაცმა არ უნდა იცოდეს, ვის ოჯახში მიდიხარ, რატომ მიდიხარ და რას ამ-
ბობ?

დაზაფრული, მაგრამ დანაყრებული ბიჭები ცხენთან თავლაში შევიდნენ. პირუტყვს მიეფერნენ,
თივა და წყალი მიუტანეს. ვინ იცის, მაშინ მათი პატარა გულები რას განიცდიდნენ?

...გავიდა დრო. ახლა კი, ეს ჭინკა ბიჭები საქვეყნოდ ცნობილი და ღირსეული პიროვნებები
არიან.

ბრძოლა არსებობისათვის

ჩვენს სოფელში ბიბინა, ხავერდით მწვანე მოლით მოფარდაგებულ, ჩიტების ჭიკჭიკგალობით ახმიანებულ გარემოში, ჰაერიც სუფთაა და კამკამა, დილის ცვარი მოღზე მარგალიტით ბზინავს... გემოვნებით გამოსწორული, ტანსრული თუ ტანკენარი ხეების კიდევ უფრო გალამაზებისათვის ადამიანებს საგულდაგულოდ უზრუნიათ.

სოფელი – ეს მაგიური სიტყვაა. რამდენ რამეს მოგაგონებს ადამიანს... გადაიხედავ ვრცელ ეზოებში და დაინახავ ჯიშთან დედლებში მაღალ დეხებზე ამაყად მდგარ, თავმომწონე, გაფხორილ, თვალეზობრივად მამალს. სახლის წინ თვალისმომჭრელი სილამაზის მქონე ყვავილნარს და იქვე, კიბესთან მიწოლილ ნებიერ ფისოს, რომელიც თვალეზობინაბული თავგებს უთვალთვალებს...

ეზოებში ხშირად შენიშნავთ ცხენსა და ძაღლს. ცხენი ერთგული და გონიერი პირუტყვია. მისი მეოხებით ადამიანი ერთი ადგილიდან მეორეზე წასვლას იოლად ახერხებს, გადააქვს ტვირთი, ისტორიულად, ომიანობისას, ცხენის ყოლა ჩვენი წინაპრებისათვის აუცილებელიც იყო.

ჩვენს წინაპრებს უძვირფასესი პირუტყვი მიაჩნდა მხოლოდ და მხოლოდ თავისად და, არავის ათხოვებდნენ...

ამ სოფელში მამით თბოლი ბიჭი იზრდებოდა. მათაც ჰყავდათ ცხენი, რომელსაც კუკურას ეძახდნენ. ბუნებრივია კუკურა ოჯახს ძალიან უყვარდა. დადგა აუცილებლობა იმისა, ცხენი უნდა გაეყიდათ. ეს ამბავი ბიჭისთვის იმდენად მტკივნეული აღმოჩნდა, რომ სასწრაფოდ შემცვლელი ცხენი, წაბლა შეუძინეს.

წაბლა იყო ურწყვი შავი. გიშერივით წყლიანი და ლამაზი თვალეზი ჰქონდა. იდგა გამოყვანილ მაღალ ფეხებზე. კული ჰქონდა ბუთქუნა, შემკული გრძელი ძუით. ფაფარაყრილი რომ შეიკუნტრუშებდა, ყაღყზე დგებოდა და დაიხვიხვინებდა, ამაზე უკეთესს თვალი ვერაფერს ნახავდა.

ბიჭმა კუკურა ვერ დაივიწყა, მაგრამ ახალი ცხენი საოცრად შეიყვარა და პირუტყვს მოვლა-პატრონობას არ აკლებდა.

ყოველ ცისმარე დილით ბიჭი ჩაუვლიდა თხმელნარით დაფარულ ნაპირებიან, მღვრიეწყლიან პაწაწინა მდინარეს და ცხენი, ყურშასთან ერთად, თავმომწონედ მიჰყავდა დატოტვილად გაშლილ, დაფენილ დელეზე.

ერთ დღეს, დილაადრიან, ბიჭმა ცხენი მდინარის პირას საძოვრად მიუშვა, თავად კი მეორე ნაპირზე დაჯდა. ყურშაც გეარდით მოუსკუპდა. იგი ძაღლს თავზე ხელს უსვამდა, ეფერებოდა. ყურშამ წყალში ლიფსიტა შენიშნა, მოწყდა ადგილიდან, მდინარეში შევიდა, დაიჭირა საკბილო და ყელი ჩაიკოკლოხინა. გაგრილდა. ლაშ-პირი მოიწმინდა და ისევ პატრონთან მოიკალათა. ბიჭმა კმაყოფილ ყურშას თავზე ხელი გადაუსვა და თან, იქვე, ჯილეც შეამჩნია.

მივიდა ახლოს. ჯილეში ხელი შეჰყო და ზრდასრული, ვერცხლისფრად მოლაპლაპე, საკმაოდ ღონიერი თევზი გამოიყვანა... ცალი ხელით ვერ მოერია და მეორეც შეაშველა. თევზმა გაიბრძოლა. ყმაწვილს მკლავზე ძალუმად რამდენჯერმე კული გაუტყლაშუნა. ყურშაც სასწრაფოდ პატრონთან გაჩნდა. მაგრამ სწორედ ამ დროს მოხდა საოცრება... ბავშვმა თითქოს მკაფიოდ გაიგონა თევზის ხმა: – გამიშვი. დედა ვარ, ლიფსიტები გასაზრდელი მყავსო... ბიჭმა მისაშველებლად მისულ ყურშას დაუტატანა და თევზს აღმოსავლეთიდან ამოგორებული მზის სხივით გაბრწყინებულ თვალეზში ჩახედა. თევზს თვალეზი თითქოსდა ცრემლით ჰქონდა სავსე და კიდევ ერთხელ შესთხოვდა: გამიშვი, შეიღები დასაზრდელი მყავსო...

ყმაწვილმა თევზი წყალში გაუშვა, რომელიც ნელ-ნელა მოსულიერდა, გონს მოეგო. გარს ლიფსიტები შემოეხვივნენ... იგი ბედნიერი იყო. თუმცა ნაწყენი ყურშა მას საყვედურით სავსე თვალეზით შესციცინებდა და ვერ კი მომხვდარიყო, რა მოხდა...

ამასობაში, კარგა მაღლა წამოსულმა მზემ ბიჭუნას თითქოს ღიმილით უთხრა:

– მდიდარსა და ღარიბს, ძლიერსა და სუსტს, მშრომელსა და ზარმაცს, ბოროტსა და კეთილს ერთნაირად ვუნათებ და ვათბობ. ვადვივებ დედამიწას. ადამიანს ვაძლევ საზრდოს მოპოვების საშუალებას. ვქმნი შესაძლებლობას, რომ ყოველმა სულიერმა იარსებოს... ბიჭუნა, ამ ქვეყნად ხომ ყოველი ცოცხალი არსება ამისთვის იბრძვის...

ამ დროს ცხენმა დაიხვიხვინა. ბიჭი გამოერკვა, წყალი შეისხა, გაგრილდა. წაბლა დაბანა. შემდგომ უბელო, ფაფარაშლილ მეგობარს ზურგზე მოეველო და შინისაკენ ჯირითით წავიდა. ყურშაც, ბუნებრივია, უკან მისდევდა.

ოჯახში ელოდნენ. საუზმე მზად იყო. დანაყრდნენ და ბაბუა და შვილიშვილი სახლის უკან ეკლის ხეების მომძლავრებული ტოტების შესაჭრელად გავიდნენ...

სიკეთის შუქი ჩაღვროდა ყმაწვილს პატარა გულში, იმ დღეს გაკეთებული სიკეთისა...

მეზობელი

ერთ საღამოს დიმიტრის ჭიშკარს ბეგლარა მიადგა. ნაჯაფარმა მასპინძელმა გაუხსნა კუნტი-კარი ბოლომდე, გადაეხვია მეზობელს, იმერულად, გულლიად:

– მობრძანდი, გენაცვალე, შენ არ მომიკვდე, არ გაგიშვებ!

სტუმარ-მასპინძელი სამზადის წინ დადგმულ დაბალ, წაბლის ხისგან გაკეთებულ მაგიდასთან სამუფხა სკამებზე ჩამოსხდნენ. მოიკითხეს ერთმანეთი, მოსავლისა, ამინდისა... შემდეგ დიმიტრემ მაროს დაუძახა:

– დედაკაცო, ე, მანდ, კეცებში ცივი მჭადი რომ გაქვს, მოგვიტანე...

მარიამმა მჭადებს მწნილი, ყველი და არაყიც მოაყოლა. სამი ჭიქა რომ დალიეს, ბეგლარამ ჰკითხა:

– ვანოს ბაღანესა ხომ არაფერი იცი?

– არაო – უპასუხა დიმიტრემ.

– ჰოდა, მაშინ წავიდეთ, გავიგოთ ამბავი. დღეს დილით ბიჭი უბელო ცხენს მოხტომია, ყურ-შაც იქვე ყოფილა. ბავშვს ცხენი ვერ დაუმორჩილებია და გადმოვარდნილა. გავიგოთ რავა არიანო. წავიდნენ.

ვანომ ისინი სახლში შეიპატიჟა და მომხდარის შესახებ დაიწყო საუბარი.

– კაცო, ცელქი ბიჭი მყავს, მაგრამ გაოცებული ვარ. მე მოვესწარი ამ ამბავს... ეს ჩემი “ვაჟკაცი” გდია მტვერში გაშხლართული, მარა ხალხო, ცხენი უნდა გენახათ... ფლოქვებს როგორ სცემდა, უტრიალებდა ბიჭს და ბრიალა შავ თვალეებში, გეგონებოდა კურცხალი უთამაშებდა. სანამ მე მივიდლოდი იმ ადგილამდე, სადაც ეს მოხდა, ყურშამ ჩემამდე შემფოთებულმა რამდენჯერმე მოირბინაო...

მოვიკიდე ბიჭს ხელი, წამოვაყენე ფეხზე. ცოტა მუხლი აქვს გადაყვლეფილი, ცოტაც თავზე კოპი აზის. ეგ არაფერი. მადლობელი ვარ უფლის, ასე რომ გადარჩა – დასძინა ჩაფიქრებულმა ვანომ. შემდეგ ბიჭს გადახედა და უთხრა: კოკა წყალს ყოველთვის არ მოიტანს და ასე იოლად სხვა დროს ვეღარ გამოხვალო.

იქაც სახელდახელო სუფრა გაიშალა. ისაუბრეს, დაისვენეს, მოეფერნენ ერთმანეთს მეზობლები და გვიან, უკვე დილინით მიმავალთ, ვანომ სიყვარულით თვალი გააყოლა, მადლიერმა უღვაშებზე ხელი გადაისვა.

* * *

ასე იყო წინათ...

ახლა? –

გამოკეტილია იმ ქუჩაზე სახლების დიდი ნაწილი და ვრცელ, გაშლილ ხეებით გადაბიბინებულ ეზოებში ვერც ცხენს დაინახავ, ვერც ყურშას და მით უფრო – დედლებში დეზებზე ამაყად მდგომ მამაღს...

ნანი ჭირაქაძე

თუ იმ ყველა სხვისი შემწეობით, სხვისი შევლით ვიქნებით გამსჭვალული, სხვა ჩვენთვის იქნება, სხვას ჩვენთვის ენდომება კეთილი, ეს იგივე თავის თავის შეველა გამოდის, თუმცა სხვა ფერით, სხვა წესით, რომელიც უფრო ღვთიურია, უფრო კაცობრივია. – ამ წესით ვცხოვრობდი, ვცხოვრობ დღესაც და ვიცხოვრებ სიცოცხლის ბოლო წუთამდე.

წინასწარ წარმოდგენილი სიკვდილი ჩემი (ნანი ჭირაქაძე)

მაშინ, როცა მე და შენ ერთად შეგჩერდებით ჩემი სხეულისათვის განკუთვნილი პირმოსხნილი სამარის წინ, წუთიერ სიჩუმეში თქვენ ცრემლები მოგეკალებათ, მე კი სათქმელი. მგლოვიარე სიჩუმეში ეს ორი უსიტყვო კავშირი იქნება ის, რასაც ჩემი ყოფნა ქვიოდა დედამიწაზე.

მერე მესაფლავეების უხეში ხელები ნიჩბებით მომამყრიან მიწის მძიმე ბელტებს. მე შემაწუხებს საშინელი გუგუნი მიწისა, ამტკივდება მკერდი. დაღლილი მესაფლავეები უფრო სწრაფად შეუდგებიან საქმეს, რომ მალე დაისვენონ. გულზე ამობურცულ მიწასაც საგულდაგულოდ მისცემენ ფორმას, რომ უცხო თვალმა ხელობა არ დაუწონოს. გაელიმება სათნოებას, რადგან იმადროულად უწესრიგოდ მიყრილი მიწა დაამძიმებს ჩემს უღამაზეს სულის საცავს, - სხეულს და ამის გამო მესაფლავის არსებაში ერთი წუთითაც კი არ შედრკება მისი სული, მან მხოლოდ თავის საქმე იცის. ეს არის მთლიანად ჩვენი ცხოვრება.



მაგრამ თუ თქვენ შორის გამოერევა ერთი ისეთი ვინც მიცნობდა, ხელს მოჰკიდებს მესაფლავეს და სთხოვს არ მომყაროს მიწა ბელტებად, რამეთუ ჩემს ნაიარვე მკერდზე ყვაილების სიმძიმესაც კი ვგრძნობდი და ის ვინც მიცნობდა საკუთარი ხელებით დაფხვნილი მიწით ამოავსებ ჩემს ღია სამარეს. მერე ჩაიხოქებს ჩემს გულზე ამოპურცულ მიწის გროვასთან და უკანასკნელი ცრემლით მიაბარებს თხოვნას... გაუფრთხილდეს სიყვარულისთვის, სიკეთისთვის, მეგობრობისთვის, სიმღერისთვის და სიცოცხლისთვის დაბადებულს, რომ იყოს მსუბუქი ეს მიწა და არ დაამძიმოს ისედაც ამაოებით დაძმობებული სხეული ჩემი.

თამარ თედიაშვილი

**ამერიკის პირველადმოჩენები
(ჩვენს ერამდე, მრავალი წლითადრე)**

წლების წინ მრავალჯერ აღმოჩენილი და კვლავ დაკარგული ამერიკა აღარავის აძლევს პეგემონობის საშუალებას. მუდამ წინ მიიწევს და უმთავრეს ინოვაციურად გვევლინება. ზემოთ აღნიშნულ, ლიდერისთვის დამახასიათებელ ყველა ასპექტს მაქსიმალურად ხელს უწყობს თავისუფალი დასავლური სული, რომელიც თითოეულ ადამიანს გამბედაობას მატებს, თავს განსაკუთრებულად, განსხვავებულად აგრძნობინებს. მაგრამ ინტრიგის მთავარი საფუძველი მისი საიდუმლოებით მოცული წარსულიდან უნდა მოდიოდეს. საკითხის ასეთი დელიკატურობა თუ უბრალო გაურკვეველობა, როგორც გურამ მაისურაძე აღნიშნავს წიგნში „სიმართლე დედამიწის უძველესი ცივილიზაციის შესახებ“ - „ეკროპელების უსირცხვილო მითვისებამ...“ გამოიწვია, რაშიც გულისხმობს იმ ფაქტებისა და დოკუმენტების ნაწილობრივ მიჩქმალვას მთელი მსოფლიოსათვის, რითაც კოლუმბი ხელმძღვანელობდა. „საოცრებათა წიგნში“, რომელსაც არისტოტელეს მიაწერენ. ყველასთვის კარგად ცნობილ ფილოსოფოს პლატონსაც მოეპოვება ცნობები ამერიკაზე. ლინგვისტურ და ისტორიულ მონაცემებზე დაყრდნობით, თამამად შეგვიძლია ვისაუბროთ ალექსანდრე მაკედონელის საზღვაო ფლოტის ამერიკაში მოგზაურობასა და მათ დაკარგვაზე ძვ.წ. 323 წელს.

მკვიდრ ინდიელებს მითების სახით დღემდე შემორჩენილი აქვთ ამბები მაღალი, თეთრკანიანი წვეროსნების შესახებ, რომლებიც ჩამოვიდნენ მათ კონტინენტზე და განმანათლებლებად მოეფლინენ ადგილობრივებს. ე.წ. ვირაკონები. „ვირაკონი“ კენუას ენაზე - ზღვის ქაფს ნიშნავს. თუმცა, ამ სიტყვამ შესაძლოა მოგვაგონოს მსგავსი აგებულების ქართული სიტყვები: ვირთავა, ვირთევზა... პრეფიქსი „ვირ“ ამ შემთხვევაში დიდს შეიძლება ნიშნავდეს. „კონი“, როგორც მოგვსენებათ, მეგრულად „კაცს“ ეწოდება. ამ ვარაუდით, შესაძლოა, რომელიმე პროქართველურ ენაზე - „დიდ კაცს“ ნიშნავდეს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩამოსულები, მაღალი, წვერიანი კაცები გახლდნენ. ადგილობრივებს არ უჭირთ იმის აღიარება, რომ მათი კულტურული მიღწევები სხვა რასის ხალხის მიერაა შექმნილი და თავიანთ შორეულ წინაპრებს ბევრად ჩამორჩებიან განვითარებით. ინკები საკუთარ თავს ვირაკონების უკანასკნელ შთამომავლებად ცნობდნენ. როგორც ესპანელი მეცნიერი ვინსენტ ლოპესი ამბობს, ათასზე მეტი სანსკრიტული ენის ძირი მოინახება სამხრეთ ამერიკაში.

არც არაუკანის თავსამკაულების მსგავსება უნდა გამოგვჩვენოს მხედველობიდან შუმერების, ფინიკიელებისა და იუდეველების სამკაულებთან. შუამდინარეთის კავშირს ამერიკასთან ისიც ამყარებს, რომ მესოპოტამიური წარმოშობის წარწერები, კლდეზე ამოკაწრული ურჩხულები და გველეზია ნაპოვნია.

1992 წელს, გერმანელი მეცნიერების ჯგუფმა, სვეტლა ბალაბანოვას ხელმძღვანელობით გამოიკვლია ცხრა ეგვიპტური მუშია, რომლებიც თარიღებიან ძვ.წ. 1070 წლიდან ახ.წ. 395 წლამდე. მიუნხენში ჩატარებული სამედიცინო დასკვნების შედეგად კოკაინისა და ნიკოტინის არსებობა დადასტურდა მათი სხეულიდან აღებულ ნიმუშებში. თუმცა, ეჭვქვეშ აყენებენ ამ ვარაუდებს. ზოგი მიიჩნევს, რომ ლოტუსსა და ყაყაჩოს თესლს იყენებდნენ იმავე ეფექტით, რაც ნიკოტინსა და მცენარე კოკას აქვს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ შემდგომმა ექსპერტიზებმა აჩვენა, რომ მუშიების რაღაც ნაწილი გაყალბებულია.

ამერიკის პირველადმოჩენებში აქტიურად განიხილებიან იაპონელებიც, რომლებიც დაახლოებით ძვ.წ. 3044 წელს აღმოჩნდნენ სამხრეთ ამერიკაში, დღევანდელი ჩილეს ტერიტორიაზე. სადაც არქეოლოგებმა მიაკვლიეს რიგ კერამიკულ ნაკეთობებს, რომლებიც საკმაოდ დახვეწილი სტრუქტურის იყო, რაც მოულოდნელობას წრმოადგენდა ეკვადორზე მცხოვრები მაშინდელი, ბევრად პრიმიტიული ადამიანებისგან. ცნობების თანახმად, 63 000 წლის წინ ვულკანი ამოიფრქვა იაპონიაში, კერძოდ, კიუსიუს კუნძულზე. ყველაფერს ფერფლი მოედო, გაუსაძლისი პირობებიდან თავის დასაღწევად ადგილობრივები ოკეანეში გაიფანტნენ ნაგებით, მაგრამ რამდენად შესაძლებელი იყო მათი საზღვაო ხომალდებით წყნარი ოკეანის გადალახვა?! მართლა მიაღწიეს თუ არა ეკვადორამდე იაპონელებმა?! როგორც მოგვსენებათ ყველაზე მცირე მანძილი ორ კონტინენტს შორის სწორედ აქ

არის. კამჩატკის ნახ. კუნძულიდან ალასკამდე. იაპონელების ახალ კონტინენტზე მოგზაურობის ნათელი მაგალითია ძალიან საინტერესო და ერთ-ერთი უიშვიათესი სისხლის კიბოს, ლეიკემიის პიველი ტიპის HTLV1-ის აღმოჩენა ატაკამის უდაბნოს ნაწილში. ჩვეულებრივ, ეს დაავადება ცნობილია იაპონიის მოსახლეობის მცირე ნაწილში და სხვაგან არ გვხვდება. იქაური ვადღივიელების მოსახლეობის გარეგნობაში აშკარად ამოვიკითხავთ შორეული აღმოსავლეთის ელემენტებს, ისინი საოცრად განსხვავდებიან ქალაქის დანარჩენი მოსახლეობისგან.

არის ფაქტები, რომ პირველი ამერიკელები ციმბირიდან არიან წამოსულები, ჯერ კიდევ გამყინვარების ხანაში, კოლუმბამდე, 23 492 წლით ადრე, მოგესხენებათ, მაშინ დედამიწის ნახევარი ყინულით იყო მოცული, ასე რომ ბევრად მარტივი იქნებოდა აზიიდან ამერიკაში გადასვლა ვიდრე შემოდგომ ხანებში, თანაც ბერინგის სრუტის გავლით ყველაზე მოკლე მანძილია ორ კონტინენტს შორის. ზემოთაღნიშნული აზიელები პალეო-ინდიელების სახელით არიან ცნობილი, ისინი ამერიკის წითელკანიან მოსახლეობას შეადგენენ, მეთევზე-მონადირე ტომები. აქვე აუცილებელია ვახსენოთ ძვ.წ. 24 000 წლით დათარიღებული სოლუტრიანული სანადირო იარაღების აღმოჩენა ჩრდ. ამერიკის ტერიტორიაზე, რომელიც ევროპულ კულტურას ეკუთვნის ძვ.წ. 18 000 -16 000 წწ. სოლუტრიანების რაღაც ნაწილი წამოვიდა ამერიკაში ატლანტის ოკეანის გადაკვეთით და პალეო ინდიელებთან ერთად ჩრდ. ამერიკაში შექმნეს ე.გ. ქლოვისის (CLOVIS) კულტურა.

აშკარაა, ამერიკის აღმოჩენის შესახებ მრავალი ცნობები არსებობს. მითებიდან და ზღაპრებიდან დაწყებული, თვალსაჩინო არქეოლოგიური მასალებით დამთავრებული. და მაინც ვინ აღმოაჩინა პირველად ამერიკა?! ჩინელებმა, ესპანელებმა, იაპონელებმა, ეგვიპტელებმა თუ შუამდინარელებმა. იქნებ არცერთმა! ან საერთოდ რატომ გაუჩნდათ სურვილი უკიდვანო ოკეანეში შეცურვის. ეს ხომ ფაქტობრივად თვითმკვლელობის ტოლფასი იყო. თითოეულ მათგანს უკეთეს შემთხვევაში უზოუკვლოდ დაკარგვა ემუქრებოდათ. ერთ-ერთი ამერიკელი მკვლევარი ამბობს, ყოველი ამ ვოიაჟის მთავარი მოტივატორი ჩიტები იყვნენ. ადამიანები აკვირდებოდებოდნენ მათ გადაფრენებს, დროთა განმავლობაში მიხვდნენ, რომ იქ აუცილებლად ხმელეთი იქნებოდა. ამიტომაც მოუნდათ მათსავით თავისუფლები ყოფილიყვნენ, გაქცეოდნენ ყველას, სადღაც შორს „ნირვანას“ საძებნელად. მათ შორის იღბლიანებმა კი კონტინენტს მიაკვლიეს.

რეზო ფაჩულია

**ინტიმში
მსკლუზიური ინტიმში კალთან**

რუსმა ვეტერინარებმა აღმოაჩინეს, რომ სახლიდან გაგდებული ძაღლები სიცვიისაგან კი არა ინფაქტისაგან დაიღუპნენ, მათ პატრონის დაღატკნულ ვერ გაუძლეს.

ამის წამკითხავმა, მძიმედ დაღუპებულმა, გადავწყვიტე ძალა მომეკრიბა და ჩემი ქუჩის ერთ ნაცნობ ძაღლს გავსაუბრებოდი. რომელიც, ადამიანი რომ იქეპებოდა, იმ სანაგვე ყუთიდან ცოტა მოშორებით იდგა.

დარცხვენით მივესალმე ძაღლს და ვთხოვე, შევდგომოდით საუბარს.

მე – როგორ ფიქრობთ, თქვენ და ადამიანები იცნობთ ერთმანეთს?

ძაღლი – ალბათ, არც ერთს არ გვახსოვს, რა უხსოვარი დროიდან ვიცნობთ ჩვენ ერთმანეთს, მაგრამ ადამიანები ასეთი უბედურნი, როგორიც ამჟამად ხართ არასოდეს ყოფილხართ.

(ვერდიანოვი ვუპასუხე, რადგან ძაღლებს რომ ახსოვთ ჩვენზე, იმდენი ჩვენ არ გვახსოვს.

მე – მაინც თქვენი აზრი ადამიანებზე როგორია?

ძაღლი – თქვენ არაფერში ზომა არ გაქვთ. სწორი იყო თქვენი ჯილაგის ერთმა კაცმა, რომ თქვა: „ადამიანის გაჩენა ბუნების შეცდომა არისო“. ამ შეცდომამ თვით ბუნებასაც გაუჩინა თავსატეხი. დაღუპვამდე მიიყვანეთ პლანეტა, ღმერთმაც ინანა თქვენი გაჩენა, ალბათ, ამიტომაც. ბიბლია თუ გაქვს წაკითხული იქ სწერია ეს (ზიზღით თვალეში ჩამხედა ძაღლმა). ჩვენც დიდი შეცომა დავუშვით, თქვენ რომ მოგიშინაურდით და გიერთგულეთ დაბადებამდე ორგულებს.

მე – კი მაგრამ, ალექსანდრე მაკედონელმა თქვენი წინაპარი პერიტა ხომ დიდი პატივით დაკრძალა და მის პატივსაცემად ქალაქიც კი გააშენა.

ძაღლი – ჩვენთვის ამას მნიშვნელობა არა აქვს, იმიტომ რომ ჩვენი ბუნებით პატივი და ჯილდო კაცთაგან ბოძებული არ გვჭირია. ალექსანდრემ, პერიტას პატივისცემის საბაბით, თავისი ისტორია გაამდიდრა.

მე – ხომ არ ბრაზდებით ჩვენს შეგონებაზე: „ავმა ძაღლმა არც თვითონ ჭამა და არც სხვას აჭამა“?

ძაღლი – ეს სიავე კი არ არის, არამედ ჭამამდე დაფიქრებაა საჭირო. ეს სიავე კი არა, ზომიერების დაცვისთვის გაფრთხილებაა.

თქვენი გაუმაძღრობის გამო ხდება რევოლუციები, ომები, ტერორები, არჩვენები. ბუნებაც გამოლიეთ, ცხოველთა ჯილაგსაც თქვენს გამო კატასტროფა დაატეხეთ თავს. ლომები, ვეფხვები,

ფოცხვერები და მგლებიც იმაზე მეტ ნადირს არ იტაცებენ, რაც არ ესაჭიროებათ. თქვენ კი, გაძარცვეთ და გაუმაძღრობის წყურვილით პლანეტაზე არ ეტყვი. ამ ბოლო დროს, მღვდრი და მამრიც ერთმანეთში აგერიათ. ისიც არ იცით, როდის გამრავლდეთ და როდის არა. მღვდრი გარყვნიით და ამ საქმეს პროსტიტუცია შეარქვით, აქედანაც გინდათ ბიზნესი აკეთოთ. ერთმანეთს ხოცავთ და ცხოველთა დაცვის საზოგადოება კი გაქვთ (აქ, ძაღლმა დაცინვით და შეცდომებით შემომხედა!

მე – როგორ ფიქრობთ, სინდისი და მორალი იხსნის ადამიანებს?

ძაღლი – სინდისი და მორალი, სინდისი და მორალი – (რამდენჯერმე ბრაზით გაიმეორა ძაღლმა) – სინდისი და მორალი თქვენი ბილწიერების თავშესაფარად გაქვთ გამოგონილი. გახსოვსთ, ალბათ, კასრში მჯდომარე დიოგენეს რომ წაადგა თავზე ალექსანდრე მაკედონელი და ამაყად, თავმომწონედ რომ უთხრა: მე ძაღლი დიოგენი ვარო, ადამიანი რომ იყო შერცხვა და ჩვენი ყოფა არჩია თქვენსას.

მე – ძაღლებს თუ გაქვთ საზოგადოება და კანონები?

ძაღლი – ჩვენთვის ბუნებამ დააწესა კანონები და მას ვემორჩილებით, თქვენ დიდი ხანია გახვედით ბუნების კანონებიდან, არც კი იცით რა კანონებით ცხოვრობთ. მეთაურად რომ ვინმეს აირჩევთ, ან ტყვიით კლავთ ან ენით. თქვენ უკეთურებას ვერავითარი მდინარე ვერ გარეცხავს. თუმცა, მდინარე რას გარეცხავს. ყველა მდინარე ისე დააბინძურეთ. წყლის დაღვევისაც კი გვეშინია. (კვლავ ბრაზით შემომხედა ძაღლმა).

მე – მაინც, რას ნანობთ ძაღლები ყველაზე მეტად?

ძაღლი – მართალი რომ ვითხრათ, ადამიანებს რომ მოეუშინაურდით და ვუმეგობრეთ.

მე – ახლა რას ფიქრობთ, უღალატებთ ადამიანის მეგობრობას?

ძაღლი – არა, არ ვუღალატებთ, იმიტომ კი არა, ადამიანები ჩვენი ერთგულების ღირსნი ხართ, არამედ ჩვენს ჯილაგსა და ბუნებას არ ვღალატობთ და ამიტომ!

მე – თქვენი აზრით, რა უნდა დაიმასხოვრონ ყველაზე მეტად ადამიანებმა?

ძაღლი – ის რომ ადამიანს საკუთარი სხეულიც არ აქვთ მუდმივად და ნივთიერ საკუთრებად. ამიტომ მისაკუთრებისთვის მთლად ნუ წარირყვნიებიან ხომ ხედავთ, ეგერ, შენი მოდგმის კაცი როგორ იქექება ნაგავში, მეორე კი, საკუთრება-მისაკუთრებით ღალატობს. ყველანი ერთ დიდ ნაგავში იქექებით... უბედურებო... (ამოსთქვა ძაღლმა და შემომხედა).

მე – ახლა ჩვენ ქართულ მიწაზე ვდგევართ და ვსაუბრობთ, ეს ხომ ღვთისმშობლის წილხვედრი მიწაა?

ძაღლი – ეს იმას არ ნიშნავს, რომ უაზროდ და ყოყონობით იართო?! უაზრო ყოყონობას ალევთ თქვენს ძაღლს, თანდათანობით ხელიდან გეცლებათ ეს მიწაც. სხვაგან გარბიხართ, საკუთარ თავს კი საკუთარ ქვეყანაში ვეღარ პატრობნობთ. ერთმანეთს ისე ღანძლავთ და არ ინდობთ, ჩვენც გვრცხვენია აქ გაჩერების... (ამ სიტყვებზე თითქოს მეხი დამეცა...)

მე – მაინც რითი ანუგეშებთ ადამიანებს?

ძაღლი – ძნელია თქვენი დანუგეშება, მაინც გეტყვით, ნუ გეშინიათ, ჩვენსავით თუ იცხოვრებთ – გაძღვებით, ადამიანებო!..

ბოლოს, ნახვამდისო, მითხრა ძაღლმა და გამშორდა...

დიდხანს ვიდექი ერთ ადგილას და ტკივილით გავცქეროდი, რა ამაყად მიაბიჯებდა ძაღლი...



სერგი ლომაძე

სტუმრობა დედამამის ერთ-ერთ საუკეთესო სკოლაში

ცხოვრებაში რა აღარ მინახავს, მაგრამ მაინც ცოტა რამეს გავუოცებოვარ ისე, როგორც თბილისის (გლდანის) 167-ე სკოლაში ჩვენი აკადემიის სტუმრობამ და მათმა დახვედრამ გამაოცა. პირდაპირ ვიტყვი: ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ესა ერთ-ერთი საუკეთესო სკოლა, როგორც დედამამის, ისე მთელი რესპუბლიკის მასშტაბით. მისი დირექტორი ლაშა კილაძე საოცარი ენერჯით, ენთუზიაზმით სავსე ახალგაზრდა კაცია, რომელიც, თურმე, ამავე სასწავლებლის აღზრდილი ყოფილა, და არაა გასაკვირი, რომ მშობლიურ სკოლას თავს ევლება, მაგრამ ბატონი ლაშას მიღწევანი მაინც გამოგნებელია. როგორც ჩანს, დირექტორს მხარში უდგას ძალიან კარგად მომზადებული ჯგუფი თანამშრომლებისა. პედაგოგთა მაღალკვალიფიციურობა გამოიხატა თუნდაც იმ სათეატრო დადგმაში, რომელიც მოწაფეებმა მცირე სცენაზე წარმოგვიდგინეს. ეს აღსაზრდელები, და მათი პედაგოგი – ლამარა გერგუდავა, რომელიც იყო ამ ღონისძიების მთავარი ორგანიზატორი, უმაღლეს შეფასებას იმსახურებს. ღონისძიებას აკადემიის მხრიდან ესწრებოდა ლეგენდარული ჯუმბერ ლაჭავაძე (მსოფლიო მოგზაური, სპორტსმენი და ფილოსოფოსი), და აკადემიის პრეზიდენტი – ქალბატონი გულნაზ ხარაიშვილი; ასევე მიწვეულნი ვიყავით მე და ჩემი მეგობარი პოეტი – შემოქმედებით ჯგუფ “ზღვარის” ლიდერი – კახა ბაციკაძე; სტუმრის სტატუსით იყო, შეხვედრაზე, ქალბატონი დალი აბესაძეც.

ჩვენს დასახვედრად, პატივსაცემად გამართულ თეატრალურ-საკონცერტო დადგმაში თავიდან ბოლომდე მხოლოდ ბავშვები მონაწილეობდნენ: ამ სკოლის სხვადასხვა ასაკის მოწაფენი. პირველად მათ წარმოგვიდგინეს კონოკადრები, რომელზედაც ასახული იყო ფოტომასალა – მათი ადგილის განმსაზღვრელი ჟურნალ “ათინათში”. მოკლედ, ძირითადად ეს იყო ნორჩი ათინათელების ფოტოკოლაჟი, აკადემიის ჟურნალთან და მის გარშემო შემოკრებილ ადამიანებთან მოწაფეების შემოქმედებითი ურთიერთობის ამსახველი. კინო-ფოტო-მასალა საინტერესო გახლდათ თუნდაც იმ კუთხით, რომ ჩვენ დავინახეთ, თუ როგორ ჩაენაცვლება, მომავალში, ერთ წარმატებულ თაობას მეორე, ალბათ, კიდევ უფრო წარმატებული რომ გახდება. ამ ყოველივეს მე დავარქმევდი იმედის (საიმედო) ფოტოკოლაჟს.

მერე იყო თვითონ დადგმა. ნორჩმა ათინათელებმა მოკლედ გაგვაცნეს თავიანთი ბიოგრაფიები და ლიტერატურული შესაძლებლობანი პოეზია-პროზაში. აქ მე დავინახე უსაზღვრო მონაცემები მოზარდებისა. თუკი ამ სკოლამ ორი-სამი დიდი ადამიანი მაინც ვერ აღუზარდა ჩვენს ქვეყანას, ძალიან გულდასაწყვეტი იქნება, თუნდაც იმიტომ, რომ აქ არის მოწაფეების დიდი ნიჭი, მასწავლებელთა პროფესიონალიზმი და ბატონი ლაშას დიდი ენთუზიაზმი, მონდომება. ყოველივე ეს ისეთ უნისონშია ერთმანეთთან შერწყმულ-შეზავებული, რომ მან აუცილებლად უნდა მოიტანოს ძალიან მკვეთრი შედეგები, თანაც საკმაოდ ახლო ხანში.

ლიტერატურის გარდა ბავშვებმა წარმოადგინეს მუსიკალური ნომრებიც, რაზეც ცალკე უნდა გავამახვილოთ ყურადღება.

ცეკვა “სამაია” ყოველთვის საუკეთესო ქალურ ცეკვად მიმაჩნდა მსოფლიოში. მოგესვენებათ ეს ქართული ლეგენდა რომელიმე სვედიანი მუსიკის ფონზე სრულდება, სამი ულამაზესი ქალის მიერ. ადრე, როცა ძალიან ახალგაზრდა ვიყავი, ადრეული სახელოვნებო წარმატებებისაგან გათამამებულს, თავი იდეალურ ადამიანად მიმაჩნდა (ახლა მედიმება ამაზე), და ძალზედ გაამაყებულს, მიყვარდა სამაიას ცეკრა უსასრულოდ. მე, მამაკაცს, მომწონდა ქალღმერთთა ეს საოცრად ნაზი და ქართული წარმოჩინება. როგორც ძლიერს, ღვთაებრივი სინაზე მიზიდავდა...

გლდანის სკოლაში სამმა მშვენიერმა მოზარდმა მოღურჯო-მოიასამნისფრო კაბებში შეასრულა ძველქართველ ქალღმერთთა ცეკვა – “სამაია”. ეს იყო, თითქოს, ღურჯო სიზმარი, რომლის ტყვეობაშიც აღმოვჩნდით ჩვენ – მაყურებელნი. ბავშვები ცეკვავდნენ დინჯად, ლამაზად, დარბაისლურად. მათ იმ წუთებში მართლა გვაზიარეს ნამდვილ ხელოვნებას.

თუმცა ამ საცეკვაო ნომერზე ნაკლები სულაც არ იყო სხვა გამოსვლები. მაგალითად, სკოლის საუკეთესო მოცეკვავემ შემოგეთავაზა ლეგენდარული ნინო (ნინა) რამიშვილის “ჯეირანი”, რომლითაც თავის დროზე დიდმა სუნიშვილებმა მსოფლიო ადაფრთოვანეს. მოზარდმა კი გაბედა და... ეს ურთულესი ცეკვა მაღალ დონეზედაც შეასრულა! ასევე ძალიან მომხიბლა სხვა ცეკვებმაც: დასავლურქართულ (აჭარულ) და ზოგადქართულ საცეკვაო ხელოვნებას ბავშვები საქებარ დონეზე ფლობდნენ. ბავშვთა (მოზარდთა) კვალობაზე ასევე მკვეთრად მაღალი იყო მათი სასიმღერო ოსტატობაც, ხოლო, როცა ერთ-ერთ

თმა ბიჭმა ფანდურზე დაკვრის ქართულხალხური ხელოვნება უზადოდ წარმოგვიდგინა, დარბაზი ოვაციამ მოიცვა. ერთადერთი, რაც დამაკლდა პირადად მე, ეს იყო ფოლკლორულ საკრავთა ლიდერის სალამურის დაკვრის ქართულხალხური ხელოვნება. დიახ, სალამური არ გახლდათ წარმოდგენილი სალამოზე (დონისძიებაზე), თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ მომავალში მასაც ჩართავენ მუსიკალურ ნომრებში.

მოკლედ სასკოლო წარმოდგენას უმადლეს დონეზე შევაფასებდი. მართლაც რომ იდეალურ პიროვნებებსაც კი გააოგნებდა ეს ნაშრომი...

და აი, საბოლოოდ სიტყვა ჩვენ გადმოგვეცა. აღტაცება არც დაგვიმაღლავს. ბატონმა ჯუმბერ ლეჟავამ და ქალბატონმა გულნაზ ხარაიშვილმა მაღალი შეფასება მისცეს სკოლას, დირექტორის, კლასის დამრიგებლის, მთელი პერსონალის მუშაობას, განსაკუთრებით კი მოწაფეთა ხაზგასმული ნიჭიერება დააფასეს. ქალბატონმა დალიმ სიმღერაც კი შეასრულა, ფანდურზე, სპეციალურად ამ სასწავლებლის პატივსაცემად. რაც შეეხება ჩემს მეგობარს, კახას, მან წაიკითხა საკუთარი ლექსი ("გრანელი - ღმერთი") და გიტარაზე შეასრულა ჩვენივე ჯგუფის - "ზღვარის" სიმღერა - "ჩემი ლირიკა". მეც ვთქვი ერთი ლექსი - "უკვდავება", და ამ ლექსის ფონზე, იქვე, სახელდახელოდ შექმნილი სულ პატარა პერფორმანსი წარმოვადგინე. მასპინძლები ძალიან თბილად შეხვდნენ თითოეული ჩვენგანის გამოსვლას, ასე შედგა სტუმარ-მასპინძლურ ხელოვნებათა თუ თაობების ხელოვნებათა ღამაში თანხვედრა ერთმანეთთან.

წამოსვლის ხანს უფრო კარგად დავათვალიერეთ სკოლის შენობა. მისი განახლებაა დაწყებული და ინფრასტრუქტურის სრული მოწესრიგება. ღამა კილაძე იქ სულ რამოდენიმე წლის მისულია, ასე ვთქვათ, ჯერაც ახალი დირექტორია, მაგრამ სკოლას უკვე დაეტყო მისი ხელი. შენობა შიგნით მკვეთრად გაღამაზებულია, დამშვენებული. სართულ-სართულ მიმდინარეობს მისი განახლება, დასურათხატება დიდთა ქართველთა სახეებით. ასე ცოცხლდება ისტორია მომავალი თაობის სულში და გულში...

მოვილოდით 167-ე სკოლიდან და გზაში თან მომყვებოდა ბედნიერების თბილი განცდა. იშვიათად ვყოფილვარ ასეთი ბედნიერი. სულ რამდენიმე ეპიზოდი მახსენდება. მაგალითად: როცა პირველად დაიბეჭდა ჩემი ლექსი; როცა შევქმენი შემოქმედებითი ჯგუფები "მირაჟი" და "ზღვარი"; როცა ჯგუფ "ზღვარს" უმადლესი შეფასება მიანიჭა ჩემთვის ანგარიშგასაწვემა არაერთმა პიროვნებამ (მათ შორის: მიშო თუმანიშვილმა, გიგი კვაშილაგამ, ნუნუკა გურალიამ, თვითონ გულნაზ ხარაიშვილმა და სხვებმა); როცა დავიწყე, ვთქვათ, გაცოცხლება-პოპულარიზება დიდებული მეცნიერის, ფილოსოფოს ამირან ლომაძის ნამოღვაწარისა (სხვათა შორის, ამ საქმეშიაც ძალიან დამეხმარა ქალბატონი გულნაზის თანადგომა); სხვათა შორის, ცხოვრებაში სულ რამოდენიმე მართლაც შეუდარებელი გონებრივი ძალის ფილოსოფოსი მინახავს, ისინი სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები იყვნენ, ხოლო ერთი იმათთაგანი ნამდვილად იყო და არის ამირან ლომაძე - მამაჩემი, რომლისგანაც თავის დროზე ბევრი რამ ვისწავლე...

და აი, ჩემს ცხოვრებაში არსებულ განსაკუთრებულ ბედნიერ წუთთა, საათთა რიცხვში აუცილებლად ჩავწერდი 167-ე სკოლაში გატარებულ დღეს, იმ დღეს, რომელსაც მე დავარქმევდი, უპირველესად ყოვლისა მომავალი თაობის ნიჭის ზეიმს. ღმერთმა ნუ მოგვიშალოს ასეთი დღეები!...

ჟურნალ "ათინათის" საბავშვო განყოფილების რედაქტორმა, 167-ე სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა, ლამარა გერგუდავამ, ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ თავიდან, ყველაფერი დაიწყო საგაკვეთილო პროექტიდან (თემა: "პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება"), რომელიც გრძელვადიანია... პროექტმა ერთი კონკრეტული კლასიდან სხვა ჯგუფებისკენაც გადაინაცვლა. დღეს, "ნორჩ ათინათელებად" სახელდებული სკოლის მოსწავლეები წერენ ლექსებს, ესეებს, ეწვეიან მთარგმნელობით საქმიანობას, ცნობილი ადამიანებისგან იღებენ ინტერვიუებს. 16 დეკემბერს, სკოლაში, დირექტორის, ღამა კილაძის, ინიციატივით ჩატარებულ პრეზენტაციაზე, რომელმაც ლიტერატურულ-მუსიკალური სალამოს ელფერი მიიღო, ნორჩმა შემოქმედებმა თავი მრავალმხრივ წარმოაჩინეს. დამსწრეთა დიდი მოწონება დაიმსახურეს მოსწავლეებმა: გვაჯაია ნათიამ, მელაძე ანიმ, ნინო გოგატიშვილმა, მარიამ ჯიქიამ, ლუკა შედანიამ, ანი ჩიტაიამ, ირაკლი ჯიგანიამ, თამარ მოთიაშვილმა, ქეთევან სხირტლაძემ, მიხეილ კობერიძემ, ნატა პირველმა. ათინათელ მოსწავლეთა საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ მათი მშობლებიც. ქალბატონმა გულნაზ ხარაიშვილმა თბილი სიტყვებით მიმართა ნორჩ შემოქმედებს და ისინი ქების სიგელებით წაახალისა, მადლობის ფურცლები მიიღეს სკოლის დირექტორმა და საგნის მასწავლებელმა.

წერილები

ტიტე მოსია

ბაბრატი შინჭუბას „ტანჯვის სიმღერა“



ცნება „მუჰაჯირობა“ არაბული ლექსიკური ფონდიდან დამკვიდრდა სიტყვასმარებაში. იგი ნიშნავს იძულებით გადასახლებას, აყრას. არაბულ ლექსიკაში ეს ტერმინი ასე ქედრს – „მუჰაჯირეთ“. აფხაზურად ასე გამოითქმის – „ამჰაჯირა“. ამ სიტყვის წაკითხვა და გაგონება დღემდე ტანში აჟრჟოლებს აფხაზ ხალხს, კავკასიელ ხალხთა ერთ ნაწილს, ამასთანავე, დანარჩენ ხალხებს, მათთან ერთად ქართველებსაც, რომლებსაც გუულთან ახლოს მიაქვთ XIX საუკუნეში მუჰაჯირობის ტრაგიკული შედეგები.

გიორგი ძიძარას თანახმად, სხვადასხვა ისტორიულ გარემოებათა და მიზეზთა გამოისობით (სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური, რელიგიური მიზეზების გამო) მომხდარი მუჰაჯირობა დიდ ტრაგედიადა იქცა არაერთი კავკასიელი ხალხისთვის, მათ შორის აფხაზებისთვისაც.¹ კავკასიელი ხალხისაგან განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ წარმოშობითა და ენობრივად აფხაზებთან ახლომდგომი უბიხები, რომლებიც მთლიანად გადასახლდნენ თურქეთში.

სერგეი ზუხბა წერს: „დანამდვილებით არ არის ცნობილი, რამდენი აფხაზი მოჰყვა მუჰაჯირობაში. ამ საკითხში ისტორიული წყაროები და დოკუმენტები ერთმანეთს არ ეთანხმებიან, ზოგი მათგანი ასახელებს 300 000 კაცს, ზოგი 200 000 და ზოგიც 150 000 ადამიანს, მაგრამ უეჭველია 100 000 კაცზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო“.² გიორგი ძიძარას თავის მონოგრაფიაში მუჰაჯირობაზე მოაქვს ინფორმაცია მუჰაჯირთა შთამომავლის, თურქეთში დაბადებული და იქვე მცხოვრები აფხაზი პოეტისა და მკვლევრის ომარ ბეიგვას (ბიგვაა) ნაწერიდან, სადაც ნათქვამია, რომ დღეისათვის თურქეთში ცხოვრობს არანაკლებ 100 000 აფხაზი, ხოლო არაბულ ქვეყნებში (სირია, იორდანია) კი – 15 000-მდე აფხაზი.

თურქეთში აფხაზების იძულებით გადასახლებაში თანაბრად მიუძღოდათ ბრალი თურქ კოლონიზატორებს, რუსეთის ცარისტული ხელისუფლების წარმომადგენლებს და, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ადგილობრივ ფეოდალებს, რომლებიც მტრებისაგან იყვნენ მოსყიდულნი. მოტყუებულ აფხაზ მოსახლეობას ნახირივით მიერეკობდნენ თურქეთისაკენ. არწმუნებდნენ ხალხს, რომ თურქეთში ბედნიერი ცხოვრება მოელოდათ, ჯოჯოხეთიდან პირდაპირ სამოთხეში მოხვდებოდნენ, სადაც თითქოსდა ციდან წვიმის ნაცვლად თაფლი წვეთავდა, ჭაში წყლის ნაცვლად რძე იდგა და ა.შ.

მუჰაჯირობამ არეკლვა პპოვა აფხაზურ ფოკლორში, რაზეც თავის წიგნში, რომელიც ზემოთაც დავიმოწმეთ, სერგეი ზუხბამ გაამახვილა ყურადღება. გავისხენოთ ზოგიერთი მომენტი. ტანჯვის სიმღერა „ვაზბაქი“ გვამცნობს: აფხაზმა თავადმა ვაზბაქმა შეკრებილ ხალხს „შთამაგონებელი“ სიტყვებით მიმართა:

„თქვენი ჭირიმე, მისმინეთ, ხალხო,
ამბობენ, რუსი მოვაო ჩქარად,
გსმენიათ მათი სინდის-ნამუსი? –
დას თავისი ძმა უხდება ქმარად!“³

ეს სამშობლოს მოღალატე ვაზბაქი თურქ-ოსმალეთგან იყო მოსყიდული. ამით უნერგავდა რუსების შიშს და სიძულვილს აფხაზებს, რათა ადვილად გადაებირებინა ისინი და დაეჩქარებინა მათივე აყრა მშობლიური მიწა-წყლიდან. აფხაზები აღშფოთდნენ, ირწმუნეს ვაზბაგის ნათქვამისა, რუსი გენერალი მოკლეს, ოფიცერთა ნაწილი დახოცეს, შემდეგ ნაგებში ჩასხდნენ და თურქეთში გადაიხვეწნენ.

სერგეი ზუხბა კიდევ ერთ სიმღერაზე ამახვილებს ყურადღებას. სიმღერას ჰქვია „წებდელთა სახორცე ქვაბი“. მასში ვეცნობით აფხაზი ფეოდალების და თურქი მძარცველების მიერ მოტყუებული და თურქეთის ხრიოკ მიწაზე დამკვიდრებული აფხაზი ქალის გასაჭირს: ბაღლებს მოშვიდათ, ქალმა ცეცხლზე წებდელთა ხორცის სახარში დიდი ქვაბი შემოდგა, შიგ წვრილი ქვები ჩაყარა და ბავშვების მოსატყუებლად იმას ხარშავდა. ტანჯული ქალი წყევლის მის მომატყუებელ უსირცხვილო ყუდინათს:

„აკანტურებენ უბედური ბავშვები თავებს,
კუჭი უხმებათ და ხავილით ითხოვენ საჭმელს,

¹ გ. ძიძარა, მუჰაჯირობა და XIX საუკუნის აფხაზეთის ისტორიის საკითხები, სოხუმი, 1975 (რუს. ენაზე), გვ. 138.
² ს. ზუხბა, აფხაზური ზეპირსიტყვიერება, თარგმნეს თ. გვანცელაძემ და ა. არაბულმა, თბ., 1988, გვ. 399-400.
³ ციტატა მოტანილია ს. ზუხბას დასახ. წიგნიდან, გვ. 401.

წებელდელთ ქვაბი უთუხთუხებს, ხორცის ქვაბი და
შიგ ხორცის ჩიჩქიც რომ არ არის, ქვაბი რად გინდა!

ჰოი, ყუდინათ, ჩვენი ცოდო გქონია ისემც,
როგორც სამოთხეს მოგვწყვიტე და ჯოჯოხეთს მიგვეცი!..⁴

აფხაზურ ზეპირსიტყვიერებაში მოიპოვება მუჰაჯირობაზე მრავალი თქმულება, სადაც გადმოცემულია მშობლიური მიწიდან დაძალებით და მოტყუებით აყრილი და თურქეთში გადასახლებული აფხაზი მშრომელების განსაცდელი და გასაჭირი. მუჰაჯირობის თემატიკით გამოირჩევა აფხაზური მხატვრული ლიტერატურა: დიმიტრი გულიას „ჩემი კერა“, სამსონ ჭანბას მოთხრობა „ტანჯვის სიმღერა“, მისივე დრამატული ნაწარმოები „მუჰაჯირი“, გიორგი გულიას ისტორიული რომანი „მორევი“, ბაგრატ შინქუბას ლექსი „მუჰაჯირული იავანანა“, მისივე რომანი „ამოწყვეტილთაგანი“ და ა.შ. აღსანიშნავია, რომ ბაგრატ შინქუბამ უბიძგის მუჰაჯირულ ტრაგედიაში მიუძღვნა სახელგანთქმული რომანი „უკანასკელი უბიძგი“ (იგივე – „ამოწყვეტილთაგანი“) ამჯერად შევჩერდებით აფხაზეთის სახალხო პოეტის ლექსზე „მუჰაჯირული იავანანა“.

როგორც მიუთითებენ, „მუჰაჯირული იავანანა“ აფხაზ ხალხში სიმღერად გავრცელებულია. თუმცა იგი მუჰაჯირთა ტანჯვის სიმღერების მოტივზეა გახმოვანებული. ამასთანავე, აკენის სიმღერების ნოტაზეა შექმნილი. სერგეი ზუხბას მოვუსმინოთ: „როცა დედები და ძიძვები ბავშვს აკვანში ჩააწვენდნენ, არწვედნენ და ტკბილ, წყნარ ჰანგზე აწყობილ აკენის სიმღერებს უმღეროდნენ. აფხაზური აკენის სიმღერები, სხვა ხალხთა შესაბამისი სიმღერების მსგავსად, ძალზე ძველია... ყველა უძველეს აკენის სიმღერას არ მოუღწევია ჩვენამდე“.⁵ ამჯერად დავიმოწმებთ ერთ აკენის სიმღერას, რომლის გავლენას უნდა განიცდიდეს ბაგრატ შინქუბა საანალიზო ლექსის წერისას:

„ხუხუ ნაანი, ვა ნაანი,
შიშ ნაანი, ვა ნაანი.
ნუ, ნუ ტირი დედა მოვა,
ჯერ იძინე, მამაც მოვა,
შიშ ნაანი, ვა ნაანი.
ბავშვის ძილი ტყის ძილია,
მისი გულიც ტყის გულია.
ტყეში იხვი დაფრთხილებს,
ხუხუ ნაანი, ვა ნაანი,
შიშ ნაანი, ვა ნაანი“.⁶

„მუჰაჯირული იავანანა“ აკენის სიმღერებისაგან იმით განსხვავდება, რომ დედა თავის შვილს, აკვანში მწოდარეს, დევნილობაში უმღერის ნანას. აქედან ისიც ირკვევა, რომ აგრესორი, კოლონიზატორი თურქი არ ინდობდა თვით აკვანში მყოფ ჩვილ ბავშვს და ერეკებოდა ოჯახს აკენიანად თურქეთისკენ. ხომალდში მყოფი დედა, გაუბედურებული და მშობელ მხარეს მოწყვეტილი, იავანანას უმღერის შვილს და ამით იოხებს გულს. ლექსი ასე იწყება:

„მძაფრი ტაღლა გინანავებს,
ზღვა გუგუნებს ბობოქარი,
ხელთ უპყრიათ შავბნელ ძალებს
შენი ბედის იალქანი“.⁷

მომდევნო სტროფში, რომელსაც ქვემოთ დავიმოწმებთ, აფხაზური აკენის სიმღერის სული ქრის. ამაში დავგვარწმუნებს შესაბამისი პარალელი. „მუჰაჯირული იავანანა“:

„შიში ნანი, შიში ნანი,
მოწყვეტილო მშობელ კერას,
მინდობილო ბედისწერას,
დაიძინე, უანანი“.⁸

სხვათა შორის, ეს სტროფი გამოიხსნულად სამჯერ მეორდება ლექსში, ალბათ, ხალხურისადმი თავყვანისცემის სურვილით. ხალხური აკენის სიმღერის ერთ-ერთი სტროფი ასე ჟღერს:

„ხუხუ ნაანი, ვა ნაანი,
შიშ ნანი, ვა ნაანი.
ნუ, ნუ ტირი, დედა მოვა,
ჯერ იძინე, მამაც მოვა“.

მუჰაჯირებით დატვირთული ხომალდი ზღვის ტაღლებს მიაპობს და თურქეთისკენ მიემშურება, ჩვილ ბავშვს მძაფრი ტაღლა უნანავებს თითქოს. მშობლიური მიწიდან იძულებით აყრილთ ზღვაც თანაუგრძნობს: „ზღვა გუგუნებს ბობოქარი“. ბავშვის უნუგემო მომავალი მოძალადე ოსმალთა

⁴ ს. ზუხბა, აფხაზური ზეპირსიტყვიერება, გვ. 401.

⁵ იქვე, გვ. 98.

⁶ იქვე, გვ. 99.

⁷ ბ. შინქუბა, ლექსები და პოემები, თბ., 1987, გვ. 39.

⁸ იქვე.

ხელში: „ხელთ უპყრიათ შავბნელ ძალებს შენი ბედის იაღქანი“. მშობელ კერას მოწვევტილ ბავშვს დედა სიმშვიდისკენ, დაძინებისკენ მოუწოდებს, რომელიც ბედისწერას უნდა მიენდოს: „მინდობილო ბედისწერას, დაიძინე, უანანი“. ტაეპში „ბედისწერა“ მიზანმიმართულად იკავებს ადგილს. ამით ავტორს სურს გვითხრას, რომ მუჰაჯირობა, საერთოდ, აფხაზი ხალხის ბედისწერა იყო და ვერ გაექცა მას.

დედა იავნანაში ჩაუთქვამს შვილს თავისი ქვეყნის და ხალხის მწარე ხვედრს, საშინელ რეალობას: დამპყრობლის შემოჭრას („ქარიშხალი ამოვარდა“) და მშობელ მხარეში ტრაგედიის დატრიალებას („შეიმოსა მხარე თაღხით“), მოსახლეობის აყრას მამულიდან და ოსმალების გზაზე დაყენებას:

„ქარიშხალი ამოვარდა,
შეიმოსა მხარე თაღხით
და მშობლიურ მწვანე კალთას
მოაცილა მისი ხალხი“.⁹

მშობლიური მიწაწელიდან ძალით აყრილი აფხაზი ხალხი განსაცდელში ჩავარდა („ხალხს დაადგა გასაჭირი“), ფიზიკურად და მორალურად განადგურდა. მისი ცრემლები შავი ზღვის ტალღებს ერთვოდა და სიმლაშის გაძლიერებაში ეხმარებოდა. ბაგრატ შინქუბამ დიდოსტატური მხატვრული სიტყვის ძალისხმევით ერთ სტროფში დაატია ის სათქმელი, რასაც შესაძლოა მთელმა პოემამაც ძნელად გასცეს პასუხი. შეუძლებელია უკეთესად გადმოსცე მუჰაჯირ აფხაზთა ტრაგიკული ხვედრი, ვიდრე ეს სტროფი:

„ხალხს დაადგა გასაჭირი,
დაისეტყვა, გაპარტახდა.
და შავი ზღვაც მუჰაჯირის
ცრემლით უფრო მლაშე გახდა“.¹⁰

მუჰაჯირი დედა აკვანში მწოლიარე მუჰაჯირ შვილს უყვება, თუ მის ხალხს როგორ „დაჰყვა უბედობა ბედად“, რომ მომავალში ამ პატარასაც მწარე მონობა ელის („და მონობა გელის მწარე“). ამ ტაეპის ქვეტექსტში იგრძნობა: დედას არ სჯერა თურქი და რუსი კოლონიზატორების, გაიძვერა ადგილობრივი ფეოდალების „შეგონებისა“, თითქოს თურქეთში ჩასულ მუჰაჯირ აფხაზებს სამოთხეში ცხოვრება ელოდათ, ხელის გაუნძრევლად ციდან მოვლენილი მანანით იცხოვრებდნენ ფუფუნებაში. ქალი დარწმუნებულია თურქეთშიც მონობის ქვეშ ყოფნაში. მას საკუთარი თავი არ ადარდებს, შვილის მონურ მომავალზე გოდებს. შთააგონებს პატარას, რომ მუდამ ახსოვდეს დედასავით საყვარელი სამშობლო:

„უბედობა დაჰყვა ბედად
და მონობა გელის მწარე,
მოიგონე, როგორც დედა,
მშობლიური შენი მხარე“.¹¹

ამ სტროფს მოსდევს ლექსის მეორე სტროფის გამეორება, რიგით მეექვსე სტროფის რანგში:

„შიში ნანი, შიში ნანი,
მოწვევტილო მშობელ კერას,
მინდობილო ბედისწერას,
დაიძინე უანანი“.¹²

„მუჰაჯირულ იავნანაში“ ბაგრატ შინქუბა მაქსიმალურად აქსოვს პატრიოტულ გრძნობებს და სათქმელს მუჰაჯირი დედის ენით გადმოსცემს. აფხაზურ ხალხურ „იავნანაში“ არ ჩანს მის მოქმელთა პატრიოტული განწყობილებანი. მისგან განსხვავებით, აფხაზეთის სახალხო პოეტი „მუჰაჯირულ იავნანას“ ტვირთავს ეროვნული სულისკვეთებით, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ქართულ მწერლობაში. ამ მხრივ მკითხველის ყურადღება გვინდა მივაპყროთ აფაზეთის მკვიდრი პირველი ქართველი პოეტის და მრავალმხრივი მოღვაწის ივანე გეგიას ლირიკას. მას აქვს ორი ლექსი ერთი და იგივე სათაურით „ბაღანა“,¹³ რომელიც „იავნანას“ მოტივზეა აგებული და თავიდან ბოლომდე გამსჭვალულია ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთებით. აქვე უნდა დასახელდეს მისივე ლექსი „მოზარდთ“,¹⁴ სადაც ავტორი მოუწოდებს ახალგაზრდობას: „მსხვერპლი იყავით სამშობლოსი და დედაენის“.

ბაგრატ შინქუბას საანალიზო ლექსის მომდევნო სტროფებში მუჰაჯირ დედას სჯერა, რომ მისი შვილი როცა გაიზრდება, მონობას არ შეეგუება, მხარულით შავ ზღვას გადალახავს, მშობელ მხარეს დაუბრუნდება და ჩამქრალ კერას კვლავ გააჩაღებს:

⁹ იქვე.

¹⁰ ბ. შინქუბა, ლექსები და პოემები, გვ. 39.

¹¹ იქვე.

¹² იქვე.

¹³ ი. გეგია, „გაზაფხულის მოლოდინში“, წიგნი გამოსაცემად მოამზადეს მ. გაბელავამ, ი. ზაქარაიამ, ო. ჟორდანიამ, თბ., 2011, გვ. 37, 69.

¹⁴ იქვე, გვ. 67.

„გაიზრდები და მხარულით,
ვიცი, შავ ზღვას გადასერავ;
მიმქრალი და მიმალული
გაანადე შენი კერა“.¹⁵

აქ უნებლიედ გვახსენდება დიმიტრი გულიას ავტობიოგრაფიული პოემა „ჩემი კერა“. პატარა დიმიტრის მშობლებს თურქებმა ვერაგულად გადაუბუგეს სახლ-კარი და, როგორც მუჰაჯირი, გაუყენეს თურქეთის გზას. ოჯახმა დიდი ტანჯვა გამოსცადა თურქეთის მიწაზე. თუმცა მოხდა ისე, რომ ამ ტანჯულ ოჯახს იღბალმა გაუღიმა და დაუბრუნდა მშობლიურ ჩამქრალ კერას, რომლის აღორძინებას იმთავითვე შეუდგა:

„აწი მე მგონი, აღარა გვიშავს,
კვლავინდებურად ავანთებ კერას...
მაგრამ კეთილმა მეგობრის ხელმა
კვლავ ამისუნთქა ჩამქრალი კერა...
ისუნთქე, კერავ! გაათბე ყველა, –
ვინც სწორი გზიდან არასდროს უხვევს...
ვისაც მამულში ღრმად უდგას ფესვი“.¹⁶

(თარგმნა მ. მაჭავარიანმა)

მუჰაჯირ დედას თვალწინ უდგას სამშობლოში დაბრუნებული შვილის სურათი, თუ როგორ აანთებს იგი ჩამქრალ კერას, როგორ გაიყვებს მის ფაცხაში ბასრი ხმალი – მტრის შემუსვრის სიმბოლო, მისი ჩამოსხნით როგორ გაინათებს მომავალს, ანუ მტრის დამარცხებით როგორ მოიპოვებს გამარჯვებას. ეს დედის სურვილია და ამიტომაც მოუწოდებს დავაუკაცების შემდეგ მშობელ მხარეში გმირულად დაბრუნებისკენ. სწორედ ამ კეთილ ნებას ჩაუთქვამს იაენანათი ჯერ კიდევ მუჰაჯირ ჩვილს:

„შენს ფაცხაში ძველთაძველი
გაიყვებს ბასრი ხმალი.
ჩამოსხენი, ჩამოსხენი!
გაინათე მომავალი“.¹⁷

ლექსის მიხედვით, აფხაზი დედა გამოიყურება გმირ ქალად, რომელიც ძნელად ეგუება ბორბტებას, მორალურად არ დაცემულა, სულიერად არ გატეხილა. იგი შვილის პატრიოტად აღზრდაზე ფიქრობს, სამშობლოს მომავალზე დარდობს, შვილის შინ დაბრუნებაზე და მშობელ მხარეში ცხოვრების განახლებაზე ზრუნავს. შვილს შთააგონებს სამომავლოდ არა მხოლოდ საკუთარი ცხოვრების მოწყობაზე ფიქრს, არამედ მშობელი ხალხის გასაჭირის გულთან ახლოს მიტანას, ხალხის სამსახურში ყოფნას, ხალხის სათავეში ჩადგომას, რათა გმირთა გმირმა სამშობლოსთვის საბრძოლველად თავი არ დაზოგოს:

„ხალხს აცილე გასაჭირი,
ხალხს ჩაუდექ სათავეში,
სამშობლოსთვის გმირთა გმირი
საბრძოლველად გადაეშვი“.¹⁸

„მუჰაჯირული იაენანიდან“ გამოსტყვივის ნათლად, რომ აფხაზ დედას, ილიასი არ იყოს, გაცნობიერებული აქვს „მადალი დანიშნულება და საღმრთო ვალი“. მის მიზანია ისეთი შვილის აღზრდა, რომელიც მომავალში ორიენტირებული იქნება არა მხოლოდ პირადულ კეთილდღეობაზე, არამედ მშობელი ხალხის, მშობელი მხარის სიყვარულზე და კეთილდღეობაზე.

ზემოთ დიდი ილია ვახსენეთ და აქვე ვიტყვი: ბაგრატ შინქუბა ღრმად იყო დაუფლებული ქართულ კლასიკურ მწერლობას, მითუმეტეს – ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას. მიგვანინია, რომ ავტორმა „მუჰაჯირული ნანა“ შექმნა „ქართველის დედის“ შთაგონებით. კერძოდ, იმ ნაწილში, სადაც ილია მოუწოდებს დედას:

„აქ არის, დედავ, შენი მადალი
დანიშნულება და საღმრთო ვალი!
აღზარდე შვილი, მიეც ძალა სულს,
საზრდოდ ხმარობდე ქრისტესა მცნებას,
შთაგონებდე კაცთა სიყვარულს,
ძმობას, ერთობას, თავისუფლებას, –
რომ სიკეთისთვის გული უთროდეს
და მომავლისთვის ბედთანა ბრძოდეს“...¹⁹

¹⁵ ბ. შინქუბა, ლექსები და პოემები, გვ. 39-40.

¹⁶ დ. გულია, ლექსები, პოემა, მოთხრობები, რომანი, პიესა, გვ. 129-130.

¹⁷ ბ. შინქუბა, ლექსები და პოემები, გვ.39-40.

¹⁸ იქვე.

¹⁹ ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, I, თბ., 1987, გვ. 373.

„მუჰაჯირული იაენანა“ სრულდება ჩვენ მიერ უკვე ორჯერ დამოწმებული სტროფით:“

„დაიძინე, უანანი,
მოწყვეტილო მშობელ კერას,
მინდობილო ბედისწერას,
შიში ნანი, შიში ნანი“.²⁰

როგორც ვთქვით, „მუჰაჯირული იაენანა“ სულ ათსტროფიანია, ამათგან ბოლოს დამოწმებული სტროფი ლექსში. შიგადაშიგ სამჯერ მეორდება. იგი შემთხვევით არ ხდება. ამით ავტორი ცდილობს ესთეტიკური და შემეცნებითი გავლენა მოახდინოს მკითხველზე. ეს იმავე ფუნქციას ასრულებს ლექსში, როგორც რეფრენი სალექსო სტროფში, სადაც სალექსო სტრიქონი ყოველი სტროფის ბოლოს მეორდება, როგორც დიდი რიტმული და მუსიკალური ელემენტი.²¹ ამით ავტორი იმაში გვაჯერებს, რომ იგი შექმნილი აქვს აფხაზური იაენანის შთაგონებით. კონკრეტულად საუბარია ლექსში იმ სამჯერ გამეორებულ სტროფზე ანუ ხანაზე.

ამრიგად, ბაგრატ შინქუბას „მუჰაჯირულ იაენანაში“ გამოძახილს პოელობს XIX საუკუნეში აფხაზ ხალხს თავსდატეხილი მუჰაჯირობის ტრაგედია, რაშიც თანაბარი ბრალი მიუძღოდნოთ თურქ და რუს კოლონიზატორებს, ასევე ადგილობრივ გადაგვარებულ, გაიძვერა და ვერცხლისმოყვარე ფეოდალებს. ლექსი გაჯერებულია ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთებით და მომავლის რწმენით. საცილობელი არ უნდა იყოს, რომ „მუჰაჯირული იაენანა“ შთაგონებულია აფხაზური ხალხური „იაენანათი“ და ილია ჭავჭავაძის „ქართვის დედით“.

ლუარა სორდია

**ტერენტი გრანელის ენიგმების სამხაროში –
„და ეცემოდნენ საღვაც წვიმები შორეულ ღრუბლის სანაპიროდან“**

ტერენტი გრანელი გამუდმებით მარადიულ, სამშობლოსა და მთელი პლანეტისთვის აქტუალურ პრობლემებს, უზენაეს ჭეშმარიტებებს ემსახურებოდა. პოეტს ნათელმხილველივით და ნათელმსმენივით ხელეწიფებოდა კავშირი პლანეტის საინფორმაციო ველთან, გაღწევა კოსმიურ უსაზღვროებაში, რათა ეხილა წარსულის, აწმყოს, მომავლის სურათები, ადამიანის, სამშობლოს, მსოფლიოს სული, დღევანდელიდან განეჭვრიტა მერმისი.

„გახსოვდეს სიკვდილი!“ – შეგვაგონებდა პოეტი ძველ რომაელთა სიბრძნეს, გვანგვედა გარდუვალს და დიდი ფილოსოფოსების დარად გვასწავლიდა, რომ სიცოცხლე სიკვდილისათვის მზადებაა. ის ხედავდა „სიკვდილის ყვირთვლას“ და ახერხებდა სიკვდილის შიშის, გაარაფრების შიშის დაძლევას, რადგან სჯეროდა, რომ ადამიანში მხოლოდ ხორცია ხრწნადი და წარმავალი, სული კი მარადისობის წილია. არსებობის მიზანი სიმართლის, სიკეთის მსახურებაა და მხოლოდ წმინდა სულის, მაღალი იდეალებით გამორჩეულთ ეძლევათ ზეციურ სავანეში დავანებისას შანსი.



მკითხველისათვის სიკვდილის გამუდმებული შეხსენების მიზანი იყო არა უმოქმედობის სინდრომის გავრცელება, არამედ გარდუვალთან შეგუება, წარმავლობასთან ბრძოლის გზების გაკვლევა, რათა ადამიანს გონივრულად გამოეყენებინა მისთვის მიწიერი სიცოცხლისთვის განკუთვნილი დრო. პოეტის შეძახილის მიზანი უმაღლესი გაფრთხილება, გამოფხიზლება იყო, ვიდრე ფარ-ხმლის დაყრისკენ მოწოდება.

კონსტანტინე გამსახურდია ბრძანებდა: „უკვდავება მხოლოდ მას დაუმკვიდრებია, ვინც ცოცხალი ზიარებია სიკვდილს. გზა, უკვდავებისკენ მიმავალი, სიკვდილის არკის ქვეშ გაივლის“.

ტერენტი გრანელი ჰედესში ჭვრეტის უნარით იყო მიმადლებული. ის წინასწარ ხედავდა თავის „ღია სამარეს“, სამუდამო მიძინებას, ესმოდა დების ღოცვები, უცდომლად იწინასწარმეტყველა თავისი გარდაცვალების წელი, თვე, დღეები (დღეთა განსაზღვრაში მხოლოდ ხუთი დღით შეცდა (1). წარმოიდგინა უცერემონიო გასვენება, დროებით დავიწყების უფსკრულში ჩაძირვა და მერე ისევ და სამუდამო გამობრწყინება თავისი მარადიული შემოქმედებისა.

მიცვალებულად გარდასახული პოეტის სული თავის კუბოსთან წარმოიდგინა უზენაეს არსებების ხედავდა სერაფიმებს, მარიამ ღვთისმშობლის, ანგელოზების თანხლებით, თვით იესო ქრისტეს წინამძღოლობით მიემართებოდა საბოლოო გზაზე, რათა სამოთხეში დავანებინა მის წმინდა სულს: „... მკედარი, ვიყავი და უგრძობელი, ღია სამარე ჩემს გულს უცდიდა. და ეცემოდნენ საღვაც წვიმები შორეულ ღრუბლის სანაპიროსთან, კუბოსთან იდგნენ სერაფიმები და ღვთისმშობელი ჩემზე ტიროდა. „მომასვენებდნენ ანგელოზები და კუბოს ქრისტე წინ მიძღოდა“ (მიცვალებულის დღიურიდან)(2,101-102).

²⁰ ბ. შინქუბა, ლექსები და პოემები, გვ. 40.

²¹ შდრ. ა. ჭილაია, ლიტერატურისმცოდნეობის ძირითადი ცნებები, თბ., 1971, გვ. 381.

სულის ჭვრეტაზე წმინდა მოციქულის წერილში, ნათქვამია: სული ჭვრეტს ყოველივეს, ღვთის სიღრმეებსაც“ (პავლე მოციქული, I თორინთელმა, 3, 10) (2,359).

ღვთით აღმაშენებელი უზენაესს ევედრებოდა „სულის მხედველობისთვის“: „განმანათლე მხედველობაი სულისა“.

ილია ჭავჭავაძემ დაინახა „საქართველოს თანამდევნი უკვდავი სული“ (ანრდილი).

გალაკტიონი გვარწმუნებდა: „მე დავინახე მცურავი სული“ (გრიგალი).

ტერენტი გრანელი ხედავდა ადამიანის სულს, მეგობრის სულს. „მე თითქოს ვუმზერ და თითქოს ვხედავ შენს სულს, ტანჯვისგან გასპეტაკებულს“, მიმართავდა აკაკი ანდრიაშვილს. „ცისფერი სულის სახით ევლინებოდა უფალი: „...მოვა ცისფერი სული“ (უცნობი საფლავი) (4,130).

„მემენტო მორის“ ავტორი „უხილავი საქართველოს“ შეიგრძნობდა.

ქრისტიანული რელიგიის მიხედვით, მართალი ადამიანის სულის საგანგ არის სამოთხეში, სადაც მას ანგელოზი მიაცილებს, ცოდვილს კი დემონი მიუძღვის ჯოჯოხეთში.

ტერენტი გრანელს, თავისი სიწმინდის საზღაურად, სამოთხე ეიმედებოდა: „გლოვის ზარებით გამაქანებს თეთრი კარეტა და ჩემი სული სამოთხეში მივა გოდებით“.

ტერენტი გრანელი იყო როგორც რეალისტური ხელწერის, ისე სიმბოლური აზროვნების დიდოსტატი.

ლექსში „მიცვალებულის დღიურიდან“ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ფრაზა: „და ეცემოდნენ სადღაც წვიმები შორეულ ღრუბლის სანაპიროდან“.

ღრუბელი პოეტს მრავალგზის აქვს მოაზრებული როგორც რეალისტურ, ისე სიმბოლურ ჭრილში.

ამ შემთხვევაში „შორეული ღრუბელი“ რელიგიური შინაარსის მეტაფორაა.

„უძველეს იადგარში“ (5,200) და მათეს სახარებაში (17,5) მარიამი მოიხსენება, როგორც „ღრუბელი ნათლისაი“.

„ნევმირებული ძლისპირნის“ (5,501) მიხედვით, მარიამ ღვთისმშობლის სახელია „სულმცირე ღრუბელი“.

საანალიზო ლექსში აქცენტი მიდის „შორეული ღრუბლის“ წვიმებზე.

ცვარი, ნამი, წვიმა ქრისტეს სიმბოლოა ბიბლიის მიხედვით: „იქნება იაკობის ნატამალი, როგორც უფლის ცვარი, როგორც შხაპუნა წვიმა ბალახზე“ (მალაქია წინასწარმეტყველი, 5,6) (6,).

ფსალმუნში იესო ქრისტეს მოვლინება წარმოდგენილია, როგორც მღვდელს გამაცოცხლებელი წვიმა: „იგი ჩამოვა, როგორც წვიმა მოთიბულ მღვდელზე, როგორც წვეთები, მიწას რომ რწყავენ“ (ფს. 71/72,6).

ასევე, ბიბლიაში მარიამ ღვთისმშობელი წარმოჩნდება, როგორც სიმართლის მასხურებელი ღრუბელი: „იწვეთოს მალდიდან ზეცამ და ღრუბლებმა ასხურონ სიმართლე“ (ესაია წინასწარმეტყველი, 15,8).

ვფიქრობთ, რელიგიურ ქვეტექსტებს შეიცავს ფრაზა: „ეს ღრუბლიანი დღე ფარულია“ (1,242).

„დღე ფარული“ ქრისტეს სიმბოლო უნდა იყოს, რადგან „დღე“ საღმრთო სახელია: „ეს არის“ დღე, რომელიც ქმნა უფალმა, ვილხინოთ და ვიმხიარულოთ მასში“ (ფს. 117/118, 24) (3,65)

„ღრუბლიანი დღის“ ღრუბელი მარიამ ღვთისმშობელს უნდა მიემართებოდეს.

„მიცვალებულის დღიურიდან“ აქცენტს აკეთებს „შორეულ ღრუბელზე“, რაც, საფიქრებელია, ჩვენი ზეციური დედის სიმბოლო იყოს, ხოლო წვიმა—ძე ღმერთის.

ლექსი საკუთარი სიკვდილის წინასწარი ხილვას და რწმენა იმისა, რომ ფიზიკური სიკვდილით არ მოიხპობა პოეტის არსებობა, პირიქით, მის წმინდა სულს უზენაესი არსებები და თვით ქრისტე ღმერთი წარუძღვება მარადიულ სავანეში. თავისი უკვდავების რწმენა პოეტმა გამოხატა როგორც პირდაპირი, ისე ენიგმური სახეებით.

აღსანიშნავია ისიც, რომ „შორეული ღრუბელი“ ლექსის ავტორს ყოველთვის ცაში გაფრენის სტიმულს აძლევდა: „ვხედავ შორეულ ღრუბელს, ბაღს მდუმარება იცავს... სული გვაფრინდა ცისკენ, სხეული დარჩა მიწას“ (ისევ თეთრია სივრცე) (2, 46).

სხვაგან „ცისფერის“ ეპითეტით ფეიგურირებს რელიგიური გაგების წვიმა: „არის ფიქრები ცისფერ წვიმაზე, არის უცნობი ქალის პირობა“(2,32).

ლიტერატურა

1. გივი ციციტიშვილი, ტერენტი გრანელმა საკუთარი სიკვდილი თითქმის ზუსტად იწინასწარმეტყველა, გაზ. „ვერსია“, 2001, 5-11 ნოემბერი
2. ტერენტი გრანელი, თბ. 2011
3. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992
4. ტერენტი გრანელი ორ ტომად, ტ. I, თბ. 1991
5. უძველესი იადგარი, თბ. 1988
6. ნევმირებული ძლისპირნი, გ. კიკნაძის რედაქციით, თბ. 1982
7. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II

**დანტი ალიგიერისა და შოთა რუსთაველის მიმართებისათვის
(ვიკტორ ნოზაძის თხზულებათა მიხედვით)**

1966 წელს მსოფლიოში აღუნიშნავთ დანტე ალიგიერის დაბადებიდან 700 და შოთა რუსთაველის 800 წლის იუბილეები. ამ დიდ თარიღებს ემიგრაციაში მოღვაწე ცნობილი ქართველი მეცნიერი ვიკტორ ნოზაძეც გამოხმაურებია. მას 1966 წლის 9 მაისს პარიზში წაუკითხავს “რუსთაველი-დანტე – 700 წ.-800 წ.” ამ მოხსენებას ჯერჯერობით სრული სახით არ ვიცნობთ, მაგრამ მისი ნაწილობრივ აღდგენა შესაძლებელია რუსთაველისადმი მიძღვნილ ჟურნალ “კავკასიონში” (პარიზი, 1966) გამოქვეყნებული მასალების მიხედვით.

სტატიაში “მოგვეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა მწყობისა” ვიკტორ ნოზაძე აღწერს დანტე ალიგიერის 700 წლის საიუბილეო ზეიმს პოეტის მშობლიურ ქალაქში, ფლორენციაში, სადაც, მისი ცნობით, ინტელექტუალურ საზოგადოებასთან ერთად ხუთასი სასულიერო პირი ესწრებოდა. კარდინალ ფლორენცის, ფლორენციის არქივისკოპოსს, სანტა გრონეს ბაზილიკაში წირვა გადაუხდია და დიდი ოტალიელი პოეტისათვის ხოტბა შეუსხამს. წირვის წინ ზეიმის დამსწრენი ტაძრის ბაპტისტერიუმში შესულან, სადაც შვიდასი წლის წინ დიდი იტალიელი პოეტი მოუნათლავთ. აქვე კარდინალ ჯიკონანის წაუკითხავს რომის პაპის, პავლე მეექვსის სიტყვა და მის მიერ დანტეს ხსოვნისადმი მიძღვნილი, ოქროთი დამზადებული დაფნის გვირგვინი დაუსვენებია.

თავის სიტყვაში რომის პაპს პოეტი ამგვარად შეუფასებია: “დანტე იყო დიდი ოსტატი ხელოვნებაში და მოგვცა დაუზოგველი, სასტიკი გაკვეთილი ცხოვრებისათვის. დანტესთან ყველაფერი დამყარებულია სარწმუნოების, რწმენის უძლიერეს მისწრაფება,-სასოება,-გულმოდრეკილებაზე. მას სურდა კაცობრიობისათვის ეუწყებინა შინაგანი გარდაქმნისა და განახლების საჭიროება, უარყოფით ცდათა საშიშროება.. მან დაგვისახა ღმერთი ერთი და სამება და საიქიოში თავისი პოეტური მოგზაურობის აღწერით გვანგებო იგი.” ნოზაძის თქმით, ფლორენციის “ძველ სასახლეში” ცნობილ სპეციალისტს ჯიოვანი ფალანის დანტე დაუხასიათებია, “ვითარცა პოეტი სარწმუნოებისა და ქრისტიანობისა”.

ამავდროულად ვიკტორ ნოზაძე გულისტკივილით შენიშნავს, რომ შოთა რუსთაველის საიუბილეო ღონისძიებებში სასულიერო პირების მონაწილეობა საბჭოთა საქართველოში სრულიად წარმოუდგენელია, ხოლო გენიალური პოეტის “დაფასების მაგიერ მხოლოდ ქება გვესმის, თავისთავად ქება უკუღმართი.. რუსთაველს აქებენ, როგორც ათეისტური იდეების მატარებელს! მას ხოტბას უძღვნიან, როგორც პანთეისტ-მატერიალისტს! მას აღიღებენ, ვით დემოკრატიის მებაირახტრეს! მას ხოტბას ასხამენ, თითქო იგი თეისტური ყოფილიყო! აღიღებენ, იგი მუსულმანი იყო! მას უკმევენ, თითქოს არის იგი მანიქეანი! მას ამოიბენ, ნეოპლატონიანი იყო! არც წარმართულობა დააკლეს მას! არც მისი ელდინურობა დაუზრახავთ! აქებ-აღიღებდნენ მას, ვითარცა ქართული ეკლესიიდან განდევნილსა და დევნილს! განსაკუთრებით გუნდრუკს უკმევენ იმისათვის, რომ თურმე “თანამედროვეობას”, “კომუნისტურ” ხანას “ეხმაურება”!

გამოჩენილი მკვლევრის იმავე წერილში საუბარია კათოლიკური ეკლესიის მხრიდან დანტეს დევნაზე, აქვე პარალელია გავლენები მისსა და რუსთაველის ხვედრსა და შემოქმედებას შორის. ვიკტორ ნოზაძე თვლის, რომ რუსთაველის “უთქმელი” და “უცნაური და უთქმელი” იგივეა, რაც დანტეს “უთქმელი”. საყურადღებოა მისი დასკვნა: “რუსთაველსა და დანტეს არსებითად ერთნაირი გაგება აქვთ ღმერთთან კაცის ურთიერთობის შესახებ. ორივე ერთსა და იმავეს ამბობს: - კაცს შეუძლია ღმერთს შეუერთდეს, ღმერთთან მივიდეს, ღმერთი იხილოს და მით განიცადოს უზენაესი ნეტარება ზნობრივ მოვალეობათა შესრულების, სიყვარულის გზით, სასოებისა და რწმენის განამდვილებით, ფილოსოფიური ბრძნობით, რაც მორალისა და ინტელექტურ-სულიერ სწავლათა, თეოლოგიურ სათნობათა განხორციელებით არის შესაძლებელი” (“კავკასიონი”, 1966: 111). სტატია სრულდება სიტყვებით: “უნდა ვაქოთ და ვადიდოთ რუსთაველი, როგორც დიდი მორწმუნე, ვით დიდი და მღვივე ქრისტიანი!”

1965 წლის მაისში ციურისში ვიკტორ ნოზაძეს დაუწერია სამეცნიერო გამოკვლევა: “მზე მაბრუნვებს, არ გამიშვებს, შემიყრის და მიმცემს წვასა”.. ავტორის შენიშვნით, ეს წერილი მის მიერ პარიზში წაკითხული მოხსენების ერთი თავია. საყურადღებოა მკვლევრის მსჯელობა ოტარიდზე, რომელიც პლანეტათა რიგში დედამიწიდან მეორეა. იგი ზომით ყველაზე პატარაა, მაგრამ მზესთან ახლოს მდებარეობს და ამიტომ მას ხშირად ვერ ვხედავთ: ის მზის სხივთა ბრწყინვალეობაშია დამალული. მერკურიუს-ოტარიდის ცას დანტესთან “მეორე სამეფო” ეწოდება და მას არქანგელოზნი განაგებენ, - წერს ვ. ნოზაძე და განაგრძობს: აქ სუფევენ სულნი სახელმოსხვეჭილთა, პატივცემულთა, რომელთაც მიწიერ ცხოვრებაში დიდი საქმეები ჩაიდინეს (“სპირიტი იმპერანდი”).

თავად მეცნიერი თვლის, რომ ოტარიდი “ვეფხისტყაოსანში” ასტრონომიულ-ასტროლოგიური მნიშვნელობით გვხვდება: ის მეფეა სიბრძნისა, მოხერხებული ბატონი, მწერალი და ბედის გამგე. “ვეფხისტყაოსნის” სტრიქონებში - “ოტარიდო, შენგან კიდე არვის მიგავს საქმე სხვასა: მზე მაბრუნვებს, არ გამიშვებს, შემიყრის და მიმცემს წვასა” - ნოზაძე ხედავს ასტრონომიულ ურთიერთო-

ბას მზესა და ოტარიდს შორის. მასთანაა შედარებული მზე-თინათინის სიყვარულით შეპყრობილი ავთანდილი: “და ეს სიყვარული მას არ უშვებს, თავისი ცეცხლით წვავს”.

დანტესა და რუსთაველის პოზიციებს ვ. ნოზაძე ამგვარად განასხვავებს: “დანტეს მერკურიუსი საიქიო ცხოვრების ერთ ნაწილს აგვიწერს.. რუსთაველის ოტარიდს ამქვეყნიური, სააქაო, ამაღლებული, ხორციელი სიყვარულის მოციქულისა და შიკრიკის მოვალეობა აქვს დაკისრებული” (“კავკასიონი”, 1966: 69).

რუსთაველის ზემოსენებული სტრიქონის განმარტებისათვის ვიკტორ ნოზაძე იმოწმებს პტოლემეაიოსის აზრს: მერკურიუს-ოტარიდი და ვენუს-ასპიროზი მზეს მისდევენ და მზესა და დედამიწას შორის ბინადრობენო. ნოზაძის შენიშვნით, დანტე და რუსთაველი ამავე აზრს პოეტურად გადმოსცემენ, ე.ი. ისინი პტოლემეაიოსის შეხედულებას ეყრდნობიან. მკვლევრის მითითებით, ძველ ბერძენთა ასტრონომიული შეხედულებების მიხედვით, ვენუს-ასპიროზი და მერკურიუს-ოტარიდი მზის ქვემოთ არიან და ამიტომ მზის ზემოთ არასოდეს ჩანან, ისინი მზის სატელიტებად ითვლებიან: “ოტარიდი მზეს ვერ შორდება, ისე, ვით ავთანდილი ვერ შორდება თავის მზეს – თინათინს და როდესაც ოტარიდი მზეს ხვდება, იგი მის სხივებში იმალება, თითქოს იწვის ავთანდილი თინათინის სიყვარულის გამო.. ის აქ არის მერკურიუს-ოტარიდი, თინათინი კი არის მზე” (“კავკასიონი”, 1966: 72-73).

“კავკასიონის” 1966 წლის საიუბილეო ნომერში დაბეჭდილია ვ. ნოზაძის კიდევ ერთი გამოკვლევა: “მუნ ერთმანეთსა კვლა ვნახეთ, კვლა რამე გავიხარენით”. ავტორი შენიშნავს: ეს არისო “მცირე ნაკვეთი ჩემი ხელნაწერიდან – რუსთაველი და დანტე (წაკითხული მოხსენებად პარიზში, 9 მაისს 1966 წ.)”.

წერილში განმარტებულია: დანტეს შეხედულებით, გარდაცვლილის სულს ენიჭება მონვენებითი გვამი, თითქო-გვამი, მხოლოდ გამოსახულებადი ტანი. ზოგი მეცნიერი დანტეს “დივინა კომედიას” თეოლოგიურ ნაწარმოებად თვლის, - წერს ვ. ნოზაძე. აქვე ჩამოთვლილია შუა საუკუნეების ცნობილი მოაზროვნეები, რომელთაც ეყრდნობოდა დიდი იტალიელი პოეტი (მის მთავარ ოსტატად თომა აქვინელია დასახელებული). ყურადღებას იმსახურებს ვ. ნოზაძის ნაშრომში დამოწმებული პროფ. აცანას მოსაზრება: “1. სიკვდილის ჟამს სული ხორცს შორდება; ხორცი იხრწნება და ისპობა, სული ცოცხალი რჩება, ე.ი. მას აქვს შენარჩუნებული ღმრთეებრი და კაცებრი უნარი, ანუ: გონება, მახსოვრობა, ნებისყოფა.. ეს ყველაფერი არის ღმრთეებრი უნარი კაცისა” (იქვე, 89). კაცებრი უნარის ცნების ქვეშ იგულისხმება “გრძობადობა”. ჰაერი დებულობს ახალ ფიგურას. აქედან წარმოდგება სუბუქი, ნაზი, თხელი გვამი, რომელშიც თითოეულ გრძობას აქვს თავისი ორგანო, თითოეულ აზრს – თავისი გარეგანი გამოხატვა.

ვ. ნოზაძის დაკვირვებით, ამგვარი სულნი დანტეს “პურგატორიო” – “სალხინობელშიც” არიან. სამოთხეში მყოფ სულთ კი აქვთ ჰაეროვანი გვამი, - აქვთ მათ გრძობადობა, მახსოვრობა, აზროვნება, - ისინი შემოსილნი არიან ნათლით, მათ აქვთ მოგონება, მახსოვრობა მიწიერი ცხოვრებისა და, განსაკუთრებით, წმინდა სიყვარულისა.. რადგან სულნი ცოცხალნი არიან. ისინი, დანტეს აზრით, ადამიანთა შუამავალნი და მოციქულნი არიან უფლის წინაშე, აგრეთვე, მისი წარმომადგენელნიც (“კავკასიონი”, 1966: 89)

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, მეცნიერი წარმოგიდგენს რუსთაველის შეხედულებას საიქიოზე (ეს “ვეფხისტყაოსანის ღმრთისმეტყველებაშიცაა”), ნიშნად კი შერჩეულია პოემის სტრიქონები: “აქა გაყრილნი მიჯნურნი მუნამცა შევიყარენით, მუნ ერთმანერთი კვლა ვნახეთ, კვლა რამე გავიხარენით”. ტარიელის ეს სიტყვები, ნოზაძის დაკვირვებით, დანტეს კონცეფციის მსგავსია და ეს დამთხვევა ქრისტიანული თეოლოგიური მსოფლმხედველობიდან მოდის.

რუსთაველისა და დანტეს კონცეფციებს ვიკტორ ნოზაძე ადარებს ნიზამი განჯელის შეხედულებას, რომლის მიხედვით, “ნიზამის გარდაცვალებული საიქიოში ვერაფერს მოიგონებს და, თუ სააქაო ცხოვრებაზე მას შეეკითხნენ, არამც თუ ვერ მოიგონებს, დაიბნევა კიდევ თავისი უმახსოვრობის გამო. აქ დასმულია სიცოცხლეზე წერტილი, რადგან სიკვდილით კაცის სიცოცხლე კვდება. მაშინ, როცა რუსთაველისა და დანტეს ადამიანი სიცოცხლეს საიქიოში განაგრძობს, რასაკვირველია, გადასხვაფერებული, გარდაქმნილი სახით, - აქაური სიცოცხლის გაგრძელება იქაური სიცოცხლე არის” (“კავკასიონი”, 1966: 90).

როგორც ვხედავთ, ვიკტორ ნოზაძეს საყურადღებო დასკვნები მიუღია ორი უდიდესი პოეტი-ჰუმანისტის, დანტესა და რუსთაველის მიმართებასა და შინაგან ნათესაობაზე. ვფიქრობთ, ემიგრაციაში მოღვაწე გამოჩენილი რუსთველოლოგის მოსაზრებანი ხელს შეუწყობს მომავალში ამ ნაკლებად ცნობილი ასპექტით კვლევა-ძიებას.

Lali Ratiani

**ASSOZIIERTE PROFESSORIN SUCHUMER STAATLICHEN UNIVERSITÄT
ORGANISIERUNGSPRINZIPIEN DES EMPIRISCHEN STOFFES**



Aufgrund der Organisierung der Prinzipien des empirischen Stoffes und der Analyse der Strukturen einzelner lexikonischer Artikel wird es in der Arbeit das unterschiedliche Typ des antonymischen Lexikons, der Versuch der Feststellung des Musters seines einzelnen lexikonischen Artikels gegeben. Es wurden solche unbestreitbare Bedingungen formiert, deren Verteidigung obligatorisch ist, lexikographische Arbeit solcher Art zu bilden. Bei der Fixierung der oppositionellen Wörter soll allerdings usuell-lexikonische Bedeutung dieser Einheiten in Betracht genommen werden. Mit Hilfe dieser Einheiten sollen sie zu den antonymischen Paaren formuliert, die Objektivität der Gegenüberstellung der semantischen Strukturen der oppositionellen Einheiten durch Vergleichung und die Präzisierung ihres semischen Bestandes überprüft werden.

In der Arbeit ist die Idee über die Bildung des antonymischen Wörterbuches „*unterschiedlicher Art*“ und die Vervollständigung der lexikonischen Artikel traditionellen Typs entwickelt. Unter dem Wörterbuch „*unterschiedlicher Art*“ wird die Anordnung der antonymischen Einheiten nicht nur nach dem formellen Merkmal- der Alphabetenordnung, sondern auch ihrer Systematisierung nach auf Basis der formell-semantischen Kennziffer gemeint: die Antonymie wird vor allem im Rahmen einzelner Redeteile auf Grund der verallgemeinerten semantischen Gruppen, nach der Alphabetenordnung fixiert. Es ist obligatorisch, für einzelne Bedeutungen oder semantische Varianten eine oppositionelle Einheit auszusuchen, im Falle wenn die Glieder des oppositionellen Paares durch die polysemantische oder durch die Einheiten mit der komplizierten semantischen Struktur dargestellt sind

In der modernen Linguistik ist die Klassifikation der lexikalischen Antonymie auf Grundlage verschiedener Merkmale verwirklicht. Sie stützt sich zwischen den morphologischen und semantischen Aspekte auf das Prinzip des Paralelismus –antonymische Relationen werden nur im Rahmen eines bestimmten Redeteiles zwischen den lexikalischen Einheiten mit gegenübergesetzten Bedeutung befestigt. Obgleich dieses Prinzip nach der Meinung der Forscher als vollständig nicht betrachtet werden kann, soll es ebenso verfeinert werden. Als Basis der abgesonderten Gegenüberstellung aller Art soll die Semantik betrachtet werden. Die Klassifikation einer Reihe der Antonyme –stützt sich auf die Struktur in unmittelbaren Verbindung mit der Semantik.

Man stimmt einer Meinung davon bei, die Antonymie als unzertrennlicher Teil der Sprache anzuerkennen. Die Wissenschaftler heben die mit dem Erlernen dieses Phänomens verbundene Schwierigkeiten hervor. Die Antonymie als Eigentum der Sprachlexik ist ein Untersuchungsgegenstand der Semasiologie. Die semasiologische Forschung ist aber von einem subjektiven, intuitiven Moment weniger gesichert, wodurch nicht so selten der durch die Untersuchung ergebene nicht objektive Charakter der Schlussfolgerungen bedingt ist, was die Antonymieforschung auch angeht.

In der Sprachwissenschaft dominiert solch eine Meinung, dass es in nirgend einer sprachlichen Erscheinung die logischen und lexikalischen Kategorien miteinander so sehr verflochten sind, wie es im Falle der Antonymie ist. Eben darin besteht der Grund, dass ein Teil von den Forschern es zweckmässig hält, die Antonymie im Rahmen der Lexikologie, der andere Teil, aber sie als die Zugehörigkeit der Psycholinguistik zu behandeln. Dieser Standpunkt nimmt man nicht als völlig korrekt an.

Als Grundlage der Gegenüberstellung der Glieder des antonymischen Paares soll nicht nur eine Sprach-, sondern auch eine Redeeinheit dargestellt werden. Ausgehend davon wird die Antonymie in der vorgelegten Forschung als ein sprachliches Phänomen bestimmt, das auf der Sprachebene realisiert wird. Was es aber die Antonymie anbetrifft, die man durch Winken der Psycholinguistik behandelt, wird sie auf der Textebene realisiert werden und ihr eine stilische Färbung gegeben haben. In solchem Masse ist es möglich, sie als Kategorie der Psycholinguistik darzustellen. Lexikologische Forschung beruht sich aber sowohl auf die aktiven synchronischen Verbindungen der Lexemen, als auch auf die Relationen dieser Verbindungen mit der Wortbildung und der grammatischen Natur der gegenüberzustellenden sprachlichen Elementen.

Ausgehend von der Spezifik des lexikalisch-semantischen Paradigmas, kann die Antonymie im Kontext zusätzliche Bedeutungen gewinnen, wodurch öfter die Notwendigkeit des Wexels/der Versetzung der Mitglieder des antonymischen Paares bedingt wird. Auf Grundlage der im Kontext gewonnener Meinung wird dem auf paradigmatischer Ebene fixierten antonymischen Paar zusätzlich die durch den syntagmatischen Schnitt bedingte antonymische Relationen ausgesucht. Der Basis solcher Relationen stellt die Distribution des konkreten Wortes dar, der die lexikalische Ergänzung des antonymischen Paares präzisiert, genauer formuliert und eine Möglichkeit gibt, die Antonymie, als psycho-linguistisches Phänomen, ihr Verhalten zu den Einheiten der identischen Ebenen: *Synonymie, Antithese und Enantiosemie* zu zeigen. Der Kontext solcher Art wird als „antonymischer Kontext“ benannt werden

Der antonymische Kontext wird im Artikel als eine lexikalische Umgebung des Wortes, eine Distribution gezeigt, die nicht so selten die Gegenüberstellung solcher zwei Einheiten auf der syntagmatischen Ebene bestimmt, die auf der paradigmatischen Ebene als Antonyme nicht betrachtet werden können. Als Fundament der Gegenüberstellung ist wesentlich, eine Erscheinung subjektiv wahrzunehmen, subjektive Kriterien einzuschätzen, die Pragmatität und die verschiedenen stilischen Ausdrucksmittel des Aufgefassten anzusehen.

In den Arbeiten, die den antonymischen Problematik gewidmet sind, werden hauptsächlich **identische-gleichstämmige Antonyme**, **differenzielle /verschiedenstämmige Antonyme** abgeteilt. Zu den gleichstämmigen Antonymen wird eine Klassifikation verwendet, die sich auf die im Rahmen der Antonymie wirkende wortbildende Typen stützt. Man unterscheidet einerseits, die auf die identischen Stämme durch das Hinzufügen der Affixen gebildete Antonyme und die Antonyme, deren strukturellen Bestand durch verschiedene Stämme und negierende Affixen dargestellt wird. Zuzufolge der Angaben der existierenden Forschungen, die der Beschreibung der strukturel-lemantischen Typen der Antonymie gewidmet sind, können die Wege der Lösung der Antonymieprobleme abgetrennt, die Voraussetzungen der Untersuchung festgestellt und ihre vermutliche Folgen durchgedacht werden. Für die Forschung dieses Phänomens ist es vorallerdings nötig:

--die lexikonischen und kontextuellen Angaben der Untersuchungseinheit, sowohl einzeln genommene lexikonische als auch im Kontext realisierte Bedeutungen zu beherrschen. In der Arbeit wird auch der Moment der Gegenüberstellung auf Grundlage ihrer okkasionellen Bedeutungen in Betracht genommen.

--die wortbildenden Modelle/einstämmige, einfache und mehrstämmige abgeleitete präfixal-suffixale Wörter/ zu präzisieren, in denen die Opposition sowohl durch einstämmige, primitive, als auch mehrstämmige, abgeleitete Lexeme, präfixal-suffixale Wörter erzeugt werden.

--die qualitativen, positiven und negativen Merkmale, Anzeiger auszusondern.

--die Verbreitung des Potenzials der gegenübergestellten Einheiten festzustellen, auf welcher Grundlage ein- und mehrdimensionale Oppositionen abgetrennt werden.

--die logischen Relationen zu konkretisieren, die funktionellen, semantischen, wortbildenden, grammatischen Marker, Anzeiger zu berücksichtigen.

--Spezifik der antonymischen Relationen in den Antithesen und Enantiosemen zu konkretisieren.

--auf Grund der Analyse der semantischen Gegenüberstellung und Invariantität folgende strukturelle Typen der Antonymie / **konträre, kontradiktorische, conversionelle, komplementäre Antonymie/ festzustellen.**

Der Grundstein der Antonymiefeststellung bilden eben die semasiologischen Eigentümlichkeiten der sprachlichen Elementen mit maximaler Präzisierung. Als wahres Mittel der Aufzählung dieser Eigentümlichkeiten soll das entsprechende Lexikon anerkannt werden. Das Lexikon der antonymischen Einheiten wird wahr als Bereicherungsgarantie des Sprachenwortschatzes und ihrer bewussten Beherrschung betrachtet.

Ausser der aufgezählten Momente ist es notwendig, die distributionellen Eigentümlichkeiten der gegenübergestellten Einheiten zu verwenden. Unter Berücksichtigung der bezeichneten Momente ist in der Arbeit ein Musterstruktur des lexikonischen Artikels der antonymischen Paare dargelegt worden. Als Illustrationsstoff wurden die aus dem lexikalischen Wortschatz der deutschen Sprache auf Grundlage der usuellen Bedeutung gegenübergestellte Einheiten ausgewählt. Durch die Angaben der semantischen Strukturen wird die Grundlage der Gegenüberstellung der Glieder der antonymischen Paare im völligem Masse gezeigt. Ihre distributionellen Eigenartigkeiten, die Qualität Ihrer Antonymität können im lexikonischen Artikel semantisch auf folgende Weise dargestellt werden:

1.absetzen: etw.von einer gewohnten Stelle herunternehmen ≠ **aufsetzen:** etw. auf etw. setzen. z.B. J-m den Lorbeerkranz **absetzen** ≠ **aufsetzen**; **2. absetzen:** j-n ernennen, j-m ein Amt übertragen ≠ **einsetzen:** j-n seines Amtes entheben. z.B. die Regierung **absetzen** ≠ **einsetzen**; **3. absetzen:** etw. niedersetzen ≠ **aufheben:** etw. hochheben. z.B. Den Koffer **absetzen** ≠ **aufheben**; **4. absetzen,** nicht mehr verwenden, benutzen wollen ≠ **ansetzen:** etw. machen, verwenden wollen. z.B. Das Blasinstrument **absetzen** ≠ **ansetzen**; **5. absetzen:** sich entfernen, von etw abrücken ≠ **ansetzen: sich annähern, etw(D)näher kommen.** z.B. Sich vom Feind **absetzen** ≠ **ansetzen, sich dem Feind annähern;** **6. absetzen:** etw streichen, Angekündigtes absagen ≠ **einschalten:** einschreiben. z.B.Einen Punkt von der Tagesordnung **absetzen** ≠ in die Tagesordnung **einschalten**; **7. absetzen : J-n** von etwas entwöhnen ≠ **anlegen:** j-n an j-n /etw an etw. legen. z.B. Das Kalb, Kind **absetzen** ≠ **anlegen**; **8.absetzen:** etw. abbrechen, nicht weitermachen ≠ **weiterführen:** etw. fortsetzen, weiterführen. z.B. Eine Therapie, Behandlung **absetzen** ≠ **weiterführen**; **9. absetzen** :Wertobjekte in grösseren Mengen verkaufen ≠ **ankaufen:** Wertobjekte in grösseren Mengen kaufen. z.B. Aktion, Bilder, Getreide **absetzen** ≠ **ankaufen** ; **10. absetzen :** undeutlich werden, keine festum- rissenden Konturen haben. ≠ **verschwimmen:** etw. deutlich von etw. anderem abheben. z.B. Die Farben sind voneinander abgesetzt ≠ miteinander **verschwommen.**

Im behandelten Fall wurden den in der semantischen Struktur des Verbs „**absetzen**“ fixierte zehn semantische Varianten, ebenso viele Varianten der semantischen Struktur des Verbs „**aufsetzen**“gegenübergestellt. Derartige Gegenüberstellung deutet auf absolute Gegensätzlichkeit zwischen den beiden Einheiten.

Die Antonymität analogischen Charakters können auch bei den anderen Redeteilen, **Adjektiven** und **Substantiven** ausgesondert werden. Jetzt analysieren wir ein adjektivisches Paar **hell**≠**dunkel**; Zuzufolge der Anayse zeigen diese beiden Einheiten absolute Gegensätzlichkeit aus sieben semantischen Varianten nur in fünf, in zwei Fällen werden diesem Paar andere Einheiten durch **dumpf** ≠ **dumm** gegenübergestellt.

1. hell: reich an nicht ≠ **dunkel:** ohne Licht, leichtarm, finster, **helles** ≠ **dunkles** Zimmer,Treppenhaus. **heller** ≠ **dunkler** Raum, Wald. **helle** ≠ **dunkle** Strasse, Nacht; **2. hell:** sich im Farbton dem Weiss annähernd ≠ **dunkel:**sich im Farbton dem Schwarz annähernd;**heller** ≠ **dunkler** Anzug, Schatten, **helle** ≠ **dunkle** Hut, Augen, Wolken, **helles** ≠ **dunkles** Haar, Kleid, Brot; **3.hell:** hochtönend, klingelnd ≠ **dumpf, gedämpft, rautönend** : hohl, tief-tönend. Eine **helle** ≠ **dumpfe** Stimme, Aussprache, ein **heller** ≠ gedämpfter, höhler Klang, ein **helles** ≠ **dumpfes** Gelächter, Summen. **4.hell:** klar, rein, ungetrübt, durchsichtig,≠ **dunkel** : unklar, unrein, getrübt, undurchsichtig, **heller** ≠ **dunkler** Blick, Himmel; **helle** ≠ **dunkle** Erinnerung, Vorstellung, Empfindung. **5. hell:**zweifellos, zweifellfrei, fraglos, fragsicher,

eindeutig, rein ≠ **dunkel**: zweifellhaft, verdächtig, fraglich; helle ≠dunkle Person, heller ≠ dunkler Ruf; helles ≠ dunkles Vergnügen. **6.hell**: klug, leicht und schnell auffassend. Sie hat einen **hellen** ≠ **dummen** Kopf, Verstand. Seine Augen blicken **hell** ≠ **dumm**. **7. hell**: erfreulich ≠ **dunkel**: unerfreulich. Das war der hellste ≠ **dunkelste** Tag meines Lebens. Die Zukunft wird in den **hellsten** ≠ dunkelsten Farben ausgemacht.

Im Vergleich zu den Verben und Adjektiven erwies es sich viel mehr komplizierter, die antonymischen Substantive zu analysieren, ausgehend unmittelbar von dem Wesen des Substantivs, wodurch die konkreten Gegenstände bezeichnet werden. Durch den konkreten Charakter des Substantivs wird die Verschiedenheit der semantischen Strukturen der Vertreter dieses Redeteils ausgeschlossen und auch ihnen eine Möglichkeit gegeben, die antonymischen Einheiten auszusuchen. Ihre lexikonischen Artikel umfassen hauptsächlich zwei oder maximal drei semantische Strukturen.

1.Ernst: ernsthafte Gestimmung ≠ **Scherz**: Lustiger Streich, Spass. Es war im **Scherz** gesagt, aber im **Ernst** gemeint. **2.Ernst**: aufrichtige Meinung. Sein Ernst beeindruckt die Zuhörer ≠ **Scherz**: unaufrichtige Meinung. Seine Scherze reizen schon alle. **3. Ernst**: Gewichtigkeit. Jeder fühlt den Ernst dieser Entscheidung. ≠ **Scherz**:Ungewichtigkeit. Diese Entscheidung halten viele für einen Scherz. **4.Ernst**: Gefährlichkeit, Bedrohlichkeit. Er erkannte den **Ernst** dieser Krankheit erst, als es zu spät war. ≠ **Harmlosigkeit**: Er hat seine Krankheit, nicht ernst, sondern als ein **Scherz** genommen.

Die, in diesem Teil der Arbeit dargestellten Muster des lexikonischen Artikels der antonymischen Verben, Adjektiven und Substantive bezeugen eine Notwendigkeit, alle diese Momente zu berücksichtigen, die dem Aufbau des antonymischen Lexikons zugrunde liegen sollen.

ლალი რატიანი

ემპირიული მასალის ორგანიზების პრინციპები

რეზიუმე

ნაშრომში განვითარებულია აზრი ერთგვარად განსხვავებული სახის ანტონიმური ლექსიკონის შექმნისა და ტრადიციული ტიპის ლექსიკონური სტატიების სრულყოფის შესახებ, რომ აუცილებელია ასევე დაპირისპირებული ერთეულების დისტრიბუციული თავისებურებების მოშველიება. აღნიშნული მომენტების გათვალისწინებით შრომაში წარმოდგენილია ანტონიმური წყვილების ლექსიკონური სტატიის სტრუქტურის ნიმუში.საილუსტრაციო მასალად შერჩეულია გერმანული ენის ლექსიკური მარაგიდან უზუალური მნიშვნელობის საფუძველზე ისეთი დაპირისპირებული ერთეულები, რომელთა სემანტიკური სტრუქტურების მონაცემები წარმოაჩენს ანტონიმური წყვილების წევრთა დაპირისპირების საფუძველს. მათი დისტრიბუციული თავისებურებები, ანტონიმურობის ხარისხი ლექსიკონურ სტატიაში მოცემულია სამი მეტყველების ნაწილთა ფარგლებში.

ემპირიული მასალის ორგანიზების პრინციპებისა და ცალკეული ლექსიკონური სტატიების სტრუქტურების ანალიზის საფუძველზე წინამდებარე შრომაში მოცემულია ერთგვარად განსხვავებული ტიპის ანტონიმური ლექსიკონის, მისი ცალკეული ლექსიკონური სტატიების შექმნის ნიმუშების ცდა, ჩამოყალიბებულია ის უცილობელი პირობები, რომელთა დაცვა სავალდებულოა ამ სახის ლექსიკოგრაფიული შრომის შესაქმნელად. ლექსიკონში ოპოზიციურ სიტყვათა დაფიქსირებისას პირველ რიგში მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ამ ერთეულთა უსუალ-ურ-ლექსიკონური მნიშვნელობა, რომლის საფუძველზე ხორციელდება მათი ანტონიმური წყვილებად ჩამოყალიბება. დაპირისპირებულობის ობიექტურობის გადამოწმება ხდება ოპოზიციური ერთეულების სემანტიკური სტრ-უქტურების შედარების და მათი სემური შემადგენლობის დაზუსტების გზით.

Ratiani lali

THE ORGANIZATION PRINCIPLES OF EMPIRIC MATERIALS

Summary

In the paper it is developed the opinion on forming different types of dictionary of antonyms and importance of traditional types of lexical articles, it must be also used distributional peculiarities of opposed units. It is considered the noted moments and is presented the sample structure of lexical articles. From German vocabulary for illustrative material we chose such opposed units on usual meaning base Semantic structure, facts of which represent the opposition fundamental of antonymic degree in lexical article are given schematically within limits of three parts of speech.

The organization principles of empiric materials and according to the base of analysis of individual vocabulary articles structures, the given paper shows similarly different type of dictionary of antonyms, the

attempts of forming individual lexical articles samples, compulsory conditions are kept for forming lexicographical work of this type. On fixing oppositional words in dictionary first of all it should be taken into consideration usual lexical meaning of these units in the base of which it takes place their formation in antonymic pairs. The check of their objectivity is done on comparing of oppositional unit of semantic structure by means of defining precisely their semantic components.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Ярцева В.Н. Лингвистический энциклопедический словарь. М. 1990
2. Duden. Deutsches Universal Wörterbuch. A. Z. Dudenverlag Mannheim/ Wien/Zürich. 1983
3. Görner H. Synonym-Wörterbuch. Leipzig. VEB. Bibliographisches Institut 1986.
4. Klappenbach R. Wörterbuch der deutschen Gegenwartssprache. Akademie Verlag. Berlin, 1977
5. Wahrig G. Deutsches Wörterbuch. Mosaik. Verlag. GMBN. Lexikothek. 1980

სერგი ლომაძე – ჯგუფ „ზღვარის“ წევრი

ოთხმოცდაათიანელები



დრო: ორიათასცამეტი წელი; ვიგონებ წარსულს...
 გასული საუკუნის ოთხმოცდარვა-ოთხმოცდათერთმეტი წლები იყო გარდამავალი პერიოდი საქართველოს და ქართველი ერის ისტორიაში. იმ დროისათვის, იცით, ხალხის სათავეში აღმოჩნდნენ მერაბ კოსტავა, ზვიად გამსახურდია, აკაკი ბაქრაძე, გიორგი ჭანტურია, ირაკლი წერეთელი, აკაკი ასათიანი, ნემო ბურჭულაძე და სხვა პოლიტიკოს-მოღვაწენი; ხოლო ოთხმოცდათერთმეტ წელს, როცა ჩვენმა ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა, ახალი დრო, ახალი ხანა დაიწყო, ანუ ოცდამეერთე საუკუნე და მესამე ათასწლეულმა თითქოს უკვე მაშინ შეამობიჯა ჩვენს ხალხში.

და პირველი თაობა, რომელიც ფეხდაფეხ მოჰყვა დამოუკიდებელი, თავისუფალი საქართველოს სიზმარს, ახალი დროის, ეპოქის მაწვებელი თაობა სწორედ ოთხმოცდაათიანი წლებისა იყო, ანუ – ოთხმოცდაათიანელები.

თავისუფლების დიდი ზეიმი, როგორც გრანდიოზული თეთრი სიზმარი, უკვე მომდევნო წელს ნაცარტუტად იქცა. მოხდა დალატი. ეროვნული ხელისუფლება დაემხო. ქვეყანაში გამეფდა სრული ქაოსი და განუითხავობა. გამსახურდია-ასათიანი-ბურჭულაძის ტრიუმფირატი ახალმა ტრიუმფირატმა ჩაანაცვლა: იოსელიანი-კიტოვანი-სიგუა. მათ ნიადაგი მოუმზადეს საქართველოში შევარდნაძის დაბრუნებას. ქვეყნის წინაშე წამოიჭრა ისეთი პრობლემები, რომელთა გადალახვასაც შემდეგში ორი ათეული წელიც კი არ ეყო.

ეს ყველასათვის ცნობილი ისტორიაა.

და ყველასათვისაა ცნობილი ომების, თავისებური რევოლუციების, უსასრულო აქცია-მიტინგების ჯაჭვი, რომელიც ახალმა ეპოქამ მოიტანა.

მოკლედ, ისეთი წყვილადის მეფობის ხანა დადგა წლების განმავლობაში, რომ ოთხმოცდაათიანელები იქცნენ ყველაზე უფრო განწირულ, დაწყევლილ, ნაცრისფერ თაობად. ისინი თითქოს სრულიად გაიწირნენ დასაკარგად.

ოთხმოცდაცამეტ წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩავაბარე. ეს იყო და არის ერთ-ერთი ცენტრი. იქიდან დაიწყო იმ დროისათვის ახალი თაობის, ახალი აზროვნების ფორმირება. მთავარი ის გახლდათ, რომ არ დაკარგულიყო ახალგაზრდობა, ამდენი სიბნელე-სისხლის, ამდენი გაჭირვების ფონზე არ ჩაკარგულიყო მასში (ახალგაზრდობაში) შემოქმედებითობის უნარი. ამიტომ მე და რამოდენიმე სხვა ახალგაზრდამ, სტუდენტმა, საკუთარ თავზე ავიდეთ შემოქმედებითი პროცესის შეუწყვეტლობა-განვითარების საქმე. ეს ხაზი წარმატებით მივიდა ბოლომდე. თაობამ მიიღო თავისი ლიდერები. გადარჩა ხელოვნების სული. უნივერსიტეტსა და მის გარემოცვაში გამოჩნდა ხელოვანთა ჯგუფები – „მირაჟი“ და სხვები რომელთაც გააცოცხლეს თითქმის ჩამკვლარი გარემო. ყინულმა გააღებდა დაიწყო. ქაოსის ფონზეც კი იჭედებოდა ახალი, მშვენიერი ხელოვნება...

დავიბადე სამოცდაათიან წლებში და ბავშვობიდან მოყოლებული სულ ვწერ. ხელოვნება ჩემთვის მთელი ცხოვრებაა, პოეზია ჩემი გულია. ოთხმოცდაათიან წლებში გარკვეული წრეებისათვის უკვე ცნობილი იყო ჩემი ხელოვნება, მაგრამ, რაღა თქმა უნდა, მე მაინც ოთხმოცდაათიანელი ვარ, – ნაცრისფერი, გაუხარელი თაობის ერთ-ერთი თავისუფალი წარმომადგენელი.

მგონი ოთხმოცდაცამეტი წელი იყო მაშინ, როცა დავეწერე ლექსი „თეთრ როიალთან“. ოთხმოცდაათიანელები წლის იანვარში ვცადე მისი გამოქვეყნება (ლექსების გამოქვეყნება უფრო ადრეც მიცდია, – ჯერ კიდევ მოწაფეობის დროს, სასკოლო ასაკში). იანვარში, ზამთარში დაწყებული საქმე ზაფხულშიდა დასრულდა. მერე კი საქმე უკვე სწრაფად დაიძრა წინ.

ოთხმოცდაათოთხმეტი წლის სექტემბერში (შვიდ სექტემბერს) შემოქმედებითი ჯგუფი „მირაჟი“ დაკარგა, სადაც, სხვადასხვა დროს, ირიცხებოდნენ შემდეგი ხელოვანები: კახა ბაციკაძე, გიორგი ზუხბაია, ჩემი ძმა – ვასო ლომაძე, რომან აფაქიძე, გიორგი ქურასხელიანი, ერნესი, რატი ნინუა, გოგა არაბული და სხვები. შვიდი სექტემბრის პროექტმა გაამართლა. ამ ადამიანების ნაწილმა თავისი სიტყვა ნამდვილად თქვა ხელოვნებაში. ჩვენს წრესთან ახლოს იყვნენ, ასევე, მიშო თუმანიშვილი, გიორგი არჩემაშვილი, კოტე ონიანი, ლევან (ლეო) ცალუღელაშვილი და სხვა ახალი ფორმაციის პოეტები... ჯგუფ „მირაჟს“ მე ვმეთაურობდი...

მოკლედ ნელ-ნელა შეფერადდა ლიტ-გარემო. პოეზია-ფილოსოფია, უკვე მაშინ, ჩემთვის ბედისწერასავით იყო, და როცა, მოგვიანებით, შევქმენი ხელოვანის სახე პოემაში „ირეალური მეფე“, იქ მე ჩემეული ხედვები ჩავატიე მხატვრულ ფორმებში. საერთოდ, რამოდენიმე ათას პოეტურ-ფილოსოფიურ პაექრობაში მიმიღია მონაწილეობა და ორივეგან წარმატებული ვიყავი, განსაკუთრებით – პოეზიაში, თუმცა ფილოსოფიური პაექრობანი მაინც უფრო ხშირად მქონია. მე სულ ვეძებდი და ვეძებ პოეტურ (პოეტურ-ფილოსოფიურ) ჭეშმარიტებას.

ხოლო პოეზია და პოეტური ფილოსოფია, მუსიკასთან ერთად, მიმანია უმაღლეს გზად ძიებისა, ოღონდ – მუსიკაც პოეტური უნდა იყოს, ისევე, როგორც – თვითონ ღმერთი, სიტყვა-უფალი, როგორც – მთელი სამყარო.

ოთხმოცდაცხრამეტი წლის სამი-შვიდი მაისის დღეებში ჩამოვაყალიბე ჩემი ყველაზე უფრო წარმატებული ჯგუფი – „ზღვარი“. ამ პროექტმა – შვიდი მაისის პროექტმა კიდევ უფრო გაამართლა. ჩვენს ძველ, „დიდ ოთხეულს“ (სერგი, კახა, ზუხბა, ვასო) დაემატა გიორგი მიხიტაშვილი და ლუკა ამირანაშვილი. ჯგუფში მოიაზრებოდა ზოგი სხვა ხელოვანიც, მაგალითად – მიშო თუმანიშვილი... კახა ბაციკაძემ, ისევე, როგორც, ვთქვამთ, გიორგი ზუხბაიამ, ნელ-ნელა უმაღლეს დონეზე აიყვანა საკუთარი შესაძლებლობანი ხელოვნებაში...

„ზღვარის“ მთავარ საქმედ პოეზია და მუსიკა იქცა (ვფიქრობ, რომ ამ ორმა ხელოვნებამ დაუდო სათავე ხელოვნების ყველა სხვა სახეს, ასევე: ხელოვნება-მეცნიერებად მიჩნეულ ფილოსოფიასაც, რომელიც, თავის მხრივ, ყველა სხვა მეცნიერებათა მამაა), თუმცა, ჩემი დიდი მეოხებით, ფილოსოფიას არც აქ („ზღვარში“) დაუკარგავს თავისი ადგილი, ხოლო უკვე გვიან – ახალი საუკუნის ათიანი წლების დასაწყისიდანვე, მუსიკა თითქოს ჩანაცვალა კიდევ და, პოეზიის გვერდით, დაიბრუნა წამყვანი პოზიცია ჩვენს ცხოვრებაში. საბოლოო ჯამში ჩვენ მაინც მხოლოდ პოეტები ვართ, ფანატიკოსი პოეტები, მაგრამ ფილოსოფიური აზროვნება (ისევე, როგორც პროზა, მუსიკა, მხატვრობა და ზოგი სხვა რამ) ძალიან გვიტაცებს.

ჩვენს ცნობიერება-აზროვნებაში პოეზია ყოველთვის უპირველესი იყო. უბრალოდ, ოთხმოცდაათიან წლებში თუკი მის გვერდით, უფრო, ფილოსოფია იდგა, ორიათასიანებში ეს ადგილი, თითქოს, მუსიკამ იგდო ხელთ, თუმცა ათიან წლებში, ჯერ-ჯერობით, ძველი „სტატუს ქვო“ აღდგენილია: პოეზია-ფილოსოფია ახლა ჩვენთვის წამყვანნი არიან.

დიდი ხნის განმავლობაში ვაპირებდი მთელი ჩემი შემოქმედების გაერთიანებას, გაერთიანებულ ბეგას საერთო სათაურის ქვეშ. ბოლოს, მხოლოდ ჩემს ნაშრომ-ნაღვაწს, ჩემივე ჯგუფების – „მირაჟის“ და „ზღვარის“ სრული ნამოღვაწარიც ზედ დავამატე, და ამ ყველაფერს, ერთად აღებულს, „ფერთა წიგნი“ ვუწოდებ. (ხანდახან „თეთრ წიგნსაც“ ვუწოდებ ხოლმე, მაგრამ „ფერთა წიგნი“, ათასწილიად გააზრებულმა, ათასგზის განსჯილმა, თითქოს მაინც გადასძალა და ასე დავარქვი). ეს გრანდიოზული ქმნილება ალბათ ყველაზე სრულად გადმოსცემს ოთხმოცდაათიანელთა გულისნაღებს, განცდებს, სულისკვეთებას იმ თაობისას, რომელმაც ყველაფერი დაიწყო, რომელმაც პირველმა შეადო ახალი დროის კარიბჭე და თუმცა გაიწირა (მწვერვალებზე, ალბათ, სხვები ავლენ, – „ეგვიპტიდან“ პირველგამსვლელი ხომ იღუპებიან, „აღთქმულ ქვეყანას“ ვერ აღწევნი), მაგრამ პირადად მე, მაინც, სრულიად განსაკუთრებულად უნდა დავაღწიოთ მიმანია ოთხმოცდაათიანელები. ალბათ ობიექტური არცა ვარ ამ შემთხვევაში, – ხომ თვითონვე სწორედ ოთხმოცდაათიანელებს მივეკუთვნები და...

რაც შეეხება ამ სტატიას, იგი, რა თქმა უნდა, ძალიან არასრულად გადმოსცემს ოთხმოცდაათიანი წლების თაობას. მე არცა მქონია, აქ, სრულყოფილების პრეტენზია. უბრალოდ, კაცის სული ხომ მის გონში ცხოვრობს და გულში ირეკლება-სახლდება, და მაშასადამე, სული, გონება, გულია მთავარი ადამიანი. ასეა თაობებშიც. მე შტრიხებად მოვხაზე ოთხმოცდაათიანელების სული, თორემ აქ, ამ ერთ სტატიაში, ჭეშმარიტი ეპიკური ტილოს დახატვა არც მიფიქრია. კი, სათქმელი კვლავაც ბევრი დამრჩა. საერთოდ, ვინ ამოწურავს სათქმელს? ვერავინ...

მაინც ვიტყვი ორიოდ სიტყვას სტატიის სათაურზეც.

საერთოდ, სათაურთა დარქმევა ჩემი პროფესია მგონია: როგორც საკუთარ, ასევე სხვების (ვთქვათ: მეგობარ-ახლობლების) ქმნილებათა უმეტესობას თვითონ ვასათაურებ ხოლმე. სწრაფად მომდის თავში აზრად რამდენიმე ვარიანტი, სახელწოდებისა, და მერე იმათგან ერთს ვჯერდები, თუმცა ყოყმანი შემდეგაც გრძელდება. მაგალითად: ზუხბას ლექსი „ყოფლისშემძლე“, ან ვასოს ლექსები „ღურჯი სონატა“ და „თეთრი აფრები“, – სამივე მათგანი ჩემი დასათაურებულია, სამივე ეს სათაური ახლაც მომწონს, თუმცა ახლაც, ახლაც კი ვყოყმანებ ამ დასათაურებათა საკითხზე.

ჩემი სტატიაც ასეა, – შეიძლებოდა, რომ უფრო მოკრძალებული სათაურიც დამერქმია, და არა, ვთქვამთ, – მთელი თაობის გამომხატველი. მაგრამ რაც არის, არის. რა ვქნა, – ამჯერად ეს სახელწოდება მომეწონა განსაკუთრებით...

ნაილი ხარაიშვილი-ხეთერელისა

სერბი ლომამუს
(წიგნის „გზა მწვერვალისაკენ“ გამოსვლის გამო)

დასაწყისში იყო სიტყვა; და სიტყვა იყო ღმერთთან; (იოანეს სახარება). „სიტყვა თავაზიანი; აზრითაც თავაზიანი! ჟამთა მოყვასნო! ძონძისგან არჩედე ძოწვეულს! ბალამწარისგან – ბროწვეულს! (პოეტი ავთანდილ ხარაიშვილი).



აზრის გამოსათქმელად მხოლოდ სიტყვა საკმარისი როდია, მას პოეტური ოსტატობა, შრომა, მონღომება და ადამიანის სულში ჩაწვდომა სჭირდება, სულში, რომელიც ხან ბობოქარია, ზღვასავით მღვლევარე, ხან იასავით ნაზი, ფაქიზი და ლამაზი.

ბატონო სერგი, ჩემში შლეგის თთაბეჭდილებით შემოხვედი. აივა-ზოვსკის ნახატს მაგონებ. შედეგს – „მე-9ე ტალღას“! ნავს რომ ასკდება და ლამობს ჩაძიროს. შენც ასევე აბობოქრებულ ტალღასავით ეჯახები შენსავით ჯიქსა და მოუდრეკელ სამყაროს – ხელთუქმნელს, იღუმალს, შეუცნობელს.

აღმაფრთოვანებ! როგორ ძერწავ სიტყვისაგან გრძნობას, რომელსაც მხოლოდ ერთი სახელი აქვს – სიყვარული!

მაგრამ რას იტყვი იმედზე? როგორი ზეშთაგონებაა სიტყვისა საჭირო, რომ იმედგადაწურულს კვლავ ნაპერწკალი აუნთო სულში და ამ საწუთისოფლოში სიცოცხლის გაგრძელების სურვილი ჩაუსახსო.

შენ შეგიძლია კაცის, – მამაკაცის ბუნების და სულის ამოცნობა ისე, რომ არ შეცდე! მაგრამ ქალი?! ქალის სულში თარეშისას მგონი მისტიური მოღუნება გეუფლება, სულიერი ექსტაზიც. მოეშვები, ღრმად ჩაისუნთქავ და იწყებ ყველაზე ნაზი და ფაქიზი სულის სიმის ძებნას, რომელსაც ძალზედ ფრთხილად უნდა შეეხო. ქალი – პოეტი! შენი კარგად მესმის! ამ დროს უნდა გაირინდო. მოწურჩულე ბრბოს ყური აარიდო, რადგან იცი, რომ ბრბო საინტერესო არ არის. „აღვლევებულ ადამიანთა ბრბო, მხოლოდ მხატვრის მიერ შექმნილ შემოქმედებაში აისახება ლამაზად“ – ამბობს ერთი მეცნიერი.

რთულია, აღწერო კალმით პოეტი ქალის ცხოვრება და შემოქმედება. წარმოდგენილი მაქვს, როგორ ფიქრობდი დღისით თუ ღამით, ფიქრებიდან აზრები გადაგკონდა ქალაღზე, ცდილობდი გაგემარტივებინა რთული კომპოზიცია და ხალხისათვის ადვილად გასაგები გაგეხადა სათქმელი. ყველაზე დიდ შრომას რთულის გამარტივება მოითხოვს. რადგან მიმზიდველობა სწორედ სირთულეშია, შენ გიჭირს მასთან განშორება! მაგრამ შორდები სირთულეს, რათა სხვას აღქმა შემოქმედებისა გაუმარტივო. – ამას კლასიკა ჰქვია! ზოგჯერ მგონია, რომ მიზანმიმართულად ეძებ სისუსტეებს ქალში! ეს ნაწილობრივ გამოსჭვივის შენს მიერ აღწერილ პოეტი ქალის პორტრეტში. გჯერა, რომ ქალი არ არსებობს სისუსტეების გარეშე. მოიშველიებ ვაჟას, გალაკტიონს, ბაირონს.

ამ ქალში სისუსტეს ვერ პოლობ! როგორ იპოვი, როცა სისუსტე არ არის ქალ-პოეტში! კარგად ვხვდები შენს სიჯიუტეს პოეტი ქალის ცხოვრების განხილვისას. ამბობ, რომ ეს ქალი არის – გამონაკლისი! ვკითხულობ, რა წიგნს – „გზა მწვერვალისაკენ“, ქვეცნობიერად ვგრძნობ, რომ ამ ქალის ცხოვრებაში იქნებოდა რაღაც სკანდალები, მაგრამ ის მხოლოდ ინდივიდს ეკუთვნის, და უპრეტენზიოდ უტოვებ მას.

ბატონო სერგი, შენს სიტყვაში ვგრძნობ სუნთქვას, – სუნთქვას, რომელიც გაჯერებულია ადამიანის სიყვარულით. ეს სიყვარული მომწონს შენში!

შენ ხარ მწვერალი, რომელიც სულ წერს და წერს. მე კი მგონია, რომ სულ კითხულობ და კითხულობ. მადლიერების შეგრძნება ლაიტმოტივად გასდევს შენს ცხოვრებას და შემოქმედებას. მადლობას წირავ მცირედისთვისაც. ქება? – არ აქვს არც შენ თავს, და არც სხვას სჭირდება ქება, შენ მიერ აღიარებულს! გამჩნევ, რომ ბოდიშს არასდროს იხდი. ბოდიშს იხდიან მხოლოდ სიმკაცრისა და სისულელისთვის. ასეთი ბოდიშის მოხდა შენ არ გჭირდება – ბედნიერი ხარ!

არ აკრიტიკებ! – აანალიზებ! ოღონდ, არ ხარ მკურნალი! ეხები პოეტი ქალის სულს, და არ ცდილობ უმკურნალო მას. კარგად იცი, ის, რაც ქალს ეკუთვნის პირადად, მას ვერავინ შეეხება!

წარმომიდგენია შენი შინაგანი ბობოქარი განცდები, მამაკაცის მიერ შეთხზულ შემოქმედების განხილვისას. იქნები მკაცრი, მომთხოვნი, შედარებითი, ეჭვიანი...

და შენ, ასეთს, ზუსტი მამაკაცური თვისებებით აღჭურვილს, ცდილობ განაზოგადო პოეტი ქალის სული, სული ნამდვილი ქალისა!

მაოცებ! როგორ გესმის შენ – ძლიერს, ათლეტურს, ღონიერს, მიმზიდველ მამაკაცს ქალის სლის ტკივილი ისე, როგორც სხვას არა!

აკადემიური კრიტიკა და შემოქმედებითი ანალიზი ამ ბოლო დროს იშვიათობა გახდა. შენ ცდილობ მიგვაჩვიო სხვისი შემოქმედების პატივისცემას. გსურს შეგვაგნებინო, რომ ადამიანი ზედმეტი არასოდეს არ არის. ზედმეტი შეიძლება იყოს ნივთი, ავეჯი და სხვ., მაგრამ მტრისგანაც ხომ

გსწავლობთ! შენ გინდა თით ეულ ჩვენთაგანში აღმოჩინო ნიჭი უმძიმესი სიტუაციიდან გამოსვლი-
სა. გწამს, რომ ეს ნიჭი ღვთისგანაა ბოძებული – ადამიანურია!

ვერ ვეუბნები სიცრუეს, თამაშს. თუმც ძალიან კარგად გაქვს შეგნებული, რომ ცრუ წუთისო-
ფელში ცხოვრობთ და ყველანი ტაკიმასხარები ვართ. გინდა თამაში, ნაღდი თამაში! არ გინდა დაი-
ჯერო, რომ ეს უკვე არის! ამიტომ სხვანაირია შენი წერის მანერა და წესი. შენ არ ემორჩილები
სხვის წესებს. შენ თვითონაც იქექები და დაბორილებ შენი სულის და სხეულის არსში. ვერ ამო-
გიცვნიან?!

ზოგჯერ, წამიერად, შენი შემოქმედებით ერთი საუკუნით უკან გადაგვისვრი! ზოგჯერ კი
ცხვირწინ გასრესილ საპოვნელას გვაპოვებ. ბატონო სერგი, – სწორი ხარ! ჯერ შენი მთავარი
როლი არ გაქვს ნათამაშები. ყოველივე წინ არის!

მიზეზი, შენი ასეთი ჯიქური შემართებისა, ვფიქრობ, არის სურვილი – აღმოჩინო, შეისწავ-
ლო, გააანალიზო და განაზოგადო სუსტი სქესი. გამოხატო მის მიმართ სიყვარული პატივისცემა
და მუხლმოდრეკილი რაინდული თავყვანისცემა.

გასაგებია! ვიცი, ეს არის შენი ბედნიერება! მთელი ცხოვრება უნდა იყო ასეთი ბედნიერი! ამ
ბედნიერებისათვის უნდა იცხოვრო ღრმა სიბერემდე, ბატონო სერგი!

სერგი, შენ დაწერე წიგნი პოეტი ქალი ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. ნეტავ, თვითონ ცხოვ-
რება როგორ წიგნს დაწერს შენზე?

ვინ იქნება შენი თანამგზავრი ან თანამგზავრები? ვინ აცყვება და დაგყვება პარმონიულად შენ
– „მე-9 ტალღას!“ შეხეთქებულს გემბანზე!

„შენ მომიტყვევ სიტყვანი უქმნი, არანაყოფიანი, ვაიმე ცუდის ღაყბითა თუ სული დავაზიანო“
(თეიმურაზ I).

2013 წ.

**„ისამ ბინატრე ყმაზილობისას“
(პოეტ ბეჟან ხარაიშვილის 60 წლისადმი)**

ბეჟან ხარაიშვილი ერთ-ერთი თვალსაჩინო პოეტია იმ ცნობილ ქართველპოეტთა შორის, რომ-
ლებმაც ადრე დატოვეს ეს ცოდვილი წუთისოფელი, მაგრამ გვასაზრდოვებენ ისეთი ნიჭით აღსავსე
და სიყვარულით გაჟღენილი პოეზიით, რომელიც დიდხანს ეყოფა საგზლად ქართველ ერს.

ბეჟან ხარაიშვილის ლექსები მუდმივად აზროვნებენ მკითხველის ნაირფერად მორთულ გა-
ზაფხულში. თუმცა გაზაფხული ზოგჯერ ისეთი აელვარებული არ ეჩვენება კაცს, ბავშვობაში: “ცა
რომ მტერდისფერობდა, ტყე რომ ფერი-ფერობდა”. ატმის ყვავილს დაუინებით შესცქერიან პოეტის
უკვე ასაკოვანი მეგობრები, ეჭვის თვალთ უყურებენ, ისევ ისეა, “აფეთქებული” თუ ოდნავ ჭკნობის
ელფერი გადაჰკრავს? ბეჟან ხარაიშვილის შემოქმედება, ისევე, როგორც ღაღო ასათიანის, მირზა
გელოვანის და სხვა მარადიულ სასუფეველში გადასულ ახალგაზრდა ქართველ პოეტთა შემოქმე-
დება, არ გვაძლევს უფლებას, გული დავიმძიმოთ ბუნების კანონზომიერი, აუცილებელი, უსიამოვნო
მოვლენებით.

გასაოცარი, ამდღებული ნათელით დაუკავშირა პოეტმა თავის შემოქმედებაში ორთავ სოფე-
ლი – დროებითი და მუდმივი. თითქოს მაინც ზებუნებრივად მონაწილეობს იმ სილამაზის შექმნაში,
რასაც სიცოცხლე და ცხოვრება ჰქვია.

მისი ლექსები ღხინითა და იმედით ავსებენ ადამიანების გულებს. ”ყველაზე დიდი სასაფლა-
ოა გული” – ამბობს პოეტი. მაგრამ იქვე გვმოძღვრავს და მოგვიწოდებს – “გული სამარეშიც იმზი-
ანებს, გული სამარეშიც ამღერდება.”

მსოფლიოში აღიარებული პოეტებიც კი ვერ პოულობენ სიკვდილ-სიცოცხლის ურთიერთობის
ასეთ ღამაზ გზას. ამიტომაც ეს ახალგაზრდა კაცი განსაკუთრებულად ამოირჩია თანამგზავრად ორ-
თავ სოფელმა და სამუდამოდ ჩაიკრა გულში ნაღდი ქართული პოეზიის მოყვარულთა სულელებში სიყვარ-
ულით ცოცხლობს ბეჟან ხარაიშვილი. ყოველი ცისკრის ამოსვლას მისი პოეტის იღუმალი სხივიც
მოსდევს თითქოს და ის დღე დალოცვილია, ის დღე ჩვენია, – სრულიად საქართველოსი. სამშობლო
მისთვის გამოიხატება სიტყვაში “ჩვენია”. “ჩვენში ასე იცის მზემ ამოსვლა, ჩვენში ასე იცის გათენება”.

მხოლოდ უფალი განსჯის ადამიანის ცხოვრებაში ბედნიერებას და სიხარულს. ბეჟან ხარაიშ-
ვილის შემოქმედება გვასწავლის, რომ ბედნიერებაც და სიხარულიც მოაქვს ადამიანთა შორის მარ-
თად და ერთგულ ურთიერთობას. ეს უადრესად ადამიანური ფასეულობები განსაზღვრავენ პოეტის
ცხოვრების კრედოს.

მას სურს, რომ სამყაროში ყოველი დღე იწყებოდეს და მთავრდებოდეს ადამიანთა მეფური
ურთიერთდამოკიდებულებით. თვით პოეტი და მისი შემოქმედება კი ემონება ყველას, რადგან სხვას
მეტი სულიერი კეთილშობილება შესძინოს. ამ ახალგაზრდა კაცის სიყვარული ქრისტესმიერია.
ქრისტესმიერმა სიყვარულმა კი მანძილი არ იცის. მისი პოეზიაც თითქოს ჩვენი ტვირთის მტვირ-
თველია, ჩვენი მსახურია. სწორედ ამიტომ ჩვენც, მისი პოეზიის თავყვანისმცემლებს, ვისაც მტკივნე-
ული გულის კარები გაგვიღო, ქედს ვიხრით მისი მოღვაწეობის წინაშე. ის ხომ თვითოეულ ჩვენთა-
განს თავისთავზე მაღლა აყენებს, იმიტომ კი არა, რომ ჩვენ ეს ვეჭვირდება, ბეჟანისეული გაგებით
ადამიანი იმსახურებს იყოს ყოველთვის ამდღებულ სულიერ მდგომარეობაში. პოეტისათვის ფასეუ-

ლი მხოლოდ სულიერი სიყვარული არსებობს. სპეტაკი, ჭეშმარიტი, საღმრთო მადლით მოსილი. “კოდის წყალთან... იწყებოდა სიყვარული” სწორედ ასეთი. განსხვავებით სხვა პოეტებისაგან, რომლებიც ხორციელი გრძნობების გამოვლენას არ გაუბიან, თავიანთ ლექსებში, გულწრფელობა და სანდობა ლაიტმოტივად გასდევს ბეჟან ხარაიშვილის სატრფიალო სტრიქონებს.

ადამიანისადმი უსაზღვრო სიყვარულმა ორი სოფლის ურთიერთობის გზა გაუიოლა თითქოს. სულთა კავშირის შესახებ თეორიულ ახსნაში, მეტი სიცხადე შემოიტანა თავისი ცხოვრებით და შემოქმედებით.

ბეჟან ხარაიშვილი შეგნებულად არ ცდილობს სიცოცხლის გზაზე შემხვედრი ბილიკების გაანალიზებას. ბილიკი ყველასთვის ერთია ნარეკლიანი, ეკალბარდიანი, ქვალორდიანი. შეგვახსენებს, რომ ნაკადულებთან მეგობრობაც წარმავალია: “ღეღეებს შეუერთდებიანო ნაკადულები”. “გულში ჩამეტკობა პირველ ყოვლის.” პოეტის შემოქმედება გვასწავლის, რომ ბუნების ქმნილებებიც ერთმანეთს ეძებენ. ჩვენც, ადამიანებს ერთმანეთი უნდა გვინდოდეს. ერთგულება და მორჩილება გვმართებს ერთმანეთისადმი. როგორ აღწერს პოეტი ბუნებას, ისე, როგორც სხვა არა! – “ერთი გაიხედე, ქარი რა დღეშია, როგორ გადალოკა არემარე”. რა ტკბობა, მშვენიერება და ხიბლია ამ სტრიქონებში გადმოცემული. ეს განცდა უჩვეულო გრძნობას ბადებს, თითქოს ადამიანი და ბუნება შესისხლხორცებულია ერთმანეთთან.

ბეჟან ხარაიშვილის პოეზიაში სინანული ბედნიერების აუცილებელი კომპონენტია. ყოველი ადამიანი ცოდვილია, ამ წუთისოფელში სასიამოვნო მხოლოდ მოულოდნელობებია. ბედი ნაკლებად უღიმის ჭკვიანებს და ღირსეულთ. არავითარ ფიზიკურ თუ სულიერ ნაკლს არ ეძებს ადამიანში და არც განიკითხავს მას.

დარდი პოეტ ბეჟან ხარაიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების თანამგზავრია. მისი შემოქმედება კი ადამიანებს დარდს უმსუბუქებს. გვაიმედებს, რომ მისი დაძლევა კაცს ძალუძს, თუ ის მართალია, ძლიერი სულის პატრონია.

პოეტი თავისი ლექსებით გვიმტკიცებს, რომ ძლიერი და უძლური სიყვარული არ არსებობს. სიყვარულს ერთი ძალა აქვს მხოლოდ – ის მარადიულია! – “მე იანვარში დავბადებულვარ და გაზაფხულზე მოვკვდები ლელავ”. უიმედოდ არ ეძებს, ოღონდ იმედი რეზულტატის გარეშე არაფერია. “ახალი წელი კი დადგა, მაგრამ მე ძველებურად მეყვარები”.

არიან ადამიანები, რომლებიც ურთიერთობას წყვეტენ ერთმანეთთან და ეს ჭრილობად აჩნდება გულს. ზოგჯერ ეს ჭრილობა სასიკვდილოა. უნდა გვეშინოდეს ამგვარი ურთიერთობების, თუ ვთხოვთ უფალს “გაგახადოს ამ ტანჯვის ღირსი”? (შექსპირი) – “ისევ გინატრე ყვავილობისას, თოვს, ამ გაზაფხულს სად დავემალო.”

პოეტ ბეჟან ხარაიშვილის შემოქმედება ქართული უკვდავი პოეზიის ის ღირსეული ნაწილია, რომელიც ასე გვიხიბლავს და გვაიმედებს ამ ბედუკუდმართ საწუთროში. “დიდი გადაიხადა მიწამ ძეობა”. დედამიწა მისთვის დიდი დარბაზია, და ამ დარბაზში, ამაღლებულ ამბიონზე, აწყობს ქართული პოეზიის კდემამოსილი სულის აღზევებას. ამ დარბაზში შეჰყავს ადამიანები, ვის მიმართაც მისი სული მოკრძალებას გამოხატავს. სულიერების ამ დარბაზში ეპატიუება სატრფოს. პოეტს კარგად ესმის, რომ პატიოსან სხეულში ბინადრობს მხოლოდ კეთილი სული, და რა კდემამოსილებით მიმართავს მას – “კოცნა? – არასდროს არ მითხოვია”. იმიტომ, რომ “მას” – “ურთიერთს” დროსა და სივრცეში აღიქვამს, როგორც მხატვრულ ტილოს, ამაღლებულს, ღვთიურს. ქალისადმი სიყვარულს ასეთი ფორმით ვერ გამოხატავენ, კლასიკოსი მწერლები, თავიანთ ნაწარმოებებში, სადაც ხშირად ხორციელი სიყვარული მეტად არის წინა პლანზე წამოწეული, ვიდრე სულიერი.

სხვა პოეტებისვით არ აბრმავებს ქალის სურნელი. საყვარელი ქალისათვის ერთგულებას დროის დაკარგვად არ თვლის. პოეტი თვითონ საიმედოა და სიყვარულს ენდობა სხვა პოეტები იშვიათად ენდობიან ამ ძალას.

ის ენდობა, რადგან არის სიმართლე ამ გრძნობაში, რომელიც იმედს უსახავს სულში. – “შენს თვალებში ციმციმებდა მახსოვს, უსაზღვრო ცა იმედებით სავსე”. დროსა და სივრცის კავშირი დარღვეულია. პოეტის სიტყვას უნდა ღრმად გაგება და არა ფრაზას მათგან შემდგარს.

პოეტ ბეჟან ხარაიშვილს თავისი ძვირფასი მეგობრები პატიოსნება და ერთგულება ეხმარებიან მარგალიტებად აკინძოს სიტყვები. – “მიყვარს ეგ მთა და ეგ ქალიც მიყვარს, მაგრამ შევძლებ კი მაგ ხევსურობას?”

მღელვარე იყო პოეტის ცხოვრება. დიდი საქმეები ჰქონდა განსაზღვრული. სიცოცხლის ტვირთი ხომ შრომით და ჯაფით უნდა ზიდოს მოკვდავმა. ადრე წავიდა ამ სოფლიდან. ღრმა სიბერემდე ვერ ზიდა ცრუ საწუთროს აბგა. მისი გარდაცვალება კი უფლის მიერ ბოძებულ საიდუმლოს მკვეთრად აცხადებს: – კეთილი სულები არ კვდებიან, ისინი მარადიულ სოფელში აგრძელებენ ცხოვრებას.

ბეჟან ხარაიშვილის პოეზია შეგვახსენებს, რომ ამ ცხოვრებისგან გამათრახება არავის ასცდება! – “ამ ცხოვრებამ ხან დამძლია, ხან დავძლიე.” – “შენ ორს ებრძვი მა და იმედს.”

მისი პოეზია კი გვამხნევებს, იმედს გვაძლევს უფლისა და მისი სულის სადიდებლად.

“სიყვარული იწყებოდა ასე”



ბეჟან ხარაიშვილის სახელი არც კი გამეგონა, როდესაც, სტუდენტობისას ერთი ლექსის ხელნაწერი ჩამივარდა ხელში. მაშინ, ჩვენ, პოეზიაზე შეყვარებული თაობა, რადგან არ ვიყავით განებივრებულნი ამდენი გამომცემლობებით, ხელიდან ხელში გადავცემდით ერთმანეთს იმ პოეტთა შედეგებს, იმ ლექსთა ხელნაწერებს, რომლებიც ღამეებს თეთრად გვათევინებდა, შეყვარებულ სულს ესაღბუნებოდა და იმ, ჩვენს პატარა, გულუბრყვილო ოცნებებში სახეტიალო ფრთებად გვჭირდებოდა, გვჭირდებოდა, როგორც ჰაერი, წყალი და პური ჩვენი არსობისა.

ჩემი თაობა მირზა გელოვანზე იყო შეყვარებული. ყველა გოგონას აბოდებდა პოეტი-კაპიტანი, მისი ლექსები, მისი უდროოდ შეწყვეტილი სიცოცხლე, მისი ვაჟკაცურობა და დიდი ადამიანური სიმაღლე.

ხელნაწერი, რომელიც ხელში ჩამივარდა სწორედ მირზა გელოვანისადმი მიძღვნილი ლექსი იყო. მაშინ, ჯერ კიდევ ჩემთვის უცნობი პოეტი, ჩემი გულიდან ამოძახილ სტრიქონებს წერდა: “-მირზა წავიდაო, - ეს რა გამაგონეს, - არ დაბრუნდებო, - თქვეს და ტყუვდებიან; პოეტები ბრძოლაში ადრე მიდიან და პოეტები ბრძოლიდან გვიან ბრუნდებიან.” ვკითხულობდი ამ სტრიქონებს და მის გმირთან ერთად ვიბრძოდი ბელორუსიის ტანთეთრა ტყეებში, მასთან ერთად ვკვდებოდი და მერე ვბრუნდებოდი. წარმოსახვით კი არა, ფიზიკურად ვგრძნობდი, რომ ჩემი გულიც, მასთან ერთად, “ტყვიებს უკორტნიათ ყორანივით”... მერე დაცემულს, დაჭრილს და მომაკვდავს, როგორც მას “პირიდან მიძიმე-მიძიმე ბოლი ამოსვლია, დაუწერელი ლექსების ბოლი” მეც ასე მაწამებდა ის, დენთის კვამლი და დაუწერელი ლექსების ბოლი. მეოცე საუკუნის, იმ “20 წლის გამირივით”, რომელსაც “წაქცეულს მკლავებში ჩაუკლავს სიკვდილი” მეც მინდოდა მეთქვა ან ჩემზე ეთქვა ვინმეს: “პოეტები ყველაზე ადრე კვდებიან და პოეტები ყველაზე დიდი ხნით ცოცხლობენ.”

ვინ იყო იმ ლექსის ავტორი, რომელმაც თავისი ალალი სტრიქონებით, თითქმის, მირზაც ხელმეორედ შემაყვარა და პოეზიაც?! მაშინ არც ვიცოდი და არც მიძებნია, მაგრამ წლების შემდეგ ბედისწერამ ისევ შემაფუთა იმ შეყვარებული ლექსის ავტორს კი არა, მის გულიან და ძარღვიან სტრიქონებს, მის ხსოვნას, მისი საყვარელი დის - გულნაზი ხარაიშვილის - თვალებში ცრემლად ჩარჩენილს.

ვკითხულობ იმ პატარა წიგნს, რომელიც თავისი ხანმოკლე სიცოცხლის გზაზე მოუსწრია და დაუტოვია ჩვენთვის, იმ ჩემთვის უცნობ, მაგრამ სულიერად ძალიან ახლობელ ადამიანს, ამ წუთიერი ქვეყნიდან მარადისობაში გადასულს და იქ დაბინადრებულ პოეტს - ბეჟან ხარაიშვილს - ვკითხულობ და ცოცხლდება ის ბავშვურად სუფთა, გულუბრყვილო ოცნებები, რომლის გარეშე არ არსებობს პოეზია და სილამაზე.

ხილვებით მივდივარ, პოეტის გვერდით, “საქართველოს გამოხრულ გულში - ვარძიაში” და მეც, მასთან ერთად, მინდა, რომ “ჯიშინ ძვლებზე მკბენდეს სიცივე”, რადგან მაშინდელივით, როდესაც ეს ლექსი დაიწერა, დღეს ვარძიაში კი არა, ტაო-კლარჯეთის მიწაზე საგზური გჭირდება ქართველს, ოღონდ “კარს უღებდეს უცხო ტურისტებს ხერთვისის ხანძთა, ბებური ტაო...” “მრავალჯამიერ, ჩემო ბეჟანა” ნეტამც “გადაგვიშვას” ყველა მთამ და ყველა საზღვარ-ჯებირმა “გადაგვაიწყოს დიდი თურქობა”... შენ ხომ მეგობრებს (ნურავინ გაიოცებს და, ამ მეგობრებში მეც მინდა ვერიო) კაფეში კი არა ხეკორძულას წყალზე ეპატიუები, გოგონების კი არა, წითელი მიმინოების სადარაჯოდ. “და მერე იქნებ ვინმე მაღლიანმა მოგვთხოვოს სული იაკობივით... და მოგვჭრას მარჯვენა გაღმა-გამოღმა ნაშენები კედლებისათვის.”

“-ვეიდი ვარძიას, -ვეიდი ხერთვისს, -ვეიდი არხოტს და -ვეიდი ხოშარას...” კითხულობ ამ მონანიე ტკივილით საგვ სტრიქონებს და პოეტის წინასწარმჭერეტელობაში ეჭვი აღარ გეპარება, სწორედ დღევანდელი ტკივილები დაუდევს ფურცელზე ადრე წასულ კაცს, რომელსაც თურმე რა ძალიან ადრე სტკენია დღევანდელი ტკივილი, დღევანდელიც და მარადიულიც:

“ჩემს სახლში რომ მასპინძლად დამიჯექი,
ჩემს მაგიერ ჭურს რომ მიხდი მარანში,
შეხვედრისას გზას რომ მითმო პირველად,
მე ვტყუივარ, შენ კი არა ამაში!”

ასეთი ყოფილა პოეტის ბედი, მისი ხილვები რეალურობაზე უფრო რეალური, რადგან თავისუფალია მისი სული, სხვა მოკვდავთაგან განსხვავებით, და შეუძლებელი მისთვის ჩვეულებრივია. თავად საქართველოს დარაჯად მღვარ მყინვარს თვით დაუდგება დარაჯად და მორიდებით ეტყვის: “და შენი გულის კენტი სიმღერა ჩემთან ჩამოჭქონდა ცივ წყაროს”. გაუთამამდება და ამ სითამამეში ნელა-ნელა მაღლდება მასთან ერთად, მაღლდება არა მარტო

ფიზიკურად, არამედ სულიერად, რათა შემდეგ თანასწორს, მეგობარივით ესაუბროს და ჩუმად გაუმხილოს: “აჰა, შენთან ვარ, დაუღუღარ ლექსების მაჭრით.”

სწორედაც რომ მასთან არის პოეტი სიკვდილშიაც და სიცოცხლეშიაც. მისთვის კვდება და მისთვისვე ცოცხლობს... სულ ერთია მას მყინვარს შეარქმევს თუ არაგვს, (რომელსაც ასე “შეენის მტკვართან წაწლობა”), მას უფრო ზოგადი, უფრო მაღალი და ჩურჩულით სათქმელი სახელი ჰქვია – სამშობლო. მამული, საიდანაც იწყება მისი ბაღლობა, მისი კაცობის ბილიკები. სადაც “შეციებით მთაში დედეებს, – ბარად მირბიან.” მშობლიური კერა, დედის გულივით სუფთა და წმინდა, რომელიც პატარა ბილიკებით და დედეებით, დიდ კერიას, დიდ დედას უერთდება, საიდანაც მოჰყვება პოეტს თავისი წილი ცრემლი და სიხარული, თავისი ფიქრი და სევდა: “ხდის ხეობიდან ცისფერ ზურგანით ჩამომაქვს ჩემი პატარა სევდა.” იმ ზურგანთანაში ჩაუხედავად გრძნობ, როგორი ტკივილით მიეუწყულა მასში, “დაცლილ სოფლების სიცარიელე”. ეს ტკივილი უფრო მეტი და უფრო დიდგროვნულია, ვიდრე ჩვეულებრივი სოფლის მონატრება თუ მისი ბუნებისა და რელიეფების სიყვარული... და აქ, გინდა თუ არ გინდა, გესმის საყვედური. ამ საყვედურს კარგად გაიგებს “ნაღდი გული”, ისეთი გული, რომელიც ჯერ ერის ტკივილებით კვდება და მერე უბრალოდ ტყვიით... და ამ ეროვნულ-ფიზიკურ სიკვდილს, ისეთი საოცარი სახეებით “შემოგაპარებს” პოეტი, რომ გაცოდები, რადგან ათასჯერ მაინც გინახია ყაყაჩოს წითელ ფურცლებზე დასმული შავი წერტილი და ბეჟან ხარაიშვილს ეს, რა სულ სხვანაირი, რა ეროვნული ტკივილის დონეზე დაუნახია:

“ყაყაჩოს წითელ და თხელ ფარფლებზე
შავად ნაფერი შავი წერტილი,
არა არის რა, თუ არა ტყვიით
ქართველი კაცის სისხლში დასმული
მისი სიცოცხლის მრავალწერტილი!”

უკვე აღარ გიკვირს და არც გაცოდები, როცა გულმოკლული იტყვის პოეტი, გამოცდილი მოტირალეებით გაწაფული: “შენ შეგემუიან მგლები, სოფელო”. აქ უკვე აუცილებელია, საჭიროა დიდაქტიკა, და ბრძენი მისანივით დგას, და საუკუნის დარიგებას არ იშურებს ერის განახევრებისა და ქვეყნის დაცარიელების წინასწარმჭერები, და ამ სიცარიელის ერთი სოფლის დონეზე დამყვანი კი არა, არამედ ზოგადი, არა მარტო ფიზიკური, არამედ დიდი სულიერი სიცარიელის მოშიში გული: “ეჭვი გაძლავს და უყივი შვილებს: დაგეპატრონონ”... თორემ ვინ იცის, რა “ქარიშხალმა დაუშინოს ნაპირს” თოვლი და რა ნიაღვარი მოვარდეს, “ჩაყონისფერებული” ზეცის დანახვაზე რა შიშმა აღარ აიტანოს ადამიანი და წამოაცდინოს: “–ჯვარი აქაურობას, –ჯვარი აქაურობას – რამ გამახსენა ნოეს კიდობანი?!”

პოეტის ყველაზე სასურველი და საყვარელი სატრფო, რაც არ უნდა ლამაზი ქალის სახემ შემოანათოს მის არსებაში, მის სულში და ლექსებში, მაინც სამშობლოა, მით უმეტეს საფრთხეში მყოფი სამშობლო ორმაგად საყვარელი და დასაცავ-მოსაფრთხილებელი ხდება. ქალს კი არა, სწორედ სამშობლოს მიმართავს პოეტიც “მე იმედებთან აღერსით ვთბები.” და ეს იმედები, მარტო მკითხველს კი არა, გადაედება ყველა მოსიყვარულე გულს და ათბობს ცივსა და მოურჩენელ ზამთრის ღამეებში. მერე, ამ ჩათბუნებული სულით, შეგიძლია ცოტა გულჩვილობა, ცოტა სისუსტეც აპატიო, ხატობას დეინოსთან შეჭიდებულ ვაჟკაცს, რომელიც ჩუმად გაგიმხელს: “და საქართველოს სისხლიანი, ავი წარსული, წვეთ-წვეთ, თანდათან გამოჟონავს ჩემს თვალებიდან.” ამ წარსულიდან იმედივით შემოგანათებს არაგვის ხეობიდან დაშვებული ლაშქრის დაბნეულობა: “თათრებს კი არ – მამულს ჩაუგდიაო არაგვი ტყვედ.” ნეტამც! მაგრამ მიწა, სხვის ტყვეობაში მოქცეული განა აკლია საქართველოს?! მიწა კი აკლია, მაგრამ თავად ფაქტი დატყვევებული მიწებისა უკვე რამდენია! ტაო-კლარჯეთიდან და აფხაზეთიდან დაწყვებული ფერეიდანთან დამთავრებული. ფერეიდანი – საქართველოს ძველი ტკივილი –ესეც ერთ-ერთი სისხლიანი წარსულის წვეთი, პოეტის თვალებიდან გამოჟონილი, რომელიც ძილ-ღვიძილშიც კვნესის და... რა მწარედ ხვდება პოეტის გულისყურს ეს კვნესა:

“– ჭია-ჭია, მაპოვნინე საქართველო!
თორემ სისხლი უცხო სისხლთან აღარ ფერობს,
სხვისმა მიწამ ამომთუთქა ფეხისგული,
დარდი ღმუის ჩემნაირთა, განა ვმღერი?!”

კვდება პოეტი, კვდება ყოველდღიურად, ერის წილი სიკვდილით, სტკივა ერის წილი ტკივილი, ტირის ერის ცრემლებით, განა პირადულია მისი თვალებიდან გამოჟონილი სისხლიანი წვეთები? მდინარის დინებას ჩაშტერებული ხევსური რომ ეტყვის წყალს: “შენ მამა-პაპის სისხლი მიგაქვს”-ო, ისე შეიძლება უთხრა პოეტს: – შენ შენი ქვეყნის დარდი მიგაქვს, შენი ქვეყნის ცრემლი გდენია, შენი ქვეყნის წილი სიკვდილით კვდება და ეს სიკვდილის გზაა სწორედ მარადიულობა. გზა, რომელიც არსად მთავრდება, სიკვდილი, რომელიც სიცოცხლეში გრძელდება. “ერთი მეც უნდა მაგკლა, სიკვდილო...” – შემთვრალი ხევსურის გვერდით დგას ბეჟან ხარაიშვილი და მისი პირით ლაპარაკობს. მართლაც და ამარცხებს პოეტი სიკვდილს, რომელიც, როგორც გაბრიელ გარსია მარკესი ამბობს: “დავიწყებასთან ერთად მოდის”. ლექსი – სულის მარადიული სადგური და თავშესაფარია გარანტია ამ დამარცხების. სწორედ ამ მარადიულ სულთშესაფარს ეკუთვნის

სიტყვები: ”შენ კი ისევ სიცოცხლეზე მაქვზებ.” და სწორედ მისი იმედი ასულდგმულებს შემოქმედს, როდესაც ქმნის, როდესაც აშენებს... აშენებს არა უბრალოდ კედლებს, არამედ უკვდავებასაც.

“და ვაშენებდე გაღმა-გამოდმა,
ორივე მკლავის დასაჭრელ კედლებს,
რომ სამოთხეში, გინდ ჯოჯოხეთში,
თავთან დაკლული სიკვდილი მდოს.”

თოვლიც კვდება მთის მწვერვალზე, მაგრამ სიკვდილის დამკვლელი მეორედ მოდის, და ვიდრე “შინდის კვირტებს გული გა-უსკდებათ” ანუეგემებს პოეტი: ”რა დროს სიკვდილია... ჯერ უნდა მომჭრან მარჯვენა და სული მომთხოვონ...” ესაა მზის ამოსვლა, მისი მარადიულობა და შემოქმედებითი ძალა. ჯერ ამქვეყნიური მოვალეობა, რომელიც აკავებს სიკვდილს, მოვალეობა, არა მარტო შემოქმედისა, არამედ ერთი ჩვეულებრივი ადამიანისა, რომელსაც სხვაზე მეტად აწუხებს, სხვაზე მეტად სტიკია... და სხვაზე მეტად განიცდის, თუნდაც ჩვეულებრივი თვალისათვის შეუმჩნეველს... და, ალბათ არც უნდა დაეზრახოს, თუკი სხვაზე მეტად იმედიანობს კიდევ, სხვაზე მეტად არაჩვეულებრივია და სხვისგან განსხვავებით სჯერა რომ მისი “გული სამარეშიც იმზიანებს, გული სამარეშიც ამღერდება.” ეს კიდევ ერთი უცნაურობაა ბეჟან ხარაიშვილის, სამარეში მომდერალი და მომზიანე გულის პატრონი სიკვდილშიაც სიყვარულს ეძებს და ხედავს კიდევ, რადგან მისი სიცოცხლე სიკვდილით არ მთავრდება, სიცოცხლე გრძელდება, ეს არა მარტო პოეზიით ამქვეყნად დარჩენილი სიცოცხლეა, არამედ უფრო მეტი, უფრო არამატერიალური, მარადიული სულის სახით სამყაროში გაბნეული, ადამიანის გონებისათვის მიუწვდომელი უსასრულობაა.

სწორედ ბეჟან ხარაიშვილის ცხოვრების გზის მიმსგავსებით, სიკვდილის შემდეგ სიყვარულზე ვაგრძელებ სიტყვას, რადგან მისი სიკვდილის შემდეგ გრძელდება სიყვარული, სულ სხვაგვარი, ასტრალური... და სიყვარული ყოფითი, მიწიური, ლექსებში ჩარჩენილი. სიყვარული, ალბათ, ზოგადკაცობრიული ცნებაა და მას ეროვნულობა არ გააჩნია. მართლაც არ შეიძლება იმისი მტკიცება, რომეოს უფრო მეტად უყვარდა თავისი ჯულიეტა თუ ტარიელს თავისი დარეჯანი...

ბეჟან ხარაიშვილის სიყვარულს ქართული სურნელი დაჰკრავს: “ისე ვინატრებ შორენა გერქვას, ცერზე წითელი მიმინო გეჯდეს.” შეიძლება ვინმეს გაზვიადებული ეჩვენოს, მაგრამ ალბათ ქართულ სიყვარულს უფრო მეტი მოკრძალება და მორიდება მართებს, იმიტომ კი არა, რომ ქართველ მიჯნურს გახელება და თავზე ხელის აღება, თუნდაც სიკვდილი არ შეუძლია სიყვარულისთვის, არამედ იმიტომ, რომ ყველაზე დიდი გმირობა სწორედ იმ დიდი ტკივილის გაუქვაცურად დაფარვა ყოფილა, ქართველისათვის, სასახელო.

“რა დამავიწყებს ბეწინას წისკვილს,
არაგვის ტალღის ქვებთან ხუმრობას...
მიყვარს ეგ მთა და ეგ ქალიც მიყვარს,
მაგრამ შევძლებ კი მაგ ხევესურობას?”

რამდენი კატასტროფა დაწყებულა ქალისათვის და რამდენჯერ მშვიდობის მტრედად შემოფრენილა ხელოვნებაში ეს საოცარი არსება – ქალი! სიყვარულის ყოვლისწამლექავი გრძნობა ციხისმზგრეველ მანქანებზე და ნეიტრონზე უფრო საშიში და მოსარიდი ყოფილა. რაოდენ ძლიერი და დაუმარცხებელი უნდა იყოს გული, რომელიც ამ კოსმიურ ძალას გაუძლებს და არა მარტო გაუძლებს, ისე ნაზად და სათუთად აამეტყველებს საკუთარ არსებაში, არაბუნებრივად შეიძლება მოეჩვენოს, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივ ადამიანს... და მაინც შეეფეთები ამ ველური ძალის დამანგრეველ სინაზეს და გაოცებული რჩები, ეს უკვე ზეადამიანურია!

“ისევ ვინატრებ ყვავილობისას,
თოვს, ამ გაზაფხულს სად დავემალო...
კოცნა? არასდროს არ მითხოვია,
მე მინდა მხოლოდ თვალი შეგავლო!”

ეს მორიდება და მოკრძალება სიყვარულის ნაკლებობად არავის მოეჩვენოს, ეს საკუთარ თავზე ამადლებაა, როდესაც თავად პოეტი კი არ ეპოტინება ლამაზ-ლამაზ ეპითეტებს, საყვარელი ადამიანისათვის ყვავილივით მისართმევს, არამედ არაცოცხალ ბუნებას აამეტყველებს: “– რა ლამაზი ხარ! – გიღიმის სარკე.” ესაა სწორედ ქართული და უაღრესად ვაჟკაცური მოკრძალება, თორემ განა გული არ დნება და არ იფერფლება? “ო, ლამისაა თოვლიც დაადნოს, გული შენს გამო ისეა ცხელი.”

ბეჟან ხარაიშვილის მთელს სატრფიალო ღირიკას სწორედ ეს უცნაური მოკრძალება შეადგენს, საოცრად უცხო, და მე ვიტყვოდი, საოცრად ქართული. “წამომელანდები კლდეზე შემომდგარი და ხელს გამოგიწვდი მორიდებით”. პოეტი, დიდი ბავშვი ხდება და მეომარი ერის შვილი და თავადაც მეომრად დაბადებული, ძველისძველი საუკუნეებიდან გადმოსული წინაპრით მხრებგანიერი, ხმლის ტარისაგან გაუხეშებული ვეებერთელა ხელებით ეფემერულ ყვავილს დაეძებს მოდინახესთან თუ შლეგი არაგვის ნაპირებთან: “კერეფდი ფურისულებს, ახლად დანიტულებს, მერე იმედივით გიწოდებდი.” თითქოს და ბუნებაც შეყვარებულია, პოეტთან ერთად, ეს ალუბლის ტოტი იქნება თუ ელვა, რომელიც “ხელგაკვრით დაწერს შენს სახელს...” შეშინებული ხოხობივით დაფეთებული სუსტი არსება, საიმედო თავშესაფრის მაძიებელი, სწორედ პოეტის გულში პოვებს

ყველაზე სანდო ადგილს, მაგრამ იდეიებს მამრის ინსტიქტი, (მხოლოდ, არა ველური) “და ჩემშიც ვეღარ დამეძალები”... სწორედ იმიტომ რჩება სასურველი არსება პოეტის გვერდით, რომ დაინახა მისი ფიზიკური და სულიერი ძალა, გადაჯაჭვული უბრალო პატივისცემასთან კი არა, უფრო სალოცავის დონეზე აყვანილ თავყვანისცემასთან.

“ტოტებ-ტოტებ მოგვევებოდა მთვარე,
კოდის წყალთან ხელადები ვავსეთ,
გეჩქარება? – გკითხავდი და დუმდი...
– სიყვარული იწყებოდა ასე!”

სოციალ-დემოკრატების მიერ მყარად დანერგილი სახეებით აზროვნება საკმაოდ მოღური გახადა თანამედროვე პოეზიაში, შეიძლება ზედმეტადაც. ქართული ლექსი საუკუნეების მიღმა არ უჩიოდა უსახობას. არც ლამაზ-ლამაზი და არც ფრთიანი ფრაზები ჰკლებია ქართულ ნიჭს, მხოლოდ ეგ არის ყველაფერში ზომიერებას ემხრობოდა იგი. ბეჟან ხარაიშვილის არცთუ ისე მრავალრიცხოვანი ლექსების გადახედვისას გაცეცება გიპყრობთ, აქ უბრალო სახეები კი არა, საოცარი ცხოვრებისეული მიგნებები შეიძლება დაინახო: “მიყვარს ხოლმე ჩემი სოფლის ჭალაზე, სიმინდებში მთვარის ჩანამგალება.” ან კიდევ არაგვისადმი მიძღვნილ ლექსში: “მაგ თმებს ჩამოაქვს ლუდ-არყის სუნი,

თუ საქართველოს ვებარბაცებ ეშხით.” ზამთრის მდინარესთან ჩაფიქრებული პოეტის თავისებური ხილვაა: “თოვს და მდინარის გაყინულ ენას შავი კბილებით იჭერენ ქვები.” დედაქალაქისათვისაც შეუმჩნევია დაკვირვებულ მხერას თავისებურება: “რომ თვალებს ხუჭავს თბილისი ღამით და ხანჯალივით მტკვარს იცემს გულში.” და ისევ ზამთრის, ყველა ჩვენგანისათვის ნაცნობი და ბავშვობიდანვე შეყვარებული სურათი: “ფანჯრებზე ყინვას გაეცინა ფიროსმანისთვის.” და ბოლოს იმედიანი ხილვა მამულის გზებზე: “მწვანე შუქნიშნად ინთებიან გზაზე ხეები, ეს იმას ნიშნავს, გავიარო, – წინ მამულია!”

არ შეიძლება აქ, თავისთავად, არ მიგმატებინოს: – წინ უკვე უკვდავებაა, ლექსად დატოვილი იმ სათაყვანო მამულში, სადაც ძალიან მცირეოდენი გზა ერგო წილად პოეტ ბეჟან ხარაიშვილს. მას, თითქოს, საკუთარ ბედზე წაუწერია მირზა გელოვანისადმი მიძღვნილი სტრიქონები: “პოეტები ყველაზე ადრე კვდებიან და პოეტები ყველაზე დიდი ხნით ცოცხლობენ.”-ო

მართლაც ცოცხლობს ხსოვნა, ცოცხლობს უღამაზესი პოეზია, შენი ქვეყნის სიცოცხლესთან ერთად. შენი ლექსები პირდაპირ გულში აფათურებენ რითმიან, თუ მოთეთრო თითებს, მაგრამ შენი მეგობრებისა და პოეზიის მოყვარულთა სახელით, შენივე სიტყვებით გთხოვთ: “ გულთან არ დაგვადო ხელი... გეტკივა...”

შენი, უშენო მესამოცე წლისთავი, შენი ხანმოკლე სიცოცხლე, შენი ხსოვნა და შენი საოცარი ლექსები გეტკივა!



საგადასახადო ურთიერთობათა
ეკოლუცია საქართველოში



ვალერი
მოსია შვილი



სულხან
მახათაძე

როგორც უმეტეს ძველ ცივილიზებულ ქვეყნებში, საქართველოშიც საგადასახადო ურთიერთობებს საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. ისტორიული წყაროები მიაჩნებენ გადასახადების ოთხ-ათასწლიან ისტორიაზე. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ გადასახადების შემოღება საქართველოში XI საუკუნიდან იწყება.

გლექს, რომელსაც არ გააჩნდა პირადი თავისუფლება, ვალდებული იყო გადაეხადა ბეგარა. თუ პირადი დამოკიდებულებისგან მომდინარეობს გლექსის ვალდებულება - ემსახუროს პატრონს (შრომითი ბეგარა), გადასახადის გადახდის ვალდებულება მომდინარეობს გლექსის პატრონთან ეკონომიკური დამოკიდებულებიდან. გლექსი პატრონის მი-

წას ამუშავეს და ამიტომ ვალდებულია ამ მიწიდან მოყვანილი მოსავლის ნაწილი მიწის მეპატრონეს გადაუხადოს. ეს ვალდებულება ყველასთვის ერთნაირი არ იყო, და იგი პატრონსა და გლექს შორის პირადი გარიგების საფუძველზე ხდებოდა. მასზე ასევე გავლენას ახდენდა ტრადიცია და ისტორიულად ჩამოყალიბებული ფაქტორები.

XI საუკუნეში საქართველოში ჯერ კიდევ იყვნენ თავისუფალი მიწის მოქმედები, რომელთა პატრონისგან ვალდებულება სოციალური ხასიათის იყო: პატრონის ხლება და ლაშქრობით სამსახური. შემდგომში ფეოდალების მიერ მოხდა ამ ფენის სოციალური და ეკონომიკური დამორჩილება. თავისუფალი მწარმოებელი ჯერ მიწას კარგავდა, ხდებოდა ეკონომიკურად შეუძლებელი და შემდგომში ყმად გადაიქცეოდა (ეს პროცესი ძირითადად დამახასიათებელი იყო ადრე ფეოდალური ხანისთვის). გლექსად ქცევის, ანუ პირადი თავისუფლების დაკარგვის ერთ-ერთი საშუალება იყო კაბალა. იგი არაბული წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს იჯარას. მაგ., სხვადასხვა მიზეზთა გამო გლექსმა დაკარგა მიწა, მაშინ ახალმა მეპატრონემ ეს მიწა კვლავ დაუტოვა მას, ე. ი. გლექსი ამუშავეს (პირადად ჯერ კიდევ თავისუფალი) მის ყოფილ (ახლა უკვე სხვის) მიწას და სამაგიეროდ იხდის კაბალას.

ქართულ ისტორიულ წყაროებში გვხვდება რამდენიმე მაგალითი იმისა, თუ როგორ ხდებოდა მეპატრონის მიწის დამუშავება გლექსების შრომითი ბეგარით. გლექსს ვალად ეღო მუშაობა მისი ბატონის ყანებსა და ვენახებში, დაუნაწილებელი საბატონო მიწების (ზვარი, ხოდაბუნი) დამუშავება.

ბატონის ოჯახს, საგვარეულო „სახლი“ ერქვა, ხოლო საგვარეულოს უფროსს – „სახლის პატრონი“. სახლის პატრონი განაგებდა მთელ მუშა ხელს, მისი თანხმობის გარეშე არ მოხდებოდა გლექსებზე გადასახადების დაკისრება ან გათავისუფლება. ბატონის (აზნაურის) სახლის შემოსავალი ორი ნაწილისგან შედგებოდა, ეს იყო „მამული“ და „სოფლისაგან ანადები“. „მამული“ იმ მოსავალს ერქვა, რომელიც მას მოუდიოდა თავისი მიწის იმ ნაწილიდან, რომელიც გლექსებზე არ იყო დანაწილებული და მას ფეოდალი ამუშავებდა გლექსების შრომით ბეგარაზე გამოყვანით. „სოფლისაგან ანადები“ კი ის იყო, რომელიც ფეოდალის მიწაზე მომუშავე ყმა-გლექსებისგან შემოუდიოდა ფეოდალს კულუხის, ღაღისა და სხვა საგლეხო გამოსაღებების სახით.

გამოსაღებების ამოღება ხდებოდა მოხელეების საშუალებით. ესენი იყვნენ: *ხელისუფალი, ციხისთავი, მესახმარე, მაწყინარი, მენუკვარი, მოხარაჯე* და *მესაბანჯრე*. ამათგან *მესახმარე, მაწყინარი* და *მენუკვარი* გადასახადის ამკრეფთა ზოგადი სახელებია. გადასახადის კონკრეტული სახეობის ამკრეები მოხელეა *მოხარაჯე* და *მესაბანჯრე*. მოხარაჯე ხარაჯას კრეფს (ხარაჯა – სახელმწიფო გადასახადი), მესაბანჯრე კრეფს საერთო საძოვრების გამოყენებისთვის დაწესებულ გადასახადს - საბანჯარს. აღსანიშნავია, რომ ეს საქმიანობა ხშირად მემკვიდრეობითი ხასიათის იყო.

ზემოთ დასახელებულ მოხელეებს ემატებოდა გზირი და მსახური. მათაც ვვალდებოდათ ბეგარის აკრება, კერძოდ, „საჭირისუფლო“ და „საქორწინო“ გადასახადებისა. აღსანიშნავია, რომ ლხინისთვის დადებული გადასახადი მოიხსენიება ტერმინით – სანიჭარი, ხოლო სიკვდილის შემთხვევისთვის – შესაწევარი. ჭირის დროს ყმა პატრონს შეეწევა, ლხინის დროს კი სანიჭარს, ე. ი. საჩუქარს გაიდებს. ამ ტერმინოლოგიაში ჩანს ამგვარი გამოსაღებების წარმოშობის კვალი. ორივე თავდაპირველად, თავისუფალი თემის არსებობის პერიოდში დახმარების ძალდაუტანებელი, ნებაყოფლობითი ფორმა იყო. შემდგომში კი ეს აუცილებელ საგლეხო გამოსაღებად იქცა.

საქართველოში საეკლესიო მამულების სახელმწიფო გადასახადებისგან გათავისუფლება საკმაოდ გავრცელებული იყო. ამასთან სახელმწიფო გადასახადების შეუვალობით სარგებლობდა ზოგიერთი ფეოდალი.

საზოგადოებაში ერთ-ერთი დამოუკიდებელი სოციალური ფენა იყო მსახურთა კატეგორია. ისინი მიწისმოქმედნი იყვნენ და ამით გლექსებს ჰგვანან, ხოლო მათი წოდებრივი ფუნქცია აზნაურულია – ლაშქრობა და სამსახური.

საქართველოს მიერ დაპყრობილი ქვეყნები მას ხარკს უხდიდნენ. ხარკით საქართველოს სამეფოს დიდძალი შემოსავალი შესდიოდა. საგარეო ხარკი, ნაალაფვეი (მეზობელი ქვეყნების რბევით

ნაშოვნი ქონების 1/5 მეფის ხაზინაში შედიოდა), საშინაო გამოსაღებები ჰქმნიდნენ სამეფო შემოსავალს. საშინაო გამოსაღებებს შეადგენდა საქართველოს მკვიდრ მოსახლეობაზე დადებული სახელმწიფო გადასახადი. ძირითადად იყო ხარაჯა და სხვადასხვა ნატურალური გამოსაღებები. გადასახადთა ასაკრებად არსებობდა ფისკალურ მოხელეთა მრავალრიცხოვანი შტატი. ისინი მიმაგრებული იყვნენ ყოველ ცალკეულ უბანზე. ყოველ სოფელს, საციხისთავოს, საერისთავოს თავისი საგადასახადო მოხელეთა შტატი ჰქონდა დადგენილი.

გვიანფოდალურ პერიოდში საქართველოში არსებობდა:

1. *შრომამიგებთი რენტა*, კერძოდ გლეხებს მებატონეებისთვის გაზაფხულზე იმდენი უნდა დაეხნათ, რამდენიც მებატონეებს სურდათ - ბატონის მცენარეების, ფეტვის, სიმინდის, ქერისა და ცერცვის დასათესად უნდა მოერწყათ, გაემარგლათ და დაემუშავებინათ;

2. *რენტა პროდუქტით*, კერძოდ გლეხების გაყრის დროს მათი ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით მებატონე იღებდა გასამრჯელოს პირუტყვით, ნივთით. მებატონე აჯარიმებდა დამნაშავეს შეძლების მიხედვით ჩხუბისთვის, ცემა-ტყევისა და ლანძღვა-გინებისთვის. საბატონო მიწაზე გლეხს რაც მოსავალი მოუვიდოდა, მებატონე ახდევინებდა ღალას და კულუხს, ხოლო ცხვრებისა და ღორების საძოვრებისთვის - საბალახოს;

3. *ფულადი რენტა*. გლეხს ეკისრებოდა ფულადი ვალდებულება. კერძოდ: მებატონე გლეხს შეაწერდა მათი შესაძლებლობის მიხედვით თავის საქორწილო ხარჯებს 5-დან 50 მანეთამდე ვერცხლით. თუ გლეხის ქვრივი გათხოვდებოდა, მებატონე საქმროს ახდევინებდა 10-დან 50 მანეთამდე ე.წ. „საქვრივოს“. გლეხის ქალის გათხოვებისას მებატონე ან მოურავი ღებულობდა სამი აბაზიდან 4 მანეთამდე „საჩექმეს“. საბატონე გლეხები - ვაჭრები, რომლებიც ქალაქად ცხოვრობდნენ, შეტანილი იყვნენ გამოსაღებთა განაწილებაში და ახდევინებდნენ ფულად გამოსაღებს.

ამ პერიოდში საკმაოდ მოუწესრიგებელი იყო საბაჟო სისტემა, რომელიც ხელს უშლიდა ვაჭრობის განვითარებას. ფეოდალის მამულზე გავლისას ვაჭარი არ იყო დაცული ფეოდალის თვითნებობისგან. ბაჟების თვითნებური დაწესება, ძარცვა და ძალადობა ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ცენტრალური ხელისუფლება ცდილობდა მოეწესრიგებინა საშინაო ბაჟები, მაგრამ არ აუქმებდა მათ, რადგანაც ეს სახელმწიფო შემოსავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო იყო.

საქართველოში ხაზინის სასარგებლოდ XIX საუკუნის პირველ ნახევარში შემდეგი გადასახადები იკრიბებოდა: *სურსათი, კოდის პური, მახტა ფულადი, მახტა პურეულით, მალი, ღალა, საბალახე, ყალანი, კულუხი, საკომლო, სააღდგომო, საშობაო, სამასპინძლო, გასამყრელო, საქვრივე, საჩექმე, შევარდენი, ნაბადი* და სხვა. ამ გადასახადების სახე, მოცულობა და წარმოშობა ერთმანეთისგან განსხვავდებოდა, მაგრამ ისინი თავისი შინაარსით ადგილობრივი ხასიათის იყო და რუსეთთან შეერთებამდე ბევრად ადრე არსებობდა საქართველოში. ჩამოთვლილი გადასახადების გარდა XVIII საუკუნის დასასრულსა და XIX საუკუნის დასაწყისში, გარკვეულ შემთხვევებში და არა მუდმივად, იკრიბებოდა „სარუსო“ და „საღეკო“ გადასახადები.

ბატონ-ყმური მეურნეობა საქართველოში ხასიათდებოდა ნატურალური მეურნეობის ბატონობით. გადასახადების დიდი უმრავლესობა ნატურის სახით იკრიბებოდა, თუმცა ვხვდებით ფულადი სახის გადასახადებსაც. ფეოდალურ საქართველოში გადასახადების მთელი სიმძიმე ძირითადად გლეხობას აწვა. გარდა საკუთარი მებატონისა, გლეხობას ექსპლუატაციას უწევდა სახელმწიფო და ეკლესია.

საქართველოში მეფობის გაუქმების შემდეგ ბეგარა-გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი, სხვა სახელმწიფო შემოსავალთან ერთად, საქართველოს უმაღლესი მთავრობის სახელმწიფო-სახაზინო ექსპედიციას გადაეცა. რუსეთი ცდილობდა გადასახადი თავისი ინტერესების შესაბამისად აკრიბოს, ამიტომ იკვლევს გადასახადის რაობას, რაოდენობასა და მოცულობას, აღწერს გადასახადის გადაამხდელ მოსახლეობას. ახლად შემოღებული მმართველობა ცდილობს გადასახადები ან ფულადი ფორმით იქნეს აკრებილი, ან პურეულით (ნატურალური გადასახადებიდან), ხოლო სხვა ნატურალურ გადასახადებს (ღალა, ყალანი, საბალახე, ძღვენი, სააღდგომო, საშობაო და სხვ.) ცდილობს ფულადი სახე მისცეს.

ბეგარა-გადასახადებში ცვლილებები მოხდა XIX საუკუნის 40-ანი წლებიდან, როცა გატარებული იქნა საგადასახადო რეფორმა, რომელიც სახელმწიფო გადასახადებში ფულადი რენტის გაბატონებას გულისხმობდა (რეფორმა არ შეხებია თუშ-ფშავ-ხევსურეთს). რეფორმის შედეგად ძირითადად სამგვარი გადასახადები გვხვდება:

- ნატურალური (სურსათი, კოდის პური);
- ნახევრად ფულადი, ნახევრად ნატურალური (ღალა, ყალანი, მახტა);
- ფულადი (მალი, კულუხი, საბალახე, სააღდგომო, საშობაო, საქვრივე, საჩექმე, საკომლო, სამასპინძლო, შევარდენი).

იმავე პერიოდში იქნა შემოღებული ადგილობრივი საქალაქო გადასახადები, კერძოდ:

1. საპოლიციო გამოსაღები;
2. უძრავი ქონების გადასახადი;
3. ვაჭრობის გადასახადები;
4. გადასახადები დაქირავებულებზე;
5. მესაკლავეობის მოსაკრებელი.

ამ პერიოდის საქართველოში გადასახადებისგან თავი-სუფალ წოდებას ეკუთვნოდნენ თავად-აზნაურობა და სამღვდელეობა. საგადასახადო რეფორმის შედეგად ნატურალური გადასახადები შეიცვალა ფულადი გადასახადებით. ფულადი რენტის შემოდებამ ხელი შეუწყო საქართველოში სასაქონლო მეურნეობის განვითარებას, მან კი, თავის მხრივ - კაპიტალიზმის განვითარებას.

საქართველოს თანამედროვე საგადასახადო სისტემის ფორმირება დაიწყო 1991 წლიდან, როცა ქვეყანამ პოლიტიკური დამოუკიდებლობა მოიპოვა. 1991-1992 წლების მიჯნაზე ქვეყანაში მიმდინარე კარდინალურმა ეკონომიკურმა გარდაქმნებმა საფუძველი ჩაუყარეს საგადასახადო სისტემას. რეალური საგადასახადო ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების გამოცდილების უქონლობამ, კანონმდებლობის შესამუშავებლად დაშვებულმა შემჭიდროებულმა ვადებმა, ეკონომიკურმა და სოციალურმა კრიზისმა, კვალიფიციური კადრების არ არსებობამ უშუალოდ იმოქმედა მის ჩამოყალიბებაზე.

საქართველოში არსებული საგადასახადო სისტემა იქმნებოდა საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების ბაზაზე. სწორედ ამის გამო, იგი საერთო სტრუქტურითა და აგებულების პრინციპებით ძირითადად შეესაბამება მსოფლიო ეკონომიკაში გავრცელებული გადასახადების დაბეგვრის სისტემებს.

ახალი საგადასახადო სისტემის ფორმირება მოითხოვდა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნას, რომელიც საფუძვლად დაედებოდა საბაზრო ეკონომიკის შესაფერისი საგადასახადო სისტემის შექმნას. 1993 წლის დეკემბერში საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტმა მიიღო საგადასახადო სისტემის სრულყოფის კანონების პაკეტი (სულ რვა კანონი), რომლის ძირითადი მიზანი და დანიშნულება სამეწარმეო საქმიანობის სტიმულირება და სახელმწიფო ბიუჯეტში ფულადი რესურსების მაქსიმალური მობილიზება იყო.

საქართველოს საგადასახადო კოდექსმა, რომელიც მიღებულ იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ 1997 წლის 13 ივნისს, განსაზღვრა საგადასახადო სისტემის სტრუქტურა და ფუნქციონირების ზოგადი მექანიზმი, გადასახადის სახეები, მათი გამოანგარიშების და გადახდის წესი, საგადასახადო ორგანოებისა და გადასახადის გადამხდელის ვალდებულებები და პასუხისმგებლობა, საგადასახადო-სამართლებრივი პრინციპები, საგადასახადო ტერმინოლოგია და ა.შ.

სერიოზული ხასიათის ნაკლოვანებების მიუხედავად, პირველმა საგადასახადო კოდექსმა დადებითი როლი შეასრულა. იმის გამო, რომ კოდექსის ცალკეული ნაწილები ერთმანეთთან ორგანულ, სინქრონულ კავშირში არ იყო, მან არსებითი გარდატეხა ვერ შეიტანა საგადასახადო სისტემის ფუნქციონირებაში. ამასთან, საგადასახადო კოდექსში ასეულობით შეტანილმა ცვლილებებმა ეფექტი ვერ გამოიღო. უფრო მეტიც, გადასახადის როგორც გადამხდელები, ისე გადასახადის ამკრებები არ ითვალისწინებდნენ არც სახელმწიფოს და არც ეროვნული ეკონომიკის ინტერესებს.

1997 წლის 13 ივნისს მიღებული საგადასახადო კოდექსის თანახმად, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ფუნქციონირებდა შემდეგი სახის გადასახადები:

- *საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადები:*
 - ა) საშემოსავლო გადასახადი;
 - ბ) მოგების გადასახადი;
 - გ) დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ);
 - დ) აქციზი;
 - ე) ქონების გადასახადი;
 - ვ) მიწის გადასახადი;
 - ზ) ავტოსატრანსპორტო საშუალებების მესაკუთრეთა გადასახადი;
 - თ) გადასახადი ქონების გადაცემისთვის;
 - ი) სოციალური გადასახადი;
 - კ) გადასახადი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის;
 - ლ) გადასახადი მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისთვის;
 - მ) გადასახადი ავტოსატრანსპორტო საშუალებების საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლისა და ზენორმატიული დატვირთვისთვის.
- *ადგილობრივი გადასახადები:*
 - ა) გადასახადი ეკონომიკური საქმიანობისთვის;
 - ბ) სათამაშო ბიზნესის გადასახადი;
 - გ) საკურორტო გადასახადი;
 - დ) სასტუმროს გადასახადი;
 - ე) რეკლამის გადასახადი;
 - ვ) გადასახადი ადგილობრივი სიმბოლიკის გამოყენებისთვის.

ქვეყნის ხელისუფლების მიერ სერიოზული განაცხადი გაკეთდა საგადასახადო კოდექსის ამოქმედებით, რომელიც პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა 2004 წლის 22 დეკემბერს, ხოლო ძალაში შევიდა 2005 წლის 1 იანვრიდან.

საგადასახადო კოდექსის თანახმად, 2005 წლის 1 იანვრიდან საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ფუნქციონირებდა შემდეგი სახის გადასახადები:

- *საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადები:*

- ა) საშემოსავლო გადასახადი;
 - ბ) მოგების გადასახადი;
 - გ) დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ);
 - დ) აქციზი;
 - ე) სოციალური გადასახადი (ამოღებულ იქნა 2008 წლის 1 იანვრიდან);
 - ვ) საბაჟო გადასახადი.
- ადგილობრივი გადასახადები:
- ა) ქონების გადასახადი;
 - ბ) სათამაშო ბიზნესის გადასახადი.

2005 წლის შემდგომ პერიოდში, ეტაპობრივად მიმდინარეობდა რეფორმები საგადასახადო კოდექსის დახვეწა-სრულყოფის მიმართულებით. დღეისათვის საქართველოში მოქმედებს ახალი საგადასახადო კოდექსი, რომელიც პარლამენტმა მიიღო 2010 წლის 17 სექტემბერს და ძალაში შევიდა 2011 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, ახალი საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს ქვეყნის საგადასახადო სისტემის ფორმირებისა და ფუნქციონირების ზოგად პრინციპებს, გადასახადის გადამხდელებისა და საგადასახადო ორგანოების სამართლებრივ მდგომარეობას, საგადასახადო სამართალდარღვევის სახეებს, საგადასახადო ორგანოებისა და მათი თანამდებობების პირების არამართლზომიერ ქმედებათა გასაჩივრების წესსა და პირობებს, საგადასახადო დავის გადაწყვეტის გზებს, არეგულირებს საგადასახადო ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს.

ახალი საგადასახადო კოდექსის შექმნა მიზნად ისახავდა:

- ა) გადასახადების რიცხოვნების შემცირებითა და დაბალი საგადასახადო განაკვეთების დაწესებით ეროვნული ეკონომიკის ზრდისთვის ნაყოფიერი ნიადაგის შექმნას;
- ბ) საგადასახადო კულტურის ამაღლებას;
- გ) საინვესტიციო გარემოს სტაბილურობას;
- დ) ბიზნესის მხარდაჭერას.

გატარებული საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ, 2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოში მოქმედებს შემდეგი სახის გადასახადები²²:

- საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადები:
- ა) საშემოსავლო გადასახადი;
 - ბ) მოგების გადასახადი;
 - გ) დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ);
 - დ) აქციზი;
 - ე) იმპორტის გადასახადი.
- ადგილობრივი გადასახადი:
- ა) ქონების გადასახადი.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის პრინციპებია: ა) პირი ვალდებულია გადაიხადოს კოდექსით დაწესებული საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადები; ბ) დაუშვებელია საქართველოს საგადასახადო კოდექსის დარღვევით დაწესებული ან კოდექსით გაუთვალისწინებელი გადასახადის გადახდის ვალდებულების ვინმესთვის დაკისრება, აგრეთვე გადასახდის გადახდევინება კოდექსით დადგენილ ვადაზე ადრე; გ) ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს უფლება აქვს შემოიღოს მხოლოდ საქართველოს საგადასახადო კოდექსით დაწესებული ადგილობრივი გადასახადი.



²² საქართველოს საგადასახადო კოდექსი, თბ., 2010.

ისტორია

ნიკო ხერკელაძე

ბრემლში ნალესი ხმალი (გაგრძელება) „გოფანთო, ოფშკვითის“ მოვლენების განხილვა



რადგან ოსმალეთი არ ცხრებოდა და ყველა ხერხით ცდილობდა ქართლში თავიანთი ძალადობრივი უფლებების შენარჩუნებას, სიმონ მეფე დიდი სულისკვეთებით ახერხებდა ქართლიდან მათ განდევნას. მაგრამ ოსმალთა ჯარს, თავიანთი სიმრავლის გამო, მანც თავისი გაჰქონდა და ბევრჯერ ქართლში სიმონ მეფის მიერ განთავისუფლებული ციხე-ქალაქები ისევ ოსმალოებს დაუპყრიათ. ეს გამუდმებული უთანასწორო ბრძოლა ირანიდან სიმონ მეფის დაბრუნებიდან – 1578 წლიდან 1599 წლამდის გაგრძელდა. ამ დროის შუაღვედში, 1588-1590 წლებში, სიმონ მეფემ იმერეთის სამეფოს ქართლის სამეფოსთან შემოერთება სცადა. ეს ის დროა, როცა მანუჩარ ათაბაგი (მუსტაფა) ოსმალებს განუდგა და სიმონ მეფის გვერდით დგომა არჩია. ვინაიდან ქართლი ოსმალებს მარტო უმკლავებოდა, სიმონ მეფისათვის ეს მოვლენა სასურველი შეიქნა. სიმონმა თავისი და ელენე მანუჩარ ათაბაგს ცოლად შერთო. ამ მდგომარეობამ სამცხე ქართლს შემოუერთა, ეს უკვე წარმატება იყო. საქართველოს ეს ორი გაერთიანებული მხარე მტერს სათანადო პასუხს გასცემდა.

დასავლეთ საქართველო ამ დროს ურთიერთდაპირისპირებას მოეცვა. ხალხი ხედავდა ყველაფერს, ხედავდნენ დიდებულებიც თუ როგორ იღწვოდა სიმონ მეფე ოსმალეთის წინააღმდეგ. ტერიტორიულად ქართლი შორს ხომ არ იყო, იქვე მათ გვერდით, ერთ ნაბიჯზე. იმერეთის დიდებულთა საღად მოაზროვნე ნაწილს მხედველობიდან არ გამოორჩენოდა ქართლში შექმნილი ვითარებები და დიდი კრძალვა და პატივისცემა გაუჩნდებოდათ სიმონ მეფის მიმართ, როგორც მეგრძოლისა, სარდლისა და თავის ქვეყანაზე გულშემატკივარი მეფისა. მათ გონებაში ჩაუქრობლად ენთებოდა განცდა იმისა, თუ როგორი ამაგი დასდო საქართველოს დავით აღმაშენებელმა, თამარ შეიღმნათობიერმა და გიორგი ბრწყინვალემ. ასე ესახებოდათ სიმონ მეფის, თავიანთი თანამედროვე კაცის, ქვეყნისათვის თავდაუზოგაობაც. დასავლეთ საქართველოს დიდებულთა განწყობა თავის მიმართ სიმონსაც უნდა სცოდნოდა. რომელთაც გაერთიანებული საქართველოს შინაარსის მნიშვნელობა მეტად ესმოდათ, სიმონ მეფემაც მათთან გააბა ურთიერთობა. ესენი იყვნენ: წერეთლები, აბაშიძეები და ჩხეიძეები. დიდებულთა ეს ნაწილი იმერეთის სამეფოს ქართლის სამეფოსთან შემოერთების მომხრე აღმოჩნდა. „ოფშკვითის ომის“ დაწყებამდე წინარე მოვლენებში სიმონ მეფის მომხრე ამ დიდებულებმა პოზიცია შეიცვალეს. რა იყო მიზეზი? რა მოხდა? ჯერ ღირსება დაინახეს სიმონ მეფეში, როგორც საქართველოზე მზრუნველისა, ამ საფუძველზე მისი აზრის გამოხატვებიანი გახდნენ, მერე პოზიციას იცვლიან. დავით აღმაშენებელი ქართული ცნობიერებისაგან შეფასებულია როგორც უმაღლესი ნიშანი, ქვეყანაზე დიდი ამაგის დადებისა. იგივე დავით აღმაშენებელი ხომ იყო მკაცრი, ქვეყნისათვის მზრუნველი ხალხის საქვეყნო საქმისთვის შერჩევაში, მისი სიმტკიცე სამართლიანად აწონასწორებდა ქვეყნის ბედს, ქვეყნის თვითყოფადობის შენარჩუნებისათვის უპირატესობას აძლევდა დაბალი ფენების წარმომადგენლებს. დიდებულთა ნაწილმა ამას მიაქცია ყურადღება, რომ სიმონ მეფეც მკაცრი იყო და სამართლიანი, ტანჯული, როგორც ალამუთის ციხეში ცხრა წელი მყოფი, მარტოსული, საქართველოს მტრების წინააღმდეგ მარტო მდგომი. დიდებულებს შეეშინდათ ან შეაშინეს, იმერეთის სამეფოს ქართლთან შეერთებაში თავიანთი ავტონომიური უფლებები შეეზღუდებოდათ. პირადული ინტერესებიდან განსაზღვრეს ყოველი მომავალი და შეჩვეული მდგომარეობა ამჯობინეს მომავალ შეუჩვეველ მდგომარეობას. მათი საქციელი სწორი იქნებოდა მაშინ, რახან სიმონ მეფეს განუდგნენ, როსტომ მეფის მხარეზე არ უნდა გადასულიყვნენ. ნეიტრალური პოზიცია უნდა დაეკავებინათ და დაზავების გზა მოეძებნათ, ამას თუ მიაღწევდნენ, შეიძლება, „ოფშკვითის ომი“ არც მომხდარიყო. „ოფშკვითის ომი“ შემდგომში 1626 წლის „ბაზალეთის ომის“ წინა პირობის მსგავსია, იგივე მდგომარეობა განვითარდა, ორივეგან დიდებულთა ნაწილმა უარყოფითი როლი შეასრულა, თავიანთი სათავადო უფლება-მოხილების შეზღუდვისა შეეშინდათ, პირადული ინტერესებიდან გამოვიდნენ და ის მხარე არჩიეს რომელი მხარეც მათ ინტერესებს დაცავდა. „ოფშკვითის ომში“ სიმონ მეფის მომხრე დიდებულები მოწინააღმდეგე მხარეს რომ არ გადასულიყვნენ, იმერეთის სამეფო ქართლის სამეფოს შეუერთდებოდა. საქართველოს გაერთიანება მტკიცე ნებისყოფის მქონე მეფეების დროს მომხდარა, ასეთი მოვლენები ქართველი მკითხველისათვის ცნობილია. სიმონ მეფეც ხომ მტკიცე ნებისყოფის მქონე იყო, თან ბაგრატიონი, ომებში გამოცდილი და მრავალჭირნახული. რა მოხდა გოფანთოს ბრძოლის შემდეგ? მან ხომ გამოაცხადა იმერეთის სამეფო ქართლის სამეფოსთან შეერთებულად. რატომ ვერ შესრულდა ქართველი ერი-

სათვის მუდამ საოცნებო მისია? რატომ ვერ გაერთიანდა საქართველო? ჩვენი ვარაუდით, მიზეზები ისევ სიმონ მეფის ხასიათებშია საძიებელი.

სიმონ მეფეს ყიზილბაშებთან და ოსმალებთან გამართულ ომებში რიცხვობრივად თანარაოდენობრივი ჯარი არასოდეს არ ჰყოლია. იბრძოდა მცირე ქართული რაზმებით, ეძებდა საომარ სტრატეგიულ ხერხებს და ხშირად გამარჯვებასაც აღწევდა. „ოფშკვითის ომში“ დიდებულთა ნაწილი, მართალია, განუდგა თავიანთი მეომრებით და მოპირისპირეთა მხარეზე გადავიდა. (ამით სიმონ მეფის საომარი რესურსი შემცირდა), მაგრამ მას ქვეყნის მტრებთან ომებში გამოცდილება ხომ დიდი ჰქონდა. ბევრად მეტი, ვიდრე როსტომ მეფეს, მანუჩარ დადიანს და სხვა დიდებულებს. საქმეც ამაშია, ნიადაგი არ იყო საამისოდ მომზადებული, რომ ამერ-იმერი გაერთიანებულიყო. მთელ საქართველოში არსებული მოვლენები საამისო პირობას არ იძლეოდა. ქართლის მოსახლეობა ოსმალების განსადევნად სისხლს ღვრიდა, მარტო იბრძოდა. სიმონ მეფემ ერთი პირობა მოახერხა და იმერეთის სამეფო ქართლის სამეფოსთან შეერთებულად გამოაცხადა.

ამ დროს მაცნე ცნობას მოიტანს, რომ ოსმალები გორის დასალაშქრად მოემართებიანო. სიმონ მეფე ტოვებს იმერეთს და გორისაკენ მიეშურება. ეს მოტივი კი იმას გვეუბნება, რომ იმერეთის სამეფოს ქართლთან შემოერთება დაჩქარებითი მოვლენებით მოხდა. დაჩქარებით ვამბობთ იმის გამოც, რომ ოსმალეთი ბოლომდე არ იყო საქართველოდან ფეხ-ამოკვეთილი და მათთან შესვენებელი ბრძოლები ქართლსაც ასუსტებდა.

სიმონ მეფის მთავარი ამოცანა საქართველოს გაერთიანების მისიაში, თავდაპირველად იყო ქართლის მოსახლეობის საომარ ძალას, ჯარების რესურსის სახით, მაშველი მიმატებოდა. ყველაზე გულდასაწყვეტი უფრო ის იყო, რომ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს დიდებულთა ნაწილი, ქართლში შემოსულ მტერს მთლიან საქართველოს მტრად არ აღიქვამდა. „ოფშკვითის ომი“ და შემდგომში მომხდარი „ბაზალეთის ომი“ მრავალი კუთხით დასანახი თანამსგავსი ომებია. სიმონ მეფის მიმტვევებლურმა ბუნებამ თანამომკვეების წინაშე სასიკვდილოდ გასამეტბელი ხმალი ვერ აადმართვინა. ამ ომში მისგან დამთმობის პოზიცია უფრო ჩანს.

მართალია, იგი მკაცრი იყო, მაგრამ მისი სიმკაცრე ერთი შეხედვით ჩანდა. ისე მისი სიმკაცრის უკან ღმობიერი, დამნდობი გული ფეთქავდა. მის მრავალ ჭირნახულ ფსიქოლოგიას, ვაებაგამოვლილი თავის სამშობლო უყვარდა და მისი კეთილდღეობისათვის თავს და თავის ხალხს არ ზოგავდა. მუხლს მოსვენებას არ აძლევდა. ოღონდ თავისი ქვეყანა მტერთაგან დაეხსნა, ყველანაირ რისკზე მიდიოდა. ამიტომაც ხალხის თვალში დიდი პატრიოტული და მაღალი სულის ადამიანად დგას. ქართველი ერისაგან შეფასებულია როგორც დიდი მეფე სიმონ I.

მაგრამ საქართველოს გაერთიანებისათვის უფრო ზემადალი ძალა და ზოგჯერ ცივი გონებაც ყოფილა საჭირო.

სიმონ მეფეს საქართველოს მტრებთან ომი და მათი დამარცხება არ უჭირდა, მაგრამ საქართველოს გაერთიანების ცდისთვის თანამომკვეებთან გამართულ ომში დამარცხდა.

ანალოგიური ვითარება შემდგომში სააკაძესთანაც შეიქმნა, ისიც ჯერ ოსმალებს ამარცხებს, შემდეგ ყიზილბაშებს, და, აჰა, სადაცაა, რომ ამოისუნთქოს ქვეყანამ, ისევ შაჰ-აბასის გონებამ გააკეთა ის, რომ, რადგან ვერ შეასრულა ქართლის მოსახლეობის აყრა და ირანში გადასახლება, შეისრულა არანაკლებად ვერაგი მისია – თეიმურაზ I და დიდებულთა ნაწილი დაუპირისპირა სააკაძეს და ეს დაუმარცხებელი სარდალი თავის თანამომკვეებთან დამარცხდა.

გაგრძელება იქნება.



სიმონ ზაქარაია

„საქართველოს ეკლესიის ღაზი პირველმოწამენი“ - ს შმსახე

წიგნის „გზა უფლისაჲსაჲს“ (და სხვა) დაწერა დამთავრებული მქონდა და განსახილველად გადაცემული ცაიშის ეკლესიის მოძღვარ, დეკანოზ ზაბულონისათვის (ქობალია), რომელმაც ღვთის წყალობით მთლიანად მოიწონა და ნება დამართო იგი დამებეჭდა. ამასთან ერთად მამამო მჩვენა მცირე მოცულობის ბროშურა (20 გვ.) სახელწოდებით „საქართველოს ეკლესიის ღაზი პირველმოწამენი“, რომლის გაცნობის შემდეგ, აღფრთოვანებულმა ვთხოვე მას წიგნში ჩამერთო წყაროს მოკლე შინაარსი, რომელიც ზოგიერთი მკითხველისათვის საინტერესო უნდა იქნეს... აღნიშნული ბროშურა ბერძნულიდან თარგმნა თორნიკე კიკელიშვილმა, მისი გამოცემა ნებადართულია სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ფონდის მმართველი საბჭოს წევრის გიორგი ანდრიაძის მიერ.

ბროშურის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: „საქართველოს ეკლესიის ღაზი პირველმოწამენი“ (ეს სახელწოდება ქართული გამოცემისათვის) ანუ „პონტოელი წმინდანები“ (ეს კი თარგმანი ბერძნულიდან), წარმოადგენს მცდელობას, აღადგინოს და მკითხველს გააცნოს ისტორიულ ფაქტზე დაყრდნობილი „სვინაქსარი“, ანუ „წმინდანთა ცხოვრება“ პირველი საუკუნიდან მეოცემდე. როგორც აღნიშნული ნაშრომებიდან ჩანს (ლაპარაკია ბერძნულ დედანზე, ს.ჩ.), ბერძნულად მიჩნეული პონტოელი წმინდანები - მაქსიმე, თეოდოტე, ისიქიოსი და მათი უმცროსი 16 წლისა და ასაკობილოდტე ქართველები არიან. გთავაზობთ მნიშვნელოვან ეპიზოდებს მათ მიერ განვლილი წამებულები ცხოვრებიდან.

საინტერესოა თარგმანის დასაწყისი: „სამეგრელო არის პონტოს ქვეყანა, რომელიც პონტოსა და კავკასიონს შორის მდებარეობს და კოლხეთი, ანუ ღაზიკა ჰქვია. სამეგრელოს მდინარი რიონი გადაკვეთს, სწორედ მისი სანაპიროებიდან გაიტაცა იასონმა „ოქროს ვერძი“, არგონავტების დახმარებით, რომლის შესახებაც ანტიკური სამყაროს მრავალმა ისტორიკოსმა და ფილოსოფოსმა მოგვითხრო... პონტოელი მონაზონი მაგდალინა მოგვითხრობს: ქრისტეშობიდან 34-ე წელს ანდრია პირველწოდებული თავის მოწაფეებთან - ეპისკოპოს სანტეოსთან და მღვდელმოწამე სეკუნდოსთან ერთად სამეგრელოში ჩავიდა, რათა კერპთაყვანისმცემელი ღაზებისათვის ქრისტიანობა ექადაგა და შეცდომილნი ქრისტეს ნათელს ეზიარებინა“ რადგანაც ანდრია საქართველოში ღვთისმშობლის მიერ იყო გამოგზავნილი - „... შენ წარხვიდე და წარსუენო სახე ჩემი და სახიერისა ძიძი ჩემისა ქუეყანასა, ჩემდა წილხდომილსა, რათა მე ვიყო განმგებელ ცხოვრების მათისა, ხელი აღუპყრა და შევეწიო მათ, და არავინ მტერთაგანი მძლე ექნას მათ,“ დიდი სიხარულით ქადაგებისა და ნათლობის შემდეგ ანდრია პირველწოდებულმა პონტოს სამეგრელოში დააფუძნა ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი და ეპისკოპოსი და მღვდლები ხელდასხმით აკურთხეს.

ანდრეას მოღვაწეობამ კეთილი ნაყოფი გამოიღო, ეკლესიები ძლიერდებოდა, მოსახლეობამ ქრისტეს რჯული გაითავისა და მისი ერთგული გახდა. როგორც ჩანს, პირველი საუკუნის 40-იანი წლებამდე ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელება შედარებით არ იდევნებოდა, ამდენად ანდრია შვიდი წლის შემდეგ, ქრისტეშობიდან 41 წელს ისევ ჩადის სამეგრელოში, რათა სულიერად კიდევ უფრო ააღორძინოს და სიხარული და მშვიდობა მოუტანოს პირველი ქრისტიანული ეკლესიის მორწმუნეებს. ამ პერიოდისათვის მოსახლეობაში იყვნენ ქრისტიანული სარწმუნოების უანგარო თავყანისმცემლები.

... მაგრამ მთელს იმპერიის ტერიტორიაზე იწყება სასტიკი დევნა სარწმუნოებისა, რომლის განმკარგავი და ინიციატორი - იმპერატორი კალიგულა იყო (37-41). მისი ბრძანებით, იმპერიის მთელ ტერიტორიაზე ქრისტიანობა უნდა „გაენადგურებინათ და ამოეძირკვათ“. პონტოს სამეგრელოში ქრისტიანობის დევნას ხელმძღვანელობდა ოლქის რწმუნებული ნომარქოსი, რომლის ხელქვეითი შემსრულებლები იყვნენ ტოპარქოსი და ეპარქოსი. ქალაქებში და სოფლებში მოსახლეობას, ქრისტეშობიდან 41-ე წლის 10 თებერვლიდან ეზოებში უნდა დაეღვათ ღმერთებისა და ქალღმერთების კერპები, ვინც ადმინისტრაციის ამ დავალებებს არ შეასრულებდა და წინააღმდეგობას გაუწევდა ისინი „შუაზე უნდა გაეხლიჩათ“. მოსახლეობაში დაწესებული იყო სადღეღამისო თვალთვალი, შიკრიკები ყველგან დაძვრებოდნენ. მათ არც სოფლის ეპარქოსები ჩამორჩებოდა, განსაკუთრებით ღამის საათებში იპარებოდნენ ეზოებში და გარედან უსმენდნენ მაცხოვრებელთა საუბრებს, მათ საქმიანობას. სწორედ, ეპარქოსის აპამოსმა ღამით ერთ-ერთი სახლის მიყურადებისას, ჭუჭრუტანიდან შეამჩნია, რომ ოთახში ჭრახის გარშემო მუხლებმოყრილი ოთხი ახალგაზრდა

სამი ვაჟი და ერთი ქალი, „გულზე ხელგადაჯვარებული ლოცულობდნენ.“ მან დანამდვილებით გაიგო, რომ ისინი ქრისტეზე ლოცულობდნენ. აპამოსი ცნობისმოყვარეობამ კიდევ უფრო შეიპყრო და მადლა, ფანჯარაზე აძრომა დააპირა. სახლის კედელი თლილი ქვებით ყოფილა აშენებული და ხელებით ჩაბლაუჭებისას, სიმძიმეს ვერ გაუძლო და კედლის ნაწილი მთლიანად ჩამოინგრა, აპამოსიც ნანგრევებში მოჰყვა. უცნაური ხმაურის გაგონებისას, ახალგაზრდები ჭრაქით ხელში გარეთ გამოცვივდნენ, იხილეს კედელი ჩამონგრეული და შიგ მოყოლილი დასისხლიანებული უცნობი კაცი. ახალგაზრდებმა სტაცეს ხელი უგონო კაცს და შიგნით შეიყვანეს, გრძელ სკამზე დააწვინეს, პირისახეზე სისხლი და ტალახი მოუწმინდეს. გულწასული კაციც გონზე მოვიდა, შემდეგ ცხელი რძე დააღვინეს და ალაპარაკდა კიდევ. ახალგაზრდების გულთბილ მოქცევასთან ერთად, აპამოსი ქალწულის სილამაზემაც მოაჯადოვა, რაღაც წამებში ფიქრებში ჩაეფლო, იმპერატორ კალიგულას ეპარქოსს, „ქრისტიანთა დაუძინებელ მტერს“, უცებ ქრისტიანი ქალწული შეუყვარდა და მის გარეშე ხვალისდელი დღე აღარ წარმოედგინა. ოღონდ გოგონას სამუდამოდ დაპატრონებოდა და მზად იყო იმავე საღამოს სპარსეთში ან ინდოეთში გაპარულიყვნენ. მათ სახელები გამოკითხა - მაქსიმე, თეოდორე, ისიქიოსი და დას ასული პიოდორე, ასევე ჰკითხა მშობლების ვინაობაც და პასუხმაც გააოცა: ჩვენი მშობლები, რომის იმპერატორის, კალიგულას ბრძანებით ოთხი წლის წინათ, „ქრისტიანობის გამო, სამეგრელოს გამგებლის მეშვეობით მდინარე რიონში დაახრჩვეს“-ო, - იყო პასუხი. აპამოსი დროდადრო ცუდად ხდებოდა, მაგრამ ახალგაზრდების უფროსი ძმა მაქსიმე ექიმი იყო და ტრავმირებულ ჯალათს, იმ წუთებში ქრისტეს რჯულზე მოფიქრალს, დროულ დახმარებას არ აკლებდნენ. თან ქალწულს აპამოსი თვალს არ აშორებდა. მიუხედავად იმისა, რომ მან უკვე იცოდა ისინი მტკიცე ქრისტიანები იყვნენ და ესეც მათი მშობლებიდან იყო ნაწყალობევი, რომლებიც ასევე ქრისტიანობისათვის იყვნენ ნაწამები, ცალსახად გადაწყვიტა ქალწულის ასკლიპიოდორეს ცოლად შერთვა. უფრო მეტიც, აპამოსმა ქალწულის ძმებს მოთხოვა იგი მოენათლათ. მართლაც მაქსიმემ აპამოსი მალულად ეპისკოპოსთან წაიყვანა და მოანათვლინა, როცა ისინი დაბრუნდნენ, ქალწული მხნელ ლოცულობდა, აპამოსის გადაწყვეტილების ფაქტის შესახებ თქვა: „კურთხეულ არს ღმერთი ჩვენი, რომ მოწამეობის გვირგვინს გვარგუნებს“, ძმებსაც ძალიან უხაროდათ, ამ ცოტა ხნის წინ ეპარქოსი ქრისტეს მოძულე და მტერი, მათი მიმდევარი გახდა.

ქრისტეშობიდან 41-ე წლის 19 თებერვალს ქალაქის ტოპარქოსი და ათასისთავი აპამოსთან მოვიდნენ, ქალაქის 300-მდე წარჩინებული მოიყვანეს და დაანახეს, ის და-ძმები, რომლებიც მიუხედავად ყოველგვარი დაპირებებისა, მტკიცედ იდგნენ ქრისტეს რჯულზე და მზად იყვნენ ეკლიანი გვირგვინის დასადგმელად. ყველაზე უფრო აცვიფრებდა კალიგულას ერთგულების ის ფაქტი, რომ წარმართი 28 წლის აპამოსი თვითონ იცავდა ქრისტიანებს და თვითონაც ქრისტეს რჯულზე მოქცეული იყო, მან ასე მიმართა ხალხს: „ქრისტიანობა არის ჭეშმარიტება, ირწმუნეთ ქრისტე, რომელიც ცოდვებს მოგიტევებთ, მეც უღირსი ქრისტიანთაგანი ვარ, შემოიპყართ მეც“. თქვა ბოლოს აპამოსმა. და-ძმების თავის მოსაკვეთად, ქალაქის ნომარქოსმა ათასისთავს მახვილი ააღებინა და უბრძანა განკარგულება შეესრულებინა. მაგრამ ამ დროს ხდება სასწაული, ზეციდან ცეცხლი გადმოეშვება და ათასისთავს ხელები გაუშემდება. ამის შემყურე ნომარქოსმა ძმებს დაუყვირა - ჯადოქრებო! მოარჩინეთ ათასისთავი თქვენი ქრისტეს ძალით! მართლაც მაქსიმემ ხელი აღაპყრო და ილოცა: „ღმერთო განკურნე ათასისთავი და მისი სული საუკუნო სასუფეველში დაამკვიდრე“ მაქსიმეს ლოცვების შემდეგ ათასისთავს ხელები დაემორჩილა, ამის შემდეგ ნომარქოსი შეძრწუნებული დრიალით მოუწოდებს ბრძანება შეასრულოს - ჯალათიც არ აყოვნებს და ქრისტესთვის თავგანწირულ და-ძმებს თავებს წააჭრიან. რაც შეეხება აპამოსს, იგი როგორც რომის მოქალაქე, რომში ბორკილებდადებული წაიყვანეს და კალიგულას ბრძანებით 13 აპრილს სიკვდილით დასაჯეს, რომელსაც ასევე ერგო მოწამეობის გვირგვინი.

ბროშურის ბოლოს ვკითხულობთ: „სამეგრელოს მკვიდრი მოწამენი - მაქსიმე, ისიქიოსი, თეოდორე და მათი უმცროსი 16 წლის ასული პროდორე ქრისტეს სახელით იქმნენ შეწირულნი, რომელთა სისხლმა კურთხეული პონტოს ქვეყანა განწმინდა, მათი წმინდა ნაწილები სასწაულებს ადასრულებენ და მათი წმინდა სულები იქმნა წინდი ჩვენი უკვდავებისა.“

უდაოდ უძვირფასესი და უმნიშვნელოვანესი ისტორიული წყარო შემოუნახავთ ბერძენ მატრიანებს.

ხელოვნება

ქეთი თუთბერიძე

ქართული ხელოვნების სამსახურში

საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტთან არსებული ქართული ხალხური ცეკვისა და ფოლკლორული სიმღერის ანსამბლი „SEU“ შეიქმნა 2011 წლის აპრილში. იგი ჩამოაყალიბა — უნივერსიტეტის რექტორმა ბატონმა გია კავთელიშვილმა. ეს არის ერთადერთი საუნივერსიტეტო ანსამბლი სადაც მოცეკვავეები და მსახიობები ანაზღაურებას იღებენ.

ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი ქორეოგრაფია ზაალ ჭუმბურიძე ხოლო პროდიუსერი --ოთარ ჭუმბურიძე. მუსიკალური ხელმძღვანელი --ემზარ შარვაშიძე. ქორეოგრაფი-- კახა დგებუაძე. ანსამბლის შესაქმნელად გამოცხადდა კასტინგი და ანსამბლი დაკომპლექტდა სეუს სტუდენტებით, სეუს კურსდამთავრებულებით, გარდა ამისა ანსამბლში არიან მონვეული პროფესიონალი მოცეკვავეები და მუსიკოსები.

დაარსებიდან რვა თვის თავზე ანსამბლმა ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გამართა სოლო კონცერტი სადაც წარმოდგენილი იყო ყველა კუთხის ცეკვები. სადებიუტო კონცერტმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა მან სრული ანშლაგით ჩაიარა. ძალიან რთულია რვა თვეში შექმნა პროგრამა დახვეწილი დაასუფთაო და ისე მიიტანო მაყურებლამდე რომ მასში აღტაცება გამოიწვიო. სირთულის მიუხედავად ანსამბლმა ეს შეძლო. მას შემდეგ „SEU“-მ კიდევ უფრო გაამდიდრა თავისი რეპერტუარი და მუდამ სიახლეების ძიებაშია. სეუს აქვს გასვლები სხვადასხვა რეგიონებსა და ქალაქებში ჰქონდათ კონცერტები რაბათის ციხეში. მიწვეულები იყვნენ ფესტივალზე ანკარაში. ჰქონდათ ერთთვისანი გასტროლი თურქეთის ტერიტორიაზე ხმელთაშუა ზღვიდან შავ ზღვამდე. 2014 წლიდან „SEU“ ემზადება სხვადასხვა ტურნეებისათვის. „SEU“-ს ანსამბლით ბევრი პროდიუსერი დაინტერესდა და იღებს ბევრ შემოთავაზებებს.

2013 წლის 19 დეკემბერს კი ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა „SEU“-ს სოლო კონცერტი, რომელმაც ანშლაგით ჩაიარა. ეს გახლდათ შოუ სახელწოდებით „99 წუთი საქართველოში“ ეს იმას ნიშნავს რომ 99 წუთის განმავლობაში მაყურებელი ეზიარა ქართულ და კავკასიურ ფოლკლორს რეგიონების და მიხედვით. აქვე უნდა აღინიშნოს რომ განათებას და გახმოვანებას აწარმოებდნენ ფრანგი კოლეგები, რომლებიც ანსამბლ „SEU“-ს გასტროლებზეც კი თან დაჰყვებიან. ასევე იგეგმება დოკუმენტური ფილმის გადაღება ანსამბლ „SEU“-ზე. გარდა ამისა ანსამბლს ჰყავს თავისი ბენდი და შესანიშნავი ლოტბარი ნუგზარ კურცხალია.

ანსამბლში სუფევს ძალიან თბილი და მეგობრული ატმოსფერო. ეს ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელის ბატონ ზაალ ჭუმბურიძის დამსახურებაა. სწორედ მისი ანსამბლისადმი დიდი სიყვარულის გამოა რომ ეს კოლექტივი ერთი დიდი ოჯახივითაა.

მადლობა ბატონ ზაალს იმისათვის რომ იგი ხელს უწყობს ქართველ ახალგაზრდებში ქართული გენისა და ტრადიციების აღორძინებას. ასევე დიდი მადლობა „სეუ“-ს რექტორს ბატონ გია კავთელიშვილს, რომელიც ძალისხმევას არ იშურებს და ყველაფერს აკეთებს რომ ქართულმა ხელოვნებამ საქართველოში მაღალ დონეზე იარსებოს. ჩვენ კი ისლა დაგვრჩენია გზა დავულოცოთ ანსამბლ „SEU“-ს, ვუსურვოთ მორიგი წარმატებები ქართული ხელოვნების სამსახურში.

„SEU“-ს ანსამბლი





ციური ხეთერელი

„გალაკტიონი და კოსმოსი“

გალაკტიონის თემაზე შექმნილი რიგით მესამე პერსონალური გამოფენაა, რომელიც ცნობილმა ფერმწერმა და ესეისტმა, დავით აღმაშენებლის, ვაჟა-ფშაველასა და გალაკტიონ ტაბიძის პრემიების ლაურეატმა ემელიანე (რეზო) ადამიამ პოეტის დაბადების დღეს მიუძღვნა.



ამჯერად თბილისელებს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ უმასპინძლა. ალბათ, ყველა დამეთანხმება, რომ უჩვეულო გამოფენას კიდევ უფრო მეტ შინაარსსა და მიმზიდველობას სძენს იმუამინდელი სოფლის ეთნოგრაფიული სურათის წარმოჩენა, რასაც საგულდაგულოდ ცდილობს ფერმწერი და უცთომელი თვალით სათანადო შედეგსაც აღწევს: „ძველებური ბედელი“ (სასიმინდე), „ძველისძველი ჯარგვალი გალაკტიონის ფონზე“, „ოდა თეთრი მთის ფონზე“, „მზის ჩასვლა ფიცრულ სახლთან“, „მზის ამოსვლა ბორცვზე შემდგარ ძველებურ სახლთან“, „მზის ჩასვლა ძველებურ ქოხებთან“.

ექსპოზიციის სივრცეში კურსივივით იკითხება ამომავალი და ჩამავალი მზით, მთვარის შუქით განათებული გალაკტიონის პატარა რიკულებიანი სახლის მიდამო. აქ ყველაფერი მხოლოდ პოეტის სახლ-მუზეუმს უკავშირდება – მთვარეც, ვარსკვლავებიც, მზეც და უხვად დათოვლილი ორდობეც:

„ზამთარი ჭყვიშში, მე გალას ველოდები“, დედის მოლოდინით იწყება პოეტის ფერწერული ცხოვრება. „ვერცხლად აციმციმდა მთვარე გალაკტიონის სახლთან“, „ღამე“. მგოსნის – გალაკტიონის ეზოში მთვარემ და ვარსკვლავებმა გამოისეირნეს“, „გალაკტიონის სახლ-მუზეუმი. თოვლი – ღამე, გამჭვირვალე მთვარე და სული მგოსნისა“, „ჩვენთან მძიმე ზამთარია. ჩამოდი, გალა. დედის ძახილი“. გულზე ხელებმიჭდობილი დედა შვილს უხმობს. ნახატზე წუხს შვილს მონატრებული დედის გაუსაძლისი მოლოდინი და სიჩუმე.

სურათებზე მომეტებული თოვლი და მზის ჩასვლის ვარიაციები სევდიან შთაბეჭდილებას ჰქმნის. მხატვრის ფუნჯის მოძრაობას და ფერწერულ გამათა მოწყენილობას მგოსნის ნატკივარი ფიქრები აედევნება: „ზამთრის დღეები მოდის მწარე ეგზერსისებად... მოდის სიცივე და თარეში სულის ბორბის, დიდი სიცივე, კოსმიური სიცივე მოდის...“ „დიდია მეტად, დიდია მეტად დეღვათა ზვავი, იგი ცხოვრებას დაადგა სვეტად მკაცრი და ავი...“

ნახატს უსახური, მუქი ლაქები ადევს. უსახურობა თითქოს ფიგურას ფარავს თავისი სიბნელით. ფიგურები უამურად და უაზროდ, შენელებული დინამიურობით „მოძრაობენ“ და კარგს არას მოასწავებენ. ნამუშევარი თავადვე გკარნახობს, რომ ისინი ავი სულები არიან. სურათს ფერმწერის ასეთი მინაწერი ახლავს: „ხშირად მგოსანს გალაკტიონს უცნაური და უცხო ფორმის დემონი სტუმრობდა“. ამგვარი სტუმრობა კი რაოდენი იყო... აი, თუნდაც ასეთი: „არ მეძინება. თვალბორბოტი და აბეზარი მღრღნის მწუხარება, ძლიერია სულში ანთება, დუმილი ბნელი დამზუზუნებს როგორც მეზარე, წარსულისაგან მე ნაცნობი ხმა მეღანდება. ...აქ ვიქნები განთიადამდე შენი დემონი და სტუმარი გაუბედარი. ახალგაზრდობა გაგიმწარე მძიმე შხამებით, შენ საიდუმლო ჩემს გარეშე რა დაგრჩენია? სული აგივსე ბურუსებით და შეღამებით, მტრებს მორჩილებით მივაკუთვნე შენი გენია“.

„მე ყოველთვის მაოცებდა გალაკტიონის ლექსი – მისი ფორმაც, წყობა, მასში მოქცეული განწყობა და განსაკუთრებით ის შორეული მუსიკა, რომელიც მის პოეზიას უბრალოდ კი არ ახლდა, არამედ პოეტის დიდი ჩანაფიქრიც იყო“. სწორედაც, ნიშანდობლივია, რომ მგოსნის ლექსებიდან უმეტესად დაბალი ხმის საკრავები ხმიანობენ – ფაგოტი, ვიოლონჩელი... „კენესის ვოლტორნი, სადღაც სტირის ვიოლონჩელი...“ „ფაგოტების მაგიუებდა გოდება“.

„მისი და ჩემი აივნის ფანჯრები 25 წლის მანძილზე გვერდიდან შეჰყურებდნენ ერთმანეთს – განაგრძობს მოგონებას მწერალი ქალი მარიამ გარიყული, – ხანდახან გადავიხედავდი გალაკტიონის მხარეს და იქ ჩასადგურებულ იდუმალებისაგან შიშის ქროლვა დამივლიდა... ჩემს წარმოდგენაში მის ბინას საუკუნეებით მიტოვებული ციხე-კოშკის ელფერი ჰქონდა გადაკრული...“ მაგრამ განა ვინ უწყოდა, რომ გალაკტიონი არა ამ ფანჯრების ახლოს, სულ სხვა განზომილებაში არსებობდა, აზროვნებდა, ქმნიდა და მოქმედებდა.

...და რამდენი წელი დასჭირდა ამ უცნაური „თეორიების ამოხსნას“, ურომლისოდაც აუხსნელი დარჩებოდა გენიოსი პოეტის შეუცნობი პროფილი.

სრულიად გაიშალა რადიუსი და ნათლად გამოჩნდა: „გალაკტიონი და კოსმოსი“, „სამყაროს სახე და გალაკტიონი“, „აბსტრაქტული მოტივი და გეომეტრიულ ფორმათა ხილვები კოსმოსში“, „სამყარო პირამიდა, გალაკტიონის მხერა და იდუმალება“. ეს სრულიად ახალი და ახლებური სააზროვნო არეალია გალაკტიონ ტაბიძის განსაკუთრებული ფენომენის ამოსაცნობად და სწორედ ამის შემოქმედია გამორჩეული ხელწერისა და აზროვნების ფერმწერი და ესეისტი ბატონი ემელიანე (რეზო) ადამია.

პირველი გამოფენა, რომელიც გალაკტიონ ტაბიძეს მიეძღვნა, გაიმართა 2012 წლის 22 ნოემბერს („ვერნისაუში“), „პლანეტარიუმის“ სახელწოდებით, მეორე – 2013 წლის 15 ივნისს, – გალაკტიონ ტაბიძის სახლ-მუზეუმში. გამოფენის სახელწოდება ფრიად ორიგინალური და უცხო იყო: „კოსმიურ მუზათა ქარიშხალია გალაკტიონში“.

– პლანეტარიუმის თემა ახალგაზრდობიდანვე მაწუხებს. ეს, არ არის ახალი თემა. 1987 წლიდან განსაკუთრებით ინტენსიურად ვმუშაობ ამ თემაზე. სხვათა შორის, მზის სისტემა გავაკეთე. უცხოეთში დაიბეჭდა. შემდეგ მუშაობა დავიწყე გრანელზე. გრაფიკაზე ვმუშაობდი“. მინდა აქ ბატონი რეზოს ბრწყინვალე ესეიდან „ტერენტი გრანელი სისხლიდან ცრემლი“, რამდენიმე გრაფიკული ნამუშევარი შევახსენო მკითხველს, შექმნილი ტერენტის ლექსთა სტრიქონებზე: „წუხს როიალი, მე რაღაც მტკივა“, „რა ვქნა, გამეფდა სულში ჩრდილები“, „სევდის ქვეშ იწვის ადამიანი“, „ისევ მაღალ ცას ვეთაყვანები...“

– სამი წელია დავიწყე გალაკტიონი /ყველაზე დიდი კოსმიური სივრცე შეიძლება ეწერო გალაკტიონიდან/. პარალელურად ვქმნიდი ჭყვიშის მოტივებს – თოვლის, მზის პეიზაჟებს. აქვეა სოფლის იდილიური სურათებიც, რაც მთავარია, ამ თემის პეიზაჟებს აქვს ეთნოგრაფიული გააზრებაც“.

„ჩემი თვალები ტავერნაა ნამაისარი, სადაც მოკლული დაკიდულა სიასამური“ – წერს გალაკტიონი და თითქოს ამ სტრიქონების გაგრძელებაა ფერმწერის ერთ-ერთი შესანიშნავი ნამუშევარი „ამღვრეული განწყობილება“ – ნახატის სივრცეს ავსებს სიბრტყეზე ასიმეტრიულად განფენილი მღვრიე, მონისლული ფერები. „ვხატო სული“ ესაა ჩემი სწრაფვა, – ამბობს მხატვარი და ეს ნათქვამი ბრწყინვალედ სახიერდება მის შესანიშნავ ქმნილებებში: „მგოსნის სული და მუზა, კოსმოსიდან ღრუბლებად მოედინებოდა“, „გალაკტიონი, ელვად ქცეული სული“, გალაკტიონის ლექსთ კივილი კოსმოსს მისწვდა...“

მზე, მთვარე, თოვლი – ამ მოტივებს არაერთხელ მიუბრუნდება ხელოვანი. „თანაბრად მწვავდა პოეტურ შუქით ორგია მზის და მაგია მთვარის“, – ბრძანებს მგოსანი გალაკტიონი და ფერმწერიც მორჩილად უსმენს ბრძენკაცს, – მხატვრის თვალთ და შეგრძნებით, მისეულად აღქმულ „მერვე ფერის სიღურჯეში მოცურავე პოეტს“. თითქმის თანაბარი ოდენობით ჰქმნის მზისა და მთვარის მოტივებს. მაგრამ, ალბათ, დამთვალეირებელიც უთუოდ შეამჩნევდა, რომ შემოქმედს უფრო მზის ჩასვლის ჟამი იზიდავს, საგამოფენო დარბაზსაც თითქოს მზის წითლად დაღვრილი ტბორი გადაუვლის და მოხშირებულ სიწითლეს ნახატზე თანდათან ფრთხილად მოეგებება სადამოს ნისლი, ღრმა ჭრილობასავით რომ ედება სულს.

„მოვუსმინოთ“, ამ მომენტს როგორ „ახატავს“ თავად გალაკტიონი: „მზის ჩასვლის წამი ავვისტოსა ჰგავს, ჩასვლის მომენტი კი – ენკენისთვეს; ჩამობნელება იანვარს რგავდა, თითქოს დაზამთრდა წარმოდგენისთვის. სწრაფლ ელექტრონის მოვიდა თოვლი, არე აივსო მისი სისოვლით“. ალბათ, მკითხველს გაახსენდება პოეტის შედევრიდან ეს სტრიქონი – „მწუხარე გრძნობა ცივი სისოვლის“ და განმარტებაც საჭირო აღარ იქნება.

მხატვარი მზეს უდიდეს კოსმიურ საოცრებად მიიჩნევს. მზის ჩასვლას „მჩქეფარე სხივების ორკესტრს“ უწოდებს, – „კოსმიური გამოთხოვების დღესასწაულს“. ხან ყველაფრისაგან ანთავისუფლებს ამ საოცრებას და, გრიგოლ რობაქიძის სიტყვით, „შუაგულს“ განუმზადებს ჩარჩოში და მოწიწებით დააბრძანებს. შემდეგ განსაკუთრებულ სათაურსაც შეურჩევს თავის ერთ-ერთ ბრწყინვალე ქმნილებას: „მხოლოდ მზე“, და, ვხედავ, როგორი აღტაცებით შესცქერის ნახატს – „შეხედეთ, შეხედეთ, როგორ ბრდღვიალებსო“. და აქვე ვიტყვი, საგამოფენო დარბაზში იშვიათი სიცხადით აღიქმება რეზო ადამიას ფერწერული შემოქმედების ეს საჩინო და გამორჩეული ნაკეთი – „მზისმეტყველებისა“. მას ჭირისუფლის როლიც კი აკისრია. ეს მკაფიოდ შეიცნობა ჩამავალი მზის ტონალობაში, „მზის ჩასვლა“ ორგანულად ერწყმის თეთრად მოსილი მთვარანგელოზის მიერ მგოსნის დატირების სცენას: „მთვარანგელოზიც დაამწუხრა გალაკტიონის უდანაშაულო სისხლმა“:

– რატომ, რატომ დაასწარი, მგოსანო, ზეციურ კანონებს? /ამ შეძრწუნებულ შეკითხვასა და უნაპირო ტკივილში ფერმწერის მგოსანთან შეკამათების წამიც გაივლებს/, და მხატვრის ამ სულისშემძვრელ ფერწერულ ქმნილებას შესატყვისი „ფერწერული კონტექსტი“, სწორედ „მზის ჩასვლა“ დაასრულებს, რომელიც სიმბოლურად ავტორს მთავარანგელოზის გვერდით აქვს განთავსებული.

აღბათ, დამთვალეიერებელი შენიშნავდა, რომ ფერმწერმა სათაყვანებელ პოეტს „დრამატული კუთხე“ მოუწყო, ხოლო ამ კუთხეშივე, მგოსნის დატირების სცენის ქვეშ იატაკზე ჭადრების გამხმარ ფოთლებს წითელი ფერი წინწკლებად გადაადგვარა, როგორც მგოსნის უმანკო სისხლის გამოსატულება, ასეთი მინიშნებით წარმოაჩინა პოეტის ტრაგიკული სიცოცხლის ფინალი და ამ სახით გვითხრა, რომ მგოსნის ეს კოსმიური გარდასახვა მარად შეუშრობელი სისხლი, მარადის გაუნელებელი ტკივილია.



„დრამატულ კუთხეში“ თავმოყრილია მგოსნის ცხოვრების ტრაგედიის ამსახველი სურათები: „1959 წელი. გალაკტიონი და კოსმოსის სივრცე დაიძაბა“. „სამყარო, ტრაგედია და გალაკტიონის წმიდა სისხლი“, „გალაკტიონის სულის, სისხლის და კოსმოსის მთლიანობა“, „ზამთარი. ძაღლებმა და ყორნებმა პირველებმა იგრძნეს გალაკტიონის სიკვდილის მოახლოება“. თითქოს პოეტის წინასწარმეტყველებად აღიქმე-

ბა სტრიქონები მისი ერთ-ერთი საუკეთესო ლექსიდან: „არ მოგვესმოდა სახლიდან მოთქმა, მაგრამ საოცრად ტიროდა სახლი“. შეუძლებელია, ერთხელ მაინც იხილო, რომ ოდესმე დაგავიწყდეს ფერმწერის მიერ იშვიათი მგრძნობელობითა და მწუხარებით აღწერილი მგოსნის მოსალოდნელი ტრაგედიის უაღრესად მგრძნობიარე სურათი, რომლიდანაც უსახდვრო მწუხარება, სასოწარკვეთილებისა და უიმედობის წამლექავე ნიაღვარი გადმოსჩქეფს.

ემელიანე (რეზო) ადამიას გამოფენა „გალაკტიონი და კოსმოსი“, გულთბილად მიიღო თბილისელმა დამთვალეიერებლებმა, ინტელიგენციის წარმომადგენლებმა, სამართლიანადაც მისცეს მაღალი შეფასება, მაღლიერების აღსავსე გრძნობით ბევრი თბილი სიტყვა უთხრეს დიდ შემოქმედს, გალაკტიონის უზადო ტრფიალსა და თავგამოდებულ მოამაგეს.

ნოდარ ტაბიძე:

– ბატონო რეზო, მივცემ თავს ნებას და გავიმეორებ იმას, რაც არაერთგზის მითქვამს და დამიწერია. XX საუკუნის ქართული პოეზიის მერიდიანი ჭკვიშხე გადის. თქვენ ეს დაიჭირეთ და ამიტომაცაა... ასეთი გენიალური თქვენი ნამუშევრები.

პირველი და უმთავრესი ნიშანი ბატონი რეზოს ნამუშევრებისა ეს არის მოვლენათა და პროცესთა ღრმა ფილოსოფიურობა. უფრო მეტიც, ბატონი რეზო პირველი ბრძანდება, რომელმაც გალაკტიონი კოსმოსთან დაკავშირებით წარმოაჩინა. დაუკვირდით სურათს: „გალაკტიონ ტაბიძის მხერა სამყაროდან“ ორიგინალურზე ორიგინალურია... „სამყარო და გალაკტიონის სახე“ ან თუნდაც მეორე ბრწყინვალე ნამუშევარი – „გალაკტიონის ამგვარი გახელებული ემოციებით იწერებოდა მგოსნის „ღურჯა ცხენები“... ისევ კოსმოსი „ხშირად მგოსანს უნცაური და უცხო ფორმის დემონი სტუმრობდა“, და აი ბატონი რეზო ცდილობს ჩასწვდეს ამ საიდუმლოებებს. აღბათ დამთვალეიერებელი გაოცდებოდა უჩვეულო ნახატი „სამყარო“. მიაქციეთ ყურადღება სათაურს – „გალაკტიონი წმინდა სისხლით უკავშირდება სამყაროს“. ის სწორედ იმით არის განუმეორებელი და ერთადერთი, რომ მას თავისებუ-

რად ესმის ზეციდან ზარების რეკვა. მადლობა უნდა ვუთხრათ ბატონ ემელიანეს ასეთი ხედვისა და მოვლენებისათვის. ალბათ, ნებისმიერი, ფერწერასთან ახლოს მყოფი პიროვნება დიდხანს შეჩერდება ტილოსთან – „სამყარო, პირამიდა, გალაკტიონის მხერა და იდუმალება“. შემთხვევითი არ არის, მხერა და იდუმალება რომ კონტექსტშია მოქცეული. ესაა გალაკტიონის პოეზიის უმთავრესი შტრიხი და ეს კარგად შეამჩნია ბატონმა რეზომ.

დასკვნის სახით უნდა მოვიხსენიოთ, რომ გალაკტიონისადმი მიძღვნილი არაერთი სურათით დავმტკბარვარ, არ გამომიტოვებია საქართველოს სახალხო პოეტისადმი მიძღვნილი არც ერთი გამოფენა და შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ასეთი ორიგინალური, როგორც ბატონ ემელიანე ადამიას ნამუშევართა წარმოჩენაა, არც ერთი არ ყოფილა. ჩვენ აუცილებლად უნდა გავუხსვათ ხაზი იმ გარემოებას, რომ მხატვარი ხშირად ესიტყვება და ეკამათება პოეტს. ამ უცნაურ დიალოგში კარგად მქლავდება ფერმწერის მსოფლმხედველობა და ესთეტიკური მისწრაფებანი. ალბათ ეს გამოფენა არა მხოლოდ თბილისელებმა, არამედ სრულიად საქართველომ უნდა გაითავისოს. უფრო მეტიც, ობიექტურობა მოითხოვს ითქვას, რომ ბევრი ტილო ევროპისა და ამერიკის სახელგანთქმულ მუზეუმებს დაამშვენებს. თავს ეხრი ბატონი ემელიანეს ნიჭის წინაშე და ეჭვი არ მეპარება, რომ ყოველ წელიწადს იგი ახალი შედეგებით გაგვანებივრებს.

რა თქმა უნდა, ყველაზე მნიშვნელოვანია ბატონი რეზოს შესრულების ტექნიკა, მსგავსი მანერით შესრულებული ნახატები მე ჯერ არ მინახავს. ალბათ სპეციალისტები დაინტერესდებიან მისი ფერწერის მანერით, ხატვისა და გააზრების ორიგინალობით და შორს არ არის ის დრო, როცა ჩვენ მივიღებთ ბრწინვალე ნაშრომს ამ ბრწინვალე ფერწერაზე.

ბოლოს მინდა დავძინო – ასეთი ფართომასშტაბიანი პერსონალური გამოფენა, მიძღვნილი რომელიმე მგოსნისადმი, მე არ მახსოვს. ბატონი რეზო მეუბნება, ეს სურათები მე გალაკტიონის დიდმა გენიამ და სიყვარულმა შემაქმნეინაო!

აკადემიკოსი ჯუმბერ ლომინაძე:

– აფრთოვანებული ვარ. მახსენდება კ. სტანისლავსკის სიტყვები: არ არსებობს ხელოვნება განცდების გარეშე. სასიამოვნო განცდები, გალაკტიონი და სამყარო, უსასრულო კოსმოსი. არანგულებრივი ფერთა გამა. უაღრესად მომწონს მთვარიანი ღამეები იმერეთში. იმერეთის თოვლი, რამდენი სიყვარული და სითბოა გადმოცემული. ბატონო რეზო, თქვენს ნიჭს, ფანტაზიას, ხელოვნებას გაუმარჯოს!

ვერნერ რუდიგერი, გერმანელი მხატვარი:

– გამოფენას გილოცავთ. ჩემთვის დიდი სიხარული და სიურპრიზია. მე ვიცნობ თქვენს ნამუშევრებს დიდი ხანია. შთაბეჭდილება ფანტასტიკურია და ეფექტურია.

რუსუდან ფეტვიაშვილი.

„– რა საოცარი, მდიდრული, მრავალფეროვანი გამოფენაა! პარიზის ნახატები დაუვიწყარი და ცოცხალია. თითოეულ ადგილს იმ წამს იცნობ და მისვდები, რომელ თვეშია შექმნილი თითოეული ქუჩა და ხედი. დიდი მადლობა ასეთი ღამაში მშვენიერი გამოფენისთვის. დიდი მოწიწებით მახსენდება საფრანგეთის გამოფენა და თქვენი დაუვიწყარი პეიზაჟები, ფრანგები რომ მოხიბლა. დიდი მადლობა. პატივისცემით და სიყვარულით – რუსუდან ფეტვიაშვილი“.

გიორგი მელუა – პოეტი-მხატვარ-მოდერნისტი:

„–ბატონო რეზო! თქვენსავით არავინ ჩასწვდომია ტერენტი გრანელის პოეზიასა და ფერწერას, არავის უგრძნია მისი გარდასახვა უსასრულობაში. თქვენსავით ძალზე ცოტას თუ ჰქონია ბედნიერება ვაჟა-ფშაველას გენიას მოფერებოდა. სხვანაირად – ძლიერ, ძლიერ, ძლიერ გიყვართ გალაკტიონის ყოველი ბჭკალი, თქვენსავით ძალზე ცოტამ თუ იცის, რა ფერი აქვს ყოველივე იმ დიდ ღირებულებებს, რომელსაც თქვენი თვალი და გონება აღიქვამს პარიზის დიდებულ მუზეუმებში...“

– იცით თქვენი შემოქმედების დიდი პატივისცემელი გახლავარ და ამ ბრწინვალე საღამოსთვისაც კიდევ მრავალ-მრავალ მადლობას გეუბნებით!“

ლევან გორგიჯანიძე:

–აღფრთოვანებულნი დავრჩით ამ საოცარი გამოფენით. ღმერთმა მოგცეთ ძალა და ღონე, რათა ყოველთვის ვიხილოთ ეს საიდუმლო ხელოვნება.

ასმათ მაჭავარიანი. ბადრი ცერცვაძე.

–ბატონო რეზო! უდიდესი სიამოვნება მივიღეთ, თქვენი ნახატები სრულ ჰარმონიაშია გალაკტიონის პოეზიასთან და სწორედ მისი საკადრისია! თითოეულ სურათში განწყობა

იმდენად იგრძნობა, რომ სათითაოდ შეიძლება კონკრეტული ლექსის გახსენებაც კი, ლურჯა ცხენების ჭენებიდან ცვრიან ბალახზე სიარულის ჩათვლით. დიდი მადლობა ამ საჩუქრისათვის.

ილო პატაშური – მხატვარი:

– რეზო სრულიად განსხვავებული მხატვარია. მას საკუთარი ხელწერა აქვს და ქართული სახვითი ხელოვნების ბრწყინვალე წარმომადგენელია.

კახა სარაჯიშვილი:

– მე, როგორც რეჟისორსა და მომღერალს ძალიან მომეწონა, ბატონო რეზო, თქვენი შემოქმედება. ვფიქრობ, კინო და მუსიკალურ სამყაროსთან ეს ძალზე ახლოს გახლავთ. რაღაც პოეტური და უკიდვანოა, როგორც გალაკტიონი. პატივისცემით დიდი დავით და ვანო სარაჯიშვილების შთამომავალი.

თამარ შაიშველაშვილი:

– ფერწერის დიდი ოსტატები სულისა და კოსმიურ უხილავობას გადმოსცემთ. ამ უხილავობის კოსმიური გამოსახულებებით ქმნის და საჭირო შედეგსაც აღწევს ბატონი რეზო ადამია.

გენო ზაქარაია – მოქანდაკე:

– ბატონო რეზო, რთულია გალაკტიონს შეეხო! – მიხარია, რომ შეხვედი შენი განწყობით – ნეტავ გალაკტიონი რას იტყოდა დანახულ სამყაროზე, რაც შენ დახატე? დიდი მადლობა.

მინდა აქ ყველასათვის საყვარელი, სათაყვანებელი მწერლის, დიდი ქართველის ბატონი ოტია იოსელიანის ხმაც „გავაუღერო“, რამეთუ მისი ბრძნული აზრები სავსებით ეთანადება ემელიანე (რეზო) ადამიას ნამუშევართა დღევანდელ ექსპოზიციას, ხაზს უსვამს იმ განსაკუთრებულსა და ფასეულს, რაც ხელოვანის ფერწერილობას მარადიული ხიბლის ძალას ანიჭებს და მიანიჭებს მარად.

ოტია იოსელიანი:

– სამწუხაროდ, ჩვენს უძველეს კოლხეთს რეზო ადამიას ქმნილებები თუ გადაარჩენენ... რეზო ადამიას კოლხეთი ისაა, რასაც ეს ესაა მოვუსწართ და გადავარჩინეთ.

ხელოვნება თუ სარკეა და თავისი დროის ასახვაა, ამ ნახატებში ჭეშმარიტადაა ასახული“.

მაინც, რა არის ის ნიშანდობლივი, რაც ასე ხიბლავს და აჯადოებს მხილველს რეზოს ადამიას ფერწერილობაში? – პროფესიონალიზმი, პოეტური ხედვა, ღამაში კოლორიტი, ფერთა გამა, ოსტატობა, ქართული სული და ყველაფერი ეს თანაბარი ძალით აღიბეჭდება შემოქმედის ხელქმნილში და ეს არც არის გასაკვირი, ღმერთმა ორი მუზის მსახურება დაანათლა – კალმით და ფერით წერის.

თუ კითხავთ, – ამძიმებს ეს ტვირთი?

უმაღლე გიპასუხებთ: – წერა ჩემთვის თავისუფალ ველზე განავარდებასავითაა.

და კიდევ:

– პოეზია და მწერლობა სულიერი დღესასწაულია და ძალიან მეხმარება პროფესიულ საქმიანობაში.

გულნაზ ხარაიშვილი:

– ჯ. ლეჟავას სახელობის მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი. ჟურნალ „ათინათის“ მთავარი რედაქტორი:

– რეზო ადამიას ნახატები დედამიწიდან კოსმოსს სწვდებიან და იქ განაგრძობენ სამუდამო ცხოვრებას.

გამოფენაზე რამდენჯერმე ვიყავი და გული ისევ იქით მიმიწევს „კოსმოსისკენ“ და დარბაზიდან გამოსულს თითქოს თან „მომღევს“ ნახატი „გალაკტიონის ლექსთ კივილი კოსმოსს მისწვდა“. და აქვე „ჩამესმის“ ტიცინი ტაბიძის სიტყვები „მარტოობის ორდენის კავალერისთვის“ რომ ითქვა:

„ხვალ არ ვიქნები ქვეყანაზე და ამიტომ მსურს, ვიპოვო რამე, რომ წავუღო ხეცას მედიდურს“. –

უკეთესი საჩუქარი რა იქნება მედიდურ ცისთვის, როგორც დამწვარი პოეტის სული!..“

2013 წლის 10 დეკემბერი

ხელოვნებათმცოდნეობის უმსავალი საბანი და ამოცანები



ხელოვნებათმცოდნეობა სინთეზური მეცნიერებაა თავისი შემადგენლობით. იგი რამდენიმე მეცნიერებას შეიცავს: ხელოვნების თეორიას, ხელოვნების ისტორიასა და კრიტიკას (ეს უკანასკნელი მეცნიერება არაა).

ხელოვნების თეორია თავის მხრივ იყოფა ხელოვნების ცალკეული დარგების მიხედვით: მუსიკის თეორია, თეატრის თეორია, არქიტექტურის თეორია, ლიტერატურის თეორია, ფერწერის თეორია და ა.შ. ხელოვნების ისტორიასაც იყოფა: არქიტექტურის ისტორია, თეატრის ისტორია, კინოს ისტორია, ფერწერის ისტორია და ა.შ.

ხელოვნების თეორია სწავლობს ხელოვნების რაობას, წარმოშობას, იმ პრინციპებს, ხერხებსა და საშუალებებს, რითაც იქმნება მხატვრული ნაწარმოები, ხელოვნების დარგების თავისებურება.

ხელოვნების ისტორია სწავლობს ხელოვნების განვითარებას ისტორიის სხვადასხვა ეტაპებზე, ხელოვნების ცალკეული ნაწარმოების შექმნის ისტორიას, ეპოქას, იმ იდეალებს, რითაც იქმნება ესა თუ ის ხელოვნების ნაწარმოები, ხელოვანთა ცხოვრებისა და შემოქმედების მნიშვნელოვან მომენტებს.

კრიტიკა – (სიტყვა ნიშნავს - „განხილვას, გარჩევას, ანალიზს, შეფასებას, დაწინაურებას ან მოწონებას“). სწავლობს თანამედროვე ხელოვნების ნიმუშებს, აფასებს მათ ადგილსა და მნიშვნელობას, როგორცაა ხელოვნების ნაწარმოების ესთეტიკურ-მხატვრული ღირებულება.

ხელოვნებათმცოდნეობა ყველა ამ ცოდნას აერთიანებს თავის თავში, იგი სწავლობს ხელოვნების თეორიულ, ისტორიულ საკითხებს და ამავე დროს თანამედროვე ხელოვნების შეფასებასაც ახდენს.

ხელოვნებათმცოდნეობა, როგორც მეცნიერება, ჩამოყალიბდა XIX საუკუნის II ნახევარში, მანამდე არსებობდა ცალკეული შეხედულებები, თეორიები, ისტორიული აღწერანი, XIX ს-ის II ნახევარში აზროვნებაში გაბატონდა ისტორიულ-შედარებითი მეთოდი (მეთოდი - „გზა“).

თუ მანამდე მხოლოდ აღწერდნენ და ცნობებს გვიტოვებდნენ ამა თუ იმ ხელოვნების ან მხატვრულ-კულტურული ძეგლის შესახებ (მაგალითად, ჰეროდოტემ აღწერა პირამიდები, ჯორჯო ვაზარიმ თავისი დროის (XVI ს.) გამოჩენილ ხელოვანთა – ლეონარდოს, მიქელანჯელოს, ჯოტოს, რაფაელის და სხვ. ცხოვრება და მოღვაწეობა), XIX ს-ის II ნახევარში 1764 წ. ვინკელმანმა (გერმანელი ხელოვნებათმცოდნე) პირველად თავის სამ წიგნში: „უძველესი ხელოვნების ისტორია“, „მოხსენება ჰერკულანუმიის გათხრების შესახებ“ და „უცნობი ანტიკური ძეგლები“ - გამოიყენა შედარებითი მეთოდი, ერთმანეთს შეადარა აღმოსავლური ხელოვნება – ეგვიპტური და სპარსული ბერძნულ-ანტიკურს. ისტორიულ-შედარებითი მეთოდით შეიძლებოდა არა მარტო აღწერა ამა თუ იმ ისტორიული ეპოქის ხელოვნების ნიმუშების, არამედ ისტორიულ ასპექტში გაეაზრებინათ მთელი გზა ხელოვნების განვითარებისა. ეს ხდებოდა შედარების, მსგავსება-განსხვავების პოვნის გზით. ისტორიული ფაქტების დაგროვებით, არქეოლოგიური გათხრებით მეცნიერებმა შეძლეს შეექმნათ ხელოვნებათმცოდნეობა, როგორც სისტემური (სისტემაში მოყვანილი) ცოდნა ხელოვნების თეორიისა და ისტორიის საკითხებზე. ხელოვნების თეორიის უპირველესი საკითხის – რა არის ხელოვნება? – პირველი თეორიული ანალიზი, ე.ი. გააზრება იმისა, თუ რა არის ხელოვნება, - ესეც ანტიკურ სამყაროში მოხდა („ანტიკა“ - ძველი, კლასიკური) პირველად საკითხი: რა არის ხელოვნება? – დასვა დემოკრიტემ, ბერძენმა ფილოსოფოსმა V ს. ძვ.წ.-ით, შემდეგ არისტოტელემ IV ს.ძვ.წ.-ით (384-322 ძვ.წ.-ით) თავის წიგნში „პოეტიკა“. I ს-ში ძვ.წ.-ით რომაელმა პოეტმა ჰორაციუსმა არისტოტელეს გავლენით დაწერა ტრაქტატი: „პოეტიკა ანუ მიმართვა პიზონებისადმი“, რომელშიც იგი რჩევას აძლევს რომაელი დიდგვაროვანი ოჯახის პიზონების (გვარია) შვილებს, თუ როგორ უნდა დაიწეროს ვრცელი პოეტური ნაწარმოები: რამდენჯერმე გადაწერეთ, დიდხანს შეინახეთ და მერე გადაიკითხეთ, აზრი მოსაწყენი არ უნდა იყოს: „ხოგჯერ მოხუცი ჰომეროსიც კი წასთვლემსო“.

ხელოვნების ცალკეულ დარგების შესახებ თეორიულ ტრაქტატებს წერენ: ლეონარდო და ვინჩი (XV-XVI სს. 1452-1519 წწ.) „ფერწერის შესახებ“, ლეონ-ბატისტა ალბერტის (1404-1472) ტრაქტატი „10 წიგნი ხუროთმოძღვრების შესახებ“, „სამი წიგნი ფერწერის შესახებ“. მიქელანჯელო ბუჩჩინოტის „ოთხი საუბარი ფერწერის შესახებ“ (1475-1564 წ.).

ახალ დროში (ასე უწოდებენ XVII საუკუნიდან პერიოდს) ხელოვნების თეორიის შესახებ სპეციალურ წიგნს წერს ჰეგელი სახელწოდებით „ესთეტიკა“ (XVIII საუკუნისა და XIX ს-ის მიჯნა). XIX ს-ში განვითარდა კრიტიკა, როგორც დარგი. ცნობილი რუსი კრიტიკოსი ბესარიონ ბელინსკი IX ს. რუსული ხელოვნების კრიტიკულ ანალიზს აკეთებდა. მის გავლენას განიც-

დიდნენ ქართველი მწერლები: ილია, აკაკი, ნიკო ნიკოლაძე, რომლებიც თავისი დროის ლიტერატურული ნაწარმოებების კრიტიკას მიმართავდნენ, აფასებდნენ მათ ღირსება – ნაკლოვანებას, მათ ადგილს ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

ხელოვნების წარმოშობის ზუსტი თარიღი არავინ იცის, ვიცით მხოლოდ, რომ ხელოვნების პირველი ნიმუშები პირველყოფილ საზოგადოებაში ზემო პალეოლითის ხანაში გაჩნდა. ე.წ. „კულტურული“ ადამიანი გამოქვაბულის კედლებზე პირველ ხაზებს ავლებს, შემდეგ აფერადებს, შემდეგ სქემატურ გამოსახულებას ხატავს. ეს ნიმუშები, რომლებზეც ქვემოთ ვისაუბრებთ, შეიძლება ჩაითვალოს ხელოვნების პირველ ნიმუშებად.

ხელოვნების წარმოშობის შესახებ მეცნიერულ-თეორიული აზრის შემუშავება კი XIX ს-ის ბოლოს დაიწყო, რადგან აქამდე მეცნიერებას არ გააჩნდა კონკრეტული მონაცემები მხატვრული განვითარების საწყისი ეტაპების შესახებ.

მანამდე კი ფილოსოფოსები ჰიპოთეზურად გამოთქვამდნენ შეხედულებებს ხელოვნების წარმოშობის შესახებ. პირველი ასეთი აზრი გულუბრყვილო ფორმით V სკ-ის ძვ.-წ-ით ბერძენმა ფილოსოფოსმა დემოკრიტემ გამოთქვა. მისი აზრით, ხელოვნების წარმოშობა ბუნების ბაძვას უკავშირდება. ადამიანებმა მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით დაიწყეს თავშესაფრის მშენებლობა და ასე გაჩნდა არქიტექტურა. ბუნებრივი გამოქვაბულის მსგავსი ნაკვობა თანდათან დამუშავების შემდეგ, ბუნების მიბაძვის შედეგად, არქიტექტურულ ნაკვობად იქცა. ჩიტების ჟღერტულმა, მდინარის ხმაურმა, ცხოველების მოძრაობამ ადამიანებს ასწავლა სიმღერა და ცეკვაო. V-IV სს.-ში ძვ.წ. ბერძენი ფილოსოფოსების – პლატონისა და არისტოტელეს შეხედულებებში ჩამოყალიბდა ე.წ. „ბაძვის“ თეორია ანუ „მიმეზისი“ („მიმეზისი“ - ბაძვა) პლატონი (427-347 წ.წ. ძვ.წ-ით) ხელოვნების წარმოშობას პირდაპირ უკავშირებს ადამიანის ბაძვის უნარს. ადამიანი ბაძავს ბუნებას და ზუსტად ცდილობს გადაიღოს მისგან გამოსახულებები. პლატონთან ხელოვნება ბუნების ასლია, რომელიც მექანიკური ბაძვით არის შექმნილი. უფრო წინ წავიდა მისი მოწაფე არისტოტელე (382-322 წ.წ. ძვ.წ-ით), რომლის თეორიულ ტრაქტატში „პოეტიკა“ საბოლოოდ ჩამოყალიბდა „მიმეზისის“ თეორია.

არისტოტელე ხელოვნების წარმოშობის ორ მიზეზს ასახელებს:

- 1) ადამიანს აქვს ცნობისმოყვარეობის ანუ ცოდნის შეძენის უნარი და
- 2) ადამიანს ასევე აქვს ბაძვის უნარი.

შუა საუკუნეებში ხელოვნების წარმოშობას ღმერთს უკავშირებდნენ. ღმერთი ჩააგონებს ადამიანს იმას, რაც მან უნდა გამოხატოს. ამდენად, ხელოვანი არის მედიუმი (შუამავალი) ღმერთსა და მკითხველს, მსმენელს, მნახველს შორის. თვით სიტყვა „ნიჭი“ ძვ. ქართულში ნიშნავდა ღვთის საჩუქარს. ღმერთი აძლევს ადამიანს ნიჭს შემოქმედებისათვის. თვით ღმერთი არის უმაღლესი შემოქმედი, რომელიც ქმნის სამყაროს. ხელოვანიც ღვთის მიბაძვით ქმნის ახალ სამყაროს თავის ნაწარმოებში. ამ თეორიას, რომელსაც შუა საუკუნეების ფილოსოფიური და თეოლოგიური აზრი ქმნიდა, ხელოვნების წარმოშობის „ღვთაებრივ თეორიას“ უწოდებდნენ, მაგრამ მას არაფერი ჰქონდა საერთო მეცნიერულ ჭეშმარიტებასთან.

საქმის ვითარება რადიკალურად შეიცვალა XIX ს-ის ბოლოს, როცა პირინეის ნახევარკუნძულზე ხელოვნების პირველყოფილი ნიმუშები აღმოაჩინეს, გამოქვაბულის კედლებზე ზემო პალეოლითის ეპოქის მოხატულობანი აღმოაჩინეს, მცირე აზიაში, აფრიკის, დასავლეთ ევროპის ტერიტორიებზე მსგავსი ნიმუშები აღმოაჩინეს. არქეოლოგიური ძიებებით მოპოვებული სკულპტურული გამოსახულებანი პირველყოფილი ხელოვნებისა, გამოყენებითი ხელოვნების – საყოფაცხოვრებო ნივთები, სამკაულები – აურაცხელი მასალა უკვე საშუალებას იძლეოდა გახსნილიყო ხელოვნების წარმოშობის საიდუმლოება, უფრო ზუსტად, ხელოვნების მკვლევართ საშუალება მიეცათ გაეანალიზებინათ ხელოვნების ისტორიული განვითარების გზა.

ამრიგად, ხელოვნების ისტორია, როგორც მეცნიერება, საბოლოოდ ჩამოყალიბდა XIX ს-ის II ნახევარში და ამან განაპირობა თავის მხრივ ის უდიდესი ინტერესი, რომელიც მეცნიერებმა პირველყოფილი ხელოვნებისადმი გამოიჩინეს. ამას კი მოჰყვა იმის აუცილებლობა, რომ დაედგინათ ხელოვნების წარმოშობის მიზეზები.

სპენსერის, ალენის, გროსის, ლანგეს კონცეფციამ – თამაშის თეორიამ – არა მარტო დამახინჯებულად განმარტა ხელოვნების წარმოშობა, არამედ ადამიანთა საზოგადოებაში თვით თამაშის წარმოშობის და არსის სწორად ახსნა ვერ შეძლო, რადგან თამაში ინსტიტუტური და იმპულსური ქმედება კი არა არის, როგორც მათ ესმოდათ, არამედ ადამიანის ზნეობრივი და ფიზიკური აღზრდისათვის მოწოდებული, სოციალურად ორგანიზებული ქმედებაა, ესაა თავისთავში შინაგანად არსებული მიზნის განხორციელება. პირველყოფილ ხელოვნებასთან თამაშის კავშირი უეჭვოა, ისე როგორც ბავშვის თამაში შეიძლება განვიხილოთ როგორც იმპროვიზებული მხატვრული მოქმედება, მაგრამ ეს არ ნიშნავს თამაშიდან ხელოვნების წარმოშობას. თვით თამაშსაც კი წინ უსწრებს შრომითი საქმიანობა.

VII-V სს.-ში ძველ საბერძნეთში წარმოიშვა პირველი ფილოსოფიური სკოლები, რომლებიც ცდილობდნენ მითოლოგიური წარმოდგენებისაგან განსხვავებით ნამდვილი ცოდნა ჩამოეყალიბებინათ სამყაროსა და ადამიანის ურთიერთობის შესახებ.

სიტყვა „ფილოსოფია“ სიბრძნის სიყვარულს ნიშნავს („ფილოს“- მიყვარს, „სოფია“- სიბრძნე). იგი შემოიტანა VI ს.-ში სამოსელმა პითაგორამ. ფილოსოფიურ სკოლებში ძველ ბერძნებს სამყაროს, რომელსაც „კოსმოსს“ (მოუწესრიგებელი სამყარო) უწოდებდნენ, როგორც მთელის და მასში არსებული მრავალი საგნისა და მოვლენის წარმოშობა აინტერესებდათ. ამიტომ მთავარი კითხვა იყო: საიდან გაჩნდა კოსმოსი?- პასუხად თვლიდნენ, რომ კოსმოსში მიზეზ-შედეგობრივად დაკავშირებული მოვლენებისა და საგნების სიმრავლეს ერთი პირველსაწყისი (ბერძნ. „არხე“) უნდა ჰქონოდა. მეორე კითხვა შემეცნებითი ხასიათისა იყო: რა არის ის, რაც არსებობს? მესამე კითხვა: როგორია კოსმოსი და კოსმოსში არსებული მოვლენები და საგნები ადამიანისათვის?

ფილოსოფიის წარმოშობის საწყის ეტაპზე მთავარ კითხვაზე სხვადასხვა სკოლა განსხვავებულ პასუხს იძლეოდა, მაგალითად, მიღებული ფილოსოფოსის თაღის აზრით, არხე იყო წყალი, ეფესელი ჰერაკლიტესთვის VI ს. ძვ. წ. – ცეცხლი, დემოკრიტესთვის (V ძვ.წ.) ატომი, პითაგორასთვის (VI ს.ძვ.წ.) – რიცხვი. მოძღვრებას, რომელიც მხოლოდ ამ კითხვით იყო დაინტერესებული ე.ი. აინტერესებდა საიდან გაჩნდა კოსმოსი, „კოსმოგონიას“ უწოდებდნენ. ეს მოძღვრება მეცნიერების პირველი სახე იყო. „კოსმოგონია“ ანუ ფილოსოფიის ადრეული ფორმა იქცა მეცნიერების დაბადების მანიშნებლად.

ამდენად მეცნიერება, როგორც ზოგადი ცოდნა, ძველ საბერძნეთში ჩაისახა VI ს.ძვ.წ.-ით და მას „ფილოსოფია“ ეწოდებოდა.

ფილოსოფია სწავლობდა სამყაროში ადამიანისთვის საინტერესო ყველა მოვლენას, ამიტომ იგი შემდგომ წარმოშობილი სხვადასხვა მეცნიერების ზოგად საფუძვლად, მეცნიერებათა მეცნიერებად არის მიჩნეული. მისგან წარმოიშვა ისტორია, ფიზიკა, გეომეტრია, ხელოვნებათმცოდნეობა, ესთეტიკა, ეთიკა, სოციოლოგია, პედაგოგიკა და ა.შ. მეცნიერებათა წარმოშობა საუკუნეების მანძილზე ხდებოდა და დღესაც გრძელდება. ფილოსოფია როგორც ზოგადი მეცნიერება აწვდის ცნებებს, კატეგორიებს, მეთოდებს კერძო მეცნიერებებს.

პლატონისა და არისტოტელეს ხელოვნების თეორიაზე საუბარი შეუძლებელია მათი ზოგადფილოსოფიური შეხედულებების გაცნობის გარეშე, რადგან კლასიკური ბერძნული ფილოსოფია (V – IV სს. ძვ. წ.) ხელოვნებას ადამიანის საქმიანობის ყველაზე აქტიურ ფორმად მიიჩნევდა და მას შემეცნებით და აღმზრდელობით როლს აკისრებდა.

პლატონი ბერძნული ფილოსოფიის ერთ - ერთი უდიდესი წარმომადგენელია (427 – 347 ძვ.წ.ად. – ით). იგი სოკრატეს მოწაფე და თაყვანისმცემელი იყო, ამიტომ თავის „დიალოგებში“ სოკრატე გამოყვანილი ჰყავს ერთ – ერთ მოსაუბრედ, მეორე კი – სოკრატეს რომელიმე თანამედროვე ფილოსოფოსი. პლატონის ფილოსოფია იდეალისტურია, რომელიც შეიძლება დავახასიათოდ როგორც მოძღვრება იდეებზე. საქმე ისაა, რომ პლატონისთვის სამყარო ორადაა გაყოფილი: იდეების სამყაროდ და ფიზიკურ საგანთა სამყაროდ. ფიზიკური სამყარო გრძნობადი სამყაროა, რომელშიც კონკრეტული, კერძო საგნები და მოვლენებია, ისინი იდეების გამოვლენას წარმოადგენენ. იდეები კი ზოგადია, რომლებსაც მხოლოდ გონებით ვწვდებით. მაგალითად, ამ ქვეყნად ბევრი კერძო პირია: კოტე, თეკლე, ვანო, პეტრე და ა.შ. ისინი კერძო პირები არიან, რომლებსაც ვეხებით, ვხედავთ და ა.შ. ე.ი. გრძნობის ორგანოებით ვწვდებით. ამ კერძო პირთა ზოგადი იდეა კი არის ადამიანი, რომელიც მოკლებულია კონკრეტულობას. „ადამიანი“ ცნებაა ე. ი. ზოგადი, რომელიც კონკრეტული პირების სახით ვლინდება. ასეა სხვა შემთხვევაშიც: მეგრობრობა, სიყვარული, სიკეთე იდეებია, რომლებიც არსებობენ ირაციონალურ სამყაროში, გონების მიღმა. კერძოსა და ზოგადს შორის ის კავშირია, რომ იდეები არიან პირველსაზე კერძო საგნებისა, საგანი არის ბაძვა იდეისა, მისი აჩრდილია, ანარეკლია. ამდენად, ფიზიკური სამყარო არის ანარეკლი, ასლი, აჩრდილი იდეების. იდეები მარადიულია, უცვლელი. სიყვარული, მეგობრობა, ადამიანი, სკამი, მაგიდა და ა.შ. მარტივი ცნებებია, შეყვარებული ვანო, მეგობარი კატო, ადამიანი სიკო, წითელი სკამი, მრგვალი მაგიდა და ა.შ. კონკრეტული და ცვალებადია, რადგან დღეს არიან, ხვალ არა. იდეების სამყარო ნამდვილი სინამდვილეა, კონკრეტული საგნების სამყარო კი აჩრდილი ე.ი. მიბაძვა. ხელოვნება კი არის ამ კონკრეტული სამყაროს მიბაძვა ანუ ასახვა. ხელოვანი თავის ქმნილებაში გამოსახავს არა ჭეშმარიტ, ნამდვილად არსებულს, არამედ მათ ასლს. პლატონს ასეთი მაგალითი მოჰყავს: არსებობს საწოლის იდეა, რომელსაც გონებით მიწვდა ხელოსანი, ოსტატი და შექმნა საწოლი, კონკრეტული საგანი, მოვიდა მხატვარი და დახატა ე.ი. მიბაძა ოსტატის ნახელავს მივიღეთ ორმაგი მიბაძვა. ოსტატი ბაძავს იდეას, ხელოვანი კი ბაძავს ოსტატს. ამდენად, ხელოვანის საქმიანობა ანუ ხელოვნება არის ბაძვის ბაძვა. აქედან ასკვნის პლატონი, ხელოვნება უფრო შორს დგას ნამდვილისგან, ვიდრე ხელოსნობა.

პლატონის ხელოვნების თეორია უშუალოდ გამომდინარეობდა მისი ფილოსოფიისგან, რომელსაც იდეოლოგიური შეფერილობა ჰქონდა და სახემწიფოს დამცველი მოქალაქის აღზრდას ისახავდა მიზნად. პლატონმა თავის ნაწერებს „დიალოგი“ უწოდა. სიტყვა „დიალოგოს“- კამათს ნიშნავს ორ მოსაუბრეს შორის, რომელიც მესამე ჭეშმარიტი აზრის დადგენას ისახავს მიზნად. პლატონის „დიალოგებშიც“ ორი მოკამათეა, სოკრატე და რომელიმე თანამედროვე, ნამდვილად მყოფი ფილოსოფოსი, მაგალითად, იონი, ქსენოფონტე, ფედონი, ჰიპიასი, ალკიბიადე, ტევტი და სხვ. პლატონს თავისი ხელოვნების თეორია გადმოცემული აქვს „იონში“, „სახელმწიფოში“, „ნადიმში“.

ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ:

1) ხელოვნებას, მეცნიერებას, ხელოსნობას არისტოტელე ხშირად ერთი ტერმინით ახსენებს: „ტექნე“ (რაც ოსტატურად საქმიანობას ნიშნავს ბერძნულად). ამით არისტოტელე ბერძნულ აზროვნებაში გაბატონებულ ტრადიციას არ დაღატობს და ყველაფერს, კარგად შესრულებულს, „ტექნეს“ უწოდებს. თუმცა ეს არ უშლის ხელს, რომ მკაცრად გამოიყნოს ხელოსნობა, მეცნიერება და ხელოვნება.

2) ხელოვნებას და მეცნიერებას საერთო საფუძველი აქვს – ცდა, სინამდვილე. ორივეს საქმე აქვს ზოგადთან და კერძოსთან, მაგრამ განსხვავებულია მათი დამოკიდებულება მათთან.

3) ხელოვნება და მეცნიერება უანგაროა, დაუინტერესებელია პრაქტიკული მიზნების მიმართ, ხელოსნობა მხოლოდ ულიტარულ (მოხმარების) საგნებს ქმნის.

4) ხელოვნება და მეცნიერება ორივე გონითი სფეროა. მაგრამ გონება ორგვარია: თეორიული და პრაქტიკული, ანუ მჭვრეტელობითი და ცხოვრებისეულ-ყოფითი. ორივეს – ხელოვნებასა და მეცნიერებას საქმე აქვს არაპრაქტიკულ თეორიულ გონებასთან.

ხელოვნება განზოგადებაა კერძოსი, მაგრამ არა რეალური ფაქტებისა და მოვლენებისა, არამედ შესაძლებლობათა სფეროდან. მეცნიერება ლოგიკურ მტკიცებათა სფეროა. მეცნიერება არსებულის სინამდვილეა, ხელოვნება შესაძლებლობის დადგენის სფეროა.

5) ხელოვნება სინამდვილის სიმბოლური განზოგადებაა, ტიპის შექმნა, შემოქმედებითი პროცესია და არა ბაძვა, ასლგადაღება.

6) მეცნიერება წმინდა ყოფიერებას განეკუთვნება, ხელოვნება კი მიმდინარე, არამდგრადი პროცესების სფეროა. ხელოვნება ადამიანური საქმიანობაა, რომელსაც თავისი სტრუქტურები, მეთოდები და პრინციპები ადამიანურ სუბიექტში აქვს და არა გარეთ. ხელოვნება თვითმყოფელია.

ეს იმაზე მიუთითებდა, რომ პრაქტიკულ შემოქმედებით მოღვაწეობაში ჩაბმულ ხელოვნებს გაცნობიერებული ჰქონდათ კულტურაში მომხდარი ის გადატრიალება, რაც ევროპაში მოხდა შუა საუკუნეების შემდეგ. ხელოვნები ქმნიდნენ არა სპორადულად, ხელის ცეცებით, არამედ თეორიულ-შემეცნებით ბაზაზე, გონის მეშვეობით, თეორიული არგუმენტებით. მეცნიერული მიღწევები, რაც შუა საუკუნეებში არსებობდა, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისადმი ინტერესი, (ანატომიის, ასტრონომიის, მათემატიკის, ქიმიისა და ა.შ.) და ცოდნის დაგროვება მხატვრულ ოსტატებს სჭირდებოდათ შედეგების შესაქმნელად (ცნობილია, ლეონარდოს მრავალმხრივი ღრმა ცოდნა ანატომიისა, ფიზიოლოგიისა (რისთვისაც დამდამობით მორგებშიც კი დადიოდა მალულად, რადგან გვამების გაკვეთა აკრძალული იყო). ხელოვნებს სჭირდებოდათ იმ მხატვრული ფორმებისა და ხერხების თეორიული დამუშავება, განვითარება, რაც ახალი, რენესანსული ესთეტიკური იდეალის მხატვრულ ხორცშესხმას განახორციელებდა.

ამრიგად, რენესანსის ეპოქა ხელოვნებას სინამდვილის ასახვად მიიჩნევს. იგი ანტიკური ბაძვის თეორიას იზიარებს, მხოლოდ არა პლატონისეულად. ხელოვნება ავსებს და ასრულებს ბუნებისეულ მშვენიერებას.



სპორტი

თამარ ჯაჭვავაძე

სპორტის რაინდი
ინტერვიუ მანუჩარ მაჩაიძესთან

მანუჩარ მაჩაიძე



საქართველოს სპორტის ისტორიას, გასული საუკუნის 70-იანი წლები აღმავლობის, შეიძლება ითქვას “ოქროს ხანის” სახელით შემორჩა. ეს მისი უდიდებულესობა ფეხბურთის დიდი დამსახურება იყო. თბილისის “დინამო” მარტო სპორტული კი არა, ეროვნულობის ნაკრები გახდა, ქართული სულის, ქართული ტრადიციების და პატრიოტული სულისკვეთების მატარებელი. მარტო ტრიუმფალურმა გამარჯვებებმა კი არა, ამ პატრიოტულმა სულმა შეაყვარა ყველა გულშემატკივარს თავისი “ოქროს ბიჭები”. მათი სახელები დამსახურებულად შემორჩა საქართველოს უახლეს ისტორიას. განსხვავებული ბედისწერის, მაგრამ ერთი საერთო ნიშნით გამორჩეული ადამიანები – ისინი საქართველოს უყვარდა!

ჯუმბერ ლაჭავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის ჟურნალ “ათინათის” რედაქციას იმ ლეგენდარული გუნდის კაპიტანი – მანუჩარ მაჩაიძე ესტუმრა. ვისაც კარგად ახსოვს ის ფეხბურთიანი წლები, მისთვის ძნელი წარმოსადგენია იმ ბობოქარი ბიჭების დადინჯება და მაინც... დღეს უკვე ვეტერანი დიდი მანუჩარი ზის და დინჯად გვესაუბრება განვლილ ცხოვრებაზე, სპორტზე, მეცნიერებაზე, ფილოსოფიაზე, ხელოვნებაზე, წინააღმდეგობებით აღსავსე პირად ცხოვრებაზე და გული სწყდება, რომ არ დასცალდა ბოლომდე დახარჯულიყო დიდ ფეხბურთში. უსმენ და უსათუოდ გახმიანდება გონებაში; “დიდ ხეებს დიდი ქარი უბერავსო”. მრავალი ბებრძოლი სული, ვისაც საკუთარ თავზე გამოუცდია იმ შეჯახების ძალა, დაგეთანხმება; მართლაც ბუმბერაზ მუხას ეჯახება ქარი, მიწაზე განრთხმულ ბალახებზე უბრალოდ გადაივლის. ალბათ ამ დიდებულების გამო ებრძოდნენ და ებრძვიან ქართულ სულს, ღირსეულ და ძლიერ მოწინააღმდეგეს და ეს ალბათ აღიარებაცაა მისი ძალის და ბრძოლისუნარიანობის, რადგან, დამარცხებულებს აღარ ებრძვიან.

არა მარტო სპორტულ სარბიელზე, არამედ ყველგან და ყოველთვის ებრძოდნენ აწ უკვე ლეგენდარულ და ყველა დროის ყველაზე ხელხვავიან კაპიტანს – მანუჩარ მაჩაიძეს. ბავშვობიდანვე მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოვებულს, გატაცებებიც მრავალფეროვანი ჰქონია. მას საოცრად არ უყვარს საკუთარ დამსახურებებზე საუბარი, მაგრამ რეალობას ვერ გაექცევი; ლეგენდარული ფეხბურთელი, პროფესიით ინჟინერ-მშენებელი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომის და წიგნის ავტორი, თანრიგოსანი მოჭადრაკე, ფერმწერი, პოლიტიკოსი, პატრიოტთა ალიანსის ერთ-ერთი დამფუძნებელი, კაპიტანი, რომელსაც გუნდი გალაკტიონის სიტყვებით შეჰყავდა სპორტულ შერკინებებში, სპორტის რაინდი... და რაც ყველაზე მთავარია ადამიანი, ვისაც შეიძლება რჩევა ჰკითხოხ სპორტსმენმა, პოლიტიკოსმა, ხელოვანმა, მეცნიერმა, ჟურნალისტმა, ერმა და ქვეყანამ.



და მაინც ვინ არის მანუჩარ მაჩაიძე?

რა არის მის ცხოვრებაში ყველაზე მთავარი?

– პროფესიით ინჟინერ-მშენებელი ვარ. ფეხბურთელი ვიყავი, მაგრამ მაშინ პროფესიონალიზმი არ იყო ფეხბურთში, ჩვენ ვითვლებოდით მოყვარულებად, თუმცა ფაქტიურად პროფესიონალები ვიყავით. ფეხბურთს რომ ვთამაშობდი, პარალელურად ვსწავლობდი ინსტიტუტში. ასე იყო საბჭოთა პერიოდში ყველა. მე, მოგეხსენებათ, სკოლა ოქროს მედალზე დავამთავრე, კარგად ვსწავლობდი, მაგრამ მერე ფეხბურთმა გამიტაცა. ფეხბურთი ისეთი სიყვარულია, ამას ვერ ახსნი, თამაში რომ შეგიყვარდება, მერე თავს ვეღარ ანებებ. დღეს ვინც თამაშობს, ვარსკვლავები, ყველას უყვარს ფეხბურთი. ერთი მაგალითი მინდა მოვიყვანო; აბიდალი, ფრანგი ფეხბურთელია, აღმოუჩინეს ღვიძლის კიბო, გადაუნერგეს ახალი ღვიძლი, მისთვის თამაში აღარ შეიძლება, და მაინც თამაშობს. მილიონერია, მაგრამ იმდენად უყვარს ფეხბურთი, რისკია, მაგრამ ვერ ანებებს თავს. აი ესაა ფეხბურთი. ჩემ დროს 200 მანეთს გვაძლევდნენ ხელფასს, მაგრამ, აი, სიყვარული რას ნიშნავს, 200 მანეთისთვის თავს ვიკლავდით, რა დატვირთვებს ვიდებდით, დღეში 3-4 კილოს ვიკლებდით, 15 კილომეტრზე დავრბოდით... ამიტომ ფეხბურთის სიყვარული ამოუცნობი ფენომენია. ყველა ერთნაირად მოქმედებს: ქართველი, ესპანელი, ბრაზილიელი თუ ინგლისელი.

პროფესიონალი ფეხბურთელი ვარ, მაგრამ პროფესიით ინჟინერ-მშენებელი, ამბობენ, რომ კარგი სპეციალისტი ვარ. ფეხბურთელი თავისთავად, მაქვს სხვადასხვა გატაცებები, მიყვარს ხატვა, ჭადრაკი – ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი მაქვს შესრულებული, I თანრიგი მოპოვებული მაქვს. ბევრი რამ მიტაცებს: პოეზია, პროზა, მიყვარს ფილოსოფია. ჯერ კიდევ პატარა ბიჭი ვიყავი, როცა ფილოსოფიამ გამიტაცა და დღემდე ჩემი სამაგიდო წიგნებია, დიდი ფილოსოფოსების ნაშრომები. მიყვარს, როგორც ყველა ქართველს ქეიფი, ნადირობა, სპორტის სხვადასხვა სახეობებიც მიყვარს, მუსიკა, ხელოვნება, თეატრი...

– თითოეული სფეროდან, სადაც გიმოდგაწიათ, თითო შეკითხვას დაგისვამთ. როგორც ფეხბურთელს როგორ გესახებათ ქართული ფეხბურთის აღორძინება, რა პერსპექტივები არსებობს?

– ეს თემა ძალიან რთულია. დღევანდელ ფეხბურთში წარმატებებს რომ მიადწიო, სახელმწიფოს დახმარებაა საჭირო. ფეხბურთში თუ არ ჩაიდო დიდი სახსრები, ძნელია ასეთმა ქვეყანამ წარმატებებს მიადწიოს. ის დრო წავიდა, როდესაც 200 მანეთზე ჩვენ თავს ვიკლავდით. მაშინ სხვა წყობა იყო, სხვა სისტემა. მაშინ ეკონომიური დაინტერესების გარეშე, პატრიოტიზმის ხარჯზე ვაღწევდით წარმატებებს. დღეს შეიცვალა მდგომარეობა. მაშინ მოგეხსენებათ როგორ მდგომარეობაში ვიყავით. საქართველო კოლონია იყო და ის ჩვენი თავგანწირვა გარკვეულწილად იყო პროტესტი მთელი ხალხისა, საქართველოს სახელმწიფოს არსებული მდგომარეობის გამო. ამიტომ ვიბრძოდით. ვიცოდით რომ რუსეთთან იარაღის ძალით ლაპარაკი შეუძლებელია, წარმოუდგენელია, ამ ჩვენი კუთხით, რაღაც პროტესტს გამოვთქვამდით. ამან გარკვეული შედეგი მოგვცა, ჩვენ თავს არ ვაბრალებთ იმას, რომ საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, მაგრამ ქართული პატრიოტიზმის აღორძინებაში გარკვეული როლი ითამაშა ქართულმა ფეხბურთმა, იმ საბჭოთა პერიოდში.

ამის შესახებ წლების განმავლობაში ვლაპარაკობ. მიმაჩნია, რომ საქართველოში უნდა შეიცვალოს საფეხბურთო აზროვნება, ახალი აზროვნება უნდა ჩამოყალიბდეს, ის საბჭოური შეხედულება, ფეხბურთზე არასწორი გამოდგა. იგი ძირითადად დამყარებული იყო ფიზიკურ გამძლეობაზე, თავგანწირვაზე და მთავარი, რითაც ლამაზია ფეხბურთი და მთელ მსოფლიოში უყვართ, ტექნიკა, აზროვნება, ფანტაზია – ეს უგულებელყოფილი იყო. სამწუხაროდ ამისი მიმდევრები არიან, წლების განმავლობაში, ქართული ფეხბურთის ხელმძღვანელები, რომლებმაც ასეთი, არასწორი აზროვნებით ფეხბურთი ასეთ დონეზე დაიყვანეს. დღეს ქართული ფეხბურთი ერთ-ერთი სუსტია მსოფლიოში. ამას ჭირდება გამოსწორება, ჭკვიანი ხელმძღვანელობა, რომელიც სწორ დასკვნას გამოიტანს, გაითვალისწინებს მსოფლიო ფეხბურთის განვითარებას და ახალ რეაქციებზე გადაიყვანს ქართულ ფეხბურთს.

– საკუთარ სამეცნიერო მოღვაწეობაზე საუბარი არ გიყვართ, მაგრამ ის 6-7 წიგნიც რომ არა, რომლებიც, როგორც ხშირად ამბობთ, ტექნიკურ ტერმინებით, ძნელადგასაგები ფორმულებით, ჩვეულებრივი მკითხველისათვის მიუწვდომელია, “ერი და თანამედროვეობის” ავტორს მაინც უნდა ეწოდოს მეცნიერი. რა სიძნელები იყო თქვენს ძირითად პროფესიაში – ტექნიკურ მეცნიერებაში?

– მოგეხსენებათ სკოლის დამთავრების შემდეგ, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჩავაბარე, სამშენებლო ფაკულტეტზე, დამთავრებული მაქვს სამრეწველო-სამოქალაქო მშენებლობა, ინჟინერ-მშენებლის სპეციალობით. თავიდანვე მიყვარდა სამშენებლო მექანიკა, მასალათა გამძლეობა, როდესაც მუშაობა დავიწყე ჩემი სპეციალობით, სწორედ მაშინ დავიწყე თეორიული ცოდნის გაღრმავება. პატარა კანტორის უფროსობიდან ქარხნის დირექტორობამდე მივადწიე. ჩემი მთავარი მოვალეობა იყო მაღალხარისხოვანი რკინა-ბეტონის კონსტრუქციების გამოშვება და მშენებლობების მომარაგება. სწორედ ამ პერიოდში, თეორიულ ცოდნაზე დამყარებით, უამრავ ექსპერიმენტებს ვატარებდი. რკინა-ბეტონის კონსტრუქციების გამოცდის საშუალება მქონდა. იყო: კოჭი, კოლონა, გადახურვის ფიდეები, რიგელი. თეორიულ ცოდნას ვამდიდრებდი პრაქტიკით. თეორიული ცოდნა რა არის მშენებლობაში? ვთქვით გაიანგარიშე კონსტრუქცია თეორიულად, შემდეგ ჩამოასხი ეს კონსტრუქცია, შემდეგ ეს უნდა გამოსცადო, დატვირთო, ამის საშუალება მე მქონდა, არაფერი არ იყო ეს ჩემთვის, ამით გავიღრმავე ცოდნა და მე მგონი რკინა ბეტონში რაღაც გამეგება. ჩემი სპეციალობა ძალიან მიყ-

ვარს და ბევრს ვმუშაობდი ახალი მეთოდების შემოწმება-დანერგვაში. ვიყავი საკრებულოს წევრი, მშენებლობის კომისიის თავმჯდომარე. ჩემი მოვალეობა იყო შემემოწმებინა მშენებლობები. ერთხელ ძალიან დიდი ამბავი ავტყეხე, უამრავი ხარვეზი აღმოვაჩინე... ერთ-ერთ ჩემს დამსახურებად ვთვლი იმას, რომ საქართველოში 2002 წლიდან ხარისხიანი მშენებლობების საკითხი მე წამოვკვირი, მანამდე არასწორი მუშაობა მიდიოდა, უხარისხო მშენებლობებს ჰქონდა ადგილი, ნაციონალები ყურადღებას არ აქცევდნენ მშენებლობის ხარისხს, ბევრი შენობა იბზარებოდა და ინგროდა, ამაზეც პირველად ხმა მე ამოვიღე და სამართლიანადაც. ბევრმა მცოდნემ ყური დამიგდო და გარკვეულწილად რაღაც გამოსწორდა. ამიტომ მიმანია. რომ რაღაც სასიკეთო საქმე მეც გავაკეთე. იმას ვერ ვიტყვი, რომ დიდი მეცნიერი ვარ, მაგრამ რაღაც გამეგება, კვალიფიკაცია მაქვს და ბევრი კარგი საქმე მიკეთებია.

– და მიუხედავად თავმდაბლობისა, მეცნიერება ხომ პრაქტიკაა, თეორია ქაღალდზე გადატანილი?

– კი, მაქვს ჩემი პრაქტიკა. საქართველო ძალიან აქტიური ზონაა სეისმურად. იმ ინჟინრებს, რომლებსაც არ უნახავთ სპიტაკის, რაჭის და ზემო იმერეთის მიწისძვრები, ბევრი აქვთ დაკარგული. მსოფლიოში ბევრმა არ იცის, სანამ შენი თვალით არ ნახავ მიწისძვრა რა საშინელებაა და მის აღდგენაში არ მიიღებ მონაწილეობას, გამოცდილებას ვერ მიიღებ. მე სპიტაკის, რაჭის და იმერეთის მიწისძვრამ უდიდესი გამოცდილება მომცა. გამოგონება მაქვს დაპატენტებული; ობიექტის გაძლიერება სეისმური თვალსაზრისით. ჩემი მეთოდით აშენებული ობიექტი, 20-30-ჯერ უფრო სეისმომდგრადია, ვიდრე ჩვეულებრივად აშენებული. ჩემი მეთოდით მაქვს აშენებული სახლი რაჭაში. იმის შემდეგ მიწისძვრა იყო, მაგრამ ბზარი არა აქვს ჩემ აშენებულ სახლს. რამდენიმე მეგობარსაც აქვს ამ მეთოდით აშენებული სახლი, თუმცა ფართოდ დანერგვას ვერ მივაღწიე.

– ადრეულ ასაკში ხატვას გატაცება შეარქვით. დღეს მხატვართა კავშირის წევრი ბრძანდებით. ლეგენდარულ ფეხბურთელს მხატვრობაში სპორტული შეღავათი არ სჭირდება და მაინც ხელოვნებაში არის უფრო მეტი წინააღმდეგობები, ვიდრე სხვა სფეროებში. გაიხსენეთ ყველაზე მეტად სასიხარულო და ყველაზე მეტად გულდასაწყვეტი ფაქტი.

– ჩვენ დროს ასე იყო, ხატვას ყველას გვასწავლიდნენ. სკოლაში ერთ-ერთი საგანი იყო ხატვა. ხატვის მასწავლებელმა ერთხელ გამიყვანა დაფასთან და მითხრა; აბა, დახატეო სოფელი ცარციოთ. მეც წარმოვიდგინე ჩემი რაჭის სოფელი და დავხატე, ვითომ თოვლი მოდის. შორიდან რომ შეხედა მასწავლებელმა და ბავშვებმაც, გაუკვირდათ, ეს რა კარგი რაღაცეები დახატაო. გამიხარდა. ბავშვობაში მქონდა მიდრეკილება და ხუთიანი მყავდა ხატვაში, ხაზვაშიც ხუთები მყავდა. მერე ინსტიტუტში გამომადგა, როგორც მშენებელს, ხაზვასაც გვასწავლიდნენ, ხატვასაც. ეტყობა მქონდა მისწრაფება ხატვისადმი, შემდეგ გაღრმავდა ეს მისწრაფება, როდესაც იმპრესიონისტების ნახატები ვნახე. როცა პოპულარული ფეხბურთელი ვიყავი, რამდენიმე მხატვარმა დახატა ჩემი პორტრეტი. იმ პერიოდში მეც დავიწყე. ცვადა ზეთის საღებავებით ხატვა. პირველივე ჩემი ზეთის საღებავით შესრულებული ნახატი, ჩემ ძმაცაც ძალიან მოეწონა, იური მექვაბიშვილს – თუ ძმა ხარ, მანუჩარ, დაიწყეო ხატვა! მისი რჩევით შევიძინე ფუნჯები, ზეთის საღებავები, ტილოები და დავიწყე. ეს 40 წლის წინანდელი ამბავია.

უამრავი მიმდინარეობაა ხატვაში, ეს ძალიან სუბიექტურია. არიან დიდი მხატვრები, სიცოცხლეში აღიარებას ვერ მოესწრნენ, გარდაცვალების შემდეგ გენიოსებად აღიარეს. მე მიყვარს ხატვა. ხშირად ვმუშაობ, შემიძლია ნატურაში ხატვა, წარმოსახვით, ბევრს მოსწონს, ბევრს არ მოსწონს... ქართველებს ფერწერაში ბევრი კარგი მხატვარი გვყავს, გასაკვირიც არ არის, იმიტომ, რომ საქართველოში ისეთი გარემოა, ისეთი გეოგრაფიული მდებარეობა, ბევრი სითბო, ბევრი ფერებია, სწორედ ბუნებაც გეხმარება. ჩრდილოეთში უფრო ნაკლები ფერებია, ინტენსიური. ფერწერა უფრო სამხრეთის მხარესაა განვითარებული. საქართველოში ბევრი მაღალი დონის მხატვარია. ჩემი ოცნება და ისყვარული, მაინც იმპრესიონიზმია, ფრანგული სკოლა. ისინი მართლა გენიოსები იყვნენ.

– საქართველოში, დღეს თითქმის ყველა ხვდება, რომ პოლიტიკა არის თამაში, მანუჩარი პოლიტიკოსიც შეიყვარა ხალხმა, დეპუტატობისას. ეს შეკითხვა საყვედურივით არ მინდა ჟღერდეს... რამ წაგიყვანათ პოლიტიკაში?

– რამ წამიყვანა? 90-იან წლებში რომ დაიწყო ეროვნული მოძრაობა და საქართველოს სწრაფვა, სხვა რესპუბლიკებთან ერთად, თავისუფლებისაკენ, ამან ჩემზეც იმოქმედა. ადრეც აღვნიშნე რომ ჩვენ ვერ ვეგუებოდით იმ მდგომარეობას, რაშიც საქართველო იყო, ქართველი ხალხი. მე ამის შესახებ ჩემ წიგნშიც ვწერდი; "ერი და თანამედროვეობა", რატომღაც ავიწყდება ხალხს, ყოფილ კომუნისტებს (რომელთაგან ბევრი პარტიოტიც იყო), მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით: საბჭოთა იმპერიაში გადაწყვეტილი ჰქონდათ, რომ მთელ კავშირში შემავალი ხალხების ასიმილაცია მოეხდინათ. შეგნებულად მუშაობდნენ იმაზე, რომ ეს სხვადასხვა ხალხი ერთმანეთში აერიათ და შეექმნათ ახალი ერი, რუსულ ნიადაგზე, რომლის ენა იქნებოდა რუსული. ეს არ არის დასამადი, მაგრამ რატომ მაღავენ, ეს გაუგებარია. ხომ იყო გეგმა რომ უნდა შექმნილიყო ახალი ერი, გამქრალიყვნენ სხვა ეროვნებები. თუ ვინმეს ეჭვი ეპარება წაიკითხოს "მეცნიერული კომუნიზმი". მარტო ქართველები კი არა, ამას ვერც სხვა ეროვნებები ეგუებოდნენ. ყველა ერს უნდოდა თავისი ეროვნულობის შენარჩუნება: უზბეკებს, ყაზახებს, ტაჯიკებს, ქართველებს, სომხებს, აზერბაიჯანელებს – ეს იყო ბუნებრივი მოთხოვნა, და ამაზე გადარევა არ შეიძლება. მარტო ქართველები კი არა, ყველა თავს იცავდა.

ჩვენთვის ის ასიმილაციის მცდელობა ახალი არ იყო, ირანი, თურქეთი სულ ამას ცდილობდნენ. თურქებმა სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე მოახერხეს ის, რომ ადგილობრივი ქართველობა გაათურქეს. ენა დაავიწყეს. ფერეიდანში გადასახლებულებსაც უკრძალავდნენ ქართულ ენას, ქართული წიგნების შენახვისთვის ხოცავდნენ. ასე, რომ ქართველებზე შემოტევა ახალი არ არის, ასე იყვნენ თურქებიც, რუსებიც.

ჩვენ ჩავერთეთ, მოლიანად, საბჭოთა კავშირში მიმდინარე პროცესებში, ყველა ერმა პროტესტი განაცხადა, ყველას ეროვნულობის შენარჩუნება უნდოდა. საბჭოთა კავშირის დაშლის ინიციატორი არ იყო მარტო საქართველო, თვითონ რუსეთიდან წამოვიდა პლურალიზმის დანერგვის საჭიროება. გორბაჩოვმა განაცხადა კომუნისტური პარტია არ უნდა ყოფილიყო წარმმართველი ძალა. ჩვენც ეროვნულ ფერხულში ჩავებით. მეც მივიღე ამაში მონაწილეობა და გაეთავისუფლდით, მაგრამ წავიდა ეს მანქანა და მოვიდა ვიღაც ახალი. ჩვენ მოვიყვანეთ გამსახურდია, მაგრამ გამსახურდია ჩამოაგდეს და მოვიდა მოქკავშირი და ნაციონალური მოძრაობა, რომლებმაც იგივე მონინდომეს, რაც რუსებს უნდოდათ, ოღონდ ახლა მაგათ მონინდომეს არა გარუსება, არამედ, რაღაც ახალი ერის შექმნა, ამისი ორგანიზატორი იყო სააკაშვილი. ასე, რომ, ჩვენთვის არაფერი შეცვლილა, ადრე თუ გვეუბნებოდნენ რუსული ისწავლეთო, ქართველების ენა ძაღლის ენააო, ეხლა ძაღად განათლებული ნაციონალები ამბობენ ინგლისურს თუ არ ისწავლით, დიპლომს ვერ მიიღებთო. ამას ქართველები ვერ შევეგუებით. საუკუნეების მანძილზე ებრძოდნენ ქართულ ენას, წავიკითხეთ ლეონტი მროველი რას წერს “ქართლის ცხოვრებაში”: ქართული ენა შეიქმნა ექვსი ენისაგანო. (“მეფეთა ცხოვრება”) თითქოს ქართველებმა ერთ მშვენიერ დღეს გადაწყვიტეს ქართულად დაეწყოთ ლაპარაკი და შეექმნათ ენა, ექვსი ენისაგან; სომხური, ასირიული, ებრაული, ხაზარული, ბერძნული... ეს ხომ შეუძლებელია! დღეს რომ მოვინდომოთ, ახალი ენის შექმნა, იმ საუკუნისაგან განსხვავებით დღეს არის სკოლა, ტელევიზია, რადიო, გაზეთი... ეს ხომ ტექნიკურად შეუძლებელია და იმ დროის ქართველებმა როგორ მოხდა, რომ უცებ ქართულად დაიწყეს ლაპარაკი და ენა შექმნეს? ასე, რომ ჩვენ მტრები ყოველთვის გვყავდნენ. სწორედ მაგის გამო დაწერა იოანე ზოსიმემ “ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი”. საერთოდ ყოველთვის ენას ებრძოდნენ: არაბები სპარსელები, მონგოლები... მაინცა და მაინც ენაზე იყო ზეწოლა. ახლაც ასე გაგრძელდა. ქართული ენის წინააღმდეგ გაჩაღდა ბრძოლა. ქართულის მოსპობა უნდათ!

აი, ამიტომ მოვხვდი პოლიტიკაში!

95 წელს, როდესაც პარლამენტის წევრად ამირჩიეს, მაშინვე გადავედი ოპოზიციაში, მოქკავშირის ბანდის წინააღმდეგ. იმ 94-95 წლებიდან დაიწყო გენოციდი ქართველი ერის წინააღმდეგ. შეგნებულად ხდებოდა; მრევველობის, სოფლის მეურნეობის განადგურება. ქართულ ტრადიციებთან, ეროვნულ ცნობიერებასთან ბრძოლა. ეროვნების წაშლა პასპორტებიდან... ამან 15 წელი გასტანა და სააკაშვილმა ახალი ერის შექმნა მონინდომა. ყველას პატივს ვცემთ, მაგრამ ყველაზე მეტად გვიყვარს ჩვენი ერი. საერთაშორისო თანამეგობრობის კანონებით, ყველა ერს აქვს უფლება დაიცვას თავისი ტერიტორია, ეროვნული თვითმყოფადობის ნიშნები: ენა, რელიგია, კულტურა და ტრადიციები.

– **შემდეგი შეკითხვა სწორედ აქედან გამომდინარეობს. უახლოეს ხანებში, პატრიოტთა ალიანსში გიხილეთ. აქ შიხრად ისმის მტკივნეული საკითხი. შოთა ნიშნიანის სიტყვით: “სტუმარს არათუ პატივი ვეცით, აქ ყველა მასპინძელივით ცხოვრობს...” ნორმალურია ქვეყანა, სადაც სტუმარი მასპინძლობს? უნდა ვისაუბროთ ამაზე, თუ ნიღბების მიღმიდან ვიღიმილოთ, როგორც მიღებული იყო?**

– ეხლა მთელ მსოფლიოში არის ტენდენცია, რომ ეს დედამიწა ყველას ეკუთვნის, ყველას სამშობლოა, და სწორიკაა, მართლაც ყველას სამშობლოა დედამიწა. გეუბნებიან რომ შენს სამშობლოში რა უფლებებიც გაქვს შენ, მეც ის უფლებები მაქვს. მაგრამ რატომღაც საქართველოში ეს ძალიან მკაცრად არის გამოხატული. ვინ მოგვცემს ჩვენ სხვა ქვეყანაში იმდენ უფლებას, როგორც ჩვენ ვაძლევთ სხვა ეროვნების ადამიანებს? მაგრამ ზეწოლა ქართულ, ეროვნულ ცნობიერებაზე რას ნიშნავს? ამას ვაპროტესტებთ. ეროვნული უმცირესობები ჩვენთან ისეთ პრივილეგიებულ მდგომარეობაში არიან, როგორც არცერთ ქვეყანაში. დიასპორები ეროვნული უმცირესობების დონეზე აგვიყავს, აქვთ საკუთარი სკოლები, საკუთარ ენაზე თეატრები, პრესა ტელევიზია, ამას გაგება და დაფასება სჭირდება. ამიტომაც ვიყავი პოლიტიკაში... და დღესაც ვცდილობ პოლიტიკაში ვიყო, რომ ჩემი სიტყვა ვთქვა.

– **“პოეტები მხოლოდ ქაღალდზე სიტყვებით მოლაპარაკენი როდი არიან. პოეტური თვალთ, პოეტური გულით და დიდი ოცნებით გასხივისნებული სხვაც ბევრი დადის დედამიწაზე” – გურამ რჩეულიშვილის ეს სიტყვები თქვენზეცაა თქმული.**

– პოეზია ძალიან მიყვარს. ჩემი საყვარელი პოეტები არიან: გალაკტიონ ტაბიძე, ტერენტი გრანელი, ლეონიძე, ნიშნიანიძე, გურამიშვილი... ბევრი, მაგრამ პოეტების მეფე საქართველოში არის შოთა რუსთაველი. ყველა პოეტს თითო სუსტ ლექსს მოუძებნი. აი, რუსთაველის ამხელა პოემაში, ერთ სტროფს ვერ ნახავ, სუსტი იყოს. გადაშალეთ და ნებისმიერი წაიკითხეთ, ერთი სუსტ ადგილს ვერ ნახავ. რა გენიოსი იყო!

– **ჩვენ ათეზმით დაავადებულ სამყაროში ვიცხოვრეთ. არ არსებობდა და გვენატრებოდა მოქმედი ეკლესიები. დღეს როგორია მანუჩარის სულიერი ცხოვრება, თვლით თუ არა თავს ეკლესიურად?**

– ძალიან ახალგაზრდა ვიყავი, როდესაც, ისე, როგორც ბევრ ადამიანთან, ერთ მშვენიერ დღეს, ჩემთანაც მოვიდა შეკითხვა; ეს ქვეყანა თავისით შეიქმნა თუ ვიღაცამ შექმნა? ანუ ღმერთი

არსებობს თუ არა? მაშინ ბავშვობიდანვე გვინერგავდნენ, რომ რელიგია არის საშინელება, მღვდლები მატყუარები არიან და იტყუებიან, რომ ღმერთი არსებობს, იმკვენიური ცხოვრება არსებობს... შემდეგ რაც უფრო შევიმეცნე ეს სამყარო, მათი შეხედულება სულ უფრო მიუღებელი გახდა. გვასწავლიდნენ: მეცნიერულ კომუნიზმს, ათეიზმს, ისტორიულ მატერიალიზმს... სულ ხუთები მყავდა, მაგრამ ვგრძობდი, რომ სიცრუეში ვიდებდი ხუთიანებს, რასაც მასწავლიდნენ ყველაფერი იყო ტყუილი. პარალელურად ხომ გვასწავლიდნენ ფილოსოფიის ისტორიას, მატერიალიზმთან ერთად ძალაუნებურად გადავედი იდეალიზმის შესწავლაზე. რაც უფრო ღრმად დავიწყე შესწავლა, დავრწმუნდი, რომ მატერიალიზმი არის ცრუ მოძღვრება და სიმართლე სადღაც იდეალიზმის სკოლებში უნდა ვეძებოთ. 19-20 წლისას ხელში ჩამივარდა არისტოტელეს “მეტაფიზიკა”, მაშინ ფეხბურთს ვთამაშობდი, “დინამოში” ვიყავი, გავოცდი. პირველად, მე კი არა, იბნ რუშდ ავეროესი წერს; პირველად არისტოტელეს “მეტაფიზიკა” რომ წავიკითხე ვერაფერი ვერ გავიგეო, მეორედაც ვერაფერი გავიგე, აი მესამეჯერ რომ წავიკითხე, მაშინ მივხვდი, რა გენიოსი იყო-ო. მეც ასე დამემართა, მაგრამ იბნ რუშდი თუ მესამე წაკითხვაზე მიხვდა, მე მეათე წაკითხვაზე მივხვდი, ვინც იყო არისტოტელე. დღეს, ასე თუ ისე, ვიცნობ ფილოსოფიის ისტორიას, ფილოსოფიური წიგნები ჩემი სამაგიდო წიგნებია. ანაქსაგორა, სოკრატე, პლატონი, არისტოტელე, ანსელ კელტენბერიერი, დეკარტე, სპინოზა, ჰეგელი, დემოკრიტე, ეპიკურე, პითაგორა – მათ შემდეგ ახალი აღმართები თქმულა. ფილოსოფოსად მე ვთვლი იმ ადამიანს, ვინც ახალ სიტყვას იტყვის, დღეს რომ ფილოსოფოსებს ეძახიან, ისინი ფილოსოფიის ისტორიის მცოდნენი არიან. ახალს ვედარავენ იტყვის, რადგან ყველაფერი ნათქვამია. დღეს დაამტკიცა მეცნიერებამ მატერიალიზმის უსუსურობა და იდეალიზმის უპირატესობა. მეცნიერულად დამტკიცდა, რომ ღმერთი არსებობს. აი უბრალო მაგალითი: დემოკრიტეს მოძღვრებიდან – როგორ შეიქმნა სამყარო. იყო სიცარიელე და იყო ატომები, ამ სიცარიელეში ატომები მოძრაობდნენ ზემოდან ქვემოთ, სიმძიმის მიხედვით. მძიმე ატომები ჩქარა მოძრაობდნენ, მსუბუქები ნაკლებად. მძიმე ატომი თავისი სიჩქარით დაეჯახა მსუბუქს და დაიწყო მოძრაობა, ამ მოძრაობამ შექმნა სამყარო და სიცოცხლე. ამ მოძღვრებას მაშინვე დახვარი ჩასცა არისტოტელემ. მან თქვა: თუ დავუშვებთ რომ სიცარიელეში მოძრაობენ ატომები, მაშინ სიცარიელეში სხვადასხვა მასის ატომები ერთი სიჩქარით იმოძრაებენ და დაჯახება არ მოხდება. ეს გენიალური იყო. როდის მიხვდა არისტოტელე! მერე დამტკიცდა მეცნიერულად, რომ ვაკუუმში სხვადასხვა მასის საგანი ერთი სიჩქარით მოძრაობს. ერთი საუკუნის შემდეგ დემოკრიტეს მოსწავლე, ეპიკურე, მიხვდა თავისი მასწავლეველის შეცდომას და რომ გაემართლებინა, შემთხვევითობა დაუშვა. დღეს მეცნიერები იმ აზრზე მივიდნენ, რომ სამყარო შეიქმნა ვაკუუმისგან, ანუ სიცარიელისგან. მათ გაიმეორეს ადრეულ საუკუნეებში ქრისტიანი მამების მიერ ნათქვამი. ქრისტიანმა მამებმა აჯობეს მეცნიერებს და ფილოსოფოსებს. მათ II – III საუკუნეში განაცხადეს, რომ ღმერთმა სამყარო შექმნა არაფრისაგან, თავისი ნებით. რა განსხვავებაა ვაკუუმისგან შეიქმნა თუ სიცარიელისგან?

დღეს ატომისტიკამ დაამტკიცა, რომ არ არსებობს უსასრულოდ მცირე სიდიდე, რომელზე უფრო მცირე სიდიდე არ იარსებებს. ანუ დღეს მეცნიერებამ ვერ დაიჭირა ის განუყოფელი ერთიანი სიდიდე, ატომი, რომლის დაშლა არ შეიძლება. დემოკრიტეს მოძღვრებაში ერთადერთი განუყოფელი იყო ატომი და ამ ატომისაგან შეიქმნა ყველაფერი. ისეთი სიდიდე ბუნებაში არ არსებობს, რომელზე უმცირესიც არ იარსებებს, ანუ ატომი განუყოფელი არ არსებობს. ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს დემოკრიტეს და მატერიალისტების შეხედულების უსუსურობას. ამიტომ სიმართლე უნდა ვეძებოთ იდეალისტურ ფილოსოფიაში, ანუ ღმერთმა მართლა შექმნა სამყარო. იდეალისტურ ფილოსოფიაში არის სამი მიმდინარეობა: თეიზმი, დეიზმი და პანთეიზმი. თეიზმი ამბობს, რომ ღმერთი ერევა ადამიანების საქმიანობაში, აკონტროლებს მას. დეიზმი ამტკიცებს ღმერთის ჩაურევლობას. პანთეიზმი ამტკიცებს, რომ ღმერთი გათქვეფილია ბუნებაში და ყველაფერი თვითონ ღვთაებაა, რასაც სპინოზა ამბობს. სიმართლე სადღაც აქეთ არის.

დღეს კი რა ხდება? კიდევ წამოვიდა მსოფლიოში ათეიზმის პროპაგანდა. დამტკიცდა, რომ ადამიანების 20-25 % ათეისტია. ქრისტიან ამბობდა, რომ ურწმუნოები ყოველთვის იყვნენ და ყოველთვის იქნებიან. ესეც ბუნების კანონია. არის ადამიანი, რომელსაც არ სჯერა, რომ ღმერთი არსებობს, მაგრამ ყველა მინიშნებით, ლოგიკური აზროვნებით, მაღალინტელექტუალური ადამიანი უნდა მივიდეს იმ დასკვნამდე, რომ ყველაფერი ისე კანონზომიერადაა მოწყობილი, მიზანშეწონილად, რომ მომწესრიგებელი, დემიურგი, მომწყობი, არქიტექტორი ჰყავს, როგორც არისტოტელე გვეუბნება, მეც ამას ვფიქრობ და ამიტომაც მორწმუნე ვარ. ჩვენი ქრისტიანული, მართლმადიდებლური რელიგია ჭეშმარიტებას დალადებს და რელიგია ესმარება ადამიანს, ცხოვრების მოწესრიგებაში. ქრისტიანული მორალური კანონები ადამიანს აჩვენებს იმ გზას, რა წესით უნდა იცხოვროს, რომ იყოს ბედნიერების ღირსი.

კანტი ამბობდა: “მორალი არ არის მოძღვრება იმის შესახებ, თუ როგორ ვიყოთ ბედნიერნი, მორალი არის მოძღვრება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ვიცხოვროთ, რომ ვიყოთ ბედნიერების ღირსი.” ამიტომ მორალი უნდა დაუკავშირდეს რელიგიას. მე ვცდილობ ჩემი რწმენა გავაღრმავო ცოდნით. ყველა დიდი მოაზროვნე მაგას ურჩევდნენ ადამიანებს, რომ თუ შეგეპარა ეჭვი და არ შეგიძლია ბრძალ იწამო ღმერთი, მაშინ ფილოსოფიას უნდა მიმართო. რაც მე დამემართა პატარა ბიჭი რომ ვიყავი, ორთოდოქსალურ მატერიალისტურ სამყაროში, როდესაც მიმტკიცებდნენ, რომ ღმერთი არ არსებობს, მეც ეჭვი მეპარებოდა, მაგრამ შემდეგ იმაში მეპარებოდა ეჭვი, რომ რასაც ისინი ამბობდნენ,

არასწორი იყო. დაეჭვებულმა მიემართე ფილოსოფიას, რამაც დამარწმუნა, რომ ისე არ არის საქმე, როგორც დემოკრიტე, ლენინი და მარქსი ლაპარაკობდნენ. ადამიანის ცხოვრება ასეა, მარადიული ჭიდილი, ეჭვი, მაგრამ იმიტომ არსებობს ღმერთი, იმიტომ არსებობს ეკლესია, ფილოსოფია, რომ ამასში გაერკვეს ადამიანი. მაგრამ სამწუხაროდ ზოგიერთის გონება იმ დონეზე ვერ მიდის. თომა აქვინელი ამბობს: "ყველას კი არ შეუძლია, რომ ლოგიკური აზროვნებით ღმერთამდე მივიდეს"-ო. თუ ვერ მიდის, აქ რჩება ორი გზა; ან არ უნდა იწამოს, არიან ასეთები, ვერავითარ შემთხვევაში ღმერთამდე ვერ მიდიან, ან არის კიდევ ადამიანი, რომელიც ისე იწამებს. ასეა და მარადიულად ასე იქნება, იმიტომ, რომ იმდენი საიდუმლოებაა სამყაროში, რომ ადამიანის გონება ამას ვერ მისწვდება. უსასრულოა რომ ვერ წარმოუდგენიათ, სამყაროს არც დასასრული აქვს, არც დასაწყისი, ამაზე ფიქრმა შეიძლება კაცი შეშალოს. ძველ რომში ფილოსოფია აკრძალული იყო, ადამიანებს რყენისო, ბევრმა თავი მოიკლა, როცა უსასრულობაზე ფიქრობდნენ: - რა აზრი აქვს ცხოვრებას-ო, ასეთ უკიდურესობაში გადავარდნაც არ არის კარგი. რაც უფრო ახლოს ხარ რელიგიასთან, მით უფრო ბედნიერი ხარ, ადამიანი. დამტკიცებულია, რომ მორწმუნე ადამიანი ბევრად უფრო ბედნიერია, ვიდრე ურწმუნო... და ამისი ჩაკვლა როგორ იქნება ადამიანებში? ერთადერთი ნათელი წერტილი ეგაა, იმპერეინური ცხოვრების იმედი. ეპიკურე ამბობდა; ჩემი, ფილოსოფიის მოვალეობა ის არის, რომ ადამიანს სიკვდილის შიში დაგამარცხებინო. ვერ დაამარცხებ იმითი, რომ უთხრა ადამიანს, შენ დღეს ხარ და ხვალ აღარ იქნებიო. მე ვფიქრობ, ვისაც რაღაც დაეჭვება აქვს რწმენაში, მიხედოს ფილოსოფიას, ეს ადამიანს გარკვეულ შეებას მისცემს. თუმცა ადამიანი ინდივიდუალურია და გაამართლებს ეს თუ არა, წინასწარ ვერ განსაზღვრავ. ლევ ტოლსტოისაც ხომ სიკვდილის შიში ტანჯავდა. სიკვდილის შიშს ვერ მოერიდა... და უმდიდრესს, გრაფს, სახელოვან ადამიანს შურდა უბრალო, ლატაკი გლეხების, ვინც უფრო ბედნიერი იყო, იმიტომ რომ მორწმუნე იყო.

- ახლა ყოფიერებაში ჩამოვინაცვლოთ. მახსენდება კოტე მახარაძის სიტყვები "ძმური პასი", როგორი იყო გონა მაჩაიძის საფეხბურთო კარიერა?

- გონა კარგი ფეხბურთელი იყო, ტყუილს ვერ იტყვი. წარმატებებსაც მიაღწია. ჩემპიონიც იყო, საბჭოთა კავშირის თასის მფლობელიც სხვადასხვა ამპლუაში ვიყავით. მას თავისი წვლილი აქვს შეტანილი ქართულ ფეხბურთში, თავისი დონე აქვს. ძმის ქება არ მინდა, მაგრამ ხალხმა იცის... რაც შეეხება პასს, ფეხბურთი ისეთი რამაა, ბევრს ჰგონია, შეგნებულად აძლევ ვიღაცას პასს, ფეხბურთელები გაიგებენ, როდესაც დაძაბული სიტუაციაა და წამის მეასედში უნდა გადაწყვიტო რა გააკეთო, ამ დროს შენ არ გრჩება იმის ფიქრის დრო, ამას მივცე პასი თუ იმას არ მივცე და გამოვარჩიო. სიტუაცია გაარანახობს, წამის მეასედში შეარჩიო კარგი ვარიანტი. წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ ითამაშებ.

- თქვენს ოჯახს იცნობენ, სოციალური ქსელებიდან. ვიცით მეუღლის, შვილების შესახებ... ახლახანს შვილიშვილი, პატარა მანუჩარი მოველინა ქვეყანას. როგორი ბაბუაა დიდი მანუჩარი? გინდათ თუ არა შვილიშვილი ფეხბურთელი გახდეს?

- ფეხბურთი ძალიან ძნელია. ძალიან მიყვარს ჩემი შვილიშვილი. ბებია-ბაბუები რომ მეუბნებოდნენ შვილიშვილი საყვარელიაო, ეხლა მივხვდი თურმე შვილიშვილი რა ყოფილა. ეს რაღაც ძალას გაძლევს და გაახალგაზრდავებს. ასე დაგვემართა მე და ჩემს მეუღლეს. დაიბადა თუ არა ჩემი შვილიშვილი, ესკაესი ვაჩუქე, ანუ კარაბინი. ახლა 8 თვისაა, ვეუბნები ბაბუ, ხომ ვაჩუქე კარაბინი მეთქი და ამაზე ვიცინით. ვაჟკაცი უნდა იყოს ჩემი შვილიშვილი, ალბათ მონადირეც იქნება, ფეხბურთელი, სპორტი ეყვარება, მერე შევხვდავთ საით ექნება მიდრეკილება. ისე სპორტთან აუცილებლად ექნება კავშირი, ფიზიკურად რომ ძლიერი იყოს.

- რას დაამატებდით დღევანდელობის მწვავე პრობლემებიდან? თუნდაც ჩვენი, ქართული, ტრადიციული ოჯახების ფონზე, როგორ ჩანს თავისუფალი ურთიერთობები?

- ეს არის მსოფლიო პრობლემა, ათეისტების შემოსევაა რელიგიაზე და ზნეობრივ ფორმებზე. ერთსქესიან ქორწინებას არცერთი რელიგია არ აღიარებს. ამას ვერ გაამართლებს თავისუფლების ინსტიტუტი, რომ მე თავისუფალი ვარ და რასაც მინდა, იმას გავაკეთებ! ერთი რამ სულ მინდოდა მეთქვა, ადამიანი სამყაროს მბრძანებელი იმითაა, რომ მას აქვს ზნეობრივი კანონები. თუ ამ კანონს მოვუშლით, მაშინ ის იქნება ცხოველთა სამყაროს წარმომადგენელი. ცოცხალი ორგანიზმებია მხეცები, საქონელი... ჯოჯებს, ცხოველებს მორალი არა აქვთ. თუ ადამიანმა დაკარგა ეს მორალი, გახდება ცხოველთა სამყაროს რიგითი წარმომადგენელი. ზნეობა ადამიანის დამახასიათებელია და ამის დაკარგვა არ შეიძლება. ზნეობრივი ნორმები კიდევ გამოდის რელიგიიდან. არის კანონები, რომლებიც იწერება და არის კანონები, რომლებიც არ იწერება. გერმანელმა ფილოსოფოსმა ემანუელ კანტმა, რომელსაც მე ბევრ რამეში არ ვეთანხმები, იმიტომ რომ, მან იერიში მიიტანა საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ, ღმერთის არსებობის დამამტკიცებელ თეორიაზე, კოსმოლოგიური, ტელეოლოგიური და ონტოლოგიური დასაბუთებით, რომელიც დაიწყო; ანაქსაგორამ, პლატონმა, სოკრატემ, არისტოტელემ, ლაიბნიცმა, ანსელ კელტენბერიერმა... ემანუელ კანტმა შეუტია ღმერთის არსებობის დამამტკიცებელ თეორიას და ვითომ დაამტკიცა, რომ ღმერთი არ არსებობს, მაგრამ შემდეგ თვითონ მოგვცა ღმერთის არსებობის ეთიკური დასაბუთება. მან განაცხადა, რომ მსოფლიოს განაგებს ზნეობრივად უმაღლესი არსება ღმერთი და ღმერთი არის უმაღლესი ზნეობა. მას აქვს ასეთი გამონათქვამი: "ორი რამ აფრთხობს სულს, რაც უფრო ხშირად და დაბეჯითებით ვაზრონებ მათზე; ესენია - ვარსკვლავებით მოჭედილი ცა ჩემს ზემოთ და მორა-



ლური კანონი ჩემში.” ანუ, მორალური კანონი თუ არ გაქვს ადამიანს, შენ ადამიანი არა ხარ. ხოდა მორალის წინააღმდეგ ვინც იბრძვის ის არის ათეისტი, ღმერთის მგმობელი, არამორწმუნე და ასეთი ხალხი ვერ გაიმარჯვებს, ასეთ ხალხს უნდათ ადამიანები ცხოველების ჯოგებად გადააქციონ.

ეს არის მსოფლიო პრობლემა და დღეს ხშირად გვეხმის – მართლმადიდებლობას ებრძვიან, მარტო საქართველოში კი არა, მთელ მსოფლიოში ებრძვიან, მარტო ქრისტიანობას კი არა, მუსულმანობასაც ებრძვიან... მაგრამ ადამიანთა მოღვმას ჯოგებად ვერ გადააქცევენ. ღმერთის ნება მაინც გაიმარჯვებს.

– ბატონო მანუჩარ, აკადემიის წევრი ბრძანდებით, რას იტყვით ჟურნალ “ათინათზე” და რას უსურვებთ მას?

– მე ვფიქრობ, რომ ჟურნალი “ათინათი” ძალიან საინტერესო და კარგი ჟურნალია. საინტერესო თემებზეა საუბარი; პოეზია, პროზა, ხელოვნება, მეცნიერება – ყველაფერია. მე ვუსურვებ წარმატებებს, ვუსურვებ,

რომ ჩვენი საქართველო და ხალხი იყოს კარგად, ბედნიერად, ძლიერად... და მარადიულად არსებობდეს ქართველი ერი და საქართველო.

და ბოლოს ბატონ მანუჩარს, პოეზიის დიდ მოყვარულს, ვთხოვთ მისი საყვარელი ლექსი წაგვიკითხოს. ავტორისეული გრძნობით კითხულობს ბატონი მანუჩარი ტერენტი გრანელის გათავისებულ ტკივილს: “დაერჩი ბედის კუთხეში”... “და იწვევს გაცეხას, შორეული ალები”... “ვხედავ უცხო დარბაზებს და სიბნელე მაბრაზებს, რატომ მე არ მაფასებს, თარსი პერიფერია”... მერე ლექსად ამეტყველებული სული გალაკტიონს მისწვდება და მერამდენედ აღიარებს: “ყველა ქართველში ომის ტრფობა ძველისძველია, მეც ასეთი ვარ და ვერავისთვის გამიმხელია”... “სიცოცხლე მიყვარს, უშენოდ ის, ოჰ, რა ძნელია... გამახსენდები და კვლავ ომი მომენატრება”.

უსმენ და გული იმედით ივსება, რადგან, ასეთი პატრიოტული და რაინდული სულის ადამიანების არსებობა იმის გარანტიაა, რომ, როგორც თავად დიდი მანუჩარი გვისურვებს: - მარადიულად იარსებებს ქართველი ერი და საქართველო.



ნორჩი ათინათელები

დიპლომი პოეტ ტერენტი გრანელის შთამომავალ
პროფესორ, ექიმ-კარდიოლოგ მამანტი რობაზასთან.

ანი ჩიტაია – ბატონო მამანტი! საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ერთ-ერთ პრეზენტაციაზე გნახეთ მე და ჩემმა მეგობრებმა. ჩვენ ვართ ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის ჟურნალი „ათინათის“ ნორჩი ათინათელები.

ანი მელაძე – ყველას გაგვიჩნდა სურვილი გაგცნობოდით. ვარჩიეთ გაგსაუბრობოდით და სხვებისთვისაც გაგვეზიარებინა ის საინტერესო ამბები, რასაც თქვენგან მოვისმენდით. ამ სურვილის განხორციელებაში დაგვეხმარა ჟურნალი „ათინათის“ საბავშვო განყოფილების რედაქტორი, ჩვენი 167-ე საჯარო სკოლის ქართული ენის და ლიტერატურის მასწავლებელი, ლამარა გერგედავა.



ანი ჩიტაია – ბევრი რამ მსმენია თქვენზე, პროფესორსა და საუკეთესო ექიმ-კარდიოლოგზე. თქვენ განკურნეთ ჩემი ნათლიის დედა, რომელმაც ურთულესი გულის ოპერაცია გადაიტანა. თქვენი პაციენტი იყო ჩემი დედიკოც. დვთის წყალობითა და თქვენი დახმარებით, ორივე თავს კარგად გრძნობს, რისთვისაც მადლობას მოგახსენებთ, მაინტერესებს როდის და რატომ გადაწყვიტეთ კარდიოლოგობა?

კარდიოლოგობა დედის ავადმყოფობამ გადამაწყვეტინა, მას გული სტკიოდა. ის ადრეულ ასაკში გარდაიცვალა.

ანი მელაძე – ვიცით, რომ ბევრი პაციენტი გყავთ, სამედიცინო უნივერსიტეტშიც ლექციებს კითხულობთ, როგორ ასწრებთ? თავისუფალი დრო თუ გაქვთ? მედიცინას ხომ ბევრი წაკითხვა სჭირდება.

- რა თქმა უნდა, მედიცინას ბევრი კითხვა სჭირდება, თავისუფალი დრო კი ჩემს ტოლ კაცს არც უნდა ჰქონდეს. ლექციებს ვკითხულობგეომედიის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე.

ანი ჩიტაია – ბიოლოგიის შესწავლა წელს დაგიწყეთ. საგანს გვასწავლის ქალბატონი ნელი თუთბერიძე. მართალია, კარგად ვსწავლობთ, მაგრამ ცოტათი გაგვიჭირდა სამედიცინო ტერმინების დამახსოვრება. თქვენი პროფესიიდან გამომდინარე, რას გვირჩევდით, მეტი მოვინდომოთ და გავყვეთ მედიცინას?

ღიას, ბიოლოგია არც ისე მარტივია. ეს ხომ ყველაფერია – მედიცინის საწყისია. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში მედიცინა პრობლემურია, რადგან სახელმწიფოს არ აქვს საშუალება, რომ მომსახურება უფასო იყოს. თქვენ ახალგაზრდებს, თუ გაქვთ სურვილი ექიმები გახდეთ, მეტი დრო უნდა დაუთმოთ ბიოლოგიის შესწავლას.

ანი მელაძე – რას გვეტყვოდით თქვენს ოჯახზე? თქვენი შვილები გაყვნენ მამის პროფესიას?

მე მყავს მეუღლე და ორი შვილი, გოგონა სტუდენტია, ვაჟი კი სკოლაში სწავლობს, შემდეგ ვნახოთ რა პროფესიას აირჩევენ.

ანი ჩიტაია – უფროსების თქმით, ახლანდელი თაობა ზედმეტად თამამები ვართ. გვანტერესებს თქვენი აზრი, როგორც ლექტორისა, თქვენც ასე ფიქრობთ?

ჩემს ბებიას, ქალბატონ ზოზია კვიციანიას, დაუსვეს ასეთი კითხვა: მართალია თუ არა თქვენი ძმა ძალიან ამაყიაო. მან უპასუხა, მისი სიამაყე თავისივე გონების შესაბამისიაო, ჩემი აზრით, სითამამეც აუცილებელია.

ანი მელაძე – თქვენ ტერენტი გრანელის შთამომავალი ხართ, რა შეგიძლიათ – გვიამბოთ მასზე?

მამო და ზოზია, ტერენტი გრანელის დები იყვნენ. ტერენტი იყო ძალიან კეთილი პიროვნება. უსახდვროდ შეეყვარებული თავის ოჯახსა და სამშობლოზე.

ანი ჩიტაია – გრანელისადმი მიძღვნილ საღამოზე, პოეტმა-აკადემიკოსმა, ბატონმა სერგო ლომაძემ, წამაკითხა ჟურნალი „ათინათში“ გამოქვეყნებული ტერენტისადმი მიძღვნილი რამდენიმე ლექსი. მას შემდეგ ვეცნობი მის შემოქმედებას. გავიგე, რომ თქვენ გრანელის ლექსები თითქმის ზეპირად იცით. ეს მართალია?

ღიას, ეს ასეა. მისი ლექსები ზეპირად ვიცი. თქვენ შესანიშნავად წაკითხეთ გრანელისადმი მიძღვნილი ნაწარმოებები ერთ-ერთ საღამოზე. იცით, რომ მასზე ლექსები 1919 წლიდან გამოჩნდა და ამის შემდეგ ძალიან ბევრია დაწერილი. უნდა გამოგვეცა, მაგრამ ტექნიკური მიზეზების გამო შეფერხდა. მომავლისთვის ამას, ალბათ, შეგძლებთ, ახალგაზრდობა მას დიდ თავყანს სცემს და კიდევ იქნება მასზე ლექსები.

ანი მელაძე – ტერენტის ნამდვილი გვარია ფკვირკველია. გრანელი კი ფსევდონიმია, რაც უცხო ენაზე მარცვალს ნიშნავს. საინტერესოა, რატომ მარცვალა?

არსებობს სხვადასხვა ვერსია: ერთ-ერთის მიხედვით ტერენტი, თითქოს, თავის თავს მარცვალს, გრანელს, უწოდებს. მეორე ვერსიით, თითქოს ის შეყვარებული იყო მსახიობ ქალზე, რომლის გვარი გრანელი იყო, მაგრამ ეს არ არის სწორი. ჩემი და სხვების შეხედულებით წალენჯიხაში, პოეტის იუბილეზე, გამოითქვა აზრი, რომ ეს უკავშირდება გრაალის თასს, მის სიწმინდეს. მისი პოეზია და თვითონ პოეტიც ისეთივე წმინდაა, როგორც ეს თასია, რაც მისი ცხოვრების მთელ შემოქმედებას და პირად ცხოვრებას ნათელ ზოლად მიჰყვება.

ანი ჩიტაია – ვფიქრობ, ტერენტი გრანელსა და ფიროსმანს ბევრი საერთო ჰქონდათ. რადგან ორივემ მძიმე ბავშვობა გადაიტანა. ახალგაზრდობაში ფიროსმანი მოცეკვავეზე იყო შეყვარებული, გრანელი-მსახიობზე. ერთი სურათს ხატავდა, მეორე ლექსს უძღვნიდა. ვერცერთი ვერ ახერხებდა თავისი შემოქმედების ნიმუშების გამოქვეყნება-გაყიდვას, მატერიალურადაც უჭირდათ. ისინი ადრეულ ასაკში მივიწყებულები გარდაიცვალნენ და ბევრი სხვა. თქვენ რას იტყვით ამაზე?

შედარება ძალიან კარგი იყო, რადგან ორივე ინდივიდუალურად გენიალურ დონეზე ამადლებული საქმიანობით, რაც შეეხება სიყვარულს, ტერენტის ნამდვილი გატაცება იყო დადიანების ქალი და არა ვინმე მსახიობი, რომელსაც გვარი ჰქონდა გრანელი.

ანი მელაძე – მისი ბიოგრაფია გვამცნობს, რომ ტერენტი მარტოსული და მიტოვებული გარდაიცვალა. სად იყო ამ დროს მისი ოჯახი, მისი დები?

ეს ძალიან კარგი კითხვაა, დები ყოველთვის იყვნენ მის გვერდით, ამაზე მოთხრობილია ჩემს წიგნში „სულის ბორკილები“. ტერენტი ყველაფერს აკეთებდა, რათა დაეცვა თავისი ოჯახი, დები, ბოლშევიკებისგან და ასევე დაეცვა ერთადერთი დისშვილი ელენე (უნა) კვარაცხელია, დედაჩემი. მან ზოხიას უსაყვედურა, როცა მასთან იყო, ჩემთან რა გესაქმება, წადი, ბავშვს მიხედ, თორემ შეიძლება ისიც დაგვარგოთო. სწორედ ამის შემდეგ, დედა მუდმივად ბებიასთან იყო.

ანი ჩიტაია – ინტერნეტით დავათვალიერეთ გრანელის სახლ-მუზეუმი, რომელიც წალენჯიხაშია. გვინტერესებს, ეს ის ადგილია, სადაც თვითონ დაიბადა? ან ვინ მოახერხა მისი რესტავრაცია ასე ლამაზად?

სწორედ ეს ის ადგილია, სადაც ტერენტი გრანელი დაიბადა და გაიზარდა. მისი სახლ-მუზეუმი რესტავრირებული იქნა ადგილობრივი ახალგაზრდობისა და ინტელიგენციის მეშვეობით, ძირითადად, ადგილობრივი ხელმძღვანელობის მიერ. 1987 წელს ახალგაზრდა რაიკომის მდივანის, რაულ ჯახიას, ხუტა ბერულავას, ელიზბარ უბილაავას ძალისხმევით მიღწეული იქნა შეთანხმება, მაშინდელ ცეკას მდივან ჯუმბერ პატიაშვილთან, გახსნილიყო მუზეუმი და გრანელი დიდუბის პანთეონში გადმოესვენებინათ, ოჯახთან შეთანხმებით. თუმცა, ეს მოლაპარაკება დაირღვა და ის გადმოსვენებული იქნა ოჯახის გარეშე, რასაც საზოგადოების დიდი ხმაური მოჰყვა.

ანი მელაძე – რატომ მოხვდა გრანელი ფსიქიატრიულში? დაავადებული იყო?

ის რომ ტერენტი ფსიქიატრიულში თავისი ავადმყოფობით მოხვდა, ეს არ არის მართალი. მას არანაირი დაავადება არ ჰქონდა, სულიერად დაავადებული ავადმყოფები ასეთ ლექსებს ვერ წერენ. ეს მოხდა იმ დროს, როცა საქართველოს ძალიან უჭირდა, ქვეყანა მძიმე მდგომარეობაში იყო. სამშობლოზე თავდადებული გრანელი იქ მოხვდა, რათა გაეჩუმებინათ, იმდროინდელ უსამართლობაზე ხმა არ ამოეღო. ეს ფაქტიც გადმოცემული მაქვს წიგნში „სულის ბორკილები“, რომლის მეორე გამოცემა მალე დაიბეჭდება.

ანი ჩიტაია – გავოცდი, როდესაც წავიკითხე მხატვრისა და შემოქმედის, ბატონი რეზო ადამიას სტატია „მწერლის გახეთში“, სადაც დაბეჭდილია პოეტის რამდენიმე გრაფიკული ნახატი. მას გამოყენებული აქვს გეომეტრიული ფიგურები. სტატიაში ბატონი რეზო გრანელს მოიხსენიებს მსოფლიოში უდიდესი მხატვრების გვერდით, უწოდებს „კოსმიურს, უცნაური ნიჭისგან აწიოკებულს, რომელმაც შექმნა კოსმიური გოდების პოეზია და მხატვრობა“. რას იტყვით ამაზე? ეს ნახატები ხომ თქვენი მოძიებულა?

ჩემ მიერაა მოძიებული ნახატები, მე ვაჩვენე ბატონ რეზო ადამიას. მინდოდა მისი, პროფესიონალი მხატვრის, აზრი გამეგო. ის თავისი საქმის დიდოსტატია და შესანიშნავად შეძლო ამ ნახატებზე აზრის გადმოცემა. დიდი ხანია ცნობილია, რომ ტერენტი შესანიშნავად ხატავდა არა მარტო გრაფიკულს, არამედ ფერადსაც, რომლებიც, სამწუხაროდ, დაკარგულია. პოეტი თავის ნახატებს უძღვნიდა დედას. მინდოდა ეს ნამუშევრები მუზეუმის გახსნისას ყოფილიყო. მამამ (ალექსანდრე-ბოჩო როგავა) უარი თქვა, რადგან შესაძლებელი იყო მათი დაკარგვა და მის წინააღმდეგ გამოყენება, რადგან ნახატებში გადმოცემულია თუ როგორ აწამებდნენ. აი, ნახეთ ერთ-ერთი ნამუშევარი, აქ მარტო ოთხი თითია დახატული, იქვე მოჩანს ელექტრო მავთულები და თითებზე ხუნდები...



ანი მელაძე – ვიცით, რომ თქვენ ისევ აგრძელებთ ძიებას გრანელის შემოქმედებისა. კიდევ ხომ არ ჩავივარდათ ხელში მისი ლექსი ან რაიმე ჩანახატი.

რა თქმა უნდა, ვაგრძელებ მისი შემოქმედების ნიმუშების მოძიებას, ბევრი განადგურებულია და ბევრიც-დაკარგული. მაქვს ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი ლექსები და გადმოგცემთ თქვენი ჟურნალისთვის.

შთამომავალი შორეული რიცხვის
სურამი იმის ბრალია, ღმერთს რომ შენობით მიემართავ,
და რომ ჩემს ღვთიურ ნაპერწკალს-ივერიისკენ წარვმართავ!
სურამი იმის ბრალია, რომ აღარ ვიყმე ავსული,
რომ აღარ დავთმე ბრძოლაში, სახელოვანი წარსული...
სურამის იმის ბრალია სხვანაირს ვხედავ მომავალს,
სურამი იმის ბრალია, რომ არარ ვეყმე წარმავალს!

.....
ისიც შენობით მიბრუნებს, აწმყოზე მესაუბრება,
სურამი ჩემი ძეგლია,
შენს წამებაზე ნაშენი,
სურამი კაცხის სვეტია
გაიგებს ყველა ქართველი
.....
უფალი ისევ მიღიმის...
შენც გაგიღიმებს იცოდე!

სინამდვილეში ვინ იყო ტერენტი გრანელი და მისი ნაშრომები სრულად, რომ გამოქვეყნდეს, ალბათ, კიდევ ოცდაათი წლის შემდეგ იქნება შესაძლებელიო, გვითხრა ბატონმა მამანტიმ. საუბრის ბოლოს კი მივვითითა, აუცილებელი არ არის ჩემზე დაწეროთ. თქვენ ყურადღება ტერენტის შემოქმედებას მიაქციეთ. ის ბევრად საინტერესოა, რადგან მასზე ბევრია დასაწერი და რაც დაიწერა შესასწორებელიაო.

ანი ჩიტაია – უღრმესი მადლობა, ბატონო მამანტი, ჩვენთან სასაუბროდ დრო რომ გამონახეთ. ჩვენ კი ჩვენი სკოლის „ათინათელების“ სახელით და ხელისმწვერით, სამახსოვროდ გადმოგცემთ ტერენტი გრანელის ლექსების კრებულს და წმინდა გიორგის ხატს.

საჩუქრებისთვის უღრმესი მადლობა. ეს ხატი ჩემს კაბინეტში დაიდება და სულ მექნება. გი-სურვებთ წარმატებით გველოთ ცხოვრების გზაზე, დაგეფასებინოთ ქართული მწერლობა, გყვარებოდეთ სამშობლო და თავისუფლება.

ინტერვიუ ჩაიწერა ქ. თბილისის 167-ე საჯარო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე ლუკა შედანიამ

ინტერვიუ პრეტ ერეკლე სალიანთან

მოგესალმებით, ბატონო ერეკლე, მე ვარ ლუკა შედანი - „ნორჩი ათინათელი“, მსურს რამდენიმე შეკითხვა დაგისვათ:

– ბატონო ერეკლე, გაგაცანით თქვენი თავი . . .

– მოგესალმები . . . სიკეთე მინდა გისურვო. რაც შეეხება ჩემი თავის შეცნობას, დღემდე ვცდილობ და ვხვდები, რომ ეს ყველაზე რთულია, ამას თუ შესძლებს ადამიანი, ეს იმას ნიშნავს, რომ სამყაროსეულ საიდუმლოებებსაც შეიცნობს... დაემსგავსება მფარველ ძალებს... უფაღს, რომელმაც სამყაროში მოგვაველინა ჩვენ; ყველა ადამიანი უნდა ცდილობდეს, მიუახლოვდეს მას . . .

– თურმე, ბავშვობაში, ძალიან გიყვარდათ კითხვა. ამბობენ, ნიჭიერები ცელქები არიანო, თქვენ როგორი იყავით ბავშვობის წლებში ?

– კითხვა ძალიან მიყვარდა, მაგრამ ამას არ ეწირებოდა ჩემი სილაღე. ბედნიერი წლები მქონდა, დღევანდელი ბავშვები კი ძალიან მეცოდება, მიმანია, რომ ისინი (რომლებიც 5 წლის ასაკში სკოლაში მიიყვანეს) ბავშვობაწართმეულები არიან.

ეგზიუპერის სიტყვებია: „ჩვენ მოვდივართ ჩვენი ბავშვობიდან“, ბავშვური უშუალობა დაკარგა დღევანდელმა სამყარომ.

ბევრი უნდა ვიკითხოთ. ადამიანი საინფორმაციო საშუალებების სიმრავლემ მოწყვიტა წიგნს, თუმცა, მარტო კითხვა არ კმარა, უნდა იფიქრო და გაანალიზო წაკითხული, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელში შეგვრჩება „წიგნუშკა“, რომლის აზრს, სიტყვას, სასიცოცხლო მნიშვნელობა არ ექნება.

მადლობა ღმერთს, რომ ჩემს შემთხვევაში ცელქობა და კითხვა ურთიერთშეთანხმებით ხდებოდა. ვიყავი ცელქი და მოუსვენარი, ყველა სკოლა ცდილობდა თავიდან მოვეშორებინე, თუმცა, ჩემი ნიჭიერებისა და ბეჯითობის გამო გაშვებაც ენანებოდათ.



ბატონო ერეკლე, რა ასაკიდან დაიწყოთ ლექსების წერა?

– თქვენ წარმოიდგინეთ, 6 წლის ასაკიდან, სკოლაშიც კი არ ვიყავი. ერთხელ ჩემი პატარა ბიძაშვილი ავატირე, გუნდა ვესროლე - დმერთმა გაანათლოს ბიცოლახეში, კატო სადლიანი, არაჩვეულებრივი ქალბატონი - დამხვდა შოლტით ხელში და ზედ დამაცვითა; სწორედ ეს შემთხვევით გამოწვეული შურისძიება დაედო საფუძვლად ჩემს პირველ ლექსს, ბიცოლახემ მივუძღვენი ის. სხვათაშორის, მერე მეუბნებოდა: ხომ დაგაწყებინე ლექსების წერაო.

– იქონია თუ არა გავლენა თქვენს შემოქმედებაზე იმ ფაქტმა, რომ მთაში დაბადებული და გაზრდილი ბრძანდებით?

– რასაკვირველია, იქონია. მე სასწაულს, საოცრებას ვუცქერდი ჩემი სახლის კარმიდამოდან. ვუყურებდი უშბას, იქიდან ჩანს კავკასიონის ყველა ხუთი ათასიანი მწვერვალი, იალბუზისა და მყინვარწვერის გარდა. ჩვენი ყოფილი რაიკომის მდივანი, ცხონებული სოსო კარტოხია იყო ჩვენთან სტუმრად და მამახემს უთხრა: „დიდი საქმე ლექსებს თუ თხზავთ შენ და ერეკლე. ისეთ ადგილას ცხოვრობთ, აქ მეც დავწერდიო“. მარტო ბუნებამ კი არა, გავლენა იქონია იმ ზნეობამ, კოდექსებმა, რომლებიც შემონახულია მთაში და სამწუხაროა, რომ როგორც სხვაგან, იქაც თანდათან იკარგება.

სოფლის ტრადიცია ასეთი იყო: სტუმარს მასპინძელი თუ არ დახვდებოდა, სოფელი მასპინძლობდა, სხვაგვარად ეს, სოფლის შეურაცხყოფას ნიშნავდა.

აი, ასეთ გარემოში გავიზარდე.

– თქვენი ლექსები და წერილები გამოირჩევა განსაკუთრებული სიტბოთი, ემოციით, მუსიკით, როგორ ახერხებთ ამას?

– მადლობა ამ სიტყვებისთვის. მიყვარს ადამიანი, მოყვასი, ვწერ, მთელი გულით. არაფერია გამოგონილი, ვწერ სიყვარულით...

მინდა ვთქვა, ყველა შემოქმედი ერთი დონის ვერ იქნება, ზოგჯერ, ჩემი წერილები კრიტიკულია, თუმცა, ვცდილობ დავიცვა ზომიერება. კრიტიკა არ ნიშნავს, ადამიანის ლაფში ამოსვრას. ის უნდა იყოს სასარგებლო. მწერალს უნდა გაუჩნდეს სურვილი – გახდეს უკეთესი, ეგ არის მთავარი ამოცანა.



– თქვენი ინტერვიუებიდან და წერილებიდან ჩანს, რომ გიყვართ ქართული ფოლკლორი, თუ შეიძლება გვესაუბრეთ ამის შესახებ

– ფოლკლორი ყველაფრის საფუძველია. ცხონებულმა ზურაბ ანჯაფარიძემ ასეთი გენიალური რამ თქვა: „მე არ მწამს იმ კაცის მიერ შესრულებული რადამოსის პარტია, რომელიც „ურმულს“ ვერ იმღერებსო“. (მოგესხენებათ რადამოსი ვერდის ნაწარმოების, „აიდას“ ერთ-ერთი გმირია) ამით ზურაბ ანჯაფარიძემ მიგვანიშნა, – ქართველი მომღერალი, რომელიც იტალიურ ოპერას შეასრულებს, მასში ქართველი კაცის ხედვას, ქართველი კაცის დამოკიდებულებას უნდა აქ სოვდესო; ბევრი ვიცით, უცხოელი მწერლების ნაწარმოებებ-

ზე გადაღებული ქართული ფილმიც...

გურამ პატარაიამ, გენიალური ფილმი „რეკორდი“, შესანიშნავად მოარგო ქართულ ყოფას, კულტურას, რეჟისორმა გააქართულა იგი. იგივე ითქმის ცნობილ ქართულ ფილმზე „ქვევრი“, ალექსანდრე დანელიას ფილმზე: „არ დაიდარდო“; ამავე ნაწარმოებებზე ფილმები გადაღებულია უცხოეთშიც, მაგრამ ქართულს, ჩემი აზრით, ვერცერთი ვერ შეედრება;

დიდმა ქართველმა მწერალმა გრიგოლ რობაქიძემ, საქართველოდან წასვლის შემდეგ, ორი რომანი დაწერა გერმანულად, რაზეც სტეფან ცვაიგმა თქვა: არ მეგონა ასეთი მშვენიერი თუ იყო ჩვენი გერმანულიო – რატომ იყო მშვენიერი? ქართველი კაცის ხედვა ჩანდა მასში, სწორედ ქართველის სულის ქურაში გატარებულმა გერმანულმა მოხიბლა სტეფან ცვაიგი.

– თქვენ მუდამ იქ იდევით, სადაც სამშობლოს უჭირდა, ბრძანდებით მრავალი კარგი საქმის წამომწყები და დამგვირგვინებელი, როგორ წარმოგიდგენიათ საქართველოს მომავალი?

– საქართველო ბედნიერი იქნება. პირველ რიგში, ადამიანთა აზროვნებაში უნდა მოხდეს გადატრიალება. ჩვენი წინაპარი იმ მრავალ ანკესზე არ წამოეგებოდა, რაზეც ჩვენ; უნდა ვისწავლოთ სიმართლის თქმა, გავისხენოთ აკაკი წერეთლის „თორნიკე ერისთავი“, მასში გადმოცემულია ნადიმის სცენა, სადაც მასხარას მეფისათვისაც კი არ ერიდება სიმართლის თქმა, ის ქარაგმით მიმართავს მთავარსარდალ ორბელიძეს, სურს მეფე მოიყვანოს გონს, მიახვედროს იგი, რომ დარბაზობას თორნიკე ერისთავი არ ესწრება.

ქართველმა უნდა გაითავისოს, რომ პირადი სიმპათია – ანტიპათიით არ შეიძლება ქვეყნის ბედის წარმართვა. ისეთი გადაწყვეტილებები უნდა მივიღოთ, რომ ქვეყანას გამოადგეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვისჯებით!

საქართველოს აქვს დიდი სულიერება, ცხოვრების უნიკალური წესი. ამით გამორჩეული ვართ მრავალთაგან, თუმცა, უამრავ ნაკლსაც კრიტიკული თვალთ თუ არ შევხვდავთ სინათლეზე ვერ გავალთ. შორს ვდგავარ ამგვარი უმეცრებისგან: „რაც კარგები ვართ, ქართველები ვართ“ – სამწუ-

ხაროდ, არ ვართ ყველანი კარგები... ამბობენ, საქართველო გაბრწყინდებაო, რით, თუ ჩვენ არ ვი-
სურვებთ? საქართველო გაბრწყინდება, თუკი თითოეული ჩვენგანი ამას ერთსულოვნად მოისურვებს.

– რას ურჩევდით მომავალ თაობას?

– ეროვნული ფასეულობებისადმი მეტ სიყვარულსა და მოწინააღმდეგეობას, კომპიუტერი კარგია, მაგ-
რამ გეგმაზომიერად უნდა გამოიყენოთ. წიგნი შეუცვლელია, მისი სიყვარული, ჩვენი დიდი რელიგი-
ის, მართლმადიდებლობის სიყვარულზე, რწმენაზე უნდა იყოს დამყარებული. მართლმადიდებლობა
არ ნიშნავს მხოლოდ ჯვრის ტარებას და ეკლესიაში რეგულარულად სიარულს, თუმცა, ერთიც უნ-
და გავაკეთოთ და მეორეც. უმთავრესია ის, რასაც ქრისტე ითხოვს ჩვენგან, ადამიანებისაგან, ესაა
სიყვარული: „გიყვარდეს მოყვასი შენი, გიყვარდეს უფალი შენი“...

**ქ. თბილისი 167-ე საჯარო სკოლის VIII კლასის
მოსწავლე ქეთევან სხირტლაძე**

**ეფუარდ მუნკის „ყვირილი“
ესე**

ედუარდ მუნკი იყო ნორვეგიელი მხატვარი და გრაფიკოსი. მან დიდი გავლენა იქონია გერმა-
ნულ და ზოგადად ცენტრალური ევროპის ექსპრესიონიზმზე. მისი ცნობილი ნახატებია: „ყვირილი“,
„ავადმყოფი“, „მადონა“, „ვამპირი“, ხოლო მათ შორის ყველაზე ცნობილი ნამუშევარი „ყვირილია“.
თავდაპირველად ტილოს „სასოწარკვეთილება“ ერქვა. ამ სურათზე გამოსახული საშინელების სახე,
რომელსაც მუნკი მთელი ცხოვრება ქმნიდა, დღესდღეობით კონცეპტუალური ხელოვნების სიმბო-
ლოა.

ამ ნამუშევარში მკვეთრად ჩანს დაძაბული სიტუაცია, სადაც რაღაც საშინელება კივის. სურა-
თი არაპროპორციულია. ეს საშინელების სახიდანაც ჩანს. სიტუაცია კი ხდება ხიდზე, ცა სისხლია-
ნია, რომელიც ღურჯ მდინარეს გადაჰყურებს, ხიდზე კი ორი ადამიანი გადადის და სწორედ ამ
დროს იწყებს ნახატის მთავარი პერსონაჟი, საშინელების სახე ყვირილს. მაგალითად, ჩემთვის ამ
ნახატის ცქერა ცოტათი შემადრწუნებელია, მაგრამ ასევე ძალიან საინტერესოც. ედუარდ მუნკის-
თვის „ყვირილის“ შექმნა, ალბათ, ძალიან ძნელი იქნებოდა, სამაგიეროდ, ნახატი 80 მილიონ დოლა-
რად შეფასებული. მუნკიმ ნახატის მნიშვნელობა საკუთარ დღიურში განმარტა. 1892 წლის 22 იან-
ვრით დათარიღებულ გვერდზე მხატვარი წერს: „ ერთხელ გზაზე ჩემს ორ მეგობართან ერთად მიე-
დიოდი. მზე ჩადიოდა. მოულოდნელად ცა სისხლისფრად შეიფერა. დაქანცულობა ვიგრძენი, გაჩერ-
დი და ღობეს მივეყრდენი. ქალაქის თავზე თითქოს ერთდროულად გაჩნდა სისხლი და ცეცხლის
ენა. ჩემმა მეგობრებმა გზა განაგრძეს, მე კი მღელვარებისგან ვცახცახებდი, რადგან ბუნების უსას-
რულო ყვირილი ვიგრძენი.“ სწორედ ამ ჩანაწერებიდან გაჩნდა ვერსია, რომ ნახატზე გამოსახული
ტანჯვის გამომეტყველების მქონე ფიგურა თავად ავტორია. მე-20 საუკუნის ბოლოს მუნკის ამ ნახა-
ტის გავლენა კულტურის სხვადასხვა მიმდინარეობებში აშკარა გახდა. ის გამოჩნდა სხვა რეკლამ-
ებში, მულტიპლიკაციებსა და ფილმებში. ერთ-ერთი მათგანი ცნობილი მულტიპლიკაციური სერია-
ლი „ სიმფსონებიც“ იყო. ასევე პოპულარული საშინელებათა ფილმის - „ყვირილის“ იდეაც მუნკის
ტილოდან მომდინარეობს, თუმცა ტილოს გამოყენება მალე გასცდა კულტურის სფეროს და ადგი-
ლი პოლიტიკურ იუმორშიც დაიმკვიდრა. მე სწორედ ავტორს ვამგვანებ მთავარ პერსონაჟს, ტან-
ჯვის გამომეტყველების მქონე ფიგურას.

ასე რომ, საბოლოო ჯამში, ედუარდ მუნკის ნამუშევარი „ყვირილი“ გადმოგვცემს ბუნების
უსასრულო ყვირილს, რომელიც, მგონია, რომ განწირულების, სასოწარკვეთის მანქანებელია.

**თბილისის 167-ე საჯარო სკოლის
მე-8 კლასის მოსწავლე ირაკლი ჯიგანია**

**შურისძიება
ესე**

შურისძიება დიდი ცოდვაა. მიმანია, რომ ადამიანმა, მიუხედავად იმისა, თუ რა ზიანი
მიყენეს, შური მაინც არ უნდა იძიოს. ჩვენ, ადამიანებს, გვეჩქარება, ღმერთი კი ყველაფერს ხედავს
და, მან განსაჯოს. შურისძიებას ხშირად სავალალო შედეგები მოსდევს. მინდა მოვიყვანო
მაგალითი რევაზ ინანიშვილის ნოველიდან „დავითის ხმალი“, სადაც ერთ-ერთი პერსონაჟის,
სეზარის ქმედებას, ცუდი შედეგი მოჰყვა, მან ერთი მონღოლი მოკლა. მტრებმა ამის გამო შური
იძიეს სოფელ რცხილისზე. სეზარმა ვერ გაუძლო ყოველივე ამას და სიცოცხლე თვითმკვლელობით
დაასრულა. მის გადაწყვეტილებას არ ვამართლებ, ვინაიდან, თვითმკვლელობა უდიდესი ცოდვაა.
მას უნდა ეპოვა ძალა და გაეგრძელებინა ცხოვრება, მაგრამ ყველა ადამიანი როდია ერთნაირი.

გურამ გეგეშიძის მოთხრობაში „შურისძიება“ უპატრონოდ და უსიყვარულოდ დარჩენილი ორი ძმა დადის შიშით, შურითა და ბოღმით. რეზიკო უფროსი ძმა, უფრო იყო, ამ მხრივ, გამორჩეული. მას გული სტიკოდა ყველაფერზე. გაბრაზებულმა ჯერ თავისი ძმა სცემა, შემდეგ ომარი, რომელმაც მისი ძმა ლამის წყალში დაახრჩო. რეზიკოსაც არ ვამართლებ...

შურისძიება ყველაზე აუტანელი ქმედებაა. სამწუხაროდ, ადამიანები ვერ ხვდებიან იმას, რომ ეს არანაირ დადებით შედეგს არ მოუტანთ. შეიძლება პატიებითა და თავმდაბლობით გადავლახოთ ეს გრძნობა. პატიების თხოვნა ძნელია, მაგრამ საჭიროა. ერთმა მოძღვარმა თქვა: „ამოა ლოცვა და ღვაწლი ადამიანისა, რომელსაც გულში მოყვასის მიმართ ბოროტება და შურისძიების სურვილი აქვს“. „იმისათვის, რათა მრისხანებაზე სიყვარულმა გაიმარჯვოს, მრისხანების უამს მოყვასისათვის ილოცე. გულის სიღრმიდან ამოთქვიო: უფალო! შეუძღე ცოდვა მას, ვინც მაწყენინა, ჩემსავით ისიც ადამიანია“. მხოლოდ უფალს შეუძლია ჩვენი განსჯა. ვილოცოთ მტრისთვის. გურჩევ ყველა ადამიანს, იყვნენ მიმტვევებლნი, ვიაროთ სწორი გზით, ცხოვრება ხომ ისედაც ხანმოკლეა. ვინც შურს იძიებს, ჯოჯოხეთის კარსაც პოულობს...

თამარ მირიანაშვილი

ყველაზე მრავალი მშვენიერია, თუ შობილია მშვენიერების დანახვა

- ლიკა როდის გაგიჩნდა პირველად ხატვის სურვილი?
- ხატვით საბავშვო ბაღიდან ვხატავდი, მაგრამ შემდეგ მშობლებმა დამიშალეს, რადგან მხრებში ვიხრებოდი, მივეჩვიე ახლო ხედვას და ვიხრებოდი კიდევ.
- ამის გამო აღარ ხატავ?
- არა ვხატავდი როცა მუზა მომივიდოდა, მარამ ვახერხებდი მის მოთოკვას. მე თვითონაც აღარ მინდოდა... ალბათ, ასე ადვილად იმიტომ დავთმე ხატვა, რომ სკოლაში ვიყავი დასაქმებული გაფორმებით, ვაკეთებდი აფიშებს, ცხრილებს, წარწერებს.
- დღეს, ჩვენს წინაშე წარმოდგენილი აპლიკაციები მეტად ორიგინალურნი არიან. საინტერესოა, რა მასალას იყენებ მათ შესაქმნელად?
- პირველი აპლიკაცია ასე შეიქმნა: დაფნის ფესვისგან გავაკეთე ხე. ხავსით მინდორი, გამოვიყენე ორიოდე ხმელი ფოთოლიც, ხოლო ტოტებში ობობას ქსელი ჩავაქარავ თავისი მწერებით.
- საიდან ან როდის მოგივიდა აზრად აპლიკაციების შესაქმნელად ობობას ქსელის გამოყენება?
- როცა ხეს ვაკეთებდი, შემთხვევით თვალში მომხვდა ობობას ქსელი ოთახის კუთხეში. ინსტიქტურად წავედი ჩამოსაშლელად, როცა შევეხე, ხელზე მომეკრა და მოცილება გამიძნელდა, ამან ჩამაფიქრა. აქედან გაჩნდა ქსელებით ხატვის იდეა. მერე დავიწყე ქსელების ერთმანეთისაგან განსხვავება ფერით, გამძლეობით, დახლართულობით, სიდიდით. მაგალითად, ხეებს შორის გაბმული ქსელი უფრო მტკიცე, სრიალა და ელასტიურია, ვიდრე ოთახისა. საოცარი სილამაზეა. როცა მასზე დაცემულ წვიმის ან ნამის წვეთს მზის სხივი დანათის, ისე ბზინავს შორიდან, რომ ძვირფასი თვალი ან მინის ნამტვრევი გეგონება. მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთი ქსელის წამოღებას ვერ ვახერხებ, ამიტომ მხოლოდ სახლის ქსელით ვმუშაობ.
- მაგრამ სად შოულობ ამდენ ობობას ქსელს?
- სახლში მაქვს ერთი ოთახი გამოყოფილი იმისათვის, რომ ქსელი შეიქმნას.
- ლიკა, როგორ ეგუებიან შენი მშობლები შენს ასეთ უცნაურობას?
- ძალიან ადვილად. ბავშვობაშიც ხომ მხოლოდ ჩემს ჯანმრთელობაზე ზრუნვის გამო მიშლიდნენ.
- დღემდე მოგიწყვია თუ არა შენი ნამუშევრების გამოდენა?
- სკოლის პერიოდში ჭიათურაში ჩატარდა გამოფენა, მაშინ გავიტანე პირველად სამი ნახატი და ოთხი აპლიკაცია. ამ ნამუშევრებმა საყოველთაო მოწონება დაიმსახურეს და ამიტომ ქუთაისში გაიგზავნა. მე წასვლა ვერ შევძელი. აპლიკაციებიდან ერთ-ერთი იყო ობობას ქსელით შესრულებული ზოლიაქოს ნიშანი – ქალწული (პოროსკოპით მე ქალწული ვარ), რომელმაც შანშიაშვილის ინტერესი დაიმსახურა. ნამუშევარზე გვარი არ მეწერა, ამიტომ როდესაც ავტორი მოიკითხეს. აპლიკაცია ერთ-ერთმა პედაგოგმა მიისაკუთრა და სიგელიც მიითვისა. საერთოდ კი, იქიდან არც ერთი ნაშრომი არ დაგვიბრუნეს არც მე და არც ჩემს ძმას, რომელსაც ჯვარზე გაკრული იესო ქრისტე ჰქონდა ამოკვეთილი.
- ნახატები რომ არ დაგიბრუნეს, რატომ არ ჩაიბიე, სად გაქრა?
- ისეთი პერიოდი მქონდა... სწავლის გაგრძელებაზე ვფიქრობდი, საბუთებს ვაგროვებდი, ვმეცადინებოდი. ასე რომ ამის არც დრო მქონდა და არც სურვილი.
- შენ ხატავ, აკეთებ აპლიკაციებს, ჩანახატებს. წერ ლექსებს, სწავლობ ტექნიკურ ფაკულტეტზე. ამიტომ ჩნდება ბუნებრივი კითხვა, რას აპირებ, მომავალში რომელ მათგანს აირჩევ?

– თუ მოვინდომე, ყველაფერს გავწვდები, თუმცა საშინლად ზარმაცი ვარ. საბოლოო არჩევანის გაკეთება ძალიან მიჭირს. ხელოვნების ყველა დარგი ისე მიზიდავს, მგონია, ვერც ერთს ვერ მივატოვებ. ხანდახან ვფიქრობ, იქნებ ისევ ცეკვას და სიმღერას მივუბრუნდე... დიზაინერობაზეც ვფიქრობ.

– მოთხრობებში და ჩანახატებში შენი სულის ნაწილი რომ დევს, გასაგებია. მაგრამ შენი პირადი ცხოვრებიდან თუ შეგაქვს რაიმე მომენტები?

– ნაწილობრივ თითქმის ყველაში. ისე კი ჩემ შესახებ სტატია მაქვს დაწერილი „ვინ ვარ მე“.

– როგორ ფიქრობ, შეიცანი საკუთარი თავი?

– არა, ბოლომდე. ალბათ, ეს შეუძლებელია. ყოველდღე რაღაც ახალს აღმოვაჩენ ხოლმე ჩემში.

– რადგან სტატია უწოდებ, ალბათ, გაზეთში გამოაქვეყნებ?

– ვერ მოვახერხებ, მივიტანე ერთ-ერთი გაზეთის რედაქციაში, მაგრამ მითხრეს, დაიკარგაო. თუმცა კროსვორდებს და ნოველებს ვაქვეყნებ ხოლმე.

– შენი ჰობი?

– ალბათ, მაინც ცეკვა.

ეს იდეალური გოგონა ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტი ლიკა ბიწაძე გახლავთ. თუ მიღწეულით ვისჯვლებოდა და თან იმასაც დაეუმატებოდა, რომ იგი ჯერ 18 წლისაა და წინ კიდევ ბევრი შემოქმედებითი წარმატება და წინსვლა ელის, მკითხველიც დაგვეთანხმება, რომ მას თამამად შეიძლება ვუწოდოთ უნიკალურად ნიჭიერი, თუმცა ნიჭსაც განვითარება, მოვლა-პატრონობა და გაფრთხილება სჭირდება. ლიკა საკმაოდ სიტყვაძუნწი მოსაუბრე აღმოჩნდა, ერთი შეხედვით, გულჩათხრობილიც კი მომეჩვენა. იქნებ ეს იმის ბრალია, რომ მან უკვე იწვინა ცხოვრების მკაცრი გაკვეთილები. დაინახა ადამიანთა სიხარბე და გაუტანლობა. მაგრამ განა ყველგან ისეთი პედაგოგები ასწავლიან, ვისგანაც არაფერი ისწავლება?! განა ყველა შემოქმედი ისეთია, ვინც სხვის შრომას ჩირადაც არ აგდებს?!




მე იმედი მაქვს, ლიკა იგრძნობს იმ სიბოლს და ყურადღებას, რომელიც ხარისხის მართვის უნივერსიტეტში დაგვხვდა ჩვენ, ყველას. აქ ხომ უკვე ამაყოფენ კიდევ იმით, რომ მათ კედლებში დააბიჯებს ერთი შესანიშნავი გარეგნობის, ნიჭიერი და უპრეტენზიო გოგონა – ლიკა ბიწაძე.

„სადაურსა სად წაიყვან ბელო,“ ლიკასნაირ ახალგაზრდაზეა ნათქვამი. ამჟამად ეს ნიჭიერი გოგონა საზღვარგარეთ მუშაობს, მისი გეგმები, ალბათ, ასეთი იქნება: ააშენოს კულტურის კერა, მოიკრიბოს ნიჭიერი შემოქმედნი, შექმნას შედეგები, დასაქმდეს და დაასაქმოს.

იმერეთის ერთ-ერთ ღამაზ სოფელში, რომელსაც წირქვალის პეკია ჩემი თვალთ ვნახე ლიკას ნამუშევრები, ჩემი თვალთ ვნახე ის, რომ როგორ ელოდება ბებია, ქალბატონი ლიანა თავის საყვარელ შვილიშვილს, მის გარეშე ტკბილი ლუკმაც მწარე ეჩვენება.

გმადლობთ ამისთვის უფალო.





ლიკა საზღვარგარეთ არის წასული, მისი ბებია ქალბატონი ლიანა მოუთმენლად ელოდება შვილიშვილის ჩამოსვლას



ტარიელ ხარატიშვილი (ტატო)

“ცოტალა ღაფრჩი”

დიდი ხანია მე ვცდილობ, რომ პირველი ვიყო...
 პირველი ვიყო ყველაფერში კლასელებს შორის,
 ცოტალა ღაფრჩი, არ გამოძდის სულით გალობა,
 პრიზი ავიღე, სიცოცხლეში დაეფასებულვარ.
 ლექსებსაც ვწერ, მოთხრობებსაც და ვფრინავ ცაში,
 ცოტალა ღაფრჩი, ბუღბუღებო დამაგალობეთ,
 თქვენი გალობა ჩამესმის მუდამ, როცა ვფრენ ცაში,
 გზაო, ღელეო, ლაგოდეხო ცოტალა ღაფრჩი.
 ცოტალა ღაფრჩი... შავო მთებო, ნაკრძალო, ხეო,
 მუზა მეწვია სათაურად “ცოტალა ღაფრჩი”,
 თავი ჩავლუნე და მიმინდა ლექსი რომ ვწერო,
 შავო კლდეებო! შენს ნაკრძალში სულ მარტო ღაფრჩი!...

ცხოვრება

რა არის ჩემი ცხოვრება...
 ის მე მუსიკას მაგონებს,
 ხან შეგეშლება, ხან კი მიდიხარ,
 ხან სისხლი მოგდის,
 მაგრამ ფეხზე ხარ.
 ეს ჩემი ლექსიც ცხოვრებას ნიშნავს,
 უკუუნა წვიმას... გინდა შხაპუნას,

ყველას გილოცავთ “ათინათში”
 თქვენი ცხოვრების ლექსად დაბეჭდვას,
 ქანდაკებები, ტაო და ხანძთა,
 ჩემი ცხოვრების არის ნაწილი,
 ის მე აღარ მაქვს...
 ის ახლა ქარს აქვს.

* * *

ლამაზო მთებო, ლამაზო ვეფხვო,
 ერო ძლიერო და ერო სუსტო,
 ძველის-ძველადვე ეს სილამაზე,
 ამ რაიონში გაჩნდა და ხარობს.
 მე ლექსს არა ვწერ, ლექსი მე დამწერს,
 ლამაზი მზერით ლაგოდეხს მისჩქეფს,
 ჩამოხსრიალებს, ჩამოხსრიალებს და იფანტება,
 უკვე გავიდა ეს წუთები მუზამ დამწერა.
 გავიდა ლექსი, მუზამ ახლად შემომიტია,
 შემმადლე რწმენა, საქართველო გააცისკროვნე!
 რა არის მუზა?... საქართველო თუ სიყვარული,
 სამშობლოს მთები თუ უბრალოდ გოგონას თმები?
 გავიდა დრო და წუთი წუთებს ლექსებით მისდევს,
 საქართველოს მზე იღადადებს და არ ჩაქრება,
 საქართველო, გაშლილ-გაშლილ გაფანტული ხარ,
 შეკარი მუშტი, მტერს კი სიტყვა არ შეარჩინო.
 მოვდივარ გულო, მე გაეჩნდები ჭირშიც და ლხინშიც,
 მივქრივარ ლამაზ მუზებთან და გზაშიც ლექსსა ვწერ,
 ლამაზო მთებო, ლაგოდეხო და მეგობრებო,
 ლამაზო მთებო, გოგოებო, ნაკრძალის ქეებო.
 დედამიწაზე ქვეყანა ხომ მრავალი არის,
 უთვალავია შენი მადლი, მამაო ღმერთო,
 დამლოცე მამავ, გასაჭირში ნუ მიმატოვებ,
 ოქროს კოშკებო, სვანეთო და შავი კლდის მთებო.
 მიყვარხართ ყველა: ბიჭიც გოგოც, ძაღლიც და კატაც,
 ღმერთის შექმნილნი არსებებო, ლამაზო მდელო,
 მამავ დამლოცე, მამავ ღმერთო აქ წყდება მუზა,
 ეს ძაფიც გაწყდა... მუზავ კარგო, არ მიმატოვო.

შუამავისი ძალაქის მაღლიანი აღამიანები

სტუმრად ჭიათურაში


– მოგესალმებით, ბატონო სულხან, მე გახლავართ ლაგოდების № I საჯარო სკოლის მეხუთე კლასის მოსწავლე ტარიელ ხარატიშვილი, „ნორჩი ათინათელი“.

ჟურნალი „ათინათი“ გამოდის კვარტალში ერთხელ, არ არის პოლიტიკური, მისი დანიშნულებაა, რომ სიკეთისა და ანგელოზის კვალი დატოვოს იმ პიროვნებებთან თუ დაწესებულებებში, სადაც იგი მოხვდება. კეთილი იყოს ჩემი ფეხი თქვენთან, ბატონო სულხან.

სასიამოვნოა თქვენი სტუმრობა, მისასალმებელია, რომ ადრეული ასაკიდანვე ჩართული ხართ სერიოზულ საქმეში. გისურვებთ, ბევრი მომბაძველი გაგჩენოდეთ. თქვენს ჟურნალს კი უამრავი მკითხველი ყოლოდეს.

– რა პერსპექტივებია გათვალისწინებული ხალხის დასასაქმებლად?

– ხალხის ძირითადი დამსაქმებელი ცდილობს სოფლის მეურნეობის განვითარებას.



სტუმრად ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგებელთან

მადარობია. როგორც ჩვენ, ასევე სახელმწიფო, გაშენებული იყო ჩაის პლანტაციები და ხილის ბაღები. დღეს არც ერთი აღარ არსებობს. მიმანჩია, რომ მათი განახლება აუცილებელია. იმისათვის, რომ მოსახლეობა ნატურალური პროდუქტებით მარაგდებოდეს, მომავლისათვის, ვფიქრობ საკონსერვო ქარხნის ამოქმედებას. ბევრი კარგი იდეა მაქვს, რომელსაც დრო და დიდი ძალისხმევა სჭირდება, მაგრამ საბოლოოდ შედეგებს ველოდებით.

– მდინარე ყვირილა საჩხერიდან ჭიათურაში ჩამოედინება, მერე კი გზას იკვლევს სხვა მიმართულებით. საჩხერეში მდინარე ყვირილა უფეროა, ჭიათურაში კი შავი, რატომ?

– ჩვენს რაიონში არის კერძო კომპანიები, რომლებიც იყენებენ მდინარე ყვირილას წყალს მარგანეცის გასარეცხად, რაც არ შეიძლება. თუმცა მე ისიც არ მახსოვს, როდის იყო ყვირილა თეთრი. არის იმაზე საუბარი, რომ აშენდეს თანამედროვე ტიპის ქარხა-



გულნაზ ხარატიშვილი, სულხან მახათაძე, ტარიელ ხარატიშვილი, გიორგი ციციქიშვილი, გივი კიკნაძე.

ნა, რომლის მიერ მადანი ისე გადამუშავდება, რომ მდინარე ყვირილაში მადანის ნარჩენის შავი მასის ჩადინება აღარ მოხდება.

– ბატონო სულხან, თქვენ მახათაძე ბრძანდებით. ქალბატონმა გულნაზ ხარატიშვილმა მიაჩნო, რომ მახათაძის გვარის წარმოშობა უკავშირდება მახათას მთას. იგი ასე განმარტავს ამ მთის ამბავს: საქართველო ოდითგანვე მტრების შემოსევებში იყო. ყველაზე ძლიერები და უშიშარი მეომრები ჯანიაშვილების გვარის მეომრები ყოფილან, სადაც ქართველებს გაუჭირდებოდათ, იქ გაჩნდებოდნენ ჯანიაშვილები და მახათივით ჩაერჭობოდნენ მიუწვდომელ მთიან ადგილებში. როდესაც ერთ-ერთი ომი დამთავრებულა, იმ მთისთვის, სადაც გამარჯვება მოხდა, მახათას მთა დაურქმევიათ. ასე გამრავლდნენ მახათაძეები და ჯანიაშვილები. თქვენ თუ გსმენიათ ამის შესახებ?



– პირადად მე, ჩემი გვარის წარმომავალზე, სხვა ისტორიაც ვიცი. ერეკლე მეფეს ყოლია ერთი ვეზირი გიორგი, რომელიც ალა-მახმად-ხანთან ბრძოლაშიც თან ხლებია. ერეკლე მეფეს თურმე ასე შეუქია – შენ სადაც დამჭირდები, მაშინვე მახათივით იქ დაერჭობიო. მახათაძის გვარის წარმომავალს ამ ფაქტსაც უკავშირებენ.



მაია ტყემალაძის ხელნაკეთობა „მოზიემე გაზაფხული“

– რატომ ჰქვია ქალაქ ჭიათურას ჭიათურა? არსებობს თუ არა რაიმე მითი ქალაქის შესახებ?

– ჭიათურის სახელწოდების შესახებ არსებობს რამდენიმე ვარაუდი. ერთ-ერთის მიხედვით იგი ჭედურობას უკავშირდება. უფრო გავრცელებული მოსაზრებაა მდინარე ყვირილას ჭიასავით დაკლაკნილი გზა-სავალი. მაღალი მთიდან მომხირალ უცხო კაცს გაოცებულს უკითხავს: „ეს ჭიაა, თუ რაო?“ – და, როგორც ვარაუდობენ, ჭიათურაც ამიტომ დაურქმევიათ.

– დაოჯახებული ბრძანდებით?

– ვარ დაოჯახებული და მყავს ოთხი წლის გოგონა, რომელსაც სახელად ლიზი ჰქვია.

– სანამ ამ თანამდებობაზე მოხვედებოდი, რითი იყავით

დასაქმებული და სად მუშაობდი?

– მე ვმუშაობდი საქველმოქმედო ფონდის „ქართუ“ ჯგუფში შვიდი წლის განმავლობაში. იქ ვეწეოდი საქმიანობას. ალბათ იცით, რომ ეს ფონდი არის ბატონ ბიძინა ივანიშვილის, რომელმაც დააფინანსა უამრავი პროექტი, რაც საქართველოში განხორციელდა. თუ კეთილი საქმის კეთების სურვილი მქონია ცხოვრებაში, ამ ფონდში მუშაობამ გამიათმაგა და გამიასმაგა.



– ჟურნალ „ათინათის“ რედაქტორი დიდ იმედებს ამყარებს და ამბობს: ბატონი სულხან მახათაძე აუცილებლად დანერგავს ჟურნალ „ათინათს“ მის მიერ დაქვემდებარებულ სკოლებში. როგორია მისი პროგნოზი, გაუმართლდება?

– (იცინის) ვფიქრობ, რომ გაუმართლდება.

– რას გეისურვებთ?

– გისურვებთ თქვენს მიერ გადადგმული ნაბიჯი კიდევ უფრო გადრმავებულიყოს და მზის შუქივით გაბრწყინებულიყოს ჩვენს დალოცვილ დედამიწაზე.

– მინდა რამოდენიმე კითხვა დაგუსვა თქვენს თანამშრომელს, მაია ტყემალაძეს, შეიძლება?

– კი ბატონო. ქალბატონი მაია ტყემალაძე ჩვენი ქალაქის სიამაყეა.

– მოგესალმებით, ქალბატონო მაია, თქვენზე ძალიან ბევრი მსმენია. თქვენ არა მარტო საქართველოში, საზღვარგარეთაც გიცნობენ. ბედნიერი ვარ, რომ მეღირსა ასეთი ქალბატონის ხილვა!

აპირებთ თუ არა თქვენი ნამუშევრების გამოფენას?

– რა თქმა უნდა. გამოფენის მოწყობას ვფიქრობ.



უახლოეს ხანში ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობა აპირებს აფხაზეთში ვერაგულად მოკლული უმშვენიერესი პოეტის, ეთერ სამხარაძე-ჯღამაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოს გამართვას. ვფიქრობ, პოეტის ხსოვნას მიუძღვნა ჩემი ნამუშევრების გამოფენა.

– ამჟამად სამსახურით დაკავებულ ქალბატონს, როდესაც მუზა გეწვევათ, რას განიცდით, გიჩნდებათ თუ არა სურვილი, არ მუშაობდეთ და იყოთ თავისუფალი?

– ჩემი სამსახური ძალიან მიყვარს, მიყვარს ჩემი პროფესია, ხელოვნება, ლიტერატურა, საერთოდ ყველა მშვენიერება. მუზა რომ მეწვევა, ზოგჯერ ვხატავ, ვწერ, ზოგჯერ ხელნაკეთობებს ვაკეთებ და ასე გადის ეს მშვენიერი დღეები. სამსახური ამაში ხელს არ მიშლის

– გამიგონია, ლამაზ სხეულში ლამაზი სულიაო, დმერთს თქვენთვის ყველაფერი მოუცია: ნიჭი, სიღამაზე, თავმდაბლობა და ხალხის სიყვარული. თქვენ ტკივილების მაღამო და სულის მკურნალი ხართ. ასე გახასიათებენ, ასე უყვარხართ. როგორ ახერხებთ ამდენ სიყვარულს? თუ შეიძლება მიაბზეთ, თქვენი პიროვნების შესახებ.

– მინდა გამოვხატო ჩემი კეთილგანწყობა თქვენადმი რაც შეეხება თქვენს შეფასებას, ვფიქრობ, გადაჭარბებულია. თუ რამ კარგი მაქვს, უფლის მადლია.

– მინდა ეს დღე მასხოვდეს რაღაც ამადლებულად, განსხვავებულად, თქვენ ისე გიყვართ მომავალი თაობა, როგორც თქვენ უყვარხართ მათ? რას განიცდით მათთან ურთიერთობისას?

– უპირველესად, ღმერთმა ადამიანები შექმნა თავის ხატად და მსგავსად, ამიტომ ჩვენში არის უსაზღვრო სიყვარული, მეტყვეობ, რომ ადამიანები სულ ცოტათი მაინც უნდა დავემსგავსოთ უფალს და უფლისაგან მომადლებული სიყვარული ყოველდღე უნდა გავადრმოთ. ჩემმა მოშობლებმა გამზარდეს ასეთი პრინციპით: არასოდეს გაგაყოფოხოთ ფულმა და სიმდიდრემ, სიღარიბემაც არ შეგაშინოთ, ცუდი არასოდეს დაიმახსოვროთ და კარგი არ დაივიწყოთ. ამიტომაცაა, რომ ყველა ადამიანი ძვირფასია ჩემთვის და პირს ჩამოცვენილ ფოთლებზეც კი ფეხის დაბიჯება მენანება, მომავალი თაობა მართლაც ძალიან მიყვარს და მათ სიყვარულსაც ყოველთვის ვგრძნობ.

ჩემი მიზანი იყო, სულით ღამაზი ქალბატონის, მია ტყემალაძის გაცნობა. ქალბატონო მია თქვენ, თურმე, ქება არ გიყვართ, ეს ქება არ არის, რასაც თქვენზე ამბობენ, რეალობა და ეს რეალობა ჩვენ აუცილებლად უნდა ვიცოდეთ, რომ თქვენნაირი გავიზარდოთ. ხომ არ მიბრახდებით ამ სითამამისათვის?

– არა, როგორ გაგიბრახდებით, პირიქით, გახარებული ვარ თქვენი სტუმრობით, რადგან თქვენში ვხედავ მოყვასის სიყვარულს, დიდ ნიჭსა და გონიერებას.

თავის ქება მართლაც არ მიყვარს, ვაკეთებ იმას, რასაც უფალი გვასწავლის: გიყვარდეს მოყვასი და მტერი, თქვენში, ტარიელ, ვხედავ მომავალ ღირსეულ ქართველს, რომელიც წამოიწიქებულ საქართველოს მხარში შეუდგება. ძალიან გამეხარდა, რომ სტიქაროსანი ხართ, რადგან, ჩვენ ეკლესიაში ვსწავლობთ იმას, რითაც გადავარჩენთ ჩვენს თავს, ჩვენს ოჯახს, ჩვენს ქვეყანას.



თიკო წულაია. 147-ე სკოლა



შენთვის მეგობრობა წმინდა მირონია,
ჩემთვის ეგ გამხდარა ბედის ირონია,
ბედმა კამათელი ისე გააგორა,
მწვერვალზე ასული უკან დამაგორა.
ჩვენი მეგობრული სიყვარული,
სხვისთვის მაგალითი ყოფილიყოს,
ჩენი მხიარული სახეები ,
მწუხრით არასოდეს შეცვლილიყოს.
მე არ მეყოფა ფურცლების გროვა,
რომ გამოვხატო შენდამი ტრფობა,
ბედნიერება იცი სადაა?
შენ რომ გიპოვე და არ დაგკარგავ.

* * *

მიყვარხარ იცი?
რად გინდა ფიცი!
მეგობრები ვართ,
ხომ კარგად იცი!

* * *

ყველა ამხანაგს არ უნდა ენდო,
რას უნდა ჰქონდეს ენა წყლიანი,
მუდამ გახსოვდეს ილიას თქმული!
ყველა "კაცია ადამიანი"?

გაზაფხულის ლამაზ ვრდებს გადარებ,
ეს ყვაილი, ვიცი ყველას ჯობია,
ჩემს მეგობრად გულში ჩუმად გატარებ,
ჩემი გული მხოლოდ შენ მოგნდობია.

თამარ ტყეშელაშვილი

მზე და ღრუბელი



მზე დედამიწის გულს ათბობს. იგი სიხარულს, ბედნიერებას და სინათლეს ჩუქნის ადამიანებს და საერთოდ სამყაროს. მზით ხარობენ და მოუთმენლად ელიან მის ამოსვლას, ამობრწყინებას. ბედნიერია თუ უბედური ადამიანი, მზე მათთვის ისე ანათებს, როგორც სჭირდებათ. ბედნიერი შეჭხარის და ლაღობს მისით, უბედური კი მომავლის იმედით შესცქერის, რომ ყოველი მისი ამობრწყინება იქნება სიკეთის მომტანი მათთვის. მზე ამ იმედს არასოდეს უცრუებს ადამიანებს, ყოველ შემთხვევაში, მე ასე მსურს იყოს... პოდა, ანათე მზეო! ათბე ყველას გული სიხარულითა და სიყვარულით, სიკეთითა და ბედნიერებით.

მაგრამ ასეც ხდება, მზეს ღრუბელი ეფარება. თუმცა როგორ შეიძლება ღრუბელი ცუდი იყოს, ის ხომ მზის სიახლოვესაა, რომელიც ბედნიერებით სავსე გულებს აგრილებს, დედამიწას წყურვილს უკლავს და აყვავებს ირგვლივ ყოველივეს. არა, ღრუბელიც ისეთივე მოვლენაა ქვეყნისთვის, როგორიც მზე. მათ გარეშე არ არსებობს გარესამყარო და ჩვენი გულები.

თუმცა მათ შორისაც ხდება კამათი ისევე, როგორც ყველა სულიერ არსებაში. ერთი თავისი ნათებითა და სითბოთი ამაყობს, მეორე კი გრილი და წვიმიანი დღეებით. არადა ვერ ხვდებიან, რომ ერთიც ისეთივე საჭიროა, როგორც მეორე.

მშობელ მიწაში მიღვას ფსევბი

„მშობელ მიწაში მიღვას ფესვები“- თითქოს ჯადოსნური სეტყვებია, რომელიც ტანში გივლის, გულს აღმაფრენით და სულს სიმშვიდით გივსებს. გრძნობა, რომელიც ამავედროულად მოდის შენთან - სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულია.

ყველაფერი ძირიდან იზომება. ხეც კი ფესვებიდან იზომება. თუ ძალიან მჭიდროდაა მიწაში ჩარგული, რაც არ უნდა ქარტეხილი დაატყდეს თავს, ძნელია ამოგლიჯო, ამოძირკვო და წააქციო. ასეა ადამიანში მშობლიური ქვეყნის სიყვარული. „სამშობლო, როგორც უფალი, ერთია ქვეყანაზე და“- ტყუილად არ უთქვამთ.

სამშობლო ის ფენომენია, რომელიც სიამაყესა და ჭირთათმენის ძალას გმატებს. ეს კი ნამდვილი საოცრებაა... მიწა გაუქვნილია წინაპართა სისხლით. მშობელ მიწაში მდგომი ფესვებიც მჭიდრო

კავშირშია ქვეყნის მაჯისცემასთან, ამიტომ კარგად გრძნობს მის ტკივილსა თუ სიყვარულს. იგი მომსწრეა გამარჯვებისა და დამარცხებისა, შემდეგ კვლავ წამოდგომისა და ძლიერებისა.

მე მომავალი ვარ, რომელიც თანდათან ღრმად იღვამს ფესვებს მშობლიურ მიწაში, ამიტომ დაუღალავი შრომით და სწავლით შევძლებ გავხდე ჩემი ქვეყნის ჩუქურთმისმჭრელი.



მერი ბერაძე

ქ. თბილისის 147-ე სკოლის VI კლასი

ვაჟას ოცნება მებობრობა

ეი! შენ ჩვენო ვაჟო,
ბოროტების მომეძალა ფიქრები,
სადა ხარ, არა ჩანხარო!
დავეშუქრე, არ გავუღე კარები
აღბათ, კლდის ძირას ჩასუღხარ
მეგობრობა კარი არის რკინისა,
არაგვის პირას დგახარო?
ვერ შეამტვრევს შური
გარე ფიქრისა.
ეი, შენ ჩვენო ვაჟო!
მეგობარო, არ დაგკარგავ იცოდე!

რა გიკვირს, განა მართლად,
ქართველი ვარ, განა სხვისი რჯულისა
შენ მუდამ ჩვენთან იქნები,
არ მასვენებს ჩემი აღათ-წესები
შენი ოცნებაც ახდოდ.
გავიუქმე ბოროტების ფიქრები
გაიხედე და მიხედები,
რამდენი ხალხი დგასაო,
შენი ნაქონი ნივთების
ბაეშეებს მოუნდათ ნახვაო.

უზალმა მომცა სიცოცხლე ჩემი

სიკეთე მარად განკურნავს მტრობას სიცოცხლე ჩემი, სიკეთე სხვისი, და მიგვაშურებს კეთილ საქმისკენ, სიმართლე მისი-სიცოცხლის ფიცი. ენდე სიკეთეს, არ გაბოროტდე ქართველნო, მიდით, გავერთიანდეთ და წაიყვანე საქმე წინისკენ. და სიკეთისთვის ვიბრძოლოთ ერთად, მარად გენდობი სიკეთის შუქო, ჩვენ ერთურთს ძალა მივცეთ სიკეთით ნუ გამიცრუებ ჩემსა ოცნებას, ვერ დაგვა-მარცხებს ძალები მტერთა.

მარიამ მაჩაიძე

141-ე საჯარო სკოლის VI კლასი

თიკოს

შენ თუ გტკივა, მეც ვიტკიებ,
გულის ტკივილს გაგიქარწყლებ.
სიხარულით გაგიღიმებ,
გულის კარებს თუ გამიღებ.

ცრემლს იდინებ, მეც ვიდინებ,
თუ იტირებ, მეც ვიტირებ.
მეგობარს თუ დამიძახებ,
დამიჯერე, არ ინანებ.

მშობელ მიწაში მიღვას ფესვები

მშობელ მიწაში მიღვას ფესვები,
მინდა დაწვერო მასზე ლექსები.
მინდა გრძნობები ჩემი ამაღლდეს
და ეს ფესვები უფრო გამყარდეს.
მე მინდა აიყოს ქართველი ერი,

კვლავ ერთიანი და ბედნიერი.
მინდა მივუძღვნა მას ჩემი გული,
მაღე ვიხილო გაბრწყინებული.
არ მივატოვებ, ვერ შევეშვები,
მშობელ მიწაში მიღვას ფესვები.

სამშობლო

სამშობლო ჩემო,
ქართველო ერო,
სიცოცხლე ჩემო,
სიცოცხლის ფესვო.

ღიმილო, ცრემლო
და დარდო ჩემო,
ღამაზი სიტყვის
საწყისო ერო.

ვფიქრობ ამაზე

ღექსი მოგიძღვნა? – ვიფიქრებ ამაზე
გული გატკინე? – ვფიქრობ ამაზე
გული გაგიღო? – ვფიქრობ ამაზე
დარდი გაგანდო? – ვფიქრობ ამაზე

გულიც გაგიღე,
დარდიც გაგანდე,
გიღებ მეგობრად
შენც თუ გამიგებ.

თელა ჯანელიძე

ოცნებები მცნებებივით ირღვევიან...

ოცნებები მცნებებივით ირღვევიან,
ცაში მართლაც უპ რამდენი ჩიტებია,
ზღვაში მართლაც რაოდენი ზვირთებია,
ხმელეთზე კი ბევრი-ბევრი მლიქვნელია...
ოცნებები მცნებებივით ირღვევიან,
ვინა სთქვარომ ყველა
ზღაპრის გმირები ვართ?!

ქვეყნად მართლაც საოცარი კითხვებია;
ოცნებები რატომ აღარ გვიხდებიან?!
ისინი ხომ სულის-გულის კვირტებია,
მაგრამ აღბათ ისინიც არ იშლებიან,
მაგრამ აღბათ ისინიც არ გვჭირდებიან
ღმერთო,ნუთუ მხოლოდ გულის ფიქრებია?!
ოცნებები მცნებებივით ირღვევიან...

* * *

ცხოვრებას მიჰყვები ნელა,
გზაზე თანდათან ბნელა.
გული სავსე გაქვს გრძნობით,
ღამაზ თვალებში მხერა.

გზაზე შეგხვდება ნაპრაღი,
ხალხიც ბევრია ცოდვით გამქრალი...
მე კი ვიქნები ცისკრის ვარსკვლავი,
სწორ გზას გიჩვენებ გრძნობით ღამდნარი.

**თბილისის №1 საჯარო სკოლის
XI კლასის მოსწავლე:
ნუგზარ გრიგალაშვილი**

* * *

ცხოვრებაა სანუკვარი,
ღმრთისგანაა სანუქარი.
მაგრამ ზოგჯერ მოვარდნილი,
ძალით გვართმევს დიდი ქარი.
თუ რამ ღმერთმა მოგვივლინა
სიყვარული მზით ნაბანი
შურით ბოღმით ბილწი სიტყვით
ძალით გვართმევს ისევ ქარი.
კვლავ სიკეთით მოვერიოთ,
ქარს და წვიმას ეს კარგია,
ხალხში უხვად დავარიგოთ
ბოროტება რას გვარგია.

ჭიათურის მუნიციპალიტეტის ქვაცხის საშ. სკოლის IV კლასის მოსწავლე,
ლევან ბიწაძის ფანტაზიები





მილოცვა



რანასა და ლაშას
ისარეთ თქვენი ოჯახით,
ეფიცავ ღმერთს მემამყებით...
თქვენ სავალ გზებზე ყოველთვის
ეფინოს ია-ვარდები.



სოსო თიგიშვილს
ქართულ მიწაზე ძირძველ კუთხეში,
სადაც დაირწა შენი აკვანი...
სადაც უფალმა შენ მოგაგლინა
დალოცვილია ის მიწაწყალი




ვენერა ქაძანაიას
გუილტ გილოცავ დაბადების დღეს,
დაო მოგიძღვნი ამ პატარა ლუასს
გქონდეს სიკეთე და სიხარული
და უფლით გქონდეს კვლავ სიყვარული...



ჩემს შვილს ნინოს
გულის გულის კარებს შეხსნი,
საბას სიბრძნე დაგსდევს თანა.
ვინც შენ გიცნობს ის ინატრებს
ჰყავდეს შვილი შენისთანა.
შენი იმედი მუდამ მაქვს,
ჩემს ავ-კარგს გუილტ განიცდი...
იმდენად ტკბილი შვილი ხარ,
ვის შეგადარო არ ვიცი.
კარგი შვილები გაზარდე,
ეს არის დიდი ქალობა
უფალმა ღმერთმა გიხაროს
შენი გიგა და შორენა.
გულში მალამოდ გეცხება
შენი ღუსი და ანანო,
სუყველას გზა გაუკვალე
ამას გთხოვ ღმერთო მადალო!

ეთერ ფირცხალავა



მილოცვა

ბოდიშს ვთხოვ ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს ბატონ ნუზგარ ნადარაიას და აკადემიის წევრებს, რომ დღევანდელ სხდომას ვერ ვესწრები.

თუ ნებას მომცემთ, მინდა მიულოცო სახელოვანი, ღირსეული ქართველი ქალების კოლორიტს, საქმეების საუკეთესო გამგრძელებელს ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილს. შესანიშნავი პოეტი მწერლის, ქალბატონი გულნაზის რედაქტორობით გამოდის საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო ჟურნალი „ათინათი“. ის არის ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი. მისი რედაქტორობით კარგად მუშაობს უმაღლესი სასწავლებელი, რომლის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები კმაყოფილნი არიან.

ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილი სხვა მრავალ კარგ საქმეებსაც აკეთებს და ყველგან დიდ წარმატებას უსურვებ! დალოცვილი იყავი ღმერთსა და ადამიანების მიერ! ახალი წარმატებები, ახალი მიღწევები დიდად პატივცემულ ქალბატონო გულნაზ!!! წიგნის ავტორს ბატონ სერგი ლომაძეს, დიდი სიყვარული და პატივისცემა ღვთისგან ასეთი წიგნის გამოცემისათვის.

*კეთილი სურვილებით კლიმენტი შელია
29.XI.2013წ.*



ჟურნალ „ათინათის“ რედაქცია დაბადების
დღეს ულოცავს, ეთერი როგავა-ფირცხლავას,
უსურვებს ჯანმრთელობასა და დიდხანს
სიცოცხლეს.



ნინი გველესიანი 90 წლის ქალბატონია, 9
შვილის ბედნიერი დედა. პოეტ ლამზირა
შევილაძის საყვარელი დედიკო.

ჟურნალი „ათინათი“ ულოცავს ახალ წელს

პატარა ანგელოზები



ლიკა და გიორგი ციცქიშვილები



ბიწაძე პაპუნა, 5 წლის



ნუცა ყოლბაია



ნატალი მდებრიშვილი 3 თვის



მიშო ჭიტაშვილი, 4 წლის



ნიკოლოზ მღებრიშვილი 4 წლის,
ანა და მარია მღებრიშვილები 2 წლის



აკაკი გამეზარდაშვილი



გიორგი და ლიზი გამეზარდაშვილები



საბა ჯელაძე

ავტორთა საყურადღებოდ

ჟურნალი „ათინათი“ არ მიიღებს პოლიტიკურ წერილებს და არც სხვათა მისამართით საჭილიკო მასალებს, ჟურნალი არის სამეცნიერო შემეცნებითი, მოიცავს ყველა დარგს, თესავს: სიტბოს, სიყვარულს, სიკეთეს... მეტი ყურადღება ეთმობა მეცნიერებასა და საზღვარგარეთთან ურთიერთობების საკითხებს.

შეგიძლიათ მასალები გადმოგზავნოთ იმეილით gulnazi5@bk.ru

შემოწირულობა ჩარიცხეთ შემდეგ ანგარიშზე:

თიბისი ბანკი

საბანკო კოდი – TBCBGR 22

მიმღების დასახელება – შპს „ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია.“

ანგარიშსწორების ნომერი – GE51 TB73 1333 6080 1000 01

ტელ: 593657921;

0341227287.

790657921

გარეკანის პირველ გვერდზე „წმინდა ნინო“ შიგნითა გვერდზე ახალი წმინდა ნინო. გარეკანის მეორე გვერდზე მთავარი ანგელოზი მიქაილი, მხატვარი ემელიანე (რეზო) ადამია.



სარჩევი

უფლის საგალობელი..... 2
 ნუგზარ ნადარაია..... 3-4
 გულნაზ ხარაიშვილი..... 5

პოეზია

ტერენტი გრანელი..... 6-7
 მეუფე თაღაოზი (მირიან იორამაშვილი)..... 8-9
 კახა ბაციკაძე..... 10-11
 ანა ბეინაშვილი..... 12
 თამარ გავაშელაშვილი..... 13
 სერგი ლომაძე ჯგუფ „ზღვარის“ წევრი..... 14-15
 ვასო ლომაძე ჯგუფ „ზღვარის“ წევრი..... 16-17
 ვაჟა ეგრისელი..... 18-19
 ალექო დოღბაია..... 20-21
 გოგი დგებუაძე..... 22
 ლიანა ოსიაშვილი-მელიქიძე..... 23-24
 თინათინ ხვედელიძე..... 25
 ქეთევან ნათელაძე..... 26-27
 თამარ რაზმაძე..... 28
 ლამზირა შეყილაძე..... 29
 ნათელა ხარაიშვილი..... 30
 შოვქატ დაღლარკიზი..... 31
 მიმოზა ცანავა..... 32-33
 თამარ ჯაჭვაძე..... 34-35
 ნანი ჭირაქაძე..... 36-37
 ბეჟან ხარაიშვილი..... 38-39
 გულნაზ ხარაიშვილი..... 40-41
 კოტე მიქაცაძე..... 42
 გვანცა ხარაიშვილი..... 43
 ჯიბო ჯიმერი..... 44
 ტარიელ მუმლაძე..... 45-46
 შაკო ილურიძე..... 47-48
 ივერი თაბაგარი..... 48

მხატვრული განყოფილება

რევაზ მიშველაძე..... 49-50
 ლალი კახიძე..... 50-52
 ლიანა ოსიაშვილი-მელიქიძე..... 52-55
 ჟუჟუნა ნიჟარაძე..... 55-62
 ანა ყალიჩაია..... 62-63
 ციალა ხაუალია-ანდრიაძე..... 64-67
 ნანა ჭირაქაძე..... 67-68
 თამარ თედიაშვილი..... 68
 რეზო ფაჩულია..... 69-70
 სერგი ლომაძე..... 71-72

ნარკვევა

ტიტე მოსია..... 73-77
 ლუარა სორდია..... 77-78
 მანანა კვატაია..... 79-80
 ლალი რატიანი..... 81-84
 სერგი ლომაძე..... 84-85
 ნაილი ხარაიშვილი..... 86-88
 თამარ ჯაჭვაძე..... 89-92

ვალერი მოსიაშვილი, სულხან მახათაძე.....93-96

რსუორია

ნიკო ხერკელაძე.....97-98

სიმონ ზაქარაია.....99-100

ხელოვნება

ქეთი თუთბერიძე.....101-102

ციური ხეთერელი.....103-107

გაგა გულიაშვილი.....108-111

სპორტი

თამარ ჯაჭვაძე.....112-118

ნორჩი ათინათი

ანი ჩიტაია, ანი მელაძე.....119-121

ლუკა შედანიანი.....121-123

ქეთევან სხირტლაძე.....123

ირაკლი ჯიგანია.....123-124

თამარ მირიანაშვილი.....124-126

ტარიელ ხარატიშვილი.....127-131

თიკო წულაია.....131

თამარ ტყეშელაშვილი.....131

მერი ბერაძე.....132

მარიამ მანაიძე.....132

თეონა ჯანელიძე.....133

ნუგზარ გრიგალაშვილი.....133

ლევან ბიწაძე.....134-135

მელოფა.....136-138

პატარა ანჯელონი.....139-140

ავტორთა საყურადღებოდ.....141

სარჩვი.....142-143

ჟურნალ „ათინათის“ დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი: გულნაზ ხარაიშვილი

პასუხისმგებელი მდივანი: ემელიანე (რეზო) ადამია

რელიგიის განყოფილების რედაქტორები: მეუფე თადეოზი (იორამაშვილი) და

ფაზისის საერო აკადემიის პრეზიდენტი – ნუგზარ ნადარაია

საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების რედაქტორები:

ჯუმბერ ლეჟავა – მსოფლიო მოგზაური

ვანო შუშტაკაშვილი – პროფესორი

სამეცნიერო განყოფილების რედაქტორი: ლუარა სორდია – პროფესორი.

მხატვრული განყოფილების რედაქტორები:

დავით კაპანაძე–პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი,

სერგი ლომაძე, ჯგუფ „ზღვარის“ წევრი

კახა ბაციკაძე, ჯგუფ „ზღვარის“ წევრი

ლიანა ოსიაშვილი-მელიქიძე.

საბავშვო განყოფილების რედაქტორი: ლამარა გერგედავა – აკადემიის

ნამდვილი წევრი

ზეინაბ ბეჟიტაშვილი – ფილოლოგი,

აკადემიის წევრი

რედკოლეგიის წევრები:

ბრუნო თრიბურგი (საფრანგეთი) - მოგზაური

იური მამედოვი(აზერბაიჯანი) - მოგზაური

სიმონ ზაქარაია: ტექნიკურ-მეცნიერებათა დოქტორი

მარინე სხირტლაძე-საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის

ეროვნული ბიბლიოთეკის მთავარი სპეციალისტი.

ლამზირა შეყილაძე-პოეტი

თამრიკო ჯაჭვაძე – ფილოლოგი (პოეტი)

კომპიუტერული უზრუნველყოფა – ნანა სხირტლაძე

ჟურნალი დაკაბადონდა გამომცემლობა „უნივერსალში“.

რედაქციის მისამართი: თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი, ხელოვნების

მეცნიერებათა აკადემია, IV სართული.

ტელეფონი: 593 65 79 21

0341 22 72 87